

საქართველოს თეატრალური საზოგადოება



ქართული თეატრის
მთავარი წიგნი

სასცენო ხელოვნების
შესახებ



წიგნი
მესამე

საქართველოს თეატრალური საზოგადოება



კმტე
მუსი



დ. ჯანელიძის
რედაქციით



გამომცემლობა
«ხელოვნება»
19 თბილისი 53

კრებული შეადგინა, შესავალი წი-
კილი და შენიშვნები დაურთო
ელისო ქაკაშვილმა



კობე მანბი

კოპე მესხი

(1857—1914)

ქართველ ხალხს მრავალსაუკუნოვანი თვითმყოფი თეატრალური კულტურა აქვს. მისი განვითარება საუკუნეების მანძილზე ფერხდებოდა უცხოელ დამპყრობთა შემოსევებით. ნადგურდებოდა ქართველი ხალხის კულტურული მემკვიდრეობა. საქართველოს ეკონომიური და კულტურული განვითარებისათვის უდიდესი პროგრესული მნიშვნელობა ჰქონდა რუსეთთან საქართველოს შეერთებას.

მიუხედავად ცარიზმის რეაქციული პოლიტიკისა, ქართველი ფეოდალების მიერ თეატრის ათვალწუნებისა და ღვევისა, ქართველი ხალხის მოწინავე მოღვაწეებს, რომლებიც რუსი ხალხის მოწინავე ინტელიგენციის პროგრესულ იდეებზე აღიზარდნენ, საშუალება მიეცათ წარაბ, მონღოლ-ოსმალ-ირანელ დამპყრობთა განადგურებისაგან გადარჩენილი ქართული თეატრალური კულტურა გაეცოცხლებინათ მსოფლიოში ყველაზე მოწინავე, მაღალიდგური და რეალისტური რუსული ხელოვნების საუკეთესო მიღწევათა ათვისებით და ქართულ მშობლიურ ნიადაგზე მისი გადმონერგვით. მაგრამ „ცარიზმი ავიწროებდა, ზოგჯერ კი პირდაპირ აუქმებდა ადგილობრივ სკოლას, თეატრს, საგანმანათლებლო დაწესებულებებს იმისათვის, რომ მასები სიბნელეში ჰყოლოდა. ცარიზმი ახშობდა ადგილობრივი მოსახლეობის საუკეთესო ადამიანთა ყოველგვარ ინიციატივას“¹. მიუხედავად ცარიზმის ასეთი პოლიტიკისა, რუსული კულტურის მოწინავე წარმომადგენლები, რუსული თეატრის საუკეთესო ოსტატები თანაგრძნობით ეკიდებოდნენ ქართულ თეატრს და ძმურ დახმარებას უწევდნენ ქართული თეატრის მოწინავე მუშაკებს. რუსეთის თეატრის მოწინავე ადამიანები აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ქართული თეატრის განვითარებაში და ქართველი ხალხის თეატრალურ მოღვაწეებთან ერთად, ებრ-

¹ ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 4. გვ. 888.

ძოდნენ რეაქციულ თეატრს, რომელიც ახორციელებდა რუსი და ქართველი მემამულეებისა და ბურჟუაზიის, დიდმპყრობელური სულით გაჟღენთილი შოვინისტებისა და ნაციონალისტების შავბნელ ზრახვებს.

რევოლუციამდელი ქართული თეატრის ისტორია არის თვალსაჩინო. მაგალითი რუსეთის მოწინავე მოაზროვნეთა, კერძოდ, რუსული თეატრის საუკეთესო მოღვაწეთა ცხოველმყოფელი ზეგავლენისა ქართულ კულტურაზე. ამ ერთობლივი ბრძოლის საფუძველზე ვითარდებოდა მე-19 საუკუნის მოწინავე ქართული რეალისტური თეატრი.

ამ თვალსაზრისით განვიხილავთ და ვაფასებთ ქართულ რევოლუციამდელი რეალისტური თეატრის შემოქმედებითს მემკვიდრეობას.

გიორგი ერისთავის, ვასო აბაშიძის, ლადო შესხიშვილის, კოტე მესხის, აქვსენტი ცაგარლის, ნატო გაბუნიას, კოტე ყიფიანის, მარიამ საფაროვ-აბაშიძის შემოქმედება შეიცავს ქართული თეატრის საუკეთესო ტრადიციებს, რის განვითარებამაც ბევრი რამ შესძინა კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუწყლებელი მზრუნველობით აყვავებულ ქართულ საბჭოთა თეატრს.

I

ქართული თეატრის ისტორიაში განსაკუთრებული ღვაწლი მიუძღვის სვიმონ მესხის ოჯახს, რომელმაც სამშობლოს მრავალი საზოგადო მოღვაწე შესძინა.

სვიმონ მესხის ოჯახი „ქართული კულტურის მთელი ხომლია, რომლის ყოველი სანთელი ზეტ-ნაკლები სიძლიერით, მაგრამ ერთგვარი ურყეობით იწვოდა მრავალი წელი...“¹

სვიმონ მესხს ცამეტი შვილი ჰყავდა, მათ შორის თითქმის ცხრა ხელოვნების სიყვარულით იწვოდა. უფროსი ვაჟი გიორგი უმაღლესი განათლებით იყო, სერგეი ცნობილი საზოგადო მოღვაწე „რაინდი ქართული პუბლიცისტიკისა“ (ნ. ლორთქიფანიძე), გაზ. „დროების“ რედაქტორი, რომლის ფურცლებზე ქადაგებდა ქართული კულტურის პატივისცემას, მიზნად ისახავდა ქართველი საზოგადოებისათვის, მკითხველისათვის შეეყვარებინა ქართული ენა და ქართული თეატრი.

ივანე მესხი ცნობილია როგორც ეურნალისტი, ბათუმის დრამატული საზოგადოების თავმჯდომარე, რომელიც სასტიკად ილაშქრებ-

¹ ნ. ლორთქიფანიძე, „ქედუზრენი“, თბილისი, 1946 წ., გვ. 132.

და ცარიზმის ბიუროკრატიული რეგიმის წინააღმდეგ, დიდი მოყვარული იყო მუსიკის და შესანიშნავად უკრავდა თარზე.

ანა მესხი-პეტრიაშვილისა — პირველი ქალთაგანი, რომელიც ქუთაისის სცენისმოყვარეთა დრამატულ წრეში იქნა ჩარიცხული 1875 წ. მონაწილეობდა ქართულ მწერლობაშიც, აგროვებდა ხალხური სიტყვიერების ნაწარმოებებს და ამავე დროს თარგმნიდა. მას ეკუთვნის თარგმანი რუსულიდან „არა, დამნაშავე არ არის“. ნესტორი—სახალხო მასწავლებელი, საუკეთესო მომღერალი და მოცეკვავე.

დავითი—მწერალი, იუმორისტი, მსახიობი, „დროების“ რედაქციის ერთგული მუშაკი (გამოქვეყნებული აქვს „მოგონებანი“).

ეფემია—ქართველი ნიჭიერი მსახიობი, დრამატული როლების შემსრულებელი, პირველი ზეინაბი ქართულ სცენაზე.

მარიამი—ახალგაზრდობაში მონაწილეობას იღებდა სპექტაკლებში. ხელოვნების გზას გაყვეს მისი შვილებიც: ბაბო გამრეჯელი (მარჯანიშვილის სახელობის თეატრის მსახიობი), ნინო გამრეჯელი—თორელი, პირველი ქართველი რეჟისორი ქალი, რომელიც ჯერ კიდევ ახალგაზრდა იმსხვერპლა სიკვდილმა. მესხების ოჯახთან დაკავშირებული იყო დიდი ქართველი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი (კ. მესხის დედის ძმისშვილი), ქართველი უნიჭიერესი მსახიობი, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტი, მსაქმის პრემიის სამგზის ლაურეატი ვერიკო ანჯაფარიძე (სვიმონის ვაჟის გიორგის შვილიშვილი).

იშვიათია ასეთი ქართული ოჯახი, რომელიც ამდენ საზოგადო მოღვაწეს შესძენს სამშობლოს. სვიმონ მესხის ოჯახმა გარკვეული კვალი დატოვა თეატრალური კულტურის ისტორიაში.

II

ასეთ სახელოვან ოჯახში აღიზარდა ქართველი მაღალნიჭიერი მსახიობი და რეჟისორი კოტე სვიმონის-ძე მესხი.

კოტე სვიმონის-ძე მესხი დაიბადა ქალაქ ქუთაისში 1857 წელს. პირველდაწყებითი სწავლა მან ოჯახში მიიღო. იგი ჯერ ქუთაისის გიმნაზიაში სწავლობდა, შემდეგ თბილისის რეალურ სასწავლებელში. კოტე მესხს უმაღლესი განათლება არ მიუღია, მაგრამ მისი ცოდნის გაღრმავებას ერთმა გარემოებამ შეუწყო ხელი.

ჯერ კიდევ ახალგაზრდა კ. მესხისათვის უმაღლეს სასწავლებლად ს. მესხის „დროების“ რედაქცია იქცა; „დროება“ საზოგადოებრიობის ყურადღების ცენტრში მოექცა; ამ გაზეთის გარშემო თავს იყრიდა ქართველი მოაზროვნე ინტელიგენციის მოწინავე ნაწილი: ილია ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, გ. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, რ. ერისთავი, კ. ლორთქიფანიძე, პ. უმიკაშვილი და სხვანი.

გაზ. „დროებამ“ „ისეთ დროს დაიწყო გამოსვლა, როდესაც ხანგრძლივი ძილისა და მყუდროების შემდეგ, საქართველომ თითქოს გამოღვიძება დააპირა... მან ფართოდ გახელილი თვალებით შეხედა სინამდვილეს და იგრძნო, რომ ამ ქვეყნად რალაც სხვა დრო და სხვა მოთხოვნილება გაჩნდა“ (ს. მესხის წერილი, გაზ. „დროება“ 1876 წ., № 24). ცხოვრების ახალ მოთხოვნილებებს, ახალ საკაცობრიო იდეებს სწორად აუღლო ალლო გაზეთმა „დროებამ“.

„პატარაობიდანვე შთაგონებული მოწინავე აზრი სერგეი მესხისა და „დროების“ რედაქციის წევრებისა კ. მესხს მთელს სიცოცხლეს გზას უნათებდა“ (კ. ანდრონიკაშვილი), და არც შეიძლებოდა გავლენა არ მოეხდინა მის მომავალ ცხოვრებაზე განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურთა პროგრესულ, მოწინავე იდეებს.

ბავშვობიდანვე კ. მესხის უსაყვარლესი საგანი თეატრი გახდა, პირველი გაკვეთილი აქტიორული შემოქმედებისა თბილისის სცენის მოყვარეთა წრეში მიიღო 1874 წ. „ამავე წელს (1874) თბილისში ერთ ქართულ წარმოდგენას დავესწარი, რომელიც პატივცემული კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა. არდგენდნენ ილ. ქავჭავაძის „სცენებს“. ეს წარმოდგენა ჩემთვის იმით იყო შესანიშნავი, რომ მე პირველად გამოვდიოდი სცენაზე. ვთამაშობდი გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მედიდურობას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიშველ სახეზე დიდი უღვაშები და წვერი დამაკრეს. ისე ვიბერებოდი, თითქოს ჩემზე დიდი კაცი ქვეყანაზე არც დაბადებულყოს“¹—ასე იგონებს კ. მესხი თა-

¹ დ. მესხი, „მოგონებანი“, თბილისი, 1940 წ., გვ. 98.

ვის დაუმთავრებელ მოგონებაში სცენაზე გამოსვლის პირველ ნაბიჯს.

ქართული თეატრის მომავალი ნიჭიერი მსახიობი კ. მესხი თავის აქტიორულ შემოქმედებას იწყებს ქუთაისში 1875 წ., სადაც ქართველი მსახიობი ქალის ეფრო კლდიაშვილის ხელმძღვანელობით მუშაობდა სცენისმოყვარეთა დრამატული წრე. „სწორედ ამ დასმა მიიღო თავის წრეში ახალგაზრდა კოტე მესხი და ვასო აბაშიძე. პირველი წარმოდგენა, რომელშიც ისინი გამოვიდნენ, იყო ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი“. მაშინ მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე და იმ დღიდან შეიქმნენ მისი საყვარელი არტისტები“.¹ ქართველი საზოგადოებისათვის თანდათან იზრდებოდა კ. მესხის სახელი როგორც მსახიობის, რეჟისორის და საზოგადო მოღვაწისა. იგი მარტო ქართულ სცენას კი არ ემსახურებოდა, არამედ „ყოველი მისი ნაბიჯი საზოგადოებრივი იყო“ (კ. ანდრონიკაშვილი). ამავე დასში მას რეჟისორობა დააკისრეს და რამდენიმე წელი უძღვებოდა დასის მუშაობას. 1879 წ. კ. მესხი თბილისის მუდმივ პროფესიულ დასში ჩაირიცხა და მალე საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა. კ. მესხი ამის შესახებ წერდა ი. მეუნარგიას: „ძმაო იონა, 1879 წ. გათავდა ჩვენი აქ-იქ ლოლიალი და სცენისმოყვარეების ძებნა ქართული წარმოდგენების გასამართავად. სექტემბრის თვეში პირველი სეზონი გავხსენით. ქართველი საზოგადოება, მწერლები, მოღვაწენი, ხალხი ალტაცებით მიეგება ჩვენს ნორჩ დასს...“²

1879/80 წლის სეზონის დახურვის შემდეგ, კოტე მესხი თავის მოღვაწეობას ისევ ქუთაისში აგრძელებს, სადაც „მან ქუთაისის თეატრში ერთნაირი ხალისი შეიტანა, მაგრამ სპექტაკლების მართვის საქმის სავსებით გადაკეთება ვერ მოახერხა“,³ რადგანაც დასი ნიეთიერ გაქირვებას განიცდიდა, არ ჰქონდათ საშუალება ახალი დეკორაციების დამზადებისა; ყოველივე ეს ხელს უშლიდა

¹ გაზ. „თემი“, 1914 წ., 19 მაისი, № 176.

² ი. მეუნარგია. „ქართველი მწერლები“, II, თბილისი, 1947 წ., გვ. 190.

³ ს. გერსამია, „ქუთაისის თეატრი“, თბილისი, 1944 წ., გვ. 29.

დასის წარმატებით მუშაობას. გარდა ამისა, სპექტაკლები იმართებოდა ხარაზიშვილების სათეატრო შენობაში, რომელიც ყოველივე კულტურულ საქმიანობას მოგების თვალსაზრისით აფასებდა და ყოველმხრივ ავიწროებდა თეატრს.

კ. მესხი ქართული სცენის უერთგულესი მუშაკი გახდა. მან უარი თქვა პირად ბედნიერებაზე და მთელი თავისი სიცოცხლე მშობლიურ თეატრს ანაცვალა. ამ პერიოდში მსახიობის მდგომარეობა აუტანელი იყო. მსახიობები დიდ ეკონომიურ გაქირვებას განიცდიდნენ. ამიტომ კოტეს მშობლებმა მას ბულალტერიის შესწავლა უჩიეს და ამისათვის იგი ოდესაში გაამგზავრეს.

მაგრამ ვერავითარი მანქანება ვერ ჩაახშობდა თეატრისადმი სიყვარულს, ვერ ჩამოაცილებდა კ. მესხს მისთვის საყვარელ სცენას. მიუხედავად ყოველგვარი დაბრკოლებისა მას მხოლოდ ეს საყვარელი საქმე იზიდავდა, იგი თეატრისთვის იყო დაბადებული. მშობლებს კოტე ოდესაში ეგონათ დაბინავებული და წერილი კი პარიზიდან მიიღეს. კოტე თავის ძმას ივანეს წერდა: „თუ ძმა ხარ, ნუ შეწუხდები, აქ რომ ჩამოვედი. მართალი გითხრა, ფოთამდი გადაწყვეტილი არ მქონდა, აქეთ წამოვიდოდი თუ ოდესისაყენ, მაგრამ ფოთში რომ მარსელის გემის ამბავი ვიკითხე, შემაცდინა და მერე ჩემმა გამოუთქმელმა სურვილმა. კოტე ქავექავაძემ თითქმის სულ ტყუილად დამიჯინა გზა მარსელამდე... მაგრამ მაინც დაფიქრიანდი, შემდეგ კი მივაფურთხე ეშმაკს და გამოვსწიე. თუ თბილისი დამეხმარა, დავრჩები ოთხ-ხუთ თვეს, სწორედ იმდენ ხანს, რომ წაკითხული ფრანგულის გაგება შევიძლო და თარგმნაც. მარსელში სარა ბერნარი ვნახე სცენაზე. კინალამ გადამრია, თუმცა მისი ლაპარაკი არ მესმოდა, მაგრამ თამაშს ვხედავდი და ტანში მაციებდა... სერჯეის კორესპონდენციას ვუგზავნი ამ გამოჩენილი მსახიობის თაობაზე“.¹

კ. მესხი, გაეცნო რა საფრანგეთის სასცენო ხელოვნებას, ქართული სასცენო რეალიზმის პოზიციებიდან კრიტიკულად აფასებდა მას. იგი ამავე დროს 1880 წ. გაზეთ „დროებაში“ აქვეყნებს წერილებს ფრანგული თეატრებისა და დრამატული მწერლობის შესახებ.

¹ დ. მესხი, „მოგონებანი“, თბილისი, 1940 წ., გვ. 103—104

ილია ქავჭავაძის და ა. წერეთლის რეალისტური თეატრის მსახიობს, 60-იანი წლების მოღვაწეთა პროგრესულ იდეებზე აღზრდილ კ. მესხს კარგად ესმოდა თეატრის დანიშნულება და ამოცანა, მისი აღმზრდელობითი როლი საზოგადოების წინაშე. ამიტომაც დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქმეს. იგი მსახიობისაგან და დრამატურგისაგან მოითხოვდა „ნამდვილ სურათებს ცხოვრებიდან“, რადგან „თეატრი, რომელსაც ცხოვრების ნამდვილ სარკეს ეძახიან“, „კაცობრიობის, ცხოვრების სურათებს წარმოგვიღვენსო“ (გვ. 40—41).

მთავარი და აუცილებელი, რაც მას ქართული თეატრის სცენისათვის მიაჩნდა, ეს იყო „საზოგადო საკითხის“ წამოჭრა და „საზოგადო ცხოვრების“ გამოხატვა. კ. მესხი, სასტიკად უარყოფდა რა თეატრში „დეკორაციების და ტანისამოსის“ უპირატესობას როგორც დრამატულ ნაწარმოებში, ისე მის სცენურ განსახიერებაში, უმთავრესად მოითხოვდა შინაარსს, აზრს. ძირითად და მთავარ ნაკლად მიაჩნდა სწორედ ეს აუცილებელი პირობა, რაც არ გააჩნიათ საფრანგეთის თეატრებს. გაზეთ „დროებაში“ გამოქვეყნებულ ერთ-ერთ წერილში თეატრში ნახული პიესის „მიხილ სტროგოვის“ შესახებ წერდა, რომ: „მასში რუსეთის ცხოვრება და რუსი ხალხის ხასიათი სიმართლით არაა გამოხატული... რაც ხელოვნების დამციარებისა და გარყვნილების მეტს არას წარმოადგენენო“. ასევე იწუნებს ვაკერის დრამას „ჟან-ბოდრს“ და პიესის მთავარ ნაკლად მიიჩნევს მოქმედი გმირის იმგვარად შეთხზვას, რომლის მსგავსს ცხოვრებაში ვერ შეხვდებით“.¹

კ. მესხისათვის აღმაშფოთებელია ის ამბავი, რაც საფრანგეთის თეატრის მსახიობებს ახასიათებს, სახელდობრ მას მიუღებლად მიაჩნია მსახიობის „ძველებური მეთოდი დეკლამაციური თამაშისა“. „ამაზე არა სასიამოვნო ყურისათვის არა იქნება რა; ამას გარდა ამ გვარად ლაპარაკი ხელოვნების წინააღმდეგიც არის და ცხოვრებასთან მიუმსგავსებელიც“ (გვ. 40).

კ. მესხი, როგორც ქართული თეატრის რეალისტური სკოლის მსახიობი, სამართლიანად შენიშნავდა მსახიობის თამაშის შესახებ, რომ: „მოთამაშე ისე უნდა მოიქცეს და ილაპარაკოს, როგორც

¹ გაზ. „დროება“, 1880 წ., № 270.

ნამდვილ ცხოვრებაში მოქმედებენ და ლაპარაკობენ“ (გვ. 40), რადგანაც მისი აზრით „თუ მსახიობმა გამოგონება დაიწყო სცენაზე, შესცვალა კილო ლაპარაკის“, იგი „ნამდვილს ვერაფერს წარმოგვიდგენს“. ამიტომ მსახიობისაგან მოითხოვდა როლის ზედმიწევნით ცოდნას, ვინაიდან მსახიობის ხელოვნებაში „როლები ცოდნას ყველაზე უპირველესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე“ (გვ. 40). ამავე დროს დიდ მნიშვნელობას ანიჭებს სცენაზე ყურადღებით თამაშს და როლის აზრიანად წაქვიხვას, მისი შინაარსის გაგებას. „არც ის ვარგა, როლი ძალიან ჩაზეპირებული ჰქონდეს, წარმოთქვას ტარტარი, ვაი-ვუით და გავიდეს სცენიდან“ (გვ. 41).

კ. შესხი აქტიორული ხელოვნების აღზრდის საკითხში განსაკუთრებულ როლს მყურებელსაც ანიჭებდა, რადგანაც მყურებლისა და მსახიობის ურთიერთდამოკიდებულება უდიდეს გავლენას მოახდენს მის შემოქმედებით ზრდაზე, ვინაიდან, თუ კი აქტიორს ცუდად მიიღებს საზოგადოება, არ აპატიებს მის შეცდომებს და გაჭკიცხავს იქვე, თეატრში, მაშინ აქტიორი ეცდება შემდგისათვის უფრო კარგად მიღებული შეიქნეს. მისი აზრით ამგვარი დამოკიდებულება მყურებლისა მსახიობის მიმართ კარგ შედეგს მოიტანს და „აქტიორი ისწავლის კეუას, დაიწყებს სწავლას როლებისას, ჩაფიქრდება ხასიათის წარმოდგენაში და მით გაუმჯობესდება“ (გვ. 42).

კ. შესხი სასტიკად ილაშქრებდა ბურჟუაზიული ფრანგული სასცენო ხელოვნების გახრწნილების წინააღმდეგ ე. წ. „კლაკიორების“ — თეატრში ტაშის დამკვრელთა დაქირავების წინააღმდეგ, რასაც ხელოვნების ბოროტებად თვლიდა და მიუღებლად მიაჩნდა. „ღმერთმა აშოროს, — წერდა იგი გაზ. „დროების“ ფურცლებზე, — ამგვარი კლაკის მძებნელი აქტიორები ჩვენს თეატრს და ეს პატიოსნების დამამცირებელი წესი“ (გვ. 42). მაგრამ ერთი, რაც დადებითად მიაჩნდა, ეს იყო საფრანგეთის გამოჩენილი მსახიობის სარა ბერნარის პასუხისმგებლობის გრძნობა, რომელმაც თეატრი დატოვა იმისათვის, რომ 28 რეპეტიციის ნაცვლად 18 რეპეტიციის შემდეგ ათამაშეს სცენაზე.

ამგვარად კ. შესხმა, გაეცნო რა ის ფრანგულ სასცენო ხელოვნებას, როგორც რეალისტური სკოლის მსახიობმა, კრიტიკულად შეაფასა და შეისწავლა იგი.

კოტე მესხი პარიზიდან გამოგზავნილ ერთ-ერთ წერილში ლაპარაკობს საფრანგეთის ბურჟუაზიული გემოვნების შესახებ. იგი უკმაყოფილოა უიდეო, უშინაარსო ნაწარმოებთა ნახვით გამოფენაზე თუ თეატრში და იუმორის კილოთი დასძენს: „აქაური გამოფენის არემარე, ან თეატრების ამბავი რომ მცოდნოდა, მანდვე გამოგაწყობდი ამ საქმეს; მანდედან რომ წამომეყვანა ორი ქართულად ჩაცმული ქალი, დამესვა პავლიონში და გამომეცხადებინა რეკლამა და შესვლისათვის ფასი დამედო, ფულების მიღებასაც ველარ მოვასწრებდი, ესე მოაწვებოდა ხალხი. ისეთი უბრალო რამეებია, ისეთი უშნო და უხეირო, რომ მე გავეკვირდი, ამოდენა ხალხი რამ გააშტერა. რაში იხდის მეთქი ფულებს“ (გვ. 63).

ქართული სცენის რეალისტურად განსახიერებამ, რეალისტური სკოლის ზრდამ გამოიწვია ინტერესი სასცენო ხელოვნებისადმი, თეორიული საკითხებისადმი, თეატრის ისტორიისადმი, აქტიორული ტექნიკისადმი. სწორედ ამ ინტერესების დასაკმაყოფილებლად ვ. აბაშიძემ 1885 წ. დააარსა ეურნალი „თეატრი“, რომელიც 900-იან წლებამდე არსებობდა, შემდეგ კი შეწყდა, მის აღდგენაზე ფიქრობდა კ. მესხი და ამ მეტად საყურადღებო ამბავის შესახებ 1900 წელს იგი წერდა: „მე ამ ზამთარს კომიტეტის საშუალებით და ხარჯით ეურნალ „თეატრის“ გამოცემა უნდა დაეიწყოს“. (გვ. 64). მაგრამ ქართული თეატრის შევიწროების და დევნის პირობებში ეს შეუძლებელი გახდა.

კ. მესხი, როგორც ჩანს, კარგად გრძნობდა საფრანგეთის ბურჟუაზიული ხელოვნების დაკნინებასა და დაცემას. ფრანგულ ბურჟუაზიულ ხელოვნებას კ. მესხი რევოლუციურ-დემოკრატიული რეალიზმის პოზიციებიდან აფასებდა.

IV

სამშობლოში დაბრუნების შემდეგ კ. მესხი მოღვაწეობას აგრძელებს თბილისში, ვ. აბაშიძესთან ერთად, 1884 წლამდე და კვლავ უბრუნდება ქუთაისს 1885 წელს. ვიდრე კ. მესხი ჩამოაყალიბებდა მუდმივ პროფესიულ დასს ქუთაისში, სცენისმოყვარეთა დასის მდგომარეობა არასახარბიელო იყო და შეიძლება ითქვას, წარმო-

დგენები იშვიათად იმართებოდა და ერთ ხანს დრამატულმა წრემ მუშაობა კიდევ შეწყვიტა.

მაყურებელი კი თეატრს ახალ მოთხოვნელებებს უყენებდა, „მას უკვე აღარ აკმაყოფილებდა შემთხვევითი ხასიათის, სახელდახელოდ გამართული წარმოდგენები და მსუბუქი შინაარსის მქონე კომედია-ვოდევილები. ის მოითხოვდა სერიოზულ რეპერტუარს და როგორც მხატვრულად, ისე იდეურად გამართულ სპექტაკლებს“.¹

ამ მოთხოვნელებების განხორციელება კი მხოლოდ პროფესიულ თეატრს შეეძლო, ამავე დროს კარგი ორგანიზატორი და რეჟისორი იყო საჭირო.

სწორედ ამ საქმისათვის იყო მოწოდებული მსახიობი და რეჟისორი კ. მესხი, რომლის ღვაწლი ქუთაისის პროფესიული თეატრის დაარსებაში დიდი და ფასდაუდებელია. ამ დიდ საზოგადოებრივ საქმეს დიდი პასუხისმგებლობით მოკიდა ხელი სცენის ერთგულმა მუშაკმა კ. მესხმა და გადაწყვიტა ჩამოეყალიბებინა მუდმივი პროფესიული დასი. ამისათვის მან შეკრიბა სცენისმოყვარენი და სისტემატური ხასიათი მისცა წარმოდგენების მართვას ქუთაისში, რაც მნიშვნელოვან მოვლენას წარმოადგენდა ქართული თეატრის ისტორიაში. ამ მნიშვნელოვან მოვლენას გამოეხმაურა ჟურნალი „თეატრი“ (1885 წ. № 6) რომელიც წერდა: „მეტად სასიამოვნო და საყურადღებო მოვლენად უნდა ჩაითვალოს ქართული დრამატული დასის დაარსება ქუთაისში... თეატრის გამგებელი და რეჟისორი არის კ. მესხი და აგრეთვე უმთავრესი დრამატული როლების ამსრულებელი“.

ქართველი საზოგადოება დიდად აფასებდა კ. მესხის ღვაწლს. „სათეატრო წრეებში ის დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა, საკმაო გამოცდილება ჰქონდა, კარგად იცოდა სასცენო ხელოვნება და ნიჭიერი აქტიორიც იყო“.² ამიტომაც სწამდათ მისი საქმისა. „ჩვენ სრული იმედი გვაქვს,—წერდა ჟურნ. „თეატრი“, რომ კ. მესხი რიგიანად წაიყვანს საქმეს, თუ მოთამაშენი კირვეულო-

¹ ს. გერსამია, „ქუთაისის თეატრი“, თბილისი, 1947 წ., გვ. 31.

² იქვე.

ბის და სხვა მაგვარი პიროვნული „ამბიციების“ მაგიერ ხელოვნებას და საქმეს დაუმეგობრდებიან“ (ეურნალი „თეატრი“, 1886 წ., № 39).

პირველ ხანებში დასის მუშაობას ხელს უშლიდა მრავალი დაბრკოლება, სპექტაკლების გამართვა მოუწყობელ თეატრში მიმდინარეობდა, არ გააჩნდათ საკუთარი გარდერობი, გარდა ამისა, კ. მესხს ჯერ კიდევ სცენისმოყვარეთა დასთან უხდებოდა მუშაობა და საკირო იყო აქტიორული ძალების შერჩევა, ნამდვილი პროფესიული დრამატული დასის ჩამოყალიბება. კ. მესხმა დასახული მიზანი მალე განახორციელა, დასის შემადგენლობას რამდენიმე მსახიობი მოაკლო და მას ახალი ძალები შემატა, თვითველ წევრს ყოველთვიური ხელფასი დაუნიშნა და შეუდგა მუშაობას.

ამრიგად, 1885 წ. ქუთაისში კ. მესხის ხელმძღვანელობით საფუძველი ჩაეყარა მუდმივ პროფესიულ თეატრს. ქართული სცენა კ. მესხისათვის უსაყვარლესი საგანი გახდა. „თავს ევლებოდა“ და არ ზოგავდა საკუთარ სიცოცხლესაც კი. დიდ ყურადღებას აქცევდა რეპერტუარის გაუმჯობესებას, ცდილობდა ანსამბლური სპექტაკლების შექმნას. ამიტომ სეზონის გახსნისთანავე ხელი მოკიდა ისეთი სერიოზული პიესების დადგმას, როგორცაა გოგოლის „რევიზორი“,¹ გრიბოედოვის „ვაი-კეუისაგან“, ოსტროვსკის პიესები და სხვა.

კოტე მესხმა კარგად აულო ალლო მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ეპოქის ახალ მოთხოვნილებებს. „გარიყულ ეროვნებათა მშვიდობიან ცხოვრებაში შექრილი კაპიტალიზმი აღვიძებს ამ ეროვნებებს და მოძრაობაში მოჰყავს ისინი. პრესისა და თეატრის განვითარება... ხელს უწყობს „ნაციონალური გრძნობების“ გაძლიერებას. წარმოშობილი ინტელიგენცია „ნაციონალური იდეით“ იმსკვალება და იმავე მიმართულებით მოქმედებს“.²

კ. მესხმა თავისი შემოქმედების პირველ პერიოდში აქეთკენ წარმართა თეატრის მუშაობა. ამ მიზნით ქართულ სცენაზე იდგმებოდა პატრიოტული ხასიათის პიესები: დ. ერისთავის „სამშობლო“,

¹ კ. მესხს, როგორც ნიკიერ რეჟისორს, შემდეგნაირად გაუნაწილებია როლები: ხლესტაკოვი—ვ. აბაშიძე, გოროდნიჩი—ანტონ ლორთქიფანიძე, ბობჩინსკი—კ. მესხი, ოსიპი—კ. ყიფიანი, გოროდნიჩის ცული—მაკრინე ჩიკვაძე, გოროდნიჩის ქალიშვილი—მამო კლდიაშვილი.

² ი. ბ. სტალინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 327

ა. წერეთლის „პატარა კახი“, „თამარ ცბიერი“, ისტორიული პიესები: „ანუკა ბატონიშვილი“ დ. მესხისა, „ბაგრატი IV“ კ. მესხისა და სხვ. ამასთანავე რეპერტუარს ავსებდა შექსპირის მთელი რიგი პიესები და დასავლეთ ევროპის რეპერტუარიდან ფრანგ დრამატურგთა ნაწარები. მაგრამ დასის მუშაობა აუტანელი იყო ხარაზიშვილების მოუწყობელ თეატრში და მესხისათვის ოცნებად გადაიქცა თეატრის შენობის გამოცვლა, რაც შემდეგში შესაძლებელი გახდა ერთი შემთხვევის გამო.

1888 წ. ქუთაისის ქალაქის ბაღის შუაგულში ააგეს ხის პავილიონი იმპერატორ ალექსანდრე III-ის შესახვედრად. ეს შენობა შემდეგ კ. მესხმა და ნ. გამრეკელმა იჯარით აიღეს და 1891 წ. დაიწყეს სათეატრო შენობად გადაკეთება. ყოველივე ამას კი სჭირდებოდა დიდი თანხა და დახმარებისათვის ქართველ საზოგადოებას მიმართა თხოვნით, რომ „ქუთაისში თეატრი საჭიროა. ახლანდელი თეატრი თეატრი კი არა საჯინიბოა! მეორე: ქალაქი ღარიბია და თითონ ვერ ააშენებს თეატრს. მესამე: არა გვყავს ისეთი მდიდარი, რომ მარტო იმან ააშენოს და, თუ ვინმეა მდიდარი, ისეთები არიან, რომ თეატრი სამასხაროდ მიაჩნიათ“ (გვ. 43).

კ. მესხი გრძნობდა, რომ თეატრი ქუთაისში აუცილებელი იყო, ამიტომ არ ზოგავდა ენერჯიას და ცდილობდა კომერსანტ ხარაზიშვილის ბრძკვალეზიდან ეხსნა იგი.

კ. მესხმა როტონდა თეატრად გადააკეთა, მოიწვია მხატვრები — მამა და შვილი მილიარები, რომლებმაც დახატეს სცენისათვის დეკორაციები და ამრიგად 1894 წ. ამ ახალ შენობაში, ე. წ. „ბაღის თეატრში“ ახალი ენთუზიამით შეუდგა მუშაობას.

კ. მესხის ეს დიდი ღვაწლი უყურადღებოდ არ დატოვა ქართულმა პრესამ და გაზეთი „ივერია“ შემდეგს წერდა: „ბატონი მესხი და გამრეკელი შეუდგნენ საქმეს და პავილიონის ხასიათის ხელშეუხებლად და დაურღვევლად პავილიონი თეატრად გადააკეთეს. მართალი უნდა ვთქვათ, ამ ორ კაცს შრომა და ხარჯი არ დაუზოგავთ, რომ თეატრისათვის შესაფერი დარბაზი მოეწყოთ და მკვიდრი საძირკველი დაედვათ თეატრისათვის ქუთაისში“ (გაზ. „ივერია“, 1892 წ., № 28).

კ. მესხმა თეატრის შენობის გახსნასთან დაკავშირებით თბილისიდან მოიწვია საუკეთესო მსახიობები: ვ. აბაშიძე, კ. ყიფიანი, ქ.

ანდრონიკაშვილი და სხვანი და თეატრის საზეიმო გახსნას მიუძღვნა პატრიოტული პიესა—აკაკი წერეთლის „თამარ ცუბერი“. ქართველი საზოგადოება მოუთმენლად ელოდა წარმოდგენის გამართვას.

და, აი, გაიხსნა ფარდა—წერს „ივერია“, —სცენაზე გამოჩნდა მთელი დასი არტისტებისა და განსვენებულის გ. ერისთავის სურათი. ბ-ნმა მესხმა შესაფერი ლექსი წაუკითხა ამ სურათს და შემდეგ არტისტებმა გვირგვინებით შეამკეს იგი¹, აქვე მოგვეყავს გ. ერისთავისადმი მიძღვნილი ლექსი, რომელიც დაცულია კ. მესხის პირად არქივში:

ვინც ენა მშობლის ივერიელთა
ენა მახვილი და ენა ტკბილი,
პირველ გვასმინე საჭიროდ ყველას
და შეგვაყვარე ვით ძმა და შვილი.

შენ, ვინც პირველმა გაჰკარი ტალკვესს
და ჩვენში გრძნობა ჩამოაკვესე,
რომელმაც ენის პატივისცემა
და სიყვარული გულს შთაგვიტესე.

ჩვენ წილ მოგეზლოს იმავე ენით
კურთხევა ხალხის, კურთხევა ერის,
რომელიც აგერ ტკბილის ღიმილით
და მოწიწებით შენ შემოგტკეპრის!

დღეგრძელი იყოს შენი სახელი
და შენი ხსოვნა ზეცად ამიერ
დღეს დადაფნილი ჩვენ ყველასაგან,
უვიწყი იყავ მრავალ-ეამიერ.

ასეთი საზეიმო განწყობილებით ჩატარდა პირველი სპექტაკლი ახალი თეატრის შენობაში. კ. მესხს მიეცა შესაძლებლობა გაეუმჯობესებინა მუშაობა და დაეკმაყოფილებინა მაყურებელი მხატვ-

¹ გახ. „ივერია“, 1892 წ., № 28.

რულად და იდეურად გამართული სპექტაკლებით. „ამის შემდეგ თეატრის საქმიანობა უფრო მტკიცე კალაპორტში ჩადგა, ყველანი დიდი ხალისით შეუდგნენ მუშაობას, სპექტაკლების ხარისხიც გაუმჯობესდა და მაყურებელთა რაოდენობაც თვალსაჩინოდ გაიზარდა“.¹

მაგრამ კ. მესხს მხოლოდ ორი სეზონი მოუხდა ამ თეატრში მუშაობა, ვინაიდან ახალი შენობა ხანძარმა იმსხვერპლა. გაზეთმა „ივერიამ“ თეატრის დაწვის ამბავი გულისტკივილით ამცნო ქართველ საზოგადოებას: „წუხელის რეპეტიციის დროს, დაიწვა ქუთაისის თეატრის შენობა... დაიწვა ეს ტურფა და ხელის-ხელ საგომანებელი ნიშუში ხუროთმოძღვრებისა“ (გაზ. „ივერია“, 1894 წ., № 220).

თბილისის დრამატული დასის მსახიობთა ჯგუფი ვ. გუნიას სახელით თანაგრძნობას უცხადებს თეატრის ხელმძღვანელსა და და სცენის უანგარო მუშაკს კ. მესხს. „გავიგეთ რა შენი უბედურება, ყველამ ერთხმად გამოგიცხადეს თავისი მწუხარება და თან დამავალეს შენთვის მომეწერა, ხომ უარს არ იტყვივთ გასტროლებზე, რომელზედაც ამხანაგობამ მოგიწვია მომავალი სეზონისათვის... მე ამ თავითვე დარწმუნებული ვარ, რომ შენი ჩვეულებრივი მხნეობა ქუთაისში ისევე ახალს თეატრს გააჩენს“ (გვ. 110—111).

კ. მესხმა თავისი სულიერი განცდა გაუზიარა ქართველ საზოგადოებას „ივერიის“ ფურცლებზე. „ჩემის მეცადინეობით, შრომით. ამას არ ვტრაბახობ,—წერს იგი,—შევიძინე ქუთაისში ლამაზი, კობტა თეატრი... მთელი სამი წელი ვეწეოდით ჰაპანს, ვიჭინდით ახალ დეკორაციებს, ტანსაცმელს და უფრო ვამშვენებდით ჩვენს პაწია შნოიანს თეატრს. და ყოველივე ეს 12 ოქტომბერს, 15 წამის განმავლობაში, ჩანსთქა უმოწყალო ცეცხლმა! დავრჩით უთეატროდ და ამასთან... არავითარი ღონისძიება არა გვაქვს, რომ თეატრი აღვადგიხოთ! ზარალი კი არ მაწუხებს—ფული თავის დღეში არ მქონია და არც მექნება, მაგრამ ვგლოვ იმას, რისთვისაც სული და გული შემიწირავს—ვგლოვ უთეატრობას!“ (გვ. 44—45). აქვე აღნიშნავს კ. მესხი, რომ ბედნიერად ჩათვლის იგი თავს, თუ მასთან ერთად „ამ გლოვას გასწევს ყოველი ქართველი“, „ეს

¹ ს. გერსამია, „ქუთაისის თეატრი“, თბილისი, 1947 წ., გვ. 86.

გლოვა კი გამოიწვევს თანაგრძობას და აღუთქვამენ დახმარებას თეატრის აღდგენის საქმეში. ამიტომ იგი თხოვნით მიმართავს ყოველ ქართველს, „ივერიის“ და „კვალის“ რედაქციებს „მიიღონ ყოველგვარი შეწირულებანი და მერმე გამოუგზავნონ ქუთაისში ქართული თეატრის აღსადგენელად დაარსებულ კომიტეტს“ (გვ. 46).

კ. მესხი კვლავ ცდილობდა თეატრის აღდგენას, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო სტოეებს ქუთაისს და სამოღვაწეოდ ვაღმოდის თბილისში, სადაც მთავარ რეჟისორად იქნა დანიშნული.

კ. მესხის ღვაწლი ქუთაისის მუდმივი პროფესიული თეატრის დაარსებაში მეტად დიდია, მან ცხრა წელიწადი (1885—1894) უხელმძღვანელა თეატრს, იყო თეატრის ორგანიზატორი, რეჟისორი, მსახიობი და პედაგოგი. მან შესძინა მსახიობთა ახალგაზრდა ნიჭიერი ძალები ქუთაისის სცენას; მან გამოიყვანა პირველად სცენაზე ნ. ჩხეიძე, ეფ. მესხო, შემდეგში დიდი ქართველი რეჟისორი კ. მარჯანიშვილი, შ. დადიანი, ვ. ბალანჩივაძე და სხვანი.

ქართული თეატრის ისტორიაში კ. მესხის მოღვაწეობა ქუთაისში გარკვეული პერიოდით აღინიშნება (1885—1894). ამ მხრივ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა თავისი ნაყოფიერი მუშაობით, „იგია შამა ეხლანდელი თეატრისა ქუთაისში...“¹

ქართველი ხალხი არ დაივიწყებს მას, როგორც საზოგადო მოღვაწეს, მსახიობს და რეჟისორს.

V

„სცენური განსახიერების რეალიზმის განმტკიცების დიდმნიშვნელოვან საქმეში დიდი წვლილი შეიტანეს მოწინავე ქართველმა მსახიობებმა“,² მათ შორის ქართული სცენის მოამბავემ კოტე სვიმონის-ძე მესხმა, რომელმაც სცენაზე პირველად გამოსვლისთანავე ხალხისა და ინტელიგენციის სიყვარული დაიმსახურა.

განმათავისუფლებელი მოძრაობის მესვეურნი დიდი ილია და აკაკი განსაკუთრებით აღნიშნავენ კ. მესხის ღირსებას,

¹ კ. ანდრონიკაშვილი, კ. მესხი (ბიოგრაფიული ეტიუდი), თბილისი, 1910 წ., გვ. 11.

² ქართული თეატრის მოღვაწენი სასცენო ხელოვნების შესახებ, წ. I, ვასო აბაშიძე, თბილისი, 1951 წ., გვ. 5.

მის საუკეთესო თვისებებს, როგორც მსახიობისას. ილია ჭავჭავაძე მას თვლიდა კომიკური როლების საუკეთესო შემსრულებლად.¹ აკაკი წერეთელი დიდად აფასებდა კ. მესხს, როგორც შრომის-მოყვარეს, ჭკვიანს და წინდახედულ მსახიობს. „ეს არტისტი—წერდა ა.წერეთელი,—ჩვენი სცენისათვის შესამჩნევი მოვლინებაა“.²

კ. მესხი გასაოცარი ნიჭით არ ბრწყინავდა, სცენისათვის არც მომგებიანი გარეგნობა ჰქონდა, მაგრამ დაუღალავი შრომითა და ჯაფით უბრალო მსახურის როლიდან მან მიაღწია კლასიკურ პიესებში მთავარი როლების შესრულებას. „მისი საპატიო ღირსება,—წერდა ვ. გუნია,—მდგომარეობს როლის საოცარ შესწავლაში და ხასიათის შეგნებაში, დიდს ჯანგასაწყვეტ შრომაში და მუდმივ მეცადინეობაში“.³

შესაძლებელია ყველა როლს კ. მესხი ბრწყინვალედ არ ასრულებდა, მაგრამ როლს კი არასოდეს არ ჩააგდებდა. „ჩვენ ძვირად გამოგვიცდია, რომ კ. მესხის თამაშს—წერდა გაზეთი „ივერია“—ოდესმე შევეწუხებინოთ, არტისტი ისე არასოდეს არ წაახდენს როლს, რომ მწყურებელს საყვედური ათქმევინოს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რომ ბ-ნი მესხი ძალიან მუყაითი და ბეჯითი არტისტი და ალაღბელზედ გამოსვლა სცენაზე არ უყვარს“.⁴ ასეთი შეფასება ქართული პრესის მიერ კიდევ უფრო ზრდიდა კ. მესხის სახელს, როგორც მსახიობისას და ამიტომ დაიმსახურა გიორგი წერეთლისაგან „ჭკვიანი, სცენის მცოდნე და ხელოვნების მგრძნობიარე მოთამაშის“ სახელი.⁵

კ. მესხი უარყოფდა მსახიობის ამპლუას. „აქტიორმა ყველა როლი უნდა ითამაშოს, გუშინ სხვა იყავი და დღეს-კი სხვა უნდა იყო, აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი და უნარი“.⁶ და მართლაც (არსებული მასალების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ კ. მესხი თამაშობდა ყველა სახის როლს როგორც დრამატულს, ისე კომი-

¹ ილია ჭავჭავაძე, „წერილები“, სუბუმი, 1949 წ., წ. 1, გვ. 69.

² ჟურნ. „კვალი“, 1895 წ., № 51.

³ ვ. გუნია, „ქართული თეატრი“ (1874—1880), თბილისი, 1889 წ., გვ. 40.

⁴ გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 206.

⁵ ჟურნალი „კვალი“, 1899 წ., № 7.

⁶ კ. ანდრონიკაშვილი, „კ. მესხი“ (ბიოგრაფიული ეტიუდი), თბილისი, 1910 წ., გვ. 7.

კურს). „ვინ არ ატირებულა მსახიობთან ერთად? ვინ არ აღგზნებულა სიყვარულის ცეცხლით, როდესაც კ. მესხს ახალგაზრდის როლი შეუსრულებია; ვის არ უცინია და არ გამხიარულებულა როდესაც ნიჭიერი მსახიობი კომიკურ როლებში გამოსულა“.¹

კ. მესხს ახასიათებდა საქმისადმი სიყვარული და სერიოზული დამოკიდებულება, დიდი პასუხისმგებლობის გრძნობა, რაც დამახასიათებელი იყო როლზე მუშაობის დროსაც; როლის განხორციელებაში შეჰქონდა თავისი ინდივიდუალობა და განმარტება საკუთარი თვალსაზრისიდან გამომდინარე.

მე-19 საუკუნის 80-იან წლებში ქართული თეატრი განმათავისუფლებელი მოძრაობის, მოწინავე დემოკრატიული იდეების ტრიბუნად იქცა. იგი იყო პატრიოტული გრძნობის გამღვივებელი ქართველ ხალხში, მამხილებელი ცარიზმის ბიუროკრატიული რეჟიმისა, ბატონ-ყმური წყობილების დამცველი თავდაზნაურობისა.

ამ იდეებს ქადაგებდა ქართული თეატრის სცენიდან ილიასა და აკაკის მოწინავე პროგრესულ იდეებზე აღზრდილი კოტე მესხი.

ქართველი საზოგადოება მისგან ისმენდა სცენიდან ხალხის ერთგული შეილების მომავლის რწმენით აღსავსე სიტყვებს (ილია ჭავჭავაძის „ღედა და შვილი“, (გვ. 74—75), კარგად გადმოსცემდა ლევანის (დ. ერისთავის „სამშობლო“) კეთილშობილურ გრძნობებს, მის სულიერ განცდას, პიესის უკანასკნელ მოქმედებაში, როდესაც „ითმენს უსამართლო ბრალდებას თავის ამხანაგთაგან, რომ იგი სამშობლოს მოღალატეა, იუდაა, მაშინ არტისტი შეუდარებელი იყო. მთელი დარბაზი სრულიად დიამორჩილა იმისმა ძლიერმა სულის მღელვარებამ“²,— ასე ამცნო მკითხველებს გაზ. „ივერიამ“ კ. მესხის შესრულებით გამოწვეული ზეგავლენა მაყურებელზე. ამავ ეპიზოდში „დიდი ხელოვნებით შეასრულა გოგია დიაკვნის როლი“ (გვ. 77), ანანია (სუმბათაშვილის „ლალატში“) და სხვა. კ. მესხი საზოგადოებისაგან მოწონებას იმსახურებდა აკ. წერეთლის პიესებშიც.

¹ კ. ანდრონიკაშვილი, „კ. მესხი“ (ბიოგრაფიული ეტიუდი), თბილისი, 1910 წ.,

² გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 203.

განმათავისუფლებელი შოძრაობის იდეებით შთაგონებული მსახიობი განსაკუთრებით კარგად ასახიერებდა სოციალური უსამართლობის მამხილებელ პიესებში გამოხატულ მსახიობებს. რეცენზენტის ყურადღება დაიმსახურა კოტე მესხმა კომედია „დავაში“ ლომინ გოდაბრელიძის როლის შესრულებით. აკაკი წერეთლის პიესაში „კინტო“ მსახურის როლის შესრულების გამო გაზ. „დროება“ წერდა: „უფ. კოტე მესხი, რომელიც იმერელ მსახურს თამაშობდა, ჩვეულებრივად ძალიან კარგი იყო. მის თამაშობას, ნიქს გარდა, ეტყობა მეცადინეობა, დაკვირვება და შრომა“ (გვ. 75).

კ. მესხი დიდი ოსტატობით კითხულობდა ცხოვრებიდან აღებული ხალხურ სცენებს. მას გააჩნდა უნარი თავისი თამაშით ემოქმედნა მაყურებლის გრძნობაზე. გ. წერეთლის დრამაში „ოჯახის ასული“ ისეთი ოსტატობით განუსახიერებია პოლკის ოფიცრის გრიგოლის სახე, რომ „ბევრს მაყურებელს შენიშნავდით თვალებზე ცრემლებს“ (გვ. 76). კოტე მესხი ისე რეალისტურად ასახიერებდა ამა თუ იმ როლს, რომ „მაყურებელი გრძნობდა თითქოს სადღაც უნახავს იმისთანა, ცხოვრებისაგან გათელილი, უხასიათო და გარყვნილების საზღვრამდის მისული, მაგრამ მალე სწორ გზაზე დამდგარი და მორჯულებული კაცი, როგორც ბრის ბატონიშვილი გრიგოლი“¹ (გ. შარვაშიძის „მომაკედავნი“—გრიგოლი). კ. მესხი ქართული სცენიდან ამხილებდა „ფეოდალური არისტოკრატის თავგასულობას“, იგი იყო მოსარჩლე მშრომელი ხალხისა, დამცველი მათი ინტერესებისა და ამიტომაც მან საკუთარ პიესაში („შოთა რუსთაველი“) შესანიშნავად განასახიერა „ხალხის გულშემატკივარი, მისი მოსარჩლე და მისთვის მებრძოლი“² შ. რუსთაველის სახე.

პიესა „შოთა რუსთაველმა“, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, ქართველი საზოგადოების ყურადღება დაიმსახურა და დიდი მოწონებაც ხვდა წილად. „Пьеса К. Месхи под названием «Руставели» имела несомненный успех среди огромного стечения публики“.³

¹ გაზ. „დროება“, 1881 წ., № 239.

² „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 6, გვ. 64—67.

³ გაზ. „ნოვოე ობოზრენიე“, 1894 წ., № 2112.

როგორც არსებული მასალებიდან ირკვევა, პიესა „შოთა რუსთაველს“ ისეთივე გამოხმაურება ჰქონია ქართველ საზოგადოებაში, როგორც დ. ერისთავის „სამშობლოს“. ზოგიერთი რეცენზენტები გადაჭარბებით აფასებდნენ კ. მესხის პიესას. „რუსთაველის“ ზეგავლენა მკაფიოდ აღემატება ნაყოფიერია „სამშობლოზე“ — წერდა გაზ. „ცნობის ფურცელი“.¹

კ. მესხს „თითქმის ყველა ქართულ პიესაში უთამაშნია როგორც ორიგინალურში, აგრეთვე თარგმნილშიაც“.² ვ. აბაშიძის მიერ თარგმნილ პიესაში „შეშლილია“ (დრამა 2 მოქ.) ისეთი ოსტატობით შეუსრულებია შეშლილის როლი, რომ, როგორც აღნიშნავს გაზ. „ივერია“: „თქვენ თვალწინ თითქო მართლა შეშლილი კაცი იდგა, რომელიც სრულიად არა გრძნობს თავის ავადმყოფობას“. და თავისი თამაშით ისე იზიდავდა მკაფიოდ, რომ მიუხედავად იმ ნაკლისა, რაც კ. მესხს ახასიათებდა დასაწყისში (არ ჰქონდა კარგი ხმა და თითქოს გამოთქმაც უჭირდა). მკაფიოდ ყოველივე ამას ანგარიშს არ უწევდა, რადგან მისი საუკეთესო თამაშით მოხიბლულთ ავიწყდებოდათ, „რომ თვალწინ არტისტი მესხი იდგა და არა შეშლილი“ (გვ. 102).

კ. მესხს უთამაშნია აგრეთვე ალ. სუმბათაშვილის პიესაში („ბორკილი“), ბაგრატ IV საკუთარ პიესაში („ბაგრატ IV“). ნიკო მაქარაშვილის პიესაში („სალხინო“), პაატას როლი („ლევან ბატონიშვილი“) და სხვა მრავალი.

კ. მესხი ფართო დიაპაზონის მსახიობი იყო. მისი შემოქმედებითი უნარი და ნიჭი გამოვლინდა არა მარტო ქართულ რეპერტუარში შესრულებული როლებით, არამედ რუსულ და დასავლეთ ევროპის რეპერტუარშიც.

გოგოლის „რევიზორში“ ოსიპის როლის შესრულების გამო გაზ. „ივერია“ წერდა: „ბ-ნმა მესხმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ სწორედ კომედიისათვის აქვს დიდი ნიჭი და უნარი“ (გვ. 85).

დიდი ხელოვნებით კითხულობდა გოგოლის „შეშლილის წერილებს“.

¹ „საბჭოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 6, გვ. 64—67.

² კ. ანდრონიკაშვილი. „კ. მესხი“ (ბიოგრაფიული ეტიუდი), თბილისი, 1910 წ., გვ. 6.

გრიბოედოვის კომედიაში „ვაი ქუთისაგან“ უთამაშნია ჩაცკის როლი (გვ. 84), ამავე დროს რასპლუევის როლი სუხოვო-კობილინის „კრეჩინსკის ქორწინებაში“.

კ. მესხი საუკეთესო შემსრულებელი იყო შექსპირის სახეებისა. მან განასახიერა პირველად ქართულ სცენაზე ოტელოს როლი.¹ „სწორედ სიამოვნების ნათელსა ჰფენდა მაყურებელს მისი გაზომილი ფეხის ყოველი გადადგმა, მისი დაკვირვებით წარმოთქმული სიტყვები და მიხრა-მოხრა“² (პეტრუჩიო, შექსპირის „ჭირვეული ცოლის მორჯულება“).

უნაკლო იყო მის მიერ შესრულებული ხუმარას როლი („მეფე ლირში“), რომელმაც ზედმიწევნით გადმოსცა ხუმარას ორგვარი ბუნება „მასხარული გარეგნობა და ბრძნული შინაარსი, ცრემლში ნარევი სიცილი...“ (გვ. 89).

არა ნაკლებ მოწონებას იმსახურებდა კ. მესხი მაყურებლისაგან მრლიერის კომედიებში სკაპენის („სკაპენის ცულლუტობა“) ტარტიუფის („ტარტიუფი“) სახეების შესრულებით.

დაუფიწყარი სახეები შექმნა კოტე მესხმა კარლ შორორისა შილერის „ყაჩაღებში“, ნაპოლეონის—სარდუს და შორორს პიესაში „მადამ სან-ეენ“ და ლუხმანოვას პიესაში „სიკვდილი ნაპოლეონისა, დონ სეზარ დე ბაზანისა პიესაში „კოტრი აზნაური“, ნერონისა პიესაში „ახალი მოძღვრება“. ამრიგად არ დარჩენილა თითქმის არც ერთი პიესა დასავლეთ ევროპის რეპერტუარიდან რომლის შესრულებაში მას არ მიეღოს მონაწილეობა.

კ. მესხს, მის თანამოღვაწეთა გადმოცემით, 300-მდე როლი შესრულებია და მისი განსახიერება ყოველთვის ორიგინალური ყოფილა.

სასცენო განსახიერების რეალისტური სკოლის თვალსაზრისით, თეატრალური კრიტიკა ზრდიდა ქართველი მსახიობის აქტიორულ შემოქმედებას და მათ შორის კოტე მესხსაც. საზოგადოდ კ. მესხის შინაგან ბუნებას არ შეეფერებოდა შეყვარებულის და არშიყი კაცების როლების თამაში. ამის შესახებ რეცენზენტებმა განსაკუთრებ-

¹ ივ. მაჩაბლის წერილი—კ. მესხისადმი, ამავე წიგნის გვ. 87—88.

² გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 228.

ბიზ მიუთითეს კ. მესხს ამ ნაკლზე: „ბ. კოტე მესხს თბილისი კარგად იცნობს, ხოლო რაც შეეხება ლევან ხიმშიაშვილის როლის მიცემას ამ არტიკლისათვის, ჩვენის აზრით ეს დიდი შეცდომა უნდა იყოს“ („ივერია“, 1895 წ., № 206).

უნდა აღინიშნოს, რომ თეატრალური კრიტიკის საფუძვლიანი შენიშვნა მსახიობის შემოქმედების სწორ გზას იცავდა. კ. მესხი, აღნიშნულ ნაკლს შემდეგში სამართლიანად მიიჩნევდა და თვითონვე გრძნობდა ასეთი როლების შეუფერებლობას. „ბ-ნი კ. მესხი.— წერდა გაზეთი „ივერია“,—ვერ იყო თავის ქერქში და ამას, რაი-დენადაც შევატყვეთ, თვით მსახიობიც გრძნობდა, რაც კიდევ უფრო უშლიდა ხელს“ (გვ. 80). იგი უმთავრესად კარგად თამაშობდა კომიკურსა და სახასიათო როლებს.

კ. მესხის აქტიორულ შემოქმედებაში აღსანიშნავია ორი პერიოდი; ერთი 80-იანი წლებიდან ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობისა და მეორე 900-იანი წლებიდან მოყოლებული.

რეაქციის პერიოდში კ. მესხის შემოქმედებას ემჩნევა უკან დახევა რეალისტური თეატრის პოზიციებიდან. ის ველარ ახერხებს თავისი დროის მოწინავე ამოცანების გაგებას, ველარ გამოხატავს ეპოქის პროგრესულ მოწინავე იდეებს და ამით აიხსნება სწორედ კ. მესხის მიერ ქართულ სცენაზე ბურჟუაზიულ-დეკადენტური პიესების დადგმა. მაგალითად, დამახასიათებელია, რომ პიესას „ჟან-ბოდრი“, რომელსაც 80-იანი წლებში კოტე მესხი აკრიტიკებდა და იწუნებდა კიდევ, შემდეგში თავისი მონაწილეობით წარმოადგინეს ქართულ სცენაზე. ამის შესახებ აღნიშნავდა გიორგი წერეთელი ეურნალ „კვალში“ (1893 წ. № 49); „ეს ფრანციული (კრუ მიმართულება ხელოვნებისა შემოიტანა ჩვენს სცენაზე განსაკუთრებით ბატ. კ. მესხმა, რომელიც მეტად გატაცებული დაბრუნდა საფრანგეთის ფრანციულ სცენითაო“.

ამრიგად, კ. მესხი 900-იანი წლებიდან, ნაწილობრივ მოწყდა რა ეპოქის მოწინავე იდეებს, ნაციონალისტური ბურჟუაზიის იდეური გავლენის ქვეშ მოექცა და ამან გამოიწვია მისი შემოქმედების დაკნინებაც.

განსაკუთრებით დასაფასებელია კ. მესხის შემოქმედებასა და მოღვაწეობაში ის, რაც ჯანსაღი იყო, რაც ხელს უწყობდა სასა-

ცენო განსახიერების, ქართული აქტიორული რეალისტური სკოლის ზრდა-განვითარებას.

კ. მესხის შემოქმედებაში, განსაკუთრებით ძვირფასია მისი ახლო კავშირი ხალხურ, დემოკრატიულ თეატრთან, მუშა-სცენის-მოყვარეთა წრეებთან.

ქართული სცენის უანგარო მოღვაწე დიდი შრომითა და დაუღალავი ენერგიით 35 წელი ემსახურა საყვარელ თეატრს და ქართული თეატრის ისტორიაში ნიჭიერი და გამოჩენილი მსახიობის სახელი დაიმსახურა.

VI

კ. მესხს დიდი ღვაწლი მიუძღვის არა როგორც მარტო მსახიობს, არამედ ნიჭიერ რეჟისორს და ახალგაზრდა მსახიობთა კადრების აღმზრდელს.

იგი თავის გამოცდილებასა და პრაქტიკაზე დაყრდნობით, დიდ უპირატესობას ანიჭებდა რა შრომას, ამასვე ასწავლიდა და აჩვენებდა ახალგაზრდა მსახიობებს, შთააგონებდა, რომ „შრომა, მოთმინება, მუდმივი მეცადინეობა“ აუცილებელი პირობა იყო მსახიობისათვის. „მას ყოველთვის აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები, ძველი და ახალი ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის კარგად ცოდნა“, და შემდეგ თავის ცოდნას სხვებს უზიარებდა.

კ. მესხი ყოველმხრივ ცდილობდა ახალგაზრდა მსახიობთა ნიჭის გამოვლინებას“. მსახიობს თვალებში შესცქეროდა, მიმოხრას, აზრის სწორად გამოთქმას ასწავლიდა, მსახიობისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვდა. მას ყოველთვის ახარებდა ახალგაზრდა მსახიობთა წარმატება, თავისი ხალი გონებით, გამოცდილებით მამა-შვილურ დარიგებას, რჩევას აძლევდა მათ. „იგი ახალგაზრდ მსახიობისათვის მოსიყვარულე უფროსი ძმა და მამა იყო... ახალგაზრდის სასცენო წარმატება ისე ახარებდა, როგორც მამას ახარებს შვილის წინსვლა“— წერს ნ. ჩხეიძე თავის მოგონებებში.¹ კ. მესხის ასეთი დამოკიდებულება მსახიობების მიმართ მათ იმედსა და მომავლის რწმენას უნერგავდა. სიყვარულით იგონებს თავისი

¹ ნ. ჩხეიძე „მოგონებანი“, თბილისი, 1950 წ., გვ. 151.

მასწავლებლის საუკეთესო თვისებებს ნ. ჩხეიძე: „როდესაც თეატრში შემოდიოდა, თითქოს კედლებიც იცინოდნენ, დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, შინაც ისეთივე მხნე და მხიარული იყო, როგორც გარეთ“.¹

ასეთი იყო კ. მესხი როგორც პიროვნება, როგორც პედაგოგი, რომელმაც აღზრდის ასეთი მეთოდით, დაულაღავი შრომით შეძინა ქართულ სცენას მსახიობთა საუკეთესო ძალები.

კ. მესხი ხომ ქართული რეალისტური თეატრის ერთ-ერთი საუკეთესო მსახიობი იყო, იგი ილიასა და აკაკის მოწინავე იდეებზე აღზრდილი იყო და შეეძლო ისევე ჯანსაღ, პროგრესულ, მოწინავე იდეებზე აღეზარდა მსახიობთა ახალი კადრები.

ამიტომ, სრულიად საფუძვლიანად წერდა თეატრალური კრიტიკოსი გ. წერეთელი კ. მესხის შესახებ, რომ „მას მართლა შეუძლია თუ არ დაიზარებს, ქართველ მსახიობთა გაწვრთნა და სკოლის შექმნა“ (ეურ. „კვალი“, 1899 წ., № 7).

კ. მესხი როგორც რეჟისორი, მეტად მკაცრი და სერიოზული ყოფილა მუშაობის პროცესში. „საზოგადოდ კოტე, — წერდა ეფ. მესხი, — სასტიკი იყო რეჟისორობის დროს. ჩვენს რეპეტიციებზე ყოველთვის სრული დისციპლინა იყო, გარეშეს არავის უშვებდა თეატრში და მსახიობებმა კარგად იცოდნენ ხასიათი, შეგნებული ჰქონდათ იმის მანერა და სიამოვნებით უკლებდნენ ყურს იმის სწავლებას“.²

კ. მესხი საერთოდ ვერ იტანდა მსახიობისაგან როლის უაზროდ გაზეპირებას, არაბუნებრივ მეტყველებას სცენაზე, „იცოდა ყვირილი, ჩიჩინი, ხშირად მაგარი სიტყვებიც... კაცო, როგორ დაბაჯბაჯებ, ადამიანურად გაიარე — ყვიროდა კოტე. ბევრი ადამიანურადაც არ ლაპარაკობდა. ზოგი მამაოჩვენოსავით აბულბულებდა როლს, ზოგიც სიმღერის ჰანგებზე უქცევდა. ხშირად იატაკზე ცარკით შემოუფარგლავდა მსახიობს დასადგომ თუ გასავლელ ადგილს. ეს, ცხადია, ნების შებორკვა იყო მსახიობის, მაგრამ იმ დროს უამისობა არ ივარგებდა“.³ მიუხედავად მრავალი დაბრკო-

¹ ნ. ჩხეიძე „მოგონებანი“, თბილისი, 1950 წ., გვ. 150.

² ეფ. მესხი, „მოგონებანი ქართულ თეატრზე“, გვ. ნა. საქ. თეატრ. მუზეუმის ხელნაწერთა ფონდი.

³ დ. მესხი, „მოგონებანი“, თბილისი, 1940 წ., გვ. 100.

ლებისა, კ. მესხი მაინც ახერხებდა ემუშავნა სეროზულ პიესებზე დიდი გემოვნებითა და მხატვრული სიძლიერით ჰქმნიდა სპექტაკლებს. მის დადგმებს ეკუთვნის: დ. ერისთავის, „სამშობლო“, ა. სუმბათაშვილი-იუენის „ბორკილი“, გრიბოედოვის „ვაი-ჰუი-საგან“, გოგოლის „რევიზორი“, ლერმონტოვის „მასკარადი“, მოლიერის „სკაპენის ცულლუტობა“ და „ძალად ექიმი“, ჰიუგოს „ერნანი“, სარდუს და მოროს „მადამ სან-ეენი“ და სხვანი.

VII

XIX საუკუნის 80-იანი წლების ქართული პროფესიული თეატრი პიესების დიდ ნაკლებობას განიცდიდა, რეპერტუარი მეტად ღარიბი იყო, რის გამოც თვით მსახიობებს უხდებოდათ ზრუნვა რეპერტუარის გასაძლიერებლად.

ამ მხრივაც კ. მესხმა თავისი წვლილი გაიღო და იგი ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა დრამატურგიაშიც. მას ეკუთვნის ისტორიული პიესები: „რუსთაველი“, „თამარ ბატონიშვილი“, „ანუკა ბატონიშვილი“, „ბაგრატ IV“, გადმოკეთებული და თარგმნილი პიესები: ალ. სუმბათაშვილის „ლალატი“, რომელიც პირველად კ. მესხმა თარგმნა. „სუმბათაშვილი და ჩემი ძმა კოტე, — წერს ეფ. მესხი, — კარგად იცნობდნენ ერთმანეთს. იმათ ხანდახან ჰქონდათ ზოგიერთ თეატრალურ საქმეებზე ურთიერთობა და მიწერ-მოწერა. მას გამოეგზავნა კოტესათვის ახალი პიესა „ლალატი“ და შემოეთვალა კოტესათვის გადაეთარგმნა და თავისი რეჟისორობით დაედგა ქართულ სცენაზე. კოტეს ძალიან მოსწონდა ეს პიესა და ერთი თვე მუშაობდა მის გადათარგმნაზე“.¹ გარდა ამისა მან თარგმნა შექსპირის „ქირევეული ცოლის მორჯულება“, ჰიუგოს „რუი ბლანში“, როსტანის „სირანო დე-ბერჟერაკ“, ალ. დიუმას „ნარგარიტა გოტიე“, სარდუს და მოროს „მადამ სან-ეენი“², სკრიბისა და ლეგუვეს „ადრიენა ლეკუერერა“.

კ. მესხის ორიგინალურ პიესებს შორის დიდი წარმატება ხვდა წილად ქართულ სცენაზე პიესა „რუსთაველს“, მიუხედავად მრავალი ნაკლისა, დიდი წარმატება ხვდა, რადგან პიესა „მხატვრულად ამბობდა იმას, რისთვისაც 80-იანი წლების რევოლუციურ-დემოკრა-

¹ ეფ. მესხი „მოგონებები“ ქართულ თეატრზე, 1936 წ., თბილისი, გვ. 52 (დაცულია საქ. სათეატრო მუზეუმში).

² თარგმნების ხელნაწერი დაცულია კ. მესხის პირად არქივში.

ტიული ინტელიგენცია თავდადებულად იბრძოდა.¹ ქართველი საზოგადოება ალტაცებით ხედებოდა, თანაუგრძნობდა „სცენიდან ხალხის მოსარჩლედ განსახიერებულ რუსთაველს“. ამ პიესას მაყურებელიც ბევრი ჰყავდა. „წარმოდგენას ხალხი ძლიერ ბლომად დაესწრო... პარტერი და ლოქები ერთიანად გაქედილი იყო, გალიორკიდან თავი გამოეყო ქრელი. ხალხის ურიცხვ გროვას. ბევრი უადგილობის გამო ფეხზე იდგა და მრავალი ვერ ეღირსა ახალი პიესის ნახვას, რადგანაც გასაყიდი ბილეთები აღარც კი იყო“ — აღნიშნავს გაზეთი „თეატრი“ 1890 წ., № 7).

ასეთი წარმატებით იდგმებოდა პიესა „რუსთაველი“, რომელიც ქართულ სცენას თითქმის ოცდაათი წლის განმავლობაში შერჩა.

რა თქმა უნდა, კ. მესხის დრამატულ ნაწარმოებებს, ორიგინალურსა თუ თარგმნილს, ბევრი ნაკლი გააჩნდა, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, რეპერტუარის სიღარიბის გამო, მათ იმ დროისათვის გარკვეული როლი შეასრულეს.

VIII

კ. მესხმა ქართულ სცენაზე დიდ რუს დრამატურგთა ნ. ოსტროვსკის, გრიბოედოვის, სუხოვო-კობილინის პიესებში აიღვა ფეხი. მან თავისი აქტიორული შემოქმედება გაშალა რუსული რეალისტური სასცენო ხელოვნების საფუძველზე. კ. მესხი, როგორც რეალისტური სკოლის მსახიობი, სასტიკად ილაშქრებდა პარიზის ერთ-ერთ თეატრში ნახულ პიესაში („მიხეილ სტროგოვი“) რუსი ხალხის ცხოვრების დამახინჯების წინააღმდეგ, და ეს მას ხელოვნების დამამკირებლად მიაჩნდა. ყოველივე ეს გამომხატველი იყო რუსი და ქართველი ხალხის ერთიანი ბრძოლისა და მისწრაფებისა.

კ. მესხი დიდად აფასებდა რუსული თეატრის სცენის ოსტატებს. მან 1908 წ. იუჟინ-სუმბათაშვილის იუბილეზე სიტყვით მიმართა დიდ რუს მსახიობ ქალს მ. ნ. ერმოლოვას: „სამშობლოდან წამოსვლისას შე მიბრძანეს, რომ როდესაც დავინახავდი თქვენ, დიდებულ მარიამ ნიკოლოზის ასულ ერმოლოვას (აქ საზოგადოება ადგა და ოვაცია გაუმართა როგორც ერმოლოვას, ისე კ. მესხს), მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარნა მოწიწებით, შეუღარეებლო მარიამ ნიკოლოზის ასულს. გუშინ, როდესაც მე დავინახე

¹ „სახკოთა ხელოვნება“, 1937 წ., № 6, გვ. 64—67.

თქვენი, საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე, ჩემი გულის სიმები ათრთოლდნენ, მიეხვდი, თუ რაოდენ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ ამდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე, და მომაგონდა, რომ თქვენ ის სახელოვანი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა! და ამ ტანჯვისათვის მოწიწებით სალამს გიგზავნით, იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლით აღანთეთ გულნი, რომელნიც არა ერთხელ აღგიგზნიათ ზენარი ნიკით“.

სამხატვრო თეატრის მსახიობებმა კ. მესხს სამადლობელო წვეულება გაუმართეს. ამ სალამოზე კ. მესხი გამოცხადდა შავი ფრაკით, ხოლო შესანიშნავ სტუმარს მასპინძლები ქართულ ტანისამოსით დაუხვდნენ. ეს იყო სიმბოლო რუსი და ქართველი ხალხის ძმობისა და მეგობრობისა. სამხატვრო თეატრის მსახიობებმა ამ შესანიშნავ სალამოზე დიდი სიყვარული და მეგობრული თანაგრძნობა გამოთქვეს ქართველი ხალხისადმი. კ. მესხმა სამხატვრო თეატრის უბადლო ოსტატების ასეთი პატივისცემა ღირსეულად დააფასა. და სამხატვრო თეატრის მსახიობებს ასეთი შეფასება მისცა: თქვენ ხართ ტორეადორები, რომელთაც მარჯვეთ მოავლეთ ხელი მსოფლიოს სასცენო ხელოვნებას და თქვენი ხალხის სასახელოდ და საზეიმოდ დასძლიეთ ის“ (გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ., № 20).

კოტე მესხის მკვერმეტყველებით აღფრთოვანებული დარჩნენ რუსული სცენის ოსტატები და სახელოვან არტისტს კ. სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს სამხატვრო თეატრში.

როდესაც ქართველმა საზოგადოებამ კ. მესხს სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადა, რუსული თეატრის მსახიობებიდან, რომელთაც კ. მესხმა ტორეადორები უწოდა, შემდეგი მილოცვის დებეშა მოვიდა: „Поздравляем дорогого юбиляра с сегодняшним торжеством. Желаем видеть его опять в Москве среди нас, где помосковски отпразднуем юбилей. Тореадоры Художественного театра: Вишневский, Лужский, Качалов, Москвин, Александров, Леонидов, Адашев, Уралов, Мчедлов, Массалитинов, Званцев, Грибунин, Артем, Воронов.“¹

¹ დატულია საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ხელნაწერთა ფონდში. I № 897.

გულთბილ მოლოცვას უგზავნის კოტე მესხს მ. ნ. ერმოლოვა:
Сердечный привет товарищу артисту и славному грузинскому деятелю Константину Месхи

Мария Ермолова.

პეტერბურგის თეატრალური ჟურნალი ესალმება იუბილარს: Передайте от имени журнала приветствие почтениому юбиляру, со славую поработавшему четверть века на пользу национального искусства и самосознания грузинского народа. Редактор Кугель".¹

ასევე დააფასეს მოსკოვის მცირე თეატრის მსახიობებმა: იუენისუმბათაშვილმა, იაბლოჩკინამ და სხვ.

კოტე მესხისა და რუსული თეატრის მსახიობთა ურთიერთ მეგობრული კავშირი კიდევ უფრო განმტკიცდა.

კოტე მესხის გარდაცვალებას, 1914 წელს, ღრმა მწუხარებით აღნიშნავს რუსული პრესაც: „Смерть К. Месхи является для грузинского театра незаменимой утратой“.²

ასე დააფასეს ქართველი მსახიობის კოტე მესხის ღვაწლი ქართული თეატრალური კულტურის წინაშე და ასეთი დიდი ყურადღება და პატივისცემა უდავოდ მოწმობს ქართულ და რუსულ თეატრალურ კულტურათა შორის მეგობრულ ურთიერთობას, რაც ჩვენთვის უძვირფასესი ტრადიციაა, რომელიც კიდევ უფრო განვითარდა საბჭოთა თეატრალური კულტურის აყვავების პირობებში.

IX

ქართული სცენის დიდმა მოამაგემ კ. მესხმა თავისი ნაყოფიერი მოღვაწეობით ქართველი ხალხის დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა. მას იცნობდნენ როგორც ნამდვილ ინტელიგენტს, მსახიობს შრომისმოყვარეს, მწერალს, საზოგადო მოღვაწეს და

¹ დატულია საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში, ფონდი I № 698.

² Журн. „Рампа и жизнь“, Москва, 1914 г., № 21.

მკვერმეტყველს. არ ყოფილა ისეთი საზოგადოებრივი საქმე, რომ მას არ მიეღო მონაწილეობა. „თუ სადმე საჯარო სხდომაზე საკირო იყო სიტყვის თქმა ან მისალმება, ასეთ საქმეს ყოველთვის კოტეს დააკისრებდნენ. მის მიერ წარმოთქმული სიტყვა საზოგადოებრივ ზეიმებსა და ნაღიმებზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებდა“.¹

ქართული თეატრის თვალსაჩინო მსახიობი კ. მესხი ღირსეულად დააფასა ქართველმა ხალხმა და მას სასცენო მოღვაწეობის 30 წლის იუბილე გადაუხადა 1910 წ. 21 დეკემბერს ოპერის თეატრში. იუბილეზე კ. მესხმა სამადლობელო სიტყვა წარმოთქვა: „როცა ჩემთვის იუბილეს გადახდა გადაწყვიტეს, შინ და გარეთ მოსვენებას აღარ მაძლევდნენ, იუბილეს ნუ გადაიხდი, თორემ მოკვდებიო... დაე მოგვკვდე... დღეს რომ თქვენ ასე თავმოყრილს გხედავთ ჩემს პატივსაცემად, ამაზე უკეთესს რაღას ვნახავ!“ ამის შემდეგ, მართლაც, რამდენიმე წელი იცოცხლა. სიკვდილის უკანასკნელ წუთამდე ის მუდამ თეატრზე ზრუნავდა: „სწორედ სიკვდილის წინადღით იყო დარია ახელედიანს რომ შეეხვეწა: „ნოე ჩხიკვაძეს გადავეცი გასალექსად „მეფე ურიათა“-დან ერთი ადგილი; მიაკითხე, მიგვიანდება, იქნება დროც არა აქვს, გამოართვი და თუ ხათრი გაქვს, შენ გამირითმი მალე“, კაცს დღეები დათვლილი ჰქონდა და კიდევ თეატრზე ფიქრობდა“.²

ამიტომ იყო, რომ კ. მესხის ღვაწლს დიდად აფასებდა ქართველი ხალხი და მან მწვავედ განიცადა, როდესაც ქართულმა პრესამ გულისტკივილით აღნიშნა კ. მესხის გარდაცვალება.— „ელების სისწრაფით მოედო საქართველოს სხვადასხვა კუთხეს. ხუთშაბათს 15 მაისს, უბედური დღე გაგვითენდა, რომელმაც თანწაილო ძვირფასი სიცოცხლე საყვარელი ადამიანისა. ნაშუადღევის პირველ საათზე, ფილტვების ანთებით, უღროოდ გარდაიცვალა დამსახურებული მსახიობი და საზოგადო მოღვაწე კონსტანტინე სვიმონის-ძე მესხი“.³

¹ ი. ხარდალიშვილი „მოგონებები“, დაცული საქ. სახ. თეატრალურ მუზეუმში.

² დ. მესხი „მოგონებანი“, თბილისი, 1940 წ., გვ. 109.

³ „სანაღბო ჭახეთი“, 1914 წ., № 1188.

დრამატული საზოგადოების სახელზე აუარებელი სამგლოვიარო დეპეშები იქნა გამოგზავნილი. „ყველანი გულდათუთქული გაიძახოდნენ: ნუ თუ აღარ ვიზილაო ჩვენს საყვარელ კოტეს მომღიმარ სახეს და აღარ მოვისმენთ მის ძახილ სიტყვებს“ (გაზ. „თემი“, 1914 წ., № 176).

კოტე მესხის დაკარგვა ღრმად განიცადა ქართველმა ხალხმა; მისი ხსენება, როგორც ქართული თეატრის უანგარო მოღვაწისა, დიდხანს დარჩება ქართული თეატრის ისტორიაში.

X

კოტე მესხი განახლებული ქართული პროფესიული თეატრის მოწინავე მსახიობი იყო. ნამდვილი მოღვაწე, ერთგული მუშაკი ქართული სცენისა, რომელმაც პირად ინტერესებზე მალა საზოგადოებრივი ინტერესები დააყენა და მთელი თავისი სიცოცხლე მხოლოდ თეატრის კეთილდღეობის საქმეს შესწირა. მან ჩაუყარა საფუძველი ქუთაისის მუდმივ პროფესიულ თეატრს; ეს დიდი ღვაწლი სამართლიანად იქნა დაფასებული ქართველი ხალხის მიერ. კ. მესხმა თავისი მოღვაწეობით და სცენური ნიჭით განსაკუთრებული ყურადღება დაიმსახურა აკაკი წერეთლისა, რომელიც წერდა: „ეს არტისტი ჩვენი სცენისათვის შესამჩნევი მოვლინებაა. კეკელიანი, წინდახედული, შრომისმოყვარე და შრომისმოყვარეობაც ხომ ნიჭის მონახვევრობაა... ეს ღირსებაა, რომ კ. მესხს ფასს უმატებს და შესანიშნავს ხდის“ (გვ. 98—99).

ასეთი დაუღალავი შრომითა და ჯაფით უბრალო მსახურის როლიდან კ. მესხმა მიაღწია კლასიკურ პიესებში მთავარი როლების შესრულებას და ქართველი ხალხის საყვარელი არტისტის სახელი დაიმსახურა.

ქართული თეატრის განვითარებაში მნიშვნელოვანი წვლილი აქვს შეტანილი კოტე მესხს. ეს მალალნიჭიერი მსახიობი ჯეროვანად იქნება შეფასებული ქართული თეატრის ისტორიაში. ჩვენი ვალია შევისწავლოთ კ. მესხის ძვირფასი შემოქმედებითი მემკვიდრეობა.

კოტე მესხის შემოქმედებისა და ნააზრევის შესწავლისათვის ზეტად საყურადღებოა მისი პირადი წერილები და წერილები კ. მესხისადმი. წერილებში დახასიათებულია მე-19 საუკუნის დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისის ქართული პროფესიული

თეატრის მდგომარეობა, ქართული თეატრის გამოჩენილ მოღვაწეთა (ივანე მაჩაბელი, ა. წერეთელი, ნ. ნიკოლაძე, ვ. აბაშიძე, ლ. მესხიშვილი, ნ. ჩხეიძე) უნგარო ლეწლი მშობლიური თეატრის განვითარებისა და მისი განმტკიცების საქმეში. მთელი რიგი წერილები ასახავენ ქართული თეატრის მდგომარეობას 1895—1906 წლებში, ამავე დროს გემატებენ ახალ მასალებს ქუთაისის თეატრის ისტორიისათვის, როდესაც თეატრი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების გამომხატველი გახდა. წერილების უმრავლესობა გამოხატავს ქართული და რუსული თეატრის მეგობრულ კავშირს, მათ ურთიერთობას და ღრმა პატივისცემას, ძმურ სიყვარულს რუსული და ქართული თეატრების დიდ მსახიობთა შორის.

კ. მესხის წერილები (პარიზიდან) საინტერესოა, როგორც მამხილებელი საფრანგეთის ბურჟუაზიული ხელოვნების დაკნინებისა და დაქვეითებისა.

ამრიგად, კ. მესხის წერილები საინტერესო მასალას წარმოადგენს ქართული სცენის მოღვაწეთა შემოქმედების შესწავლისათვის, ქართული თეატრის ისტორიის ზოგიერთი საკითხების გარკვევისათვის.

ქართული თეატრის მოღვაწეთა ცხოვრებისა და შემოქმედების მეცნიერული შესწავლა მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების პირობებში დაიწყო. ქართული პროფესიული თეატრის მოწინავე მსახიობის კ. მესხის ლეწლი საბჭოთა ხალხმა ღრმა პატივისცემით აღნიშნა 1924, 1944 წლებში მისი ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამოების მოწყობით. ქართული საბჭოთა თეატრალური კულტურის მოღვაწეებმა ამ საღამოებზე გააკეთეს მოხსენებები და წარმოთქვეს სიტყვები კ. მესხის შემოქმედებისა და ცხოვრების შესახებ. ქართულ საბჭოთა პერიოდულ გაოცებებში გამოქვეყნდა მთელი რიგი საყურადღებო სტატიებისა ქართული სცენის ამ მაღალნიჭიერი მოღვაწის შესახებ. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კრებულიც მცირეოდენ წვლილს შეიტანს ქართული სცენის მოღვაწეთა შემკვიდრობის შესწავლის დიდმნიშვნელოვან საქმეში.

ელისო კაკაშვილი

კობე მესხი

ნაწილები და სიყვები

1. მომონებები

1874 წელს პირველად ვნახე ილია ქავჭავაძე. ის მაშინ მომრიგებელ მოსამართლედ მსახურობდა სადლაკ და თბილისში ჩამოვიდა. ერთ საღამოს ჩვენი რედაქციის პატარა ოთახში შეიკრიბა („დროების“) რედაქციის ყველა წევრი და ქართული მწერლობის მოყვარულნი. ილიაც მოვიდა და თან მოიტანა თავის „გლახის ნაამბობი“, წაგვიკითხა. ასეთი ტკბილი, ძლიერი, ქართული კითხვა ან სიტყვა ჯერ არ მსმენოდა. ვატყობდი ყველა აღტაცებული იყო და მე ხომ სულ დამონებული ვიყავი ძლიერი შთაბეჭდილებით.

...ამავე წელს (1874) თბილისში ერთ ქართულ წარმოდგენას დავესწარი, რომელიც პატივცემული კირილე ლორთქიფანიძის მეთაურობით გაიმართა. არდგენდნენ ილია ქავჭავაძის „სცენებს“. ეს წარმოდგენა ჩემთვის იმით იყო შესანიშნავი, რომ მე პირველად გამოვდიოდი სცენაზე. ვთამაშობდი გზირის როლს, უმნიშვნელოს, მაგრამ ჩემს მედიდურობას საზღვარი არა ჰქონდა, როცა შიშველ სახეზე დიდი უღვაშები და წვერი დაზაკერეს. ისე ვიბერებოდი, თითქოს ჩემზე დიდი კაცი ქვეყანაზე არ დაბადებულიყოს.

2. მომონება

1879 წ. გათავდა ჩვენი აქ-იქ ლოლიალი და სცენისმოყვარეების ძებნა ქართული წარმოდგენების გასამართავად. სექტემბრის თვეში პირველი სეზონი გაეხსენით. ქართველი საზოგადოება, მწერლები, მოღვაწენი, ხალხი აღტაცებით მიეგება ჩვენს ნორჩ დასს, მაგრამ ყველაზე უფრო აღტაცებული, აღფრთოვანებული იყო დაუფიწყარი დ. ერისთავი.

ნამდვილი მოყვარული თეატრისა და ხელოვნებისა, თვითონაც არტისტი და დეკლამატორი, განვითარებული გემოვნების, ცოცხალი ხასიათის პატრონი ჯაფარიძე სათავეში გვიდგა!

პირველ ზაფხულშივე ოძისში გადაეთარგმნა და გადაეკეთებინა ოთხი თუ ხუთი პიესა და ჩამოეტანა სეზონისათვის. შევუდგე რეპერტიციებს. დავითი ჯარასაყით დატრიალდა. აქ როლს არიგებდა, იქ დეკორაციებს ამზადებინებდა, ერთს ინტონაციას უსწორებდა, მეორეს როლის ხასიათს უხსნიდა, მესამე მკერავლთან მიჰყავდა და ტანსაცმელს ურჩევდა.

სულ ჩვენთან იყო და, როცა მოგვეშორებოდა, მაინც ჩვენ საქმეს, თეატრის საქმეს აკეთებდა, გამოურბენდა თავის ნაცნობებს და თეატრში იწვევდა: აბა, მოდი თნახეთ, რა ნიჟიერად ითამაშებენ ჩვენი არტისტები და ნამდვილ სიამოვნებას მიიღებთო! წარმოდგენის საღამოს დავითის მღელვარებას და ფაცაფუცს საზღვარი არა ჰქონდა... ცდილობდა ყველაფერი წესიერად ყოფილიყო. თუ წარმოდგენა კარგად მიდიოდა, სიხარულისაგან აღტაცებული იყო. შემოიყვანდა კულისებში დიდ ბობოლებს და გვაცნობდა... გვაქებდა იმათთან, ერთს აბონემენტს მიაჩჩებდა, მეორეს ბენეფისისთვის მეტ პრემიას გადაახდევინებდა, მესამეს გაცხარებული უმტკიცებდა, რომ ჩვენი საქმე სამკვიდრო საქმეა; პენსნეჩამოხსნილი, რომელსაც გაცხარებით ხელსახოცით ასუფთავებდა, თუ თვალგაბრწყინებული გაცხარებით და სხაპასუპით მოლაპარაკე დავითი, ჩანდა, დიდ სიხარულს და სიტკბობას გრძნობდა, როდესაც კარგად ვთამაშობდით. მაგრამ თუ წარმოდგენა ცუდად მიდიოდა... ეს დიდი შთაბეჭდილების კაცი მოიღუშებოდა, დაღუშებოდა, სახე სულ ეცვლებოდა და განუზომელად წუხდა. მგლოვიარე სახით იჯდა დირექტორის ლოეის კუთხეში და ეტყობოდა, რომ არტისტებზედაც, მაყურებელზედაც უფრო ის იტანჯებოდა...

1881 წელს, კარგად მახსოვს, მარიამობის თვეში, „დროების“ რედაქციაში ვიყავით ჩემი ძმა სერგეი, სანდრო ყაზბეგი, ვ. აბაშიძე, მე და კიდევ ორი-სამი გაზეთის თანამშრომელი. გაიღო კარები და დავითი შემოვიდა სოფლიდან ახლად დაბრუნებული. ყველას მაშინვე ერთი აზრი მოგვივიდა, რომ დავითს უსათუოდ ახალი რამ ექნებოდა დაწერილი თეატრისათვის, და თითქმის ერთი ხმით მივაძახეთ:

—აბა, რა მოგვიტანე? რა დაგვიწერე?

—მომაქვს, მომაქვს!—მღელვარებით და აჩქარებით მოგვაძახა დავითმა,—დასხედით და ყური უგდეთ.

და დავითმა წაიკითხა „სამშობლო“. შენ ჩვენთან იყავი ამ კითხვის დროს და კარგად გეხსობება, რა ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ჩვენზე ღრამამ. არც ვაცივით, არც ვაცხელეთ, ჩვენ მაშინვე შევეუდექით „სამშობლოს“ დადგმის მზადებას. დავითი და მისი მეგობარი მიხეილ ბებუთოვი გვწვრთნიდნენ ყოველს რეპეტიციებზე. დავითი მეტადრე მკაცრი იყო, თუ ქართულ სიტყვას დაამახინჯებდა ვინმე სცენიდან.

—რა უბედურებაა, ეს „იერთი“? თქვი: ერთი, ერთი! მომძახებდა ის, როცა შემხვდებოდა ამ სიტყვის წარმოთქმა რეპეტიციაზე. იმერლებს ჩვეულებად გვაქვს: „ერთს“ პირდაპირ გარკვევით ვერ ვიტყვით, ყოველთვის ისმის ეს ზედმეტი „ი“.

—ახლა შენ, მიუბრუნდა მეორე არტისტს, „მაცრუნცუნებს“ რა არის? რა ღმერთი გიწყურება. „მაძრწუნებს, მაძრწუნებს“. —ყველაზე პირველად ქართველმა აქტიორმა ქართული ენა უნდა იცოდეს! თორემ ეს რასა ჰგავს!

ერთ ჩვენს ამხანაგს ჩვეულებად ჰქონდა რამდენიმე ასოს ჩაყლაპვა. მაგ. „ვილაპარაკოთ“ს მაგიერ სცენიდან გამოისმოდა „ვიპლააკოთ“... ან „პატარა“ს მაგიერ—„პატრა“ და სხვა. უნდა გენახა, ამისთანა რამეს რომ გაიგონებდა, როგორ შეხტებოდა ჩვენი დავითი.

ღიდი მომზადებით „სამშობლო“ წარმოვადგინეთ და ამ პირველი წარმოდგენის შემდეგ დავითის სახელი დაუვიწყარი შეიქნა. შორს წამიყვანს პირველ წარმოდგენაზე მაყურებელთა აღტაცების აღწერა და ათასი წვრილმანის მოგონება, მხოლოდ არ შემძლია არ გავიხსენო დავითის თვალებზე სიხარულის ცრემლები, როდესაც არტისტებმა ხელით ავიყვანეთ ის და ისე გამოვიყვანეთ თეატრიდან.

როდესაც დავითმა „კავკასის“ რედაქტორობას მიჰყო ხელი, ჩვენთან ისეთი მუღმივი კავშირი აღარ ჰქონია, მაგრამ მაინც ჩვენი იყო, ჩვენი თეატრის წინ წაწევას შეჰხაროდა. ჩვენთან წუხდა, ჩვენთან მხიარულობდა. თუ ვინმე ჩვენთაგანი ან დაწერდა რასმე, ან გადათარგმნიდა, მივირბენდით დავითთან და წავუკითხავდით. ხან მოგვიწონებდა, ხან გვიძაგებდა შრომას, მაგრამ მაინც ყოველთვის წაგვახალისებდა ხოლმე შემდეგი შრომისათვის...

არ მახსოვს იმაზე მეტად თეატრისა და ხელოვნების მოყვარული კაცი. იმის უდროოდ გარდაცვალებით ჩვენი თეატრი ბევრად დაქვეითდა...

3. საჰრანგბეთის თეატრები

(წერილები პარიზიდან)

აქაურ დრამმულ არტისტებს ბევრს ნაკლულევენებას შენიშნავს და ხშირად უცხო ეჩვენება ჩვენებურ კაცს, რომელიც შეჩვეულია რუსი და ქართველი არტისტების ცქერას. თავდაპირველად სიმღერა ლაპარაკში, ესე იგი გაპრტყელებით, თითქმის გალობით ლაპარაკი და მომეტებული ხელების ტრიალი. როდესაც დრამმის წარმოდგენაზე დაესწრები, ასე გგონია არტისტები კი არ ლაპარაკობენ, მღერიანო. ეს ძველებური მეთოდია თამაშისა, დეკლამაციური, და თუ ყველა აქტიორებმა დეკლამაციით დაიწყეს ლაპარაკი სცენაზე, ამაზე არა სასიამოვნო ყურისათვის არა იქნება რა! ამას გარდა, ამგვარი ლაპარაკი ხელოვნების წინააღმდეგიც არის და ცხოვრებასთან მიუმსგავსებელიც. რადგან თეატრი კაცობრიობის ცხოვრების სურათებს წარმოგვიდგენს, თეატრში მოთამაშე ისე უნდა მოიქცეს და ილაპარაკოს, როგორც ნამდვილ ცხოვრებაში მოქმედებენ და ლაპარაკობენ; თორემ თუ გამოიგონა სხვა კილო ლაპარაკისა და დაიწყო სცენიდან ღრიალი, რასაკვირველია, ნამდვილს ვერაფერს წარმოგვიდგენს. მაგრამ ყოველი საქმე, ყოველი ხელოვნება, რაც უნდა უმდაბლესი ხარისხის იყოს, შეუძლია ნიჭიერ კაცს ამაღლოს, გაამშენიეროს და სასიამოვნოდ გახადოს. ასეა დეკლამაციის საქმეც: ყოფილან იმისთანა დეკლამაციით მოთამაშეები, რომ იმათ საცქერლად ხალხი ისე ესეოდა თეატრს, როგორც ქიანქველა შაქარს.

4. საჰრანგბეთის თეატრები

„... რა ლაპარაკი უნდა და ბევრი სჯა იმას, რომ როლების ცოდნას ყველაზე უპირველესი მნიშვნელობა აქვს სცენაზე. ერთმა მოთამაშემ რომ არ იცოდეს როლი, შეუძლია ყველა აქტიორის

თამაშის და პიესის ჩაფუჭვა. ამას გარდა, თუ აქტიორმა როლი იცის, იმას შეუძლია ნიდაგ თამაში და არა მარტო მაშინ, როდესაც თვითონ ლაპარაკობს; მაგალითად: წარმოვიდგინოთ ორი აქტიორი ერთს რომელიმე სცენაში, როდესაც ერთი იმათგანი ამბობს თავის სათქმელს, მეორე ამ დროს ცალი ყურით და თვალთ სუფლიორს მიჩერებია და ფიქრობს, ვაი თუ სუფლიორის სიტყვა დროზე ვერ გავიგონე და შევრცხვეო; აქედან გამომდის ის, რომ, როდესაც პირველი აქტიორი ელაპარაკება მძიმე და საჭირო საგანზე, რომელიც მოითხოვს სრულ ყურადღებას მეორისაგან, ეს მაშინ სულ სხვაზე ფიქრობს და მეორე მხრისაკენ იქცირება. ნამდვილ ცხოვრებაში ხომ ასე არ არის.

როდესაც ვინმე გელაპარაკება საინტერესო და საჭირო საქმეზე. შენ იმას თვალბში შეეჭერიხარ, სახეზე გეტყობა — თუ შენთვისაც ისე საინტერესოა ეს საგანი ანუ არაფრად შეპრიანება, თუ კი ნამდვილში ასეა, რატომ თეატრშიც, რომელსაც ცხოვრების ნამდვილს სარკეს ეძახიან, არ უნდა იყოს ეგრე? რასაკვირველია, არც ის ვარგა, როლი ძალიან ჩაზეპირებული ჰქონდეს აქტიორს, წარმოსთქვას ტარტარით, ვაი-ვუით და გავიდეს სცენიდან. თუ კი ცოტათი ლაპარაკი და კითხვა შეუძლია აქტიორს, ის აზრიანად წაიკითხავს თავის ჩაზეპირებულ როლს, დროზე შეჩერდება და დროზე შეიცილის კილოს, ხმას, აამაღლებს ტონსა და დაამდაბლებს. ამას გარდა, როცა როლი იცის, მაშინ მანერებიც (რესტიკულაცია) ნამდვილი გამოვა, თორემ უცოდინარობის გამო ხშირად ხელის გაქნევა სიტყვას წაუსწრებს და სიტყვა ხელის გაქნევას; ხშირად პირიცი ღია დარჩება აქტიორს რამდენიმე წამით, რადგან გაალებს პირს სიტყვის სათქმელად და არ იცის კი რა თქვას, სუფლიორის იმედი აქვს და იმან კი დროზე ვერ მიაწოდა სიტყვა.

...აქტიორის პირველი სურვილი ის არის, რომ მაყურებლისაგან იყვეს შეყვარებული და პატივცემული და თუ მაყურებელი მკაცრად მოექცა, რაც უნდა ზარმაცი იყვეს, ძალას დაატანს თავისთავსა და დაიწყებს როლების სწავლას. როგორც მაყურებლების სიამოვნებაა დამოკიდებული აქტიორის თამაშისაგან, ისე აქტიორისა მაყურებლების მიღებისაგან. თუ კი აქტიორს კულად მიიღებს საზოგადოება, არ აპატივებს მის შეცდომებს და გაჰკიცხავს

იქვე, თეატრში, მაშინ აქტიორი ეცდება შემდეგისათვის უფრო კარგად მიღებული შეიქნეს. ამგვარი შეხედულებით რამდენიმე კარგი შედეგი გამოვა—აქტიორი ისწავლის ქუას, დაიწყებს სწავლას როლებისას. ჩაფიქრდება ხასიათის წარმოდგენაში-და მით გაუმჯობესდება...

მეორე წესი ან ჩვეულება, რომლის წაბაძვა სწორედ არ იქნება სასურველი, ეს არის აქაურს თეატრში კლაკ, ე. ი. დაქირავებული ტაშისმკერდები კლაკიორები, გარდა comedie francals-ის თეატრისა, ყოველს თეატრში არის. ამათ უფასოდ ეძლევათ ადგილები თეატრში იმ პირობით, რომ ტაში დაუკრან აქტიორებს. ხანდისხან ფულსაც აძლევენ, რომ მოვიდნენ. რასაკვირველია, ეს საზიზღარი ჩვეულება და წესია, რომელსაც აქაური საზოგადოება გულგრილად შესცქერის, ეს კია, რომ რომელიმე ცუდს აქტიორს ვერ გაუბედავენ კლაკიორები ტაშის კვრას, მაშინვე მთელი საზოგადოება აყაყანდება... ღმერთმა აშოროს ამგვარი კლაკის მძებნელი აქტიორები ჩვენს თეატრს და ეს პატიოსნების დამამცირებელი წესი.

5. კოჭა მესხი—ქართული რამაჟადი საზოგადოების გამგეობას

თანახმად გამგეობის წერილებისა ჩემდამი, ვაცხადებ სურვილს მომავალ სეზონშიაც ვემსახურო ქართულ თეატრს. ვთხოვ გამგეობას მიაქციოს ყურადღება და სრული თვისი ღონე და ძალა იხმაროს, როგორმე სეზონის გარეშე დროს არტისტები მშვირმწყურვალე არ დაჰყაროს და რეპეტიციებიც დილაობით მოხდეს. ეს ორი საგანი შესამჩნევად დააბრკოლებს ჩვენს წინსვლას.

დავშთები კ. მესხი

6. ქართულ ქაღებს

დავიწყო თუ არა ასე: ქაღებს ყველაფერი შეუძლიათ. არა. მაშ ასე: ვინ არ იცის, რომ ქაღებს შეუძლებელიც შეუძლიათ! მაშ პირდაპირ საქმეს შევეუდგეთ. ეს საქმე დიდიც არის, სასარგებლოც, სასიამოვნოც და სასახელოც.. მძიმე შესასრულებელია, თუ არ მოინდომეს გულით,

და ძალიან ადვილი—თუ ქალები თავიანთ ბეჯითობას და მუყაითობას მოახმარებენ ამ საქმეს. განსაკუთრებით მივმართავ მშენიერს, ლამაზ ქალებს. ვინ დაიშურებს ან იმერეთ-სამეგრელოში, ან ქართლ-კახეთში ჯიბიდან აბაზი, მანეთი ან უფრო მეტი ამოიღოს, თუ კი ლამაზი ქალი ხელს გაუწოდებს. თუ რომელსამე მამაკაცმა უარი სთქვას, სირცხვილი იმ მამაკაცს, თორემ ქალს რა უშავს—მისი სილამაზე სხვა მამაკაცს მაინც მოხიბლავს და მაინც...

ერთი რამ მაწუხებს: სილამაზესთან, მშენიერებასთან—ამ პოეზიის სიმბოლოებთან,—ეს... ეს... ეს ფული რომ ვახსენე. მაგრამ, რა ექნა, რომ უფულოდ არა კეთდება რა. მეც ამ ყოველთვის ძველს და თან ყოველთვის ახალს ამბავს მოგახსენებთ, ე. ი. ფულის შეგროვების ამბავს ქუთაისში, თეატრის ასაშენებლად.

გატყობთ, ბევრს თქვენთაგანს ღიმილი მოსდის მშენიერ სახეზე, ზოგი მამაკაციც ხარხარს იწყებს და აი, მესმის კიდევ ყურში, რომ ვილაკამ ჩერჩეტი დამიძახა. მახლას. არ ვჯავრობ, თუნდ რომ კიდევ გავეჯავრდე, რა უნდა ვუყო... სახეს ვერ ვხედავ, გაზეთი აქვს მიფარებული—და არ ვიცი, რა სულიერია—ვგრძნობ კი, რომ ჩემზე უფრო ჩერჩეტი იქნება ის, ვინც ამ ჩემს წინადადებაზე გაღიხარხარებს და ღიმილის ნება-კი ყველასათვის მიმიცია. გაიღიმეთ, შეგროვდით ერთად...ღიმილით უამბეთ ერთმანეთს რასაც მე მოგახსენებთ, იბასეთ, იკამათეთ და გაიგებთ იმას, რომ, პირველი: ქუთაისში თეატრი საკიროა. ახლანდელი თეატრი თეატრი კი არა, საჯინიბოა. მეორე: ქალაქი ღარიბია და თითონ ვერ ააშენებს თეატრს. მესამე: არა გვყავს ისეთი მდიდარი, რომ მარტო იმან ააშენოს და, თუ ვინმეა მდიდარი, ისეთები არიან, რომ თეატრი სამასხაროდ მიაჩნიათ. და ბოლოს გაიგებთ და მიხვდებით, რომ თქვენ ყველაფერი შეგიძლიათ, თუ მოინდომებთ, ერთს პატარა ამბავს მოგახსენებთ: რამდენიმე წელია მას აქეთ, ჩეხიაში დაიწვა თეატრი. ჩეხელმა ქალებმა მარტო,—მარტო ქალებმა,—მხოლოდ ერთის წლის განმავლობაში ერთი მილიონი ფული შეაგროვეს და მშენიერი თეატრი ააგეს...

ჩვენში მილიონი კაი კია, მაგრამ არ შეგროვდება. და ნუ თუ ქართველი ქალები ისე ჩამორჩებიან ჩეხელ ქალებს, რომ ორმოცს-ორმოცდაათი ათას მანეთს ვერ შეაგროვებენ, ერთ წელიწადს ნუ იყოს, ხუთი იყოს, თუნდ ათიცა.

კოტა ვიანგარიშით კიდევ, რამდენი იქნება ჩვენში ლამაზი მშვენიერი, ეკლესიები ქალი? მე მგონია, სჯობია, რომ არავის ვაწყენინო და ვთქვა, ყველა ლამაზია მეთქი. და თუ მაინც და მაინც გნებავთ, ვიანგარიშით მხოლოდ 3000. ვთქვათ თვითეულმა მათგანმა წელიწადში მხოლოდ ერთი თუმანი შეაგროვა, ორი წლის განმავლობაში შეგროვდება 60.000 მან. გეძნელებათ? ავიღოთ მაშინ სულ მცირედი ანგარიში:

ვთქვათ, გაგვიწყრა ღმერთი და მარტო 1500 ქართველი ქალია და თვითეულმა მათგანმა იკისრა წელიწადში 5 მანეთის შეგროვება—იგივე სამოცი ათასი მანეთი, ე. ი. ექვსი ათასი თუმანი შეგროვდება რვა წლის განმავლობაში.

თუ მოინდომებთ, ვიმეორებ, არ არის ძნელი და თუ არ ინებებთ, სჩანს არ გყვარებით ქართული საქმე, თეატრი, ხელოვნება, მწერლობა და არც ლამაზები ყოფილხართ.

ფულის შემგროვებლის სახელი და გვარი, სია შემწირველთ და თითონ ფულის რაოდენობაც, რასაკვირველია, გაზეთებში იქნება გამოცხადებული. ფული უნდა გაეგზავნოს თბილისის დრამატულ საზოგადოებას.

7. ქუთაისის თეატრის გამო

ამ სამი წლის წინათ, ამავე გაზეთში პაწია წერილით მიემართე ქართველ ქალებს, რომ მათ შეეკრიბათ ფული ქუთაისში ქართული თეატრის ასაგებად. რაღაც საუბედუროდ, სიტყვა „ლამაზებს“ წამცდა და ამიტომ კინალამ ჯვარს მაცვეს, „როგორ თუ მარტო ლამაზებს შეუძლიანთ ფულის მოგროვებო და სხვებს არაო“, და ბევრი ამგვარები პირში მომახალეს. მე გაეჩუმდი, მაგრამ სხვებს შეექნათ პოლემიკა და საქმე-კი იმით დაბოლოვდა, რომ სამი მანეთი და ერთი აბაზი შეიკრიბა თეატრისათვის; ეგ ფულები, რასაკვირველია, არ გამოიმითხოვნია „ივერიის“ რედაქციიდან და ისევ ჩემის მეცადინეობით, შრომით, აქვს არ ვტრაბახობ, შევიძინე ქუთაისში ლამაზი, კობტა თეატრი. ვიშოვნე ამხანაგი, რომელიც დამეხმარა თავისი შეძლებითაც და კრედიტითაც. მთელი სამი წელი ვეწეოდი ჭაპანს, ვიძენდი ახალ დეკორაციებს და უფრო ვამშვენიებდით ჩვენს პაწია შნოიან თეატრს. და ყოველივე ეს 12 ოქტომბერს, 15 წამის განმავლობაში, ჩანსთქა უმოწყალო ცეცხლ-

მა. დავრჩით უთეატროდ და ამასთან არც მე და არც ჩემს ამხანაგს არაფერი არა ღონისძიება არა გვაქვს, რომ თეატრი აღვადგინოთ. ზარალი-კი არ მაწუხებს—ფული თავის დღეში არა მქონია და არც მექნება, მაგრამ ვგლოვობ იმას, რისთვისაც სული და გული შემიწირავს—ვგლოვ უთეატრობას... თუ ჩემთან ერთად ამ გლოვას გასწევს ყოველი ქართველი, მაშინ ბედნიერად ჩავთვლი ჩემს თავს, რადგან ეს გლოვა გამომიწვევს თანაგრძნობას და ეს უკანასკნელი-კი უსაცილოდ უნდა დაგვირგვინდეს საშუალების მოწოდებით. როგორ უნდა მოხდეს ეს შეგროვება, შემოწირულობა, რა წესით, ამაზე მე, როგორც ყველაზე მეტად ჩათრეულს ამ საქმეში, ყველაზე მეტი ხმა უნდა მქონდეს.

ყველაზე პირველად მინდა აღვნიშნო, რომ ქუთაისში ამ მოკლე ხანში შესდგება კომიტეტი ცნობილ პირთა თეატრის აღსადგენად და ყოველი შეწირულებანი უნდა პირდაპირ რედაქციებიდან გადმოვიცეს ამ კომიტეტს. ახლა, ვის უფრო ემარჯვება ამ შეწირულებათა მოგროვება? რასაკვირველია, ჯერ მანდილოსანთ და მერმე-კი ყოველ ქართველს. ყველას ძალუძს თავისი წველილი შეიტანოს და ამით მართლა რომ დიდ საქმეს დაეხმაროს. მაშ ვთხოვთ მანდილოსანთ „ღამაზ-ულამაზოს“ და ყმაწვილ-მოსულთ, ნუ აუვლიან გვერდს ამ კითხვას და დაგვანახონ თავიანთი ენერჯია კარგისადმი. ყოველს თქვენგანს ოცი ნაცნობი მაინც ეყოლება და ყველანაცნობს რომ თითო აბაზის მეტიც არ გამოართვათ, ამითაც დიდი ფული შესდგება. მე კიდევ იმ აზრისა ვარ, რომ საზოგადო უბედურების დროს თუ ასე არ მოვიქცებით, ყველანი არ დავფაცურდით, წინ ვერ წავალთ და არც არა გვეშველება რა.

ვთხოვთ ყოველ ქართველს, ვისაც რა შეუძლია ამ საქმისათვის, ის გამოგზავნოს რედაქციებში, არა თუ შაური, აბაზი და მანეთები, არამედ ორი გროშითაც შეწევნა დიდის მადლობით მიიღება. ვთხოვთ ქართველ ვაქრებს, გამართონ თვითვე თავიანთ შორის ხელის მოწერა და ისე დაეხმარონ თეატრის აღდგენას. ვთხოვთ სოფლის მასწავლებლებს, თითო მათგანს 5—10 მანეთის შეგროვება ყველას ადვილად შეეძლება. ვთხოვთ ქართველ სტუდენტობას—თავიანთ ნაცნობებში მოკრიფონ ფული, რადგან მომავალ თეატრში მარტო ქართული წარმოდგენები კი არ იქნება, არამედ რუსულიც. ვთხოვთ ახალგაზრდა მოსწავლეთ ჩვენის ქვეყნისა თითო

შაურობით რომ ათ-ათ კაცს ფული გამოართვან, ამ საქმისათვის დიდი შემწეობა იქნება. ვთხოვთ ყოველ დაწესებულებაში მოსამსახურე პირთ—მარტო ერთის თვის ჯამაგირიდან დაიკლონ თითო-ოროლა მანეთი.

ცალკე თხოვნით მიემართავთ თბილისის იმერლობას, ვისაც რით შეუძლიან დაგვეხმარონ. ასე ამგვარად აღორძინდება ისეთი ქართული საქმე, რომელიც ახლანდელ დროში ყველასათვის დიდმისაჩნევია. ყოველ პატარა და ისეთ ღარიბ ხალხში, როგორც ჩვენ ვართ, საზოგადო რამ მთელი საზოგადოების დახმარებით გაკეთებულა და ჩვენშიაც ეგრე უნდა მოხდეს. შევეუდგეთ ყველა საქმეს და ვთხოვთ რედაქციებს „ივერიისას“ და „კვალისას“ მიიღონ ყოველგვარი შემოწირულებანი და მერმე გამოუგზავნონ ქუთაისში ქართული თეატრის აღსადგენლად დაარსებულ კომიტეტს.

8. ეუკოსინე კლდიაშვილისა

კიდევ ერთი დარბაისელი ქართველი მანდილოსანი, ქართულად მოაზრე, ქართულად მობაასე, ქართული თეატრის აღორძინების პირველი დამწყებთაგანი დაგვაკლდა... გარდაიცვალა ეფროსინე კლდიაშვილისა. განსვენებული და იყო დავით ყიფიანისა და ბიძაშვილი დიმიტრი ყიფიანისა, იზრდებოდა ისეთ მამის ოჯახში, სადაც ქართული ლიტერატურის და მწიგნობრობის სიყვარული დიდი იყო. დიმიტრი ყიფიანი ქართველთაგან პირველი მთარგმნელი იყო შექსპირის და მოლიერის თხზულებებისა და დავით ყიფიანმაც იმავე დროს თარგმნა რამდენიმე პიესა.

თეატრის სიყვარული ეფროსინემ სწორედ ამ ოჯახში შეიძინა. იგი დათანხმდა ქუთაისის წარმოდგენებში მიეღო მონაწილეობა... დათანხმდა იმ დროს, როდესაც თითქმის არცერთი ქალი არ თანხმდებოდა სცენაზე გამოსვლას. სამოციან და სამოცდაათიან წლებში სცენაზე თამაში ჯამბაზობად მიაჩნდათ ბევრსა და ყველა ერიდებოდა ამ ასპარეზს.

ეფროსინე კი თავისი კეთილშობილი და მეტად ლმობიერი ქმრილ გრიგოლ კლდიაშვილით სიყვარულით უცნებდნენ თეატრს. ეფროსინეს მაგალითმა სხვა ქალებიც წააქეზა, შესდგა წრე ქართველი

თეატრის მოღვაწეთა და გაიმართა თითქმის რეგულარული წარმოდგენები ქუთაისში იმ დროს, როდესაც თბილისში კანტი-კუნტად თუ იმართებოდა. ეს წრე, რომელშიაც სხვათა შორის მონაწილეობას იღებდნენ აკაკი, ანტ. ლორთქიფანიძე, თ. ლევაია, არ. ქუთათელაძე, ივანე აბაშიძე, ივანე მესხი, ალ. კიკინაძე, ვ. აბაშიძე, ხელო უფლი შვილის, ნიკოლაძის და მრეელოვის ქალები, ანა მესხისა, მე და სხვა. არსებობდა რამდენიმე სეზონი, ე. ი. 1876 წლამდე, როდესაც ოსმალეთთან ომი გამოცხადდა და ეგრეთწოდებული, „სახელმწიფო სახლი“ თეატრის დარბაზად გადაკეთებული წრისაგან, ხელიდან გამოგლიჯეს და ლაზარეთად გადააკეთეს. ეს მუდმივი წრე მაშინ დაიშალა, მაგრამ წარმოდგენები ქუთაისში ხშირად იმართებოდა, სხვადასხვა ბალებში. ყველგან ამ წარმოდგენებში უპირველესი ადგილი ეჭირა ეფროსინეს.

დიდი ნიჭიერი მოთამაშე, დიდი დარბაისელი და ზრდილობიანი ტკბილი ქართულის მკოდნე ეფროსინე ყველასაგან პატივცემული იყო და დიდი სახელიც შეიძინა იმ დროს.

თბილისში და ქუთაისში ქართული დასების დაარსების შემდეგ ეფროსინე ჩამოშორდა ქართულ თეატრს, არა იმიტომ, რომ იმაზე ნიჭიერი მსახიობები გამოჩნდნენ, არამედ იმიტომ, რომ მრავალი შეილების პატრონს თითქმის მოცალეობა არა ჰქონდა.

ერთი მისი შვილი უნიჭიერესი საბა კლდიაშვილი ოდესის უნივერსიტეტის პრივატ-დოცენტი უკანასკნელი რევოლუციის დროს ხულიგნებმა მოკლეს და მეორე ნიჭიერი მომღერალი მარიამ ძნელაძისა უდროოდ გარდაიცვალა თბილისში.

ასეთი შვილების დაკარგვა რა თქმა უნდა, მოხუცი დედის მოსიყვარულე გულს დაასევდიანებდა და თანდათან დააუსტებდა, თორემ, ვინ იცის, იქნებ დიდხანს გვსმენოდა მისი ტკბილი საუბარი...

9. კოჭა მესხის სიყვავა აღქსანდრა იუჟინ-სუბბათაშვილისადმი

„არა შენი მოღვაწეობის და სცენის უანგარო შრომის აღსანიშნავად გამომგზავნა შე შენმა შორეულმა სამშობლო საქართველომ. ამას ჩემზე უკეთ შესძლებს შენი ნიჭისა და მოღვაწეობის პირადი მოწამე მოსკოვის საზოგადოება. მე კავკასიონის მაღალი მთის მწვერვალების, შენი ღების და ძმების, პატარა საქართველოს პა-

ტარა მსახიობთაგან მოგიტანე გულწრფელი სალამი შენ, დიდ მსახიობს მცირე თეატრისას აღფრთოვანებულ სალამს გიშლი ფერხთა წინ...სამშობლო შენი ამაყობს მით, რომ შენი ნიჭი, სულიერი ავლადიდება მიუძღვენ რუსეთის გულს—მოსკოვს, როგორც ღირსეული ძღვენი რუსეთის აზროვნებისა, შემოქმედებისა და ხელოვნების საგანძურში შეტანილი, ჩვენ შენი უმცროსი ძმები მსახიობები ბედნიერები ვართ მით, რომ შენი ღვთიური ნიჭის საუკეთესო კმნილება მიუძღვენი შენ სამშობლო-საქართველოს... მაშნურავინ ნუ იტყვის, რომ შენ უღალატე სამშობლო სცენას, შენ ღალატი „ღალატიფე“ გამოისყიდე“.

10. კ. მესხის სიყვავა მ. ნ. ეპოლოვასადმი

„მოგმართავ შენ არა იმიტომ, რომ ვიბაასო შენზე, ღვთისაგან ბოძებულ ჩემ შეგობარზე. არა. შენთან დავიდარაბა გავათავე (ხალხში სიცილია და ტაში), მაგრამ შენ ხარ მიზეზი ყოველთა მიზეზთა და ამიტომ მოვიტხოვ შენს ყურადღებას. მე არ ამისრულებია შენი ბრძანება, თუმცა; ღმერთია მოწამე, ამნაირ ბრძანებას მე არ ვსაჭიროებდი. ამას შენც მიხვდები... (სიცილია) სამშობლოდან წამოსვლისას მე მიბრძანეს, რომ როდესაც დაგინახავდით თქვენ დიდებულ მარიამ ნიკოლოზის ასულს ერმოლოვისას (აქ საზოგადოება ადგა და ოვაცია გაუმართა, როგორც ერმოლოვისას, ისე კ. მესხს), მთელი საქართველოს სახელით თავი დამეხარნა მოწიწებით (შეუწყვეტელი ტაში). შეუდარებელო მ. ნ., გუშინ როდესაც მე დავინახე თქვენი საკვირველი თვალები ცრემლებით სავსე— ჩემი გულის სიმები ათრთოლდნენ (ძლიერი ტაში). მე მაშინვე მივხვდი, თუ როგორ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ ამდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე და მომაგონდა, რომ თქვენ ერთადერთი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდით, როგორც ქართველი დედა... აი ამ ტანჯვისათვის, მოწიწებით სალამს გიძღვნი, იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლით აღგენთოს გულნი, რომელნიც არა ერთხელ აღიგზნიათ ზენაარი ნიჭით“.

დათო—სტუდენტი. შენ ვინა ხარ აბატულ-ჩაბატულო.

გაიანე—გაიანე ოთაროვნა. შენი სახელი?

დათო—დათო გაბერილაძე.

გაიანე—საიდან?

დათო—პადვლიდან.

გაიანე—ჭაა?

დათო—ლვინის სარდაფიდან.

გაიანე—დიდი ხანია?

დათო—სულ ახლა აზოვქვერი.

გაიანე—არა, დიდი ხანია სტუდენტი ხარ?

დათო—ოოჰ, თორპეტი წელიწადია.

გაიანე—ახლა მაშ რას აკეთებ?

დათო—პადვლებში დავდივართ და ვიმღვრით
საქართველო ჩვენია...

14. კოტე მესხი—ღვინო მესხს

[1879 წ.]

დათიკო.

თბილისის ქართული დასი ჩამოდის და უნდა წარმოდგენები გამართოს. ოთხშაბათს მოდიან. ხვალ დილით მოგელი, ჩამოდი უსათუოდ აღრე. საჭირო ხარ—დეკორაციებს უნდა გაკეთება.

კოტე.

15. კ. მესხი—ივანე მესხს

[1880 წ.]

„ძმაო ივანე.¹

ეს არის პარიზში მოველი და გწერ. თუ ძმა ხარ, ნუ შეწუხდები, აქ რომ ჩამოვედი. მართალი გითხრა, ფოთამდი გადაწყვეტილი არ მქონდა, აქეთ წამოვიდოდი თუ ოდესისაქენ, მაგრამ ფოთში რომ მარსელის გემის ამბავი ვიკითხე, შემაცდინა და მერე ჩემმა გამოუთქმელმა სურვილმა. კოტე კავკავაძემ (დამოყენის მოხელე) თითქმის სულ ტყუილად დამიჯინა გზა მარსელამდე... მაგრამ მაინც დავფიქრებინდი, შემდეგ კი მივაფურთხე ეშმაკს და გამოვსწიე. თუ თბილისი დამეხმარა, დავრჩები ოთხ-ხუთ თვეს, სწორედ იმდენხანს, რომ წაკითხული ფრანგულის გაგება შევიძლო და თარგმნაც... მარსელში სარა ბერნარი² ენახე სცენაზე, კინალამ გადამრია. თუმცა მისი ლაპარაკი არ მესმოდა, მაგრამ თამაშს ვხედავდი და ტანში მაციებდა... სერგეის³ კორესპონდენციას ვუგზავნი ამ გამოჩენილი მსახიობის თაობაზე.

კ. მესხი

ძმაო აკაკი.¹

რაღა თქმა უნდა, რომ გამეხარდებოდა შენგან ჩენი თეატრის კარგად წაყვანა. სერგეი² მწერს: ცოტათი აკაკიმ ადმინისტრაციის მხრით ჩამოიქვეითაო. როდი გამევირვებია, სად პოეტი და სად ფულუბის ანგარიში (ილიას³ გარდა) მაგრამ მაინც ყველაფრიდან ჩანს, რომ საქმე ორჯელ უკეთ მიდის, ვინემ ნეტარ-ხსენებულ გეორქას⁴ ხელში. შენც მოწადინებული იქნები ამაზე და მეც შემოგიტყვი, რომ რაც უნდა გაგიკვირდეს, იმაზე ნაკლებ დროს არ გასტანო, თორემ საქმე თუ ჩაგვეფუშება, შენ წარმოდგენილი გექნება, რამდენს ნიშანს მოგიგებენ და რა აღიაქოთს ასტეხენ ეგ. მართლა, თხის და ცხერის თავები. რატომ უფრო ხშირად არ აძლევთ ახალ პიესებს? არ არის თუ, ვერ ასწრებენ როლების სწავლას? ერთს პიესას მე გაგახსენებ თუ აღარ გახსოვს ჰუკონიამ რომ თავიგული გამოსცა, იმაში არის „ფერი-ფერს და მადლი ღმერთს“ (ჩემის აზრით სცენაზე გვარიანი გამოვა). ვ. აბაშიძეს⁵ გლასნი ალადათოვის⁶ გამოსახვა შეუძლია შიგა. აქტიორ—აქტრისები როგორ არიან შენთან? თუ გახსოვს, არ გწყალობდნენ. ჩემი საქმე ეგრე არის. ორ თვეს კიდევ დავრჩები აქ და მერე წამოვალ პეტერბურგში. იქ ვნახავ, ბუხალტერიის საქმე თუ ოთხ თვეში შემეძლება შესწავლა, დავიწყებ, თორემ მეტს დროს ვერ დავრჩები, სხვა მიზეზები ბევრი მაქვს, რომლის მოწერით თავს არ მოგაბეზრებ. პიესებს აქედან ვერ გამოვგზავნი, რადგან დრო არა მაქვს, რომ გადმოთარგმნის შემდეგ შევასწორო და შევაკეთო. ჩამოვიტან ერთად რამდენიმე პიესას გადათარგმნილს და მანდ შენის რჩევით გადავაკეთებ. რამდენი პიესაა, რომ ჩვენთვის სწორეთ ძალიან კარგად გამოდგება. თუ თეატრს დაუბრუნდი (მგონია რომ ვერ შევიძლო მიტოვება), მგონია, რომ შემეძლოს შენი კარგად დახმარება. ასე, რომ თუ მარჯვენა არა, მარცხენა ხელი მაინც გაგიხდები. შენს ფელეტონებს ალტაცებაში მოჰყავს ყველა აქაური ქართველი... რასაკვირველია, ძალიან მადლობელი ვარ შენი, რომ გაგახსენდი და მონაწილეობა მიიღე ჩემს სასარგებლო წარმოდგენაში. თუ მოგიჩვენოს და წერილი მომწერო, ადრესს სერგეი გაცნობებს. ქართულ ენას თუ შევეცოდე, მაპატიე. ნახვამდის.

შენი პატივისმცემელი კოტე მესხი.

17. კ. მესხი—ვასო აბაშიძეს

მოსკოვი, 9 თებერვალი

1908 წ.

ვასო.¹

გიგზავნი სუმბათოვის² წერილს და პირზე კოცნას. წარმოიდგენ, დიდი ამბავი იყო, თითქმის მთელი რუსეთის საუკეთესო მოღვაწეებს განგებ მოეყაროს თავი მოსკოვში ამ დღეებში—დეპუტატები, მწერლები, პროფესორები და სხვა. ჩემმა „რეჩმა“³ ისეთი ალტაცება გამოიწვია, რომ აღარ ვიცოდი კომპლიმენტებით რა მექნა. მეორე დღეს წამოსულას ვაპირებდი და ათი დღე აღარ გამომიშვეს. მეორე დღეს ბანკეტზე ერმოლოვას⁴ უთხარი „რეჩი“. აქაც დიდი ალტაცება იყო, როგორც შევარტყე, სხვა „რეჩები“ ისე არ მოსწონდათ, იმიტომ, რომ ამისთანა რეჩებს შეჩვეულნი ყოფილან და ჩემო კი „აქცენტის“⁵ მოეწონათ და კიდე უფრო „სიტყვების“ შეთამაშება (игра слов). მე ძალიან სასიამოვნოდ დამირჩა ეს ალტაცება, რადგან, რაც უნდა იყოს, აქაურობას სირცხვილი არ ვაქამე. თუ ძმა იყო, სუმბათოვს ორიოდე კალამი მოუსვი, რომ წერილი მიიღე და ისიამოვნე. ამ ცოტა ხანში ჩამოვალ თბილისში და ბევრს გიამბობო იმის შესახებ, თუ სუმბათოვი როგორ შეიძლება გამოგვადგეს ქართული თეატრის მოღვაწეებს და რა დაპირებები გამომატანა-
შენი კოტე მესხი.

Передай Алек[сандре] Мих[айловне] Каргаретели⁶, что её дело теперь ни в коем случае не удаётся, а потом спишусь с ней.

18. კ. მესხი—ნიკო გომირიძეს

ძმაო ნიკო.¹

დღეს და ხვალ ვერ მოვალ, რადგან კბილების ტკივილი მაწუხებს და რეპეტიციასზე ვერ მოვახერხებ ლაპარაკს. გთხოვ ეს ამბავი შეატყობინო ყველას და ჩემ მაგიერ ბოდისშიც სთხოვო. ამას გარდა, ძმაო ნიკო, თუ არ დამეხმარე ჩემ მუშაობაში და არ მიიღე თავის თავზე ჩემი თანაშემწობა, მარტო მე ვერ გაუძღვები თქვენ საქმეს—დროც ნაკლები მექნება და ყოველთვის ვერ დავესწრები. ამისათვის მე მპირია გაგებულნი თანაშემწე და გთხოვ ეს თანამდებობა თავის თავზე მიიღო. პირველი შენი საქმე იქნება ეს პიესა „ავაზაკი“² შესცვალო, რადგან ველარ მოგისწრებთ შაბათისათვის,

ზეგ მგონი კარგად ვიქნები და მოვალ. თუ ძმა იყო, ამ საქმეს ნუ გაუჩრბენ.

შენი პატივისმცემელი კ. მე ს ხ ი.

19. კ. მესხი - შიო მღვიმელს

პარიზი, 24/14 ივნისი
1500 წელი

ჩემო კარგო შიო!¹

აღვილად წარმოიდგენ, რომ ჩვენისთანა ჯიბის პატრონს აქ, ამ დღუნის ქალაქში, მერმე ამისთანა დროს, როდესაც ექვსი მილიონი ხალხი ირევა, ძალიან გაუჭირდება და სწორედ მეც გაფხევილ მდგომარეობაში ჩავეარდები სულ მალე; მაშასადამე, ის ექვსი თუმანი, რომელიცა რომა და ვითარცა მე მერგების დიდი ღურაკის სიმღერების გამოცემაში², იყოს შენ მიერ წარმოგზავნილი აქეთკენ. შენ, ჩემო შიო, ეს საქმე მომიხერხე. აქაური ამბები, ძმაოჯან, წერილით ვერ აიწერება, ენით ვერ ითქმება და რაი უნდა ვქნა... ისევ დავდუმდები.

შენი კოტე მე ს ხ ი.

20. კ. მესხი - შაჟიკო მესხს

14 თებერვალი
[18]96 წ.

ფეჟიკო,¹

გროზდოვი² ვერ ვნახე, ვიყავი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში ვანი³ ეხლავე წამოვიდეს. აქეთკენ ან „პოსობიას“ მისცემენ ან სადმე ადგილს. სულით დაცემა და ჩივილ-გოდება რის მაქნისია. ახლა შენზედ. კომიტეტს უნდა აელო არენდით თეატრი, მაგრამ ვერ მოხერხდა — ძვირად უფასებენ და მე და ვალიკოს⁴ მოგვანდო, როგორმე მოახერხეთ და „კაზინო თეატრში“ რამდენიმე წარმოდგენა გამართეთ, რომ ბანკის თეატრის კომისია ამით შევაფუცხუნოთ. ჩვენც ვიქირავეთ ხუთი წარმოდგენისათვის „კაზინო თეატრი“ და ჩვენის „რისკით“ ვაპირებთ წარმოდგენებს, უსათუოდ უნდა ჩამოხვიდე, როგორც დეპეშას დაგიკრავ და თან ნუცაც⁵ (ჩხეიძე) წამოიყვანე. პირველ წარმოდგენას ვაპირებთ 2 თებერვალს.

რეპერტუარი:

1. მაღამ სან-ჟენ⁶
2. მარგარიტა გოტიე⁷
3. პირველი ბუზი⁸

4. აღრიენა ლეკუერერ⁸

5. და ერთიკ რომ მოვამზადებთ. აღრიენა ლეკუერერ უსათუოდ დააჩქარებინე დათიკოს¹⁰ და თან წამოიღე, რომ მოვასწროთ. დათიკოსვე გამოართვი „მარგარიტა გოტიე“ და ყოველ შემთხვევისათვის „სიკოია დენჩიკი“. ¹¹ შენ გინდა გადაწყვეტილს მოგცემთ 30 მან. თითო წარმოდგენაზე, თუ კარგად წავიდა საქმე მეტსაც გასარგებლებთ. მე და ვალიკო ვიქნებით. უარი არ სთქვა, თორენ საქმე ჩაგვეფუშება და თან შენც ვერაფერს მოიგებ მაგით. აღდგომას აქ გავატარებთ ერთად და ნააღდგომებს ამავე რეპერტუარით ქუთაისს და ბათუმს ვესტუმრებით. რომ იანგარიშო ზაფხულამდის 400 მანეთამდე იშოვი და ესეც კარგია. მე არც კი მესმის მანდ ამგვარი თქვენი მდგომარეობა. ვანიას ფული არა აქვს, შენ კიდევ არაფერი და რას გაჩუმებულხართ, მიკვირს. უსათუოდ ჩამოდი აქ, ფულსაც ვიშოვით ცოტცოტა და მომდურავიც არავინ გეყოლებათ. არც კომიტეტს, არც მესხიევს¹² და არც ავალოვის¹³ ქალს ჩვენთან ხელი არ ექნება. უცადე შენ ღებეშას და ვანიამ კი ეხლავე გამოსწიოს.

შენი კოტე.

პირველ წარმოდგენას ვაცხადებთ უთუოდ ე. მესხის მონაწილეობით, ოთხშაბათს 21 თებერვალს. მაღამ სან-ეენ. კვირას რაც უნდა მოხდეს აქ იყავით. გზის ფული ვისმეს გამოართვი, როგორც ჩამოხვალ, გავუგზავნი.

21. კოვა მესხი—ჟაჟიკო მესხს

3 ნოემბერი.
1898 წ.
თბილისი

ფეფიკო!¹

გუშინ მივიღე შენი წერილი და მაშინვე კომიტეტს წარვუდგინე ვასო სულხანიშვილმა² და პეტრე ყიფიანმა³ აღმითქვეს, რომ ბენეფისში, რასაკვირველია, 200 მან. მიეცემთ და დანარჩენი ჩვენი იქნებაო. მხოლოდ ძალიან გთხოვენ ჩამოხვიდე ამ თვის 20 და „პრაზდნიკებამდის“ 20 დეკემბრამდის აქ დარჩე—მერმე თუ უნდაო „პრაზდნიკებზე“ გავანთავისუფლებდით და 7 იანვარს კი ჩამოვიდესო სეზონის გათავებამდის. არ იზამ ურიგობას, რომ „პრაზდნი-

კებზე“ მაქეთ კი არ დაბრუნდე არამედ, მეც გამოგყვები ქუთაისში და იქ გავმართოთ ორი-სამი წარმოდგენა. ეს ჩამოსვლის დროს შეცვლა მოხდა იმიტომ, რომ ნუცა ჩხეიძე¹ წავგვართვეს ქუთაის-ლებმა და რეპერტუარის წაყვანა ძალიან გავვიძნელდება. იცოდე, პირველ წარმოდგენას შენის მონაწილეობით დაენიშნავ 26-ს, „რუსთაველს“². დარწმუნებული ვარ ხალხი ბევრი მოვა და კარგადაც ჩაივლის... ახალ როლებს არ გიგზავნი. იმიტომ არ გიგზავნი, რომ პირველ ჩამოსვლაზე მარტო ახალი პიესა „ტრილბი“³ იქნება და ტრილბის როლი მანდ გაქვს. აბა ასე, 20-ში აქ უნდა იყო დილით, რომ საღამოს რეპეტიციები დავიწყოთ. შენს საბენეფისოდ იქნება, რომ კარგი პიესა „Сумашес[твие] от люнви“-ზე⁴ ამოვარჩიოთ. პასუხი მალე. დამიკოცნე ვანიები.⁵

შენი კოტე.

22. კოჭე მესხი—შეშვიკო მესხს

თბილისი, 5 ნოემბერი

ფეფიკო,¹

ამ გზის გაფუჭების შემდეგ ჩვენი საქმე სულ აიშალა. 29 ნოემბერს წილად მხვდა ბენეფისი—ვღგავ სან-ჟენს² და თუ მაშინისთვისაც ვერ ჩამოუსწარი, უნდა საფაროვის ქალი³ ვათამაშო და გასაჰკირს მაშინ უყურე: ნათამაშევე როლებსაც ველარ თამაშობს, ისე დაყრუვდა, რომ მთლად ურევს სცენაზე ყველაფერს. თავის დროზე რეპლიკებს არ იძლევა და უნდა სცენაზე აქტიორმა სულ სხვა ილაპარაკოს, ვინემ პიესაში არის. ამას გარდა ყველა დრამატული, ენერგიული მომენტები პიესისა საფაროვის თამაშით დაიკარგება. ის მხოლოდ კარგი იქნება პირველ და მეორე მოქმედების დასაწყისში. ერთი სიტყვით, როგორც კი გახსნიან გზა, მაშინვე გამოსწიე. არ ვიცი როდის მოგივა წერილი, მაგრამ მაშინვე მოსწერე პეტრე იოსების-ძე ყიფიანს.⁴ (Вс. Тифлис торговый дом кн. З. Джорджадзе и К^o), რომ ავანსი 100 მანეთი გამოგიგზავნოს. მანდ არაფერი იყიდო, ყველაფერს აქ გაყიდვინებთ იოფად. მაღამ სან-ჟენის ტანისამოსს (ძვირფასს) ჩვენ შეეკერავთ. შენ დაგპირდება მარტო პირველ მოქმედებაში უბრალო პრაჩკის კაბა და შინაური პენუარი მეორე მოქმედების დასაწყისში. რადგან ავგალოვის ქალმა⁵ ითხოვა

მარგარიტა გოტიე თავის ბენეფისში, უარი ველარ უთხრეს და თუმცა კომიტეტი გეთხოვს, ფეფიკომაც ითამაშოს, მაგრამ რადგან ტანისამოსებზე ბევრი წავა, შეიძლება გამოვრიცხოთ. ყოველ შემთხვევაში, აქ რომ ჩამოხვილ და დაინახავ საქმეს, მაშინ გადაწყვიტე ეს ამბავი. ყველა ურჩევს ავალოვისას არ ითამაშოს ეს როლი, მაგრამ არა შვრება და კარგი შვილიც კი იქნება მისმა მზემ? ნახე გაზეთებში რა უყონ. ოტელომ⁶ დიდის ამბით ჩაიარა. ვასო აბაშიძის⁷ აქ არ ყოფნის გამო მისი როლი ფიგარო⁸ უცებ მათამაშეს და ამანაც მშვენიერად ჩაიარა. ნუცა⁹ ძალიან მოსწონს საზოგადოებას. ავალოვის ქალის დანახვაზე მთელი თეატრი ოხრავს. მესხიევს¹⁰ კარგად ხვდება საზოგადოება, მაგრამ ხმა მაინც არა აქვს და ბევრს უშლის. ევგენიამ¹¹ რა გვიყო ეს, რომ არავეისთვის შეუტყობინებია და ისე წავიდა. ხომ „დაშტრაფავენ“, როგორც კი გზა იქნეს მაშინვე გამოსწიოს. ჩემი აღრესი:

Вторая параллельная № 15, дом Федотовой.

„სან-ვენის“ როლი კარგად ისწავლე და შენ სხვის ნურაფრის გეფიქრება. თვითონ შენ არ იცი შენი ძალა? უსათუოდ, როგორც ეს წერილი მიიღო, მოსწერე პეტრეს 100 მანეთის შესახებ.

დამიკოცნე ყველა.

შენი კოტე.

23. კოჭე მესხი — ნაზო მესხს

მოსკოვი, 25 იანვარი
1908 წელი

ნატო,¹

ეს არის ახლა დაებრუნდი (10 ს. დილის) სუმბათოვის² იუბილეს შემდეგ ვახშიდან. წუხელის, ხუმრობა არ გეგონოს, და მე პირველი კაცი ვიყავი მოსკოვში. ჩემმა „რეჩმა“³ ისეთი ოვაცია გამოიწვია, რომ ლენსკის⁴ სიტყვით, დაებერდიო და ამისთანა მოსკოვში არა მინახავს რაო. სუმბათოვის იუბილე ყველას დაავიწყდა. რომ გავათავე, ჯერ ატირებული სუმბათოვი ჩამებუტა და მერე ახდოლ ფარდის წინ ერმოლოვისა⁵, ნიკულინა,⁶ სადოვსკაია,⁷ ლეშოვსკაია⁸ და ყველა არტისტები მე შემომეხვიენ და მკოცნიდნენ. ამ არტისტების აღტაცებით საზოგადოება კიდე მეტად აღიტაცა და ტაშის ცემას საზღვარი არ ქონდა. მართალი უნდა გითხრა, კარგად კი

შომივიდა წარმოთქმა და სიტყვაც ისე ორიგინალურად არის შემდგარი, რომ მოგეწონებათ. გიგზაენი ყველა დღევანდელ გაზეთებს, სადაც ყველაფერი მოკლედ არის ნათქვამი. გაზეთებში მეთხუთმედი არ არის ნათქვამი, რაც მოხდა, ხვალ მთლიანად იქნება დაბეჭდილი „რეჩში“.

ტელეგრამით ვატყობინებ ჩემს უფულობის ვანიას⁹. ბანკეტმა და საჩუქარმა 110 მან. წაიღო და სრულიად უგროშეაქეიოდ დაგრჩი. გასტინიცებისათვის და წამოსასვლელად 75 მან. უკანასკნელი დამჭირდება. დღეს საღამოს ბანკეტი არის და წუხელის ლენსკინ და ერმოლოვამ მითხრეს, რომ საკუთრად „რეჩი“ თუ არ გვითხარი მაგ მშვენიერი „აქცენტით“, არ მოგეშვებითო.

ხვალ სტანისლავსკი¹⁰ და „ხუდოენიკები“ ცალკე წვეულებას მართავენ, აქაურ ვილაც დიმიტრიაძის რესტორანში. „რეჩის“ შემდეგ სტანისლავსკი მოვიდა ჩემთან და „გაგვაბედნიერე, გვეწვიეო, თეატრშიაც ყოველთვის მობრძანდითო“. მეც შევიპირდი „გაბედნიერებას“.

ყველა ამ ამბის მოწამე სიმონიკა და ბევრი ჩვენი სტუდენტები იყო. სიმონიკას¹¹ სიხარულს რომ უყურებდი, სწორედ ჩემთვისაც უფრო სასიამოვნო შეიქნა ეს ამბები. გამეცვენენ წუხელის ბობორიკინი¹², კიხევეტერი,¹³ ნეპიროვიჩ-დანჩენკო¹⁴ და აუარება ახალი მწერლები დეკადენტებიდან მოყოლებული კლასიკებამდე. რომელ დღეს მომივა ფული და როდის ჩამოვალ არ ვიცი. სუშბათოვი არას გზით არ მიშვებს, სანამ თითონ სამადლობელოს დიდ წვეულებას არ გამართავს. გაზეთებში მეთხუთმედი არ არის ნათქვამი რაც მოხდა. ხვალ მთლიანად იქნება დაბეჭდილი „რეჩში“.

შენი კოტე.

24. კოზე მესხი—ნაჭო მესხს

1899 წ. 10 თებერვალი.

პარასკევი

ქუთაისი

ნატო.

შენ იწერები, რომ 14 ან 15-ს ვერ ჩამოხვალ. რა ექნა, რა გიყო? 14-ს მაინც ჩამორდი თუ გიყვარდე. 19-ს ჩემი ბენეფისია და 14-ზე დიდხანს თუ დაყავი მანდ, მერე აღარ შეცლება, რომ შემოგეგებო.

მაშ მოგელი უსათუოდ 14-ს. ამ სალამოსაც აქ კლუბში დიდი მას-
.კარადი იქნება გამართული სააზნაურო შკოლის სასარგებლოდ და
თუ გინდა წავიდეთ. აქაურობის რა მოგწერო, ისეთი უფულოდ
ვარ, რომ როგორც მოგეხსენება. მარიამს¹ უთხარი კარგად გამო-
გისტუმროს და მერე გადუხდი პარტიისცემას. ივანეს² ჯამაგირი
მოუმატეს... ჯერ საუცხოოდ მიდის მისი საქმე და მერე არ ვიცი
როგორ იქნება. დედა სულ ავადმყოფობს, ვერ წამოვაყენეთ ფეხზე,
სულ წევს და „კაპრიზობს“, მაგრამ საშიშარი არაფერი აქვს. ყვე-
ლა ნაცნობებმა შემჭამეს, როდის ჩამოვა ნატოო. მეც ვეუბნები
დღეს, ხვალ...და ამისთანებით ვიქცევ თავს. ჩემს ბენეფისში „მეფე
და პოეტს“³ და „ოტელოს“⁴ უკანასკნელ მოქმედებას ვთა-
მაშობ. გიორგის პატარა ლიზამ⁵ ნიკი გამოიჩინა თამაშში. ძალიან
მოხარული ვარ, გამოსადეგი იქნება. დათიკომ⁶ ამასწინათ კინტო
ითამაშა „ციმბირელში“⁷. ხალხი გადარია, ისე კარგად. ახლა სულ
ამას გაიძახიან, რომ კოტე მესხს სხვა მოთამაშეები არ უნდა, მარ-
ტო თავისიანები გამოიყვანოს და აფიშებზე თუ სულ მესხები იქ-
ნება, მაშინ დარწმუნებული ვიქნებით, რომ საქმე კარგად წავაო-
ჩემი ბენეფისიდან სამას მანეთამდის მოველი. ზოგი მსხვილი ვა-
ლები უნდა გადავიხადო და შემოვა კი ამდენი არ ვიცი.

შენი კოტე.

25. კოჩა მესხი—ნაჭო მესხს

—19—1896 წ.
შაბათი

ნატო, გენაცვალე,

მე ჩამოვალ ოთხშაბათს ან ხუთშაბათს საქმე არის—თუ ბათუმში
წავიდნენ, აღარ გავყვები. ამათი საქმე კარგად წავიდა. დღემდის
ოთხი წარმოდგენა ჰქონდათ და 1222 მანეთი აიღეს. ჩემი დაპირება
შეუსრულდა შუმილინს. 300 მანეთი გამოვა მეთქი წარმოდგენაზე
და ასეც გამოვიდა. საჩოლოვოს და დათიკო მიქელაძის¹ ამბავს
გუნია² გეტყვის, გუშინ იმას მივსწერე წერილი და თან რომ შენ
ფულეები გადმოქცეს. თხოვნას შეგისრულებ და მალე ჩამოგიტან.
რაც შეეხება მიტკევიჩს, ლეჰეტჩის და ყველას, სუყველა ჩემი გუ-
ლისათვის იბნიდებიან და მეც ამითთვის ვიბნიდები. ოჰ, თქვენმა
მზემ. აქაურები ყველა კარგად ატან. გუნიას უთხარი: თუ რამ
ვალი დარჩა შუმილინზე, ტელეგრამა მომწეროს იმასაც და მეც.

ფულეები გადმომცეს (ახლა აქვს), რადგან მე ამათზე წინეთ წამოვალ-
თორემ მერე შეუძლია გვითხრას დანარჩენ წარმოდგენებში წავაგეო-
შეგვატყობინეთ დარწმუნებით როდის გაიხსნება ახალი თეატრი?
კეკე³ აქ არის. გაკოცებ ათასს.

შენი კოტე.

26. კოჭე მესხი—ნაზო მესხს

2 ოქტომბერი
ქუთაისი

ნატო, კირძე,

ეს ორი დღეა არაფერი მომიწერია შენთვის, იმიტომ რომ, არ-
დაიჯერებ, მარკისა და პაპიროზის ფული ვერ ვიგდე ხელად. სეს-
ხები აბაზობით მეზარება და მე თვითონ აღარ მქონდა, მაგრამ
შენიც აგერ მესამე დღეა არაფერი მომსვლია; კარგი, ეს შენ კარ-
გათ იცი რომ შენი ამბავი უფრო საინტერესოა ჩემთვის, ვინემ
ჩემი ამბავი შენთვის იმიტომ, რომ მე კარგად ვარ, კენჭივით და
შენ კი ავადმყოფი და მაგისათვისაც უფრო ხშირად შენი ამბები-
უნდა გავიგო. კვირას წარმოდგენა გვაქვს და თუ რამე შემრჩა,
გამოგიგზავნი. შენი პალტო დედამ ფეფიკოს ბიძას გაატანა გასა-
ყიდად ერთ თუმნად შინც, და თუ გაიყიდა, ფულებს შენ გამო-
გიგზავნი. წერილები მომწერე ხოლმე, შე სკიპტარიკა, თორემ არ
ვიცი რას გიზამ, რომ ჩამოხეალ. თუ ბილეთები ვიშოვე, მე ჩამო-
ვირბენ წასაყვანად. ნიკოლაძე¹ არსად სჩანს—შინდ არის თუ არა,
თუ გაიგო შემომითვალე. ამ თვეში ამ წარმოდგენის შემდეგ „თა-
მარ ცბიერის“² წარმოდგენა მინდა, მაგრამ შენ გიციდი. უშენოდ
არ წარმოვადგენ, რადგან მინდა შენც უყურო წარმოდგენას.
ათას გაკოცებ.

შენი კოტე.

27. კოჭე მესხი—ნაზო მესხს

18—10/1—90 წ.-
თბილისი

ნატო.

ძლივს შელირსა თქვენი ამბავი, აგერ მესამე წერილს გწერთ და
არ გრცხვენიათ, რომ ხმას არ მცემთ. დედას ცოტა შეწუხებას

იწერება დათიკო¹, ნეტავი ეხლა როგორ არის. მე სწორედ იმედათ ვარ და ვიყავი, რომ გასაჭირი რამ არა უშავს, ნუთუ ევსება მუცელი? მომწერე ყველაფერი, ბავშვები დამიკოცნე ათასჯერ. ზეგ, პარასკევს „ოტელოს“² ვთამაშობ, „რუსთაველი“³ რაფიელ ერისთავმა⁴ ცენზორმა გაუშვა. ამოშალა ცოტა, მაგრამ გვარები შემაცვლევინა მომქმედი პირებისათვის. ორბელიანი, ამირაჯიბი, ამილახორი არ შეიძლებაო. ეხლა პიესა მთავარმართებლის კანცელარიაშია გადაცემული და ერთი კვირა მაინც გასტანს სანამ შივილებდეს. წავეუკითხე პიესა მარტო დავით ერისთავს⁵ და ვანო მაჩაბელს⁶, სამი პირველი მოქმედებით აღტაცებაში მოვიდნენ და მეოთხე კი დაიწუნეს. ისეთი მტკიცე საბუთები წარმოადგინეს ამ მოქმედების უვარგისობის, რომ იძულებული გავხდი შემეცვალა და არ ვიცი ახლა როგორი გამოვა. ყოველ შემთხვევაში საზოგადოებას ძალიან სურვილი აქვს მალე დაიდგას სცენაზე და ჯერ რეპეტიციაც არ გვქონია და ლოქებზე ინიშნებიან. „შეშლილი“⁷ ვითამაშე და კარგად წავიდა, თუ „ოტელომ“ არ მისუსტა, „რუსთაველზე“ კარგი შთაბეჭდილებით მოვა ხალხი. აილო ილარიონისაგან⁸ დათიკომ ფული თუ არა. წინდაწინვე შემატყობინე თქვენი ყოველი ნაკლებულობა, რომ ხელი მოგაწოდოთ. სხვა რა მოგწერო, ერთს საქმეში მინდა გავება და თუ დავათავე, მგონია სულ მომიხდეს აქ გადმოსვლა. ვდგევარ „პურ-ლვინოს“ სასტუმროში, რადგან მარიამს⁹ არ ქონდა თავისუფალი ოთახი, სადილად კი ხშირად დაედევარ... მომიკითხე ყველანი.

მალე პასუხი.

შენი კოტე.

28. კოვა მესხი—ნაჭო მესხს

თბილისი, 21

[1894 წ.]

ნატო.

რამდენი ხანია შენი ამბავი არ ვიცი, მე თუ არ მოგწერე წერილი, იმიტომ რომ სულ საძაგელ გუნებაზე ვიყავი და ცუდი არაფერი მინდოდა მომეწერა, შენ კი, როგორ არ გრცხვენიან, გაგიჟირდა ორი კალმის მოსმა. თეატრი, შეიტყობდი, დაგვიკეტეს

ინტინრებმა და თუ რემონტს არ გაუკეთებთ, არ გაგიხსნითო? მთელი ერთი თვე ვეწვალე კომისიასთან და როგორც იქნა გადავაწყვეტინე რემონტი. ახლა გაცხარებული მუშაობა გვაქვს. პირველ სექტემბრამდე უნდა გავათავოთ. რადგან კასტელანოს¹ ტრუჰპას მოველით. კოლიას² უთხარი როგორმე ჩავიდეს ბათუმში და ტრუჰპა-ქუთაისში ჩაიტყუილოს და ცოტახანს მანდ შეაჩეროს. 2—3 სექტემბერს რომ აქეთ გამოუშვას, ჩვენთვის უფრო გვექნება თეატრი. ახლა იმაზე გვაქვს სახლაფორთებელი, რომ სითბოსათვის. რაიმე რემონტი გავაკეთებინოთ და მაშინ ჩვენი თეატრი მომგებიანი საქმე შეიქნება. ნუცა ჩხეიძეს³ უთხარი, პირობით არავის შეეკრას. მალე აქედან ცნობა მოვა, ბევრს ნუ იგვიანებ. კოლია გადმოგცემდა საგზაო ფულებს და წამოდი. ამ ივერიკამ⁴ სული ამომართვა, აქ არის ჩემთან. ცოლი ბათუმში დაუტოვებია გასტინიკაში და ფულს ეძებს, რომ გასტინიკა გაისტუმროს და რუსეთშიც წავიდეს. თუ ვერ ვიშოვიო თავი უნდა მოვიკლაო და აბა ერთი მითხარი ვინ ან სად იშოვის.

ჩამოდი მალე.

შენი კოტე.

29. კოჭა მესხი—ნაჭო მესხს

თბილისი.

25 აგვ.

ნატო, გენაცვალე.

ისეთი გასაჭირია ფულის საქმე, რომ არ ვიცი რა ვქნა. გახელებული ძალღივით დავრბივარ ამ სიცხეში და ვერას ვახერხებ. რასაკვირველია, თუ რასმე გახვდი მაშინვე გამოგიგზავნი, თუ არა ყველამ მოიცადოს სექტემბრის ათ-თხუთმეტამდის... ჩვენი საქმე მგონი ღვთით კიდევ გამობრუნდება, რადგან პალმთან¹ საქმე გავათავეთ და მთელი სეზონით თეატრი გაქირავებული² გვაქვს... კუხნა გვექნება—ოლონდ ქირა თუ მოვუხერხებ... დედა და მამა ჩამოვიდნენ მარტყოფიდან—კარგათ არიან. მარუსია³ გკოცნის.

ქართული თეატრის საქმე ქანდრაკულათ არის... ავლოვის⁴ ქალიც ქუთაისში მიდის, საფაროვისა⁵ საზღვარგარეთ აპირებს, ყური უნდა მოვირჩინოო... ამხანაგობა თუმცა ძალიან მოწადინებულია, მაგრამ ჯერ ვერაფერს გვეუბნება. ფეფიკოსათვის⁶ რაც:

როლები იქნება ყველას გაზეთშიაც გამოვაცხადებთ და გამოვუგზავნით გადაწერილებსაც.

შენი კოტე.

რომელ რიცხვს აპირებთ გამოსვლას, მალე გამაგებინეთ.

30. კოჯე მესხი—ნაპო მესხს

პარიზი, 18/3 ივნისი
[1900 წ.]

ნატო..

ჩემო სიცოცხლე ნატო. აი მესამე წერილს გწერ აქედან და შენი ამბავი კიდევ არაფერი ვიცი. მე რომ ტელეგრაფით აღრესი გამოგიგზავნე და იმ დღეს რომ დაგეწერა წერილი, აქამდის ათჯერ მომივიდოდა, იცოდე მეშვიდე დღეზე წერილი მიდი-მოდის. ჩემი წერილების პასუხს მაინც არ დამიგვიანებ. ჩემო სკიპტარიკავ, კაბა აღარ გიყიდე, იმიტომ რომ არ ვიცი როგორ შეკერვიდნენ. აქ ყველამ ისე გვითხრა, რომ სამჯერ-ოთხჯერ უნდა გაზომონო და ისე მოარგონო. ამის გარდა ისეთი სიძვირეა ახლა, რომ იმ კაბის საფასურად ბევრი რამის ყიდვა შეიძლება და კიდევ გიყიდე ყველაფერი, მარუსია¹ ჩამოგიტანს. თუ მოვიგდე ხელში ფულები, იცოდე ისეთს რამეებს ჩამოვიტან, რომ ყველამ თქვას, ტყუილა არ წასულაო. მარუსიას, რასაკვირველია, ბევრი რამ უყიდა პეტრემ² და ძალიან კარგებიც, თითქმის საქორწილოდ გამოწყობილა. გუშინ და დღეს მე და პალიკო³ ერთად ვართ. ვერ წარმოიდგენ, რა გაეხარა ჩემი ნახვა. ატირდა და მეც ცრემლები მომიყვანა. ძალიან დავამშვიდე. გავამხნევე... ისეთი რამეები მითხრა თავის თავგადასავალი, რომ წერილს ვერ ვანდობ. პირისპირ გეტყვი. დღეს გამოფენის დათვალიერებას ვუნდებით, ღამე რომელიმე თეატრში ვართ. ვნახე სარა ბერნარი⁴. ისეთი შთაბეჭდილება იქონია ჩემზე, რომ სულ თვალწინ მეზღანდება და ყურებში მომესმის იმის შემაწუხებელი ხმა. ჩენი თეატრის რა გესმის, რემონტს უშვრებიან თუ არა? გამიგე და მომწერე. მარუსია ყველაფერს ანიჩკას⁵ გადასცემს და იქიდგან შენც მიიღებ. დღეს კვირაა და ხუთშაბათს, პარასკევს წამოვლენ. კლუბი ჯერ კარგად მაქვს, კარგ სადილებს ვქამ სანამ ფული მაქვს. მალე წერილი თუ გიყვარდე.

შენი კოტე.

პარიზი, 19/1 ივნისი
[1900 წ.]

ნატო.

ახლა ნამდვილად მიმხვდარი ვარ, რომ მანდ ბათუმში არ იქნები და წერილებსაც უფრო დამიგვიანებ. არ იფიქრო ეგ. იცოდე ხშირად მომწერე, რამდენი ხანია (3 კვირაა) შენი ამბავი არ ვიცი. გრცხვენოდეს. წარმოიდგინე ჩემი გაკვირვება. გუშინწინ სალამოს თეატრში ვიყავი (ოლიმპია) გამოჩენილი ფრეგოლის¹ წარმოდგენაზე და ანტრაქტში ვილაცა ხმა მალლა მიძახის „კოტე, კოტე“, მოვიხედე—პეტრე და მარუსია² შემრჩა ხელში. ყველას, რასაკვირველია, ძალიან გაგვეხარდა. მას აქეთ სულ ერთად ვართ თითქმის. ოღონდ დასაძინებლად მოვიკრუნჩხები ჩემს პატარა ოთახში. ხარლამპიმა³ მოიბრინა ჩემთან, როგორი საქმეა ეს? სულ წმინდათ უფულოდ არის. მე არაფერი მითხრა თავისი გაკირვება, მაგრამ ეტყობა ფულებს არ უგზავნიან და ძალიან უჭირს. სხვა ჩვენებური ჯერ არავინ მინახავს. გაეიცანი ოღონდ ერთი თეატრების აგენტი, რომელმაც წინადადება მომცა, რომ მოგიხერხებ ქართული დასის ან ქართული ხორის ან და ცხენოსან მოჯირითების მოყვანისათვის კარგ, ბლომად ფულს გაშოვნიებო. წარმოიდგინე, მე რომ აქაური გამოფენის არემარე ან თეატრების ამბავი მცოდნოდა, მანდვე გამოვიწყობდი ამ საქმეს, რომ მანდედან წამომეყვანა ორი ქართულად ჩაცმული ქალი, რომ დამესვა პავილიონში და გამომეცხადებინა რეკლამა და შესვლისათვის ფასი დამედო, ფულების მიღებასაც ველარ მოვასწრებდი, ისე მოაწვებოდა ხალხი. ისეთი უბრალო რამეებია. ისეთი უშნო და უხეირო, რომ მე გავკვირდი, ამდენა ხალხი რამ გააშტერა, რაში იხდის მეთქი ფულებს; ვნახოთ, ვლაპარაკობთ და რა გამოვა, თუ წინდაწინ ფულები მომცა, რასაკვირველია მოვახერხებ ყველაფერს. თითონ გამოფენა, ახალი სასახლეები, მაშინები, გამოგონებანი, ყველაფერი საოცრებაა. ორი დღე მარტო გარეგან დახედვას მოუნდი და შიგნით მხოლოდ ორ დიდ სურათს და ქანდაკებების სასახლეებს დავხედე. წარმოიდგინე ყოველი ნაწარმოები არის და საქართველოდან ერთიც არ არის. გაბაეც⁴ მაინც გამოგზავნა ერთ-ერთი სურათი? ასე ვართ ყველაფერში

გლახები და ზანტები. დღეს მე და მარუსია მივდივართ შენთვის
კაბის შესაკვეთად თუ ძვირი არ დაგვიჯდა.

შენი კოტე-

32. კოზა მესხი—ნაპო მესხს

პარიზი, 24/11 იენისი
[1900 წ.]

ნატო.

როგორც იქნა მივიღე შენი წერილი, რასაკვირველია, გამეხარ-
დებოდა. აქაური ამბების მოწერა და აწერა შეუძლებელია. აგერ
ათჯერ ვიყავი თითონ გამოფენაზე, მაგრამ ჯერაც კარგად ვერ
გამოვარკვეე რამდენი საკვირველებაა. რომელი ერთი აგიწერო,
საიდან დავიწყო, არ ვიცი. ახლა და შემდეგ, როდესაც უფრო დაე-
დინჯდები, ყველაფერს დალაგებით მოგწერ. კოწიას¹ დღითი-დღე
მოველი. ალბათ ბერლინში შეაჩერეს. უმისოდ ჩემი საქმე ცუდად
არის. ჯიბე ძალიან მივასუსტე, ძალიან დიდი ფული მიჯდება
თეატრები. გალერეაში ვერ ვიარე, ვცადე, მაგრამ კინალამ სიცხემ.
დამწვა და ისევ მეტი ფულის გადახდა ვირჩიე და პარტერში და-
ვდივარ. გამოფენის გამო ყველა ფასები აწეულია. რა ენაღვლებათ,
ნ მილიონი ხალხი ირევა ყოველდღე და სამჯერ მეტი, რაც ახლა
არის თეატრები, ისინიც ყოველდღე გაივსებოდა. სარა ბერნარის
თეატრს² ყოველ ღამე 5.000 მანეთი შესდის, ე. ი. 1500 თუმანი
თვეში. თეატრის ქირა და დასის ხარჯი თვეში 7.000 აქვს და
8000 მანეთი თვითონ რჩება ნაღდად. აი ამისთანა ანტეპრენიორო-
ბა მესხის... გუნიას³ რეისორად არჩევა გადაწყვეტილი იყო ჩემივე
თანდასწრებით. მე ამ ზამთარს კომიტეტის⁴ საშუალებით და ხარ-
ჯით ეურნალ „თეატრის“⁵ გამოცემა უნდა დავიწყო... ეს უფრო
კარგია ჩემთვის საბოლოოდ და ამას გარდა უფრო მეტი პატივიც
მექნეს. თუ როგორმე მოვახერხე, აქტიურობაც მინდა თავზე ავიც-
დინო, მაგრამ რომ არ მეშვებიან, ეს არის სავალალო. ნატო, გე-
ნაცვალე, თბილისში წასვლა რომ დააპირო 12 დღით ადრე მომ-
წერე წერილები. იქითკენ გამოგიგზავნი. ფულებს თუ მექნა, ბევრი
რამ მაქვს შენთვის საყიდლად არჩეული, თუ არ იქნა და შენი სი-
მაგრე ვიცი, გაუძღებ. მე, პეტრე, მარუსია თითქმის ერთად ვართ

და დავებტილობთ, დღემი 9—15 ვერსს დაედივართ. ხვალ ან ზეგ ესენი გამოდინან მანდეთკენ. დათიკოს⁶ რომ საქმე მიეწერე, სერიოზული საქმეა, ცოტა ენერჯია გამოიჩინოს, სირცხვილია მართოცხელი ღომის ყლაპვა.

შენი კოტე.

33. კოჭე მესხი—ნაჭო მესხს

პარიზი, 22/9 აგვისტო
[1900 წ.]

ნატო.

ნატო გენაცვალე, ერთი ღანოესკაიასაგან ერთი შენგან ორივე ერთად მივიღე დღეს—და კიდევე საყვედურები, რომ ხშირად არ ვიწერე რა ვქნა, შენგან კვირაში ერთი წერილი ძლივს მომდის და მე კი ორს, ხან სამს გწერ. არა მჯერა, რომ იკარგებოდეს. მე როგორც მოგწერე, სულ მალე წამოვალ, დღესვე წამოვიდოდი, მაგრამ ჩემი წამოსასვლელი ფულები სხვას აქვს და ის კი ამ ათ დღეზე აღრე ვერ მიიღებს. ამისათვის ვიციდი, ამას გარდა მანდეთკენ მოვიწერე და თუ ისიც მომივიდა, ბარემ კიდევე გიყიდი რაღაცეებს და ისე ჩაშოვალ. იცოდე მანდაურს 5 სექტემბერს არ გადავაცილებ ჩამოსვლას. ასე, რომ სახლები 1—3 უნდა გქონდეს დაქირავებული. რამდენი მივცე ქირაო? იწერები და რაც შეიძლება ნაკლები, იმიტომ, რომ ჩვენც ნაკლებად უნდა ვხარჯოთ. მე მგონია, ორ ოთახს სრულებს, თავის კუხნით, ბალკონით და წყლით თუ იშოვი, იქნარებს ჩვენთვის, ოლონდ სისუფთავე იყოს და ნამეტანს ფებს ნუ გაქიმავეთ. მთაწმინდისაკენ მოახერხებ, კი ვიცი შენი ამბავი, რომ კარგად დასძებნი, კრაოტებიც უსათუოდ გამოართვი მანამდის და სახლს თუ კიდევაც მოწყობილს დამახვედრებ, ხომ შენ ნახვასთან ერთად ამითაც გამახარებ. ჭყონიები¹ წამოვიდნენ. არაფერი ამბავი ისეთი არ ყოფილა. არც კი შეუჩერებიათ გზაზე, გამოკითხეს, რადგან იმის ახლო ვაგონში მომხდარიყო მკვლელობა. აქაურ ამბებს არაფერს გწერ, მანდ მინდა გპოგვიზოგო. დღესვე მივიღე პეტრე² (ყიფიანის) წერილი, მწერს, რომ თეატრი დრამატულ საზოგადოებას აუღია სამი წლით. წამოსვლამდის მოგწერ წერილებს და გზიდან რა მოგახსენო, ჩემთან ერთად ღოგია ის წერილები და ქე რალა საქირო იქნება. რომ მოგიახლოვდები, მაშინ ტელეგ-

რამას მოგწერ. მინდა ზღვით წამოვიდე, რადგან მშენიერი გზა არის და საუცხოვო ალაგებს გავივლი. ყოველისთვის კიდევ მოგწერ მალე დაწერილებით. მარიამს³ მიულოცე და აკოცე, მარია-მობას ვითომ მანდ ვაპირებდი, მაგრამ არ მოხერხდა. მე თეატრში თითქმის ყოველ ღამ დაედივარ და, რასაკვირველია, იგრძნობ, თუ რანაირად ვსიამოვნებ. აქ ჩამოვიდა პალიკოს დეიდა კნინა ორბელიანის ქერივი, მდიდარი ქართული ტანისამოსი აცვია. წაიყვანეთ გამოფენაზე და ჩვენ თითონ გავხდით გამოფენა, რადგან ყველამ ამის ტანისამოსს დაუწყო ცქერა. უი ქა, რა მხეცები ყოფილან ეს ფრანცუზებიო,—იძახდა საწყალი დედაკაცი.

ასე ჩემო ნატო, სულ მალე გნახავს შენი კოტე.

34. კოვა მესხი—ნაჭო მესხს

პარიზი, 29/16 ივნისი
[1900 წ.]

ნატო.

ნატო გენაცვალე, იმიტომ მომწერე მაგდენი ალერსიანი სიტყვა, საჩუქრები რომ მიიღე? დამაცა ჩამოვიდე. მაინც ხომ არ გამომიგზავნე სია, თუ რა და რა მიიღე. ამ წერილს რომ მიიღებ, იქნება მანდაურად 26 ივლისი და მეკიდე დაერჩები აქ იმდენს ხანს, რომ შენგან გამოგზავნილი წერილები მანდაურს 10 აგვისტოდან მომივიდეს. ამ რიცხვის შემდეგ კი ნულარ მოიწერ, რადგან წამოსული ვიქნები, მაგრამ გახსოვდეს მანდაურს 10 აგვისტომდის ხშირად მომწერე. კოწია¹ წავიდა წყლებზე, ბევრი მეხვეწა წავულოდი, მაგრამ აქაურობის დატოვება და იმასთან წასვლა არ იყო ჩემთვის სრულებით სასარგებლო, თუმცა სიცხეები დაიწყო, მაგრამ აქ ყოველდღე ისეთს რასმე შევხვდები, რომ ან ქკუას გამოადგება, ან ხელოვნებას, იმასთან კი მოწყენის მეტი აბა რა იქნება. ყოველ შემთხვევაში მთხოვა ჩემთან ჩამოდი სამი კვირის შემდეგ და კავკასიაში ერთად წავიდეთო. ეს კი შეიძლება მოხდეს, რადგან ფულებზე ძალიან სუსტად გახლავარ და იმათს ხარჯით სჯობია წამოსვლა, სახლი აგვისტოს უკანასკნელ რიცხვებში უნდა იქირავო და უსათუოდ წყლით, ხომ იცი ჩვენთვის წყალი ბევრია საჭირო. აქ ჩამოვიდნენ ღამბაშიძე მღვდელი² შვილითურთ. თ. სახოკია³, დოქტორი მხეიძე⁴, მარიმანიანი⁵ (მუზიკის მალაზია), ნიკო ლოლო-

პერიოდ⁶ და კიდევ სხვები არიან, მაგრამ მე არ მინახავს. სანამ კოწია აქ იყო, თითქმის პარიკის არაფერი მინახავს, სულ თავის-თან ვყავდი. ასე რომ იმისი სამი კვირით აქ ყოფნა ჩემთვის და-კარგულ ღრთ უნდა ჩაითვალოს, ეხლა კი მთელი დღე ამ აუა-რებელ გამოფენაზე ვარ და ღამე რომელიმე თეატრში. მარი კასტ-ელანოსაგან⁷ წერილები მომდის ქალაქ ბორდოდან, ძალიან კითხ-ულობს გუნდას⁸ ამბებს. მომწერე ხშირად, ნუ ზანტობ. მალე წა-შორდი, მაგრამ ფულებს მოველი.

შენი კოტე.

35 კოვა მესხი—ნაჭო მესხი

პარიზი, 30/17 ივნისი
[1900 წ.]

ნატო, გენაცვალე.

შენი წერილი 9 ივნისს დაწერილი მომივიდა დღეს 17, ე. ი. სულ 8 დღე უნდა გზას. უკანასკნელი კი 30 მაისიდან იყო. ათ დღეში ერთ წერილს იწერები და მე კი მემდური ხშირად არ მწერო. ამ ხნის განმავლობაში აგერ ძეხუთე წერილსა გწერ და შენც ასე ხშირად მომწერე. კოლიას¹ ამბავმა ძალიან შემაწუხა, წარმომიდგენია. რა ხათაბალა მდგომარეობაა, როგორ წაიყვანეს თავიანთი თავი მაგ პადლეცებმა, მამაც ისეთი იყო და შვილებიც იმის გზას გაყვნენ, რატომ არას იწერები თუ მანდ თეატრში რალაც ამბავი მომხდარა, ხარლამპიმ² მითხრა და ნამდვილი კი არ ვიცი. მომწერე. პეტრე და მარუსია³ უსათუოდ ხვალ გამოვლენ. იქნებიან მანდ 26 ამ თვეს, მაშინ შენ ჩამოირბინე რიონიდან და მარო⁴ გადმოგცემს რაც გიყიდე. არაჟერს იწერები? აკეთებენ თუ არა, თუ არ აკეთებენ მე სულ სხვა საქმეს უნდა მოვიკიდო ხელი და კოწია⁵ თუ ცოცხალი იქნა კი გამოვძებნი კარგ რასმე, ოლონდ შენ იყავი კარგად და ღვთით გამრეკლოვისთანა საქმეები არ და-გვემართება... აქაური ამბების აწერას სწორედ ვერ მოგიხერხებ, ისევე გამოვიზოგოთ ყოველი ეს ამ ზამთრის ვახშმგებზე და უფრო სარგებლობა იქნება შენთვისაც და მეც დიდხანს გაძყვება აქაური მოგონებანი... დაეკოცნი ყველას, შენ კი ურიცხვად.

შენი კოტე.

დათიკომ⁶ მალე პასუხი და უსათუოდ რამდენი პორტრეტებ⁷ გა-მოგზავნოს გრუპეებად.

ქოჩე მესხი როლებში

ილია ჭავჭავაძე კოვა მესხის შესახებ

„... ორმა აქტიორმა ვასო აბაშიძემ და მესხიმ ანტრეპრენი-
ორობა იკისრეს. აწინდელი მათი ტრუპა ძალიან კარგია, კომიკუ-
რი როლებისათვის კაცი თუ ქალი ასეთი კარგნი არიან, რომ ამ-
ჟამად უკეთესი არ უნდა ჩვენს საზოგადოებას. ამ მოკლე ხანში
ერთი დრამატიული აქტიორიც შეიძინეს კახელი ალექსიევე-მესხიევი.
პირველ დებიუტშივე ყველანი აღტაცებაში მოიყვანა. ტრუპა სწო-
რედ გითხრა ლაზათიანია და ახალ ანტრეპრენიორებს ძალიან
რიგიანად მიყავთ საქმე.“

1881 წ.

(ილია ჭავჭავაძე, „წერილები“, ტ. 1, სუხუმი, 1949 წ., გვ. 62.
წერილი ილია ოქრომქედლისვილისადმი).

აკაკი ნაჩათაძე კოვა მესხის შესახებ

— „რაც უფრო დიდი ნიჭის პატრონია კაცი, უფრო მეტი შრო-
მა, სწავლა, განვითარება და თავდადება ეჭირება. ავიღოთ მაგა-
ლითად, ორი ჩვენი არტისტი: ვ. მესხიევი და კ. მესხი. ორივე
ერთსა და იმავე დროს გამოვიდნენ. პირველი უფრო შესანიშნავი
იყო მეორეზე, მაგრამ პირველმა შეაფერხა თავისი დიდი ნიჭი,
მეორემ კი საზრდო მისცა. და დღეს მათში ისეთი განსხვავებაა,
რომ შედარებაც მოუხერხებელია“ (გაზ. „ივერია“, 1886, № 30).

„თეატრის“ კოკისპონდენსია

ქუთაისი, 1 ნოემბერს. ერთი თვეა აგერ, რაც ქუთაისში შესდგა
ქართული დასი კ. მესხის თაოსნობით და ჯერ-ჯერობით წარმა-
ტებითაც მიდის ახალი დასის საქმე. სამი თუ ოთხი წარმოდგენა
გამართეს და საზოგადოება ყოველთვის კმაყოფილი დარჩა წარმო-
დგენისა. კარგი დასაწყისი ამ დიდად სასარგებლო საქმისა იმით

აიხსნება, რომ აქტიორები ერთობ გულმოდგინედ ეპყრობიან თავიანთ საქმეს და ბეჯითად ამზადებენ როლებს. თვითონ რეჟისორი კ. მესხი, საკმაოდ დახელოვნებულია ამ საქმეში და მუყაითად და სიყვარულით მოჰკიდა ხელი. როგორც აქტიორს, ამას იცნობს მკითხველი საზოგადოება, და ჩემის მხრით აქ პატივით უნდა მოვიხსენო ის, როგორც რეჟისორი მუყაითი და საკმაოდ სცენის მცოდნე“ (გაზ. „თეატრი“, 1885 წ., № 12).

I

გიორგი ეკისთაჰის კომედიებში

„კ. მესხის თამაშში ვატყობთ, რომ არც ის ცდი-
„ქუნწი“ ლობს უშნოდ სიტყვების კლაკენითა და ხტომა-გრეხით
გააცინოს მაყურებელი; ის გვიხატავს ჩვენ სცენაზე ნამ-
დვილ იმერელ ბიქს თავის ენით, თავის მიხრა-მოხრით, თავის
გაიძვერობითა და ეშმაკობით, არც მეტს, არც ნაკლებს. ამიტომაც
არის, რომ ეს ბუნებითი ძალდაუტანებელი თამაში უფ. კ. მესხისა
მაყურებელ საზოგადოებას ასე მოსწონს და ასე გულიანად, მადი-
ანად აცინებს ყველას“. („დროება“, 1879 წ., № 255).

„თავისი სული და გული მიაქცია იწერლის (კ. მესხი)
— მუნჯურ არშიყოებას გოგოსთან (კ. კორინთელისა), რომ-
ლისაგანაც პუბლიკა ხარხარობდა და კუქება დაასქდა
ბევრს სიცილით“ (ს. მგალობლიშვილის—(კობის) რეცენზია, გაზ.
„დროება“, 1880 წ., № 64).

„გაყრა“
და პ. უში. დისი“ — სცენები ქართული თეატრის დაფუძნების დროი-
კაშვილის სა, პეტრე უმიკაშვილისა, „გაყრა“ სამი პირველი მოქ-
„სამზადი- მედება, გ. ერისთავისა, „აპოთეოზი“ და ბოლოს „ლე-
ბი“ კური“, თუმცა ფასები საბენეფისო იყო დანიშნული, ე.ი
ჩვეულებრივზე გადამეტებული, თუმცა დღეც ისეთი იყო, როდესაც
ყოველი კაცი შინაც კარგად მხიარულობს და ბერდება საახალწლო
„გოზინაყით“, მაინც თეატრის დარბაზში იმდენმა ხალხმა მოიყარა
თავი, რომ არა გეჯეროდა, თუ ქართულს თეატრში ვიყავით...
მართლაც, რომ დიდის ხელოვნებით იყო შედგენილი ამ საღამოს
პროგრამმა. პატივემულის პეტრე უმიკაშვილის პიესამ გაღიტანა

მაყურებელთა თვალი და გული იმ დროში, რომელსაც უნდა ეწოდოს „დრო ქართველობის გამოღვიძებისა“. ეს იყო ის დრო, როდესაც გ. ერისთავი, რ. ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი ჯერ ისევ ახალგაზრდა კაცები იყვნენ, იწყებდნენ „ახალ საქმეს“. „სამზადისი“ წარმოადგენს ერთს რეპერტიციას: მაშინდელი ახალგაზრდობა ემზადება „პირველი“-ს ქართული წარმოდგენის გასამართავად. სცენაზედ თავი მოუყრიათ მაშინდელ საუკეთესო ქართველთაგერ დარბის დაუცხრომლად ერთი ლამაზი ახალგაზრდა კაცი რვეულით ხელში, ხან ერთს მსახიობს მიჰვარდება და გაუსწორებს თამაშს, ხან მეორეს, ჰლეღავს, ჰშიშობს, რომ ეს „წმინდა“ და „ახალი“ საქმე არ ჩაიშალოს! ეს არის დამაარსებელი, მამა ქართულის თეატრისა, მარად დაუფიწყარი გიორგი ერისთავი. აქვე ზის ერთი ხანში შესული ფილოსოფოსი, რომელსაც არა სწამს, ანუ სექპტიკურად უყურებს „ახალს“ საქმეს, უსწორებს მსახიობთ ენას, თხოულობს, რო ყველანი სახარების ენით საუბრობდნენ; მიჰხვდებოდით, რომ ეს არის ჩვენი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი პლატონ იოსელიანი. აგერ მოჰკრა ყური ახალსიტყვას „გამოვიწერე“. პლატონი ჯავრობს: ეგ რა ქართულია? „გამოვიწერე“—კი არა, „დავიბარე“. აი ასე: „დავიბარე წიგნი პარიჟიდან და ვირი თავრიზიდან!“

როგორც ჩინებულმა მხატვარმა ორის-სამის ხაზის გასმით დახატოს სახე, რომელიც თუმცა დასრულებული არ არის, მაგრამ საკვირვლად კი ჰგავს ნამდვილ სურათს.—ისე პეტრე უმიკაშვილის მოქმედნი არიან დახატულნი, თუმცა ბევრს არას ჰლაპარაკობენ, მაგრამ, ორიოდ მათი სიტყვა ისე ცოცხლად ახასიათებს მოქმელს, რომ მაყურებელი სრულს ილიუზიას ეძლევა: ჰგონია, რომ იმის წინ ლაპარაკობენ ნამდვილად: პლატონ იოსელიანი, გ. ერისთავი, ქეთევან ორბელიანი, რევაზ ერისთავი, დიმიტრი ყიფიანი, მიხეილ კილაშვილი, გრიგოლ შანშიევი და სხვანი...

ყოველივე ეს ისე იყო მოწყობილი სცენის მხრივ, რომ უკეთესს თვით ჯიუტი კრიტიკოსიც ვეღარ მოითხოვდა. ქება და დიდება რეჟისორს კ. მესხს“. (მე გახლავარ ის (მიხეილ ნასიძე), რეცენზია, გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 2).

„დავა“ ნეტარ ხსენებულის გიორგი ერისთავისა ლათინიანად ითამაშეს. განსაკუთრებით თავი იჩინეს ქ-ნმა ჩერკეზიშვილისამ და ბ-ნმა აბაშიძემ, კოტე მესხმა და შათირიშვილმა. ბ-ნი კოტე მესხი ჩინებული თავადი იყო იმერეთისა; ზომიერად, ხან მკვირცხლად, ხან გაბრტყელებით მისი საუ-

ბარი გვაგონდება უწინდებურ დარბაისელს იმერისშვილს, რომელიც გაოცებით მოუყვება მეგობარს საკვირველებას ქვეყნის ცვალებადობისას. განსაკუთრებით მისი გამოსვლა და სალამის მირთქევა იყო შესანიშნავი; ეს ძველებური ჩვეულება სალამის დასწრებისა, მართლა რომ ხელოვანად აღნიშნა“ („ივერია“, 1899 წ., № 2).

„გ. ერისთავის კომედია „დავა“ თითქმის მწყობრად „დავა“ და ანსამბლით იქნა შესრულებული. ვ. აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, კ. მესხი, კ. შათირიშვილი, ს. სვიმონიძე, გ. გედევანოვი უნაკლოდ ასრულებდნენ თავიანთ როლებს...“ (გაზ. „ცნობის ფურცელი“, 1901 წ., № 1345).

„სანამეტნაოდ მარილიანად და შესაფერი კომიზმით — ჩაატარეს სამთავემ (აბაშიძემ, მესხმა და გედევანოვმა) სცენა სტრიაპჩისთან... კარგი იყო კ. მესხი იმერელი თავადიშვილის როლში.“ („კვალი“. 1901 წ., № 2).

ბ-ნმა კ. მესხმა ჩინებულად წარმოგვიდგინა ლომინ გოდაბრელიძე — კილო, მიხრა-მოხრა სწორედ ლიხს-გადაღმელისა ჰქონდა. სცენაზე რომ ფეხი შემოდგა და იმერული სალამი თქვა, იმწამსვე გვეუფლა ყველა მსმენელთ, შეგვბოქა. ლიხის შთის გადაღმა გაგვტყორცნა და „კაკალ“ შუა გულ იმერეთში დაგვასკუპა („ივერია“, 1903 წ., № 104).

ილია ჭავჭავაძისა და აკაკი წერათლის პიესებში

ილია ჭავჭავაძის „ქართველის დედა“ („დედა და შვილი“) დაწერილი ნიქიერის და გრძნობით სავსე ავტორისაგან, ალტაცებაში მოიყვანდა საზოგადოებას, მით უფრო, რომ დედამ (ქ. გაბუნია) და შვილმა (ბ. მესხმა) ყოველი საშუალება იხმარეს და ეს საშუალება-კი თუ მოიწადინეს ორთავ საკმაო აქვსთ, ღირსეულად ეთამაშნათ ამ სალამოს.

ლექსები ჰქონდათ ჩინებულად დასწავლილი, იმათი წარმოთქმა მოაზრებული და მოანგარიშებული და თამაში შესაფერი. იმათ ისე კარგად მოეშაღებინათ ეს სცენა, რომ ჩვენს თეატრში ქართულს წარმოდგენაზე პირველათა ვნახე უსუფლიოროდ თამაში, რომელმაც საკმაოდ გაგვაკვირვა და ნება-უნებლიე წარმოგვათქმევინა: ჩვენს მოთამაშეთაც შესძლებიათ როლების დასწავლა და უსუფლიოროდ თამაში! ამას გარდა ჩვენ პირველად ეხლა ვნახეთ ლექსით ლაპარაკი, წარმოდგენა ქართულად და მართლაც გისიამოვნეთ ჩინებულის ლექსებით და ჩინებულის აღსრულებით. ამისთვისაც საზოგადოება იმ გატაცებაჲდის მივიდა, რომ ათჯერ მეტად გამოიწვიეს ამ სცენის ნიჭიერი აღმასრულებლები. უეჭველია ამ ზამთარში კიდევ რამდენჯერმე დაგვატკობონ ამ სასიამოვნოს წარმოდგენით... ბევრი დაკარგეს იმ პირთ, ვინც ამ სცენას არ დაესწრნენ“ („დროება“, 1882 წ., № 203).

...წარმოდგენის წინ ქ. ლეონიძისა და ბ.ნი მესხი-
— წაიკითხავენ ილ. ქაეკავაძის სცენას „დედა და შვილი“. მოთამაშენი: ქქ. გაბუნია-ცაგარლისა, საფაროვი-აბაშიძისა, ლეონიძისა, ბბ. აბაშიძე, მესხი, ალექსევე-მესხივეი, აწყურელი და მაქსიმიძე“ („ივერია“, 1881 წ., № 1).

„რაც შეეხება თვითეული აქტიორის თა-
აკაკი წერეთლის მაშობას აკ. წერეთლის კომედიაში, ყველა-
„კინტო“ ზედ უწინარეს უნდა შევნიშნოთ გაბუნიას-
ქალი და უუ. მესხი.

უფ. კოტე მესხი, რომელიც იმერელ მსახურს თამაშობდა, ჩვეულებრივად ძალიან კარგი იყო. მის თამაშობას, ნიქს გარდა, ეტყობა მეცადინეობა, დაკვირვება, შრომა“ (გაზ. „დროება“, 1880 წ., № 9).

...კოტე მესხმა იგივე ნაკლულევეანება გა-
აკაკი წერეთლის მოიჩინა, როგორც მოლიერის კომედიაში.
„ბუტიაობა“ ე. ი. მიმიკის ნაკლებობა. პირველ სცენაში, როდესაც მესხი და აბაშიძის ცოლი (საფაროვის ქალი) მოქმედობენ თავი და თავი საქმე მიმიკაა, პირისახის თამაშობა.

კოტე მესხის მიმიკის ნაკლებობაზე რომ ვამბობ, აზრში მაქვს ის მიმიკური მოძრაობა, რომელიც შეეხება სიცილს, სიმხიარულეს,

შინაგან კმაყოფილებას და სხვ. ამგვარს. აი, როცა ამავე ვოლდევილ-ში კ. მესხს ყელში მივარდნენ, დაგახრჩობო, მაშინ მესხის პირის გამომეტყველება სრულიად უნაკლულო იყო" („დროება“, 1880 წ., № 20).

გიორგი ნაჩათლის პიასაში

„ქუთაისი, 6 მცისს. ქუთაისის ტრუპპამ კარგი დრო „ოჯახის ამოირჩია წარმოდგენების მისაცემად. წარმოადგინეს ასული“ გიორგი წერეთლის დრამა „ოჯახის ასული“ და ვოლდევილი ივ. მესხისაგან გადმოთარგმნილი „ჰერკულესი“. წარმოდგენა დრამის პირველი მოქმედებისა ძალიან უხეიროდ წავიდა, ამისათვის რომ დაბლა ლაპარაკობდნენ აქტიორები და ხალხს არა ეყურებოდ-რა; როდესაც თავი მოაბეზრეს მოთამაშეებს—„ხმამალლა და ხმამალლა“, პატარა მაშინ გაბედეს ხმამალლა ლაპარაკი. ამ უსიამოვნო დროს გამოვიდა სცენაზე დომენტის შვილი გრიგოლ, პოლკის ოფიცერი, რომელსაც არდგენდა კ. მესხი და ხალხში სიხარული ჩამოაგდო: სწორედ რომ გინახავთ დახელოვნებული ოფიცერი—ეს იყო. პირმოთნეობით ჰპირდებოდა მამას ფულებს ქალის გათხოვებისათვის. განსაკუთრებით ჩინებულად წარმოადგინა ის ადგილი, როდესაც უამბობს სახლობას, როგორ მოუხდათ პლევნაში ომი და როგორ იბრძოდნენ; ისეთნაირად ხელოვნურად გამოხატა სცენაზე ზარბაზნის ქუხილი, რომ დედ-მამა, სიძეები თუ დები დაილიენენ შიშით; ერთი ამათი სიძე (მარჯანოვი) ისეთი გაცბუნებული შესცქეროდა და ისეთნაირათ დაელო პირი, ორასი ბუზი რომ ყოფილიყო, გადაჰყლაპავდა. ჩინებულად გამოხატა აგრეთვე ის შიში და ნაღველიც, როცა დისა და სიძის სადღეგრძელოს სვამდა ბაკალით და ამ დროს უეცრად გუბერნატორის ჩინოვნიკი შემოვიდა და უთხრა, რომ გუბერნატორი გეძახისო. კარგად გამოხატა დედ-მამასთან გამოთხოვება, ოდესაში რომ მიჰყავდათ ფულების შექმისათვის; თუმცა ბრავოს დახილით აღარა გვესმოდა-რა, მაგრამ ამ მომენტში ხალხში სიჩუმე შეიქნა, ბევრ მაყურებელს შენიშნავდით თვალებზე ცრემლებს“. („დროება“, 1880 წ., № 99).

„მხოლოდ შენიშენას მიეცემთ თომაშვილს, რო-
 „რაც ვინახავს, მელიც თამაშობდა მოურავის როლს და მესხს,
 ველარ ნახავ“ რომელიც თამაშობდა მსახური კობტაიას როლს...
 მესხი გამოდის ხანდისხან, გაბუნიას ქალივით, რო-
 ლიდან, ერთობ ხელის ქანება, ხტუნვა საკირო არ იყო მოურავ-
 თან ლაპარაკის დროს, კინალამ თვალეტი დასთხარა თითის ქნვევით
 მოურავს, თუმცა კი ამით საქმე აგრე რიგათ არ გაუფუჭებია“
 (ს. მგალობლიშვილი (კოხი), გაზ. „დროება“, 1880 წ., № 75)..

დ. ეკისთავის პიესაში

„ეს იყო პირველი ქართული წარმოდგენა ქარ-
 „სამშობლო“ თულ ენაზე. მე პირველად ამ საღამოს გამიარა-
 ტანში ერუანტელმა და ვიგარძენი კეწმარიტი კმა-
 ყოფილება ქართული ხელოვნებისაგან. საფაროვი, ავალიშვილი,
 აბაშიძე, გაბუნია, მესხი, მესხიშვილი, ყიფიანი—ერთი-ერთმანეთზე.
 უკეთესნი იყვნენ. თეატრი იმტვრეოდა შედღეღებული ხალხის ტა-
 შისკვრისა და ვაშას ძახილისაგან“ (ი. მეუნარგია, „ქართველი მწერ-
 ლები“, თბილისი, 1944 წ., ტ. II, გვ. 135).

— „კოტე მამიყვანა. იმ საღამოს შეგროვილიყვნენ
 ჩვენი მსახიობები დ. ერისთავის სადგომში. უნდა.
 ყველას წაეკითხა თავისი როლი. ...გოგია დიაკნის
 როლი კ. მესხმა დიდი ხელოვნებით შეასრულა. (ეფ. მესხი „მოგო-
 ნებები“, საქართველოს სახელმწიფო თეატრალური მუზეუმის ხელ-
 ნაწერთა ფონდი № 1728).

— „კოტე მესხს თბილისი კარგად იცნობს; ხოლო.
 რაც შეეხება ლევან ხიმშიაშვილის როლის მიცემას.
 ამ არტისტისათვის, ჩვენის აზრით ეს დიდი შეც-
 დომა უნდა იყოს. ჩვენ ძვირად გამოგვიცდია, რომ კოტე მესხის-
 თამაშს ოდესმე შევეწუხებინათ, არტისტი ისე არასოდეს არ წა-

ახდენს როლს, რომ მაყურებელს საყვედურო ათქმევინოს. ამის მიზეზი, რასაკვირველია, ისაა, რომ ბ-ნი მესხი ძალიან მუყაითი და ბეჯითი არტისტია და ალაღბედზე გამოსვლა სცენაზე არ უყვარს.

მაგრამ პირველს ოთხ მოქმედებაში ბ-ნი მესხი, ნათლად სჩანდა, ვერ ჰგრძნობდა თავს შესაფერის მდგომარეობაში. თეატრის გამგეობამ უნდა იცოდეს, რომ შეყვარებულისა და არშიყი კაცების როლი ბ. მესხის ბუნების საქმე არ არის და როდესაც თითონ არტისტზე ყოფილა დამოკიდებული როლის გამორჩევა, იგი ამგვარს როლებს გაურბის.

სამაგიეროდ, უკანასკნელ მოქმედებაში, სადაც ლევანის კეთილ-შობილური გრძნობა შეურაცხყოფილია ქეთევანის ღალატით, როდესაც ეს გმირი ყმაწვილი კაცი ითმენს უსამართლო ბრალდებას თავის ამხანაგთან, რომ იგი სამშობლოს მოღალატეა, იუდაა, მაშინ არტისტი შეუდარებელი იყო. მთელი თეატრის დარბაზი სრულიად დაიმორჩილა იმისმა ძლიერმა სულის მღელვარებამ, იმისმა საშინელმა რისხვამ. საბრალო ქეთევანი, სიყვარულისაგან დარეტიანებული ტყუილად სცდილობდა სცენაზე სირბილით თავი დაეღწია იმ სასჯელს, რომელიც მას მოელოდა.

ეს მომენტი სავსეა ტრაგიზმით, იგი მოგვაგონებს ოტელოსაგან დეზდემონას მოკვლას, თუმცა სულ სხვა მოტივით, და რომ ქბ. ავალიშვილისას შესძლებოდა შეეგნო თავისი როლი უნაკლულად, მეხუთე მოქმედება სავსებით გამოისყიდდა მთელის წარმოდგენის ნაკლულოვანებას“ („ივერია“, 1895 წ., № 206).

„კოტე მესხი კი ძლიერ კარგი იყო უკანასკნელ „სამშობლო“ მოქმედებაში. ასე ხელოვნურად ლევანის სულის მოძრაობის დახატვა იმ დროს, როცა ის მიხვდება ქეთევანის ღალატს და გადაწყვეტს ქეთევანის მოკვლას და უნებურ დანაშაულობის გამო თავის თავის, — იშვიათად ენახებება ქართულ თეატრში მოსიარულეს“ (ჟურ. „კვალი“, 1895 წ., № 43).

— „კ. მესხი (ლევან ხიმშიაშვილი) ვერ იყო თავის ქერკში და ამას, რამდენადაც შევატყვეთ, თვით მსახიობიცა გრძნობდა, რაიცა კიდევ უფრო უშლიდა ხელსა“ („ივერია“, 1903 წ., № 203).

„უმთავრეს როლებს გეო და მინასისას, ასრუ-
„გეო-მინას და ლებდნენ ჩენი სცენის უკეთესნი მოთამაშენი—
კომპანია“ ბარხუდარიანცი და კ. მესხი, რომელთაც სრუ-
ლიად უნაკლულად აღასრულეს თავიანთი როლე-
ბი და ამგვარად დაიხსნეს ეს კომედია უკიდურეს ჩასცო-საგან“
(„ივერია“, 1878 წ., № 25).

ბიოგრაფიული შარვაშიძის პიესაში

„სამმა ჩენი თეატრის დასის საუკეთესო მოთა-
„შომაკვდავნი“ მაშეებმა: ვ. იბაშიძემ, ნ. ვაბუნიასამ და კ. მესხმა
სწორედ ხორცშესხმულ იდამიანებად გამოგვიხატეს
ის ტიპები, რომელნიც ავტორს ჰყავს პიესაში გამოყვანილი... და
იმისთანა, ცხოვრებისაგან გათელილი, უხასიათო და გარყვნილების
საზღვრამდი მისული, მაგრამ მალე სწორ გზაზე დამდგარი და
მორჯულებული კაცი, როგორც არის „ბატონიშვილი გრიგოლ—
კ. მესხი“ („ღრობა“, 1881 წ., № 239).

ვანე მაკაბის მიერ გარემოკეთებულ პიესაში

„ადვოკატი შელაძე“ „ადვოკატის როლი ისეთი სასაცილო რო-
ლია, რომ თუ აქტიორს ცოტაოდენიც არის
კომიკური ნიჭი აქვს ადვილად შეუძლია შეასრულოს. კ. მესხმა ეს
როლი ურიგოდ არ ითამაშა“ (ვახ. „ღრობა“, 1880 წ., № 61).

აღ. სუბუთაშვილის პიესაში

„ეს როლი შეასრულა კონს. მესხმა. საუცხოო
„ლალატი“ გრიმი და საზოგადოდ გარეგნობა ჰქონდა ბ-ნ
მესხს და ჩემის აზრით კარგადაც დაიწყო. სამწუ-
ხაროდ, შემდეგში გადაკარბებულის ხელების ქნევითა და ფიცხის
მოდრობით მსახიობმა შეასუსტა პირველი შთაბეჭდილება. ანანია
ათას კირვარამში გამოვლილი კაცია და ყოველ სიტყვას აწონ-და-
წონვით, ანგარიშით ამბობს. ბ ნ მესხს არ ეტყობოდა ეს“ („ცნო-
ბის ფურცელი“, 1904 წ., № 2440)

კ. მესხი—სუმბათაშვილი-იუვინი

„ღღეს პირველად წარმოადგინეს „ბორკილი“
„ბორკილი“ ქართულს სცენაზე და სამაგალითოდაც ჩაიარა.
არტისტი ქალნი და კაცნი ერთად ვართ შეკრე-
ბილნი, გილოცავთ და თქვენ სადღეგრძელოსა ვსვამთ. რეჟისორი
მესხი“.

პასუხად კოტე მესხს შემდეგი დეპეშა მოსვლია: „აგრე დიდად
ძნელად თუ რომელსამე კარგს ამბავს გაუბედნიერებოვარ, გულითა
ვმადლობ ჩემს ძვირფასს ძმებს სამშობლოთიკა და ხელოვნებითაკა.
ვსვამ სადღეგრძელოს ჩემის სამშობლოს ქართულის „სცენის ბედ-
ნიერ მერმისისას“, იმ სცენის მერმისისას, რომელიც ეხლავე მდი-
დარია ნიკიერის მოღვაწეებითა. თქვენი სუმბათოვი“. („ივერია“,
1890, № 269).

3. გუნიას პიესაში

„არც კ. მესხმა დაიმსახურა ნაკლები ყურადღება
„და-ძმა“ ოტია ჯოლიას როლში, რომელიც თავითგან ბოლომდის
ხელოვნურად ჩაატარა, მაგრამ ყველაზე უფრო ძლიე-
რად და ხელოვნურად ითამაშა ის ადგილი, სადაც ოტია მთვრალი,
გართული იმ ფიქრებში, რომ მომავალში ის დიდებული შეიქნება,
სამეგრელოს ტახტზე ავა, იძინებს. თანდათან მეტად ღვინის და-
მონება, ძილის მოპარვა, არევა ლაპარაკისა, აზრისა და ბოლოს
ღვინისაგან რამოდენიმეჯერ შეშფოთება, მაგრამ ბოლოს მაინც
ძილი იმდენად ხელოვნურად, უზადოდ აღასრულა, რომ სიმართ-
ლისათვის ოდნავაც არ უღალატნია“ (მენავე, „ივერია“, 1893 წ.,
№ 265).

კოლე მესხი თავის პიესებში

„ქუთაისი. ნ იანვარს ჩვენს ახალ თეატრში
პირველად წარმოადგინეს „ლანგ-თემური“,
„ლანგ-თემური“ ანუ „სამშობლოს სადიდებლად“ ოთხ მოქ-
მედებიანი ახალი ტრაგედია—ლექსად, შიღ-
გენილი კ. ს. მესხისაგან. ეს ტრაგედია გადმოკეთებული უნდა
იყოს ფრიდრიხ გალმის დრამიდან „ტუსნელდ“, მაგრამ ისე ხელოვნ-

ნურად კი, რომ ჩონჩხის გარდა სხვა არა მიგახვედრებს რა, თუ ეს თხზულება თავით ბოლომდე ორიგინალური არ არის, საქართველოს ისტორიიდან ამოღებული. ტრაგედია გვიხატავს ლანგ-თემურის შემოსევას საქართველოში, ბაგრატ V დროს, როდესაც თვით საქართველოს მეფე დატყვევებული იქნა და ქვეყანა განადგურებული. ლექსი მეტად მსუბუქია, ადვილად გასაგონი და სასიამოვნო მოსასმენი. დიდი მზადება ჰქონდათ ჩვენ არტისტებს ამ პიესის წარმოსადგენად, ტანსაცმელიც კი სულ ახალი შეაკვირვინეს და სიამოვნებით უნდა ვსთქვათ, რომ წარმოდგენამ მეტად კარგად ჩაიარა. ხალხით სავსე იყო თეატრი და უზილეთობისა და უალაგობის გამო ბევრნი გულდაწყვეტილნი დარჩნენ გარედ. კოტე მესხმა ბაგრატ მეფის და ეფემია მესხმა ანა დედოფლის როლში, ჩინებულად ითამაშეს; მეტად კარგი იყო ლოცვა დედოფლისა მესამე მოქმედებაში და ის ადგილი, სადაც მტარვალს ბაგრატ-მეფე განთავისუფლებას ემუდარება“ (გრ. ჩარკვიანი, გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 12).

„კარგად ითამაშა რუსთველის როლი კ. მესხმა“
„რუსთაველი“ (მაზაკვალი—გ. წერეთელი; „კვალი“, 1898 წ., № 50).

— „ხუთშაბათს, 2 დეკემბერს, კ. მესხმა თავის საბენეფისოდ აირჩია საკუთარი დრამა „რუსთაველი“ რომლის სიუჟეტი გადმოღებულია ცნობილ სტრუვენზეს პიესიდან, და რ. ერისთავის ვოდევრე „ბიძიასთან გამოხუმრება“. „რუსთაველში“ ავტორს სურს დაგვიხატოს ჩვენის სასიკადულო მგოსნის შოთა რუსთაველის ყოფა-ცხოვრება, მისი საზოგადო მოღვაწეობა და მიმართულება, თამარ მეფესთან მისი დამოკიდებულება და საერთოდ, თამარის დროის ხანა, რამდენადაც იგი ახასიათებს შოთას.

ამ უკანასკნელის შესახებ თითქმის არაფერთარიცნობა არა გვაქვს ხელთ, გარდა მისი თხზულების „ვეფხისტყაოსნისა“, რომელიც დღემდე ერთადერთი სარკეა, მგოსნის ზნეობრივის თუ გონებრივის ფიზიონომიის მაჩვენებელი; ამიტომაც ყოველი ახალი ცდა, რომელსაც საგნად გაუხდია ნათელი მოპფინოს ჩვენის მგოსნის წყვედიადით მოკულს პიროვნებას, საინტერესოა ჩვენთვის და ამ მხრივ საინტერესოა კ. მესხის პიესაც.

შოთა ამ პიესაში თავგამოდებული მამულის¹ შეიღადა, თავისი დროისათვის კარგად განათლებულ რეფორმატორად არის გამოყვანილი. მისი წადილია, ყმაწვილი თამარის დახმარებით, საქართველო გასწმინდოს იმ ძარცვა-რბევისაგან, მონობისა და გახრწნილობისაგან, რომელიც თავწასულ დიდებულთ შექჳონდათ საზოგადოების ცხოვრებაში. თავგამოდებული მოღვაწე, რასაკვირველია, შურისა და მტრობის მეტს ვერაფერს გამოიწვევდა დიდებულთა შორის, მაგრამ მგოსანს თამარის დახმარება ასულდგმულებად, მისი იმედები უფრო შორსაც მიდიოდა, მაგრამ დიდებულთა გადაწყვეტილების თანახმად, თამარი საქმროდ ირჩევეს დავით სოსლანს. ამ არჩევანმა შოთას, რომელსაც თამარი უყვარდა, ერთხნობით იმედები ჩაუშალა, დააპირა კიდევ სამსახურიდგან გასვლა, მაგრამ თამარის თხოვნამ მის იმედებს კვლავ ფრთები შეასხა და სამსახურის განგრძობა აკისრებინა. ამ დროს თამარი დიდებულთა გამოსაცდელად დაუჯერებს მართელი² შვილის დაბეზღებას და განგებ ჩაადგდებინებს ციხეში შოთას. შოთა სულგრძელობით იტანს სასჯელს, მადლობით იხსენიებს ღვთისა და მეფის სახელს და მზადაც არის სულიც განუტევეს. მაგრამ ლიპარიტ ორბელიანს, რომელიც რალაცა მანქანებით მის მოსისხლე მტრისაგან მოყვარედ გადაქცეულა, ახარებს შოთას მეფის წყალობა მალე თვით თამარიც მობრძანდება, ყველაფერს უხსნის შოთას, მის მტრებს სახელმწიფოდან რეკავს და კვლავ იწვევს ქვეყნის სამსახურად; მაგრამ შოთა მადლობას სწირავს მეფეს, მასთან ერთად მთებში მიდის და თავის მადლობისა და აღტაცების ნიშნად მეფეს თავისს თხზულებას „ვეფხისტყაოსანს“ მიართმევს. ნასკვი დრამისა აზრიანი და სიმართლის მინაგვარია. ზოგ-ზოგი მომენტები კარგადაც არის დახასიათებული, მაგ. თამარ მეფე ცოცხალი პირია პიესაში. დიდებულთა თათბირი მართლა ძველ დროს მოგავიწყებთ. მაგრამ საერთო ნაკლულევალება პიესისა ის არაა, რომ მოქმედება ნაკლებია, მკრთალად არის დახატული მოქმედთა სულიერი მდგომარეობა. მკრთალად არის დახატული სულიერი მდგომარეობა თვით შოთასიც. უკახასკნელ მოქმედებაში ხომ მაცურებლისათვის გაუგებარი რჩება ის ფსიქოლოგიური მდგომარეობა, რომელიც შოთას თამარისა და საქვეყნო საქმის განშორებას აიძულებს: შთაბეჭდილებას ხელს უშლის კიდევ ტენდენციური შესხმა და ქება, რომელთაც ხშირად

უძღვნის თავის თავს შოთა, — ეს თავმდაბლობისა და სიწყნარის მაგალითი, რაშდენადაც მის დიდებულ ნაწარმოებებიდან სჩანს...

წარმოდგენილი პიესა კარგი იყო; კარგები იყვნენ თვით მობენეფისე, ნ. ჩხეიძე და სხ.

თეატრი თითქმის სავსე იყო. ხალხმა მობენეფისეს საჩუქრები მიართვა“. („ივერია“, 1903 წ., № 259).

დ. მესხის ბადმოკეთებულ პიესაში

„სურამის ციხე“ დ. ჭონქაძის მოთხრობის მიხედვით „ბ-ნი კ. დ. მესხებს კი დღეს სრულებით არ ეტყობოდათ ცდა და შრომა. ორივემ სუსტად ჩაატარეს თავიანთი როლები. ასეთი თამაშობა სულ არ შეჰფერის ბ-ნი კ. მესხის ნიქს. არ მოგვეწონა ბ-ნი კ. მესხი IV მოქმედების ბოლოს, როდესაც ზურაბს (დურმიშხანის შვილს) ციხის კედელში ჰკირავენ; არტიისტი ისე თავისუფლად და არხეინად იღვა, თითქოს იმის თქმა უნდოდა: მართლა კი არა მკირავენ, ეს მხოლოდ თვალთმაქცობა არისო. კაცს ცოცხლად ჰმარხავენ და ის, არამც თუ იტანჯება და არა სწყუხს, ყურადღებასაც არ აქცევს თავის მდგომარეობას და ხესავით არის გაჩერებული. ვერაფერი საამოა ასეთი თამაშობა, ნამეტურ ისეთის ნიჭიერის არტიისტისაგან, როგორიც არის ბ-ნი კ. მესხი“ („ივერია“, 1893 წ., № 24).

კოჭა მესხი — სცენების მკითხველი

„სცენები“ „7 იანვარს, თბილისის კეთილშობილთა კლუბმა იდღესასწაულა თავის 25 წლის დაარსების დღე (იუბილე), 800-მდე წევრი იყო იმ საღამოს ვახშამზე მოწვეული. სხვათა შორის, კლუბში გამართული იყო პატარა კონცერტი და სალიტერატურო საღამო; გაბუნიას ქალმა თავის ქართული სიმღერებითა და უფ. კ. მესხმა თავის იმერული სცენებით ბევრი ტაში და „ბისი“ მიიღეს“ („დროება“, 1880 წ., № 6).

— „ქუთაისი დამ გვეწერენ, რომ იტალიიდან ახლად ჩამოსულს ქართველ მომღერალს ქორიძეს ამ თვის 7-ს გაუმართავს ის კონცერტი, რომელზედაც დიდძალი ხალხი დასწრებია. ბ. ქორიძის კონცერტში კოტე მესხსაც მიუღია მონაწილეობა და ეს ორი პირი ამეამად ფოთში, ბორჯომში, აბასთუმანში და ბათუმში მოგზაურობისა და კონცერტების გამართვას აპირებენო. შემდეგ ბ. ქორიძე თბილისში ჩამოვა და აქ გამართავს რამდენსამე კონცერტს“ („დროება“, 1880 წ., № 121).

— „კ. მესხის გამოსათხოვარი ლიტერატურულ-მუსიკალური საღამო (საზღვარგარეთ გამგზავრების წინ) ა. წერეთლის, რ. ერისთავის, და სხვათა მონაწილეობით. კ. მესხმა წაიკითხა „შეშლილის წერილები“ ნ. გოგოლისა, თარგმანი კ. მესხისა“ („დროება“, 1880 წ., № 83).

II

ად. გრიგორაძის კომპილიაში

„ბ-ნი მესხი ასრულებდა ჩაქვის როლს „გაი-ჰკუისაგან“ ბ-ნი მესხი დახელოვნებული არტისტია, ბევრი უნახავს და რაკი იქისრა იმისთანა მძიმე როლი, მეტიც მოეთხოვება. ჩვენის აზრით, მესხი ვერა ჰხატავდა იმ გულის გრძნობას, რომელსაც ჩაქვი გრძნობს, არც მიმიკა, არც თამაშობა და ტემპერამენტი ჩაქვისას არა ჰგვანდა. მესხის თამაშობა უფრო მელოდრამის, რომელიმე როლის ასრულებას მოგვაგონებდა, სადაც პათოსით წარმოთქმული მონოლოგებით იმსახურებენ ტაშის ცემას. მესხს მეტი გრძნობა, სიღარბაისლე და ქკუის გამოხატულება უნდა მიეცა თავის როლისათვის. გარდა ამისა კ. მესხი ისე დადიოდა სცენაზე, თითქო პურლეინოს ოთახში დადის, სადილს უცდის, ან თეატრის კარიდორში დასეირნობსო. მართალია, არტისტს თავისუფლად უნდა ექიროს თავი სცენაზე, მაგრამ ეს თავისუფლება არ უნდა ჰგავდეს ჩვეულებრივს. მაინც ბ. მესხმა ბოლომდე რიგიანად გაატარა როლი“, („ცნობის ფურცელი“, 1900 წ., № 1274).

მოგონის კომედიანი

„რევიზორი“
ოსიპის როლი — ბ-ნმა კ. მესხმა კიდევ ერთხელ დაგვიმტკიცა, რომ სწორედ კომედიისათვის აქვს დიდი ნიჭი და უნარი“ („ივერია“, 1897 წ., № 258).

— „გუშინწინ, ბ. აბაშიძის ბენეფისზე ძალიან ცოტა ხალხი შეიყარა. ჩვენ ეს შემთხვევა მივაწერეთ იმას, რომ ბ. აბაშიძემ დასდგა „რევიზორი“, ჩვენი საზოგადოებისაგან რამდენჯერმე ნახული. აბაშიძე, უეპკე-ლია, ჰფიქრობდა, რომ მოთამაშე პირების შეცვლით, როგორც ბ. ყიფიანის გამოსვლა გოროდნიჩის როლში, ბ. მესხის ოსიპის როლში, ხალხს მიიზიდავდა, მაგრამ, სამწუხაროდ, იმედი არ გაუმართლდა, თუმცა ჩინებულნი იყვნენ, ნამეტნაველ ბ. აბაშიძე“ („დროება“, 1882 წ., № 270).

— „კ. მესხმა ოსიპის როლი საუცხოვოდ შეასრულა და სიცილით დახოცა ხალხი“ („ცნობის ფურცელი“, 1897 წ., № 399).

— ...„К. Месхи в роли Осипа имел как и всегда, большой успех...“ (газета „Кавказ“, 1898 г., № 330).

ა. სუხოვო-კობილინის კომედიანი

„კრეჩინსკის ქორ-
წინება“ — „წელს ჩვენი ორი დამსახურებული მსახიობი კ. მესხი და ვ. აბაშიძე, ორივე რეჟისორებად გამზდარან. ესეც კარგი ნიშანია, რადგან მათ ხელოვნების საქმე ჩინებულად აქვთ შესწავლილი. პირველ დაწყებისათვის პიესებიც კარგი გამოერჩია, „კრეჩინსკის ქორწინება“, კლასიკური კომედია ზუსულ ენაზე, ქართულად თარგმნილი ა. ლულაძის მიერ და ახალი პიესა „ჰკუისა მკირს“, კომედია ერთ მოქმედებად ავ. ცაგარლისა“ (ეურ. „კვლი“, 1898 წ., № 46).

— „რასპლუევის როლს კ. მესხი ასრულებდა. იმისმა ხელოვნურმა თამაშობამ ბევრი ასიამოვნა და აცინა საზოგადოება, მაგრამ იგი რასპლუევი კი არ იყო, არა-

მედ სავოდვეილო ხუმარა. რასპლუევის ზნეობა-დაცემულობა, გათახ-სირებული პიროვნება, სიპლუტე და გაიძვერობა ერთსა და იმავ დროს ზიზლსა და სიბრაღულს უნდა იწვევდეს, ბ-ნი კ. მესხი-კი სიცილს იწვევდა, მხოლოდ სიცილს სხვას არაფერს* (მანოელიძის რეცენ-ზია, „ივერია“, 1898 წ., №239).

აღეჟსანდრეი ოსვაროვსკის კომედიუმი

„შემოსავლიანი ადგილი“
„სწორედ ამ დასმა მიიღო თავის წრეში ახალგაზრდა კოტე მესხი და ვასო აბაშიძე. პირველი წარმოდგენა, რომელშიაც ისინი გამოვიდნენ, იყო ოსტროვსკის პიესა „შემოსავლიანი ადგილი“. მაშინ მათ დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს საზოგადოებაზე და იმ დღიდან შეიქმნენ მისი საყვარელი არტის-ტები“ (გაზ. „თემი“, 1914 წ., № 176).

— ეადოვის როლს კ. მესხი თამაშობდა. თავიდანვე უნდა ვთქვათ, რომ ეადოვის როლი თითქმის ამ პიესის ყველა როლებზე უფრო ძნელი სათამაშოა და თუ კარგი გამოცდილი აქტიორი არ არის, თუ სხვა მოკამათე მოთამაშეებიც რიგიანები არ ჰყავს, ნიჭიერ აქტიორსაც ძალიან გაუჭირდება ყველა იმ ბრძოლისა, მღელვარებისა, გაჭირვებისა და სიხარულის, დარდისა და მწუხარების გამოხატვა, რომელიც დრამატურგს გამოუსახავს ამ ყმაწვილ-კაცის ტიპში.

კ. მესხს პირველი გამოსვლიდანვე შეეცყო, რომ ის არ არის გამოცდილი და დახელოვნებული აქტიორი. ამბობენ, ქუთაისის სცენაზე მან კარგად შეასრულა ეადოვის როლიო. არ ვიციოთ, იქნება მართალია, მაგრამ აქ კი ამას აკლდა სცენაზე ბევრი ისეთი თვისებები, რომელნიც ეადოვის აუცილებელ საკუთრებას შეადგენენ. ეადოვს მოსიყვარულეს არ ჰქონდა გამოხატული საკმაო ღზობიერება, ბედნიერება და სიყვარულის სხივი სახეზე; ეადოვს მრისხანეს არ ჰქონდა ჯეროვანი კეთილშობილური მრისხანება; ეადოვს მღელვარება არ ეტყობოდა, რომ იმის მღელვარება ხელოვნური გაკეთებული არ იყო, არ ეტყობოდა, რომ მართლა სიტყვების

წარმოთქმა, თამაში, ხელების წაყვება არ შეადგენს ბუნებით, მღელვარების ხასიათს.

მხოლოდ ერთ ადგილას, მეხუთე მოქმედებაში, როდესაც ის მოდის ვიშნევსკისთან შემოსავლიანი ადგილის სათხოვნელად, როდესაც წარმოუდგება თვალწინ და დაინახავს, რომ იმის უუკეთილ-შობილეს და უუწმინდეს აბრებსა და რწმენას თვითონაც და სხვებიც ფეხქვეშ სთელავენ, დასცინიან სამასხროდ იკდებენ და როდესაც ის თითქო ხელახლად ფრთებს შეისხამს, გონზე მოვა და წარმოთქვამს თავის მრისხანე, ენერგიულ მონოლოგს ახალი მიმართულების შესახებ, როდესაც ის მაგრად აპირებს დაცვას თავის აზრებისას და ტოლს ეუბნება, შეგიძლია დედაშენთან წასვლაო და სხე. ვამბობთ, მხოლოდ ეს მონოლოგი წარმოსთქვა იმან სწორედ ისე, როგორც ამგვარ ბრძოლაში და მდგომარეობაში მყოფს ეადოვს ეკადრებოდა; მხოლოდ ამ ერთმა მონოლოგმა ცოტა არ იყოს აგვაფრეოლა, ერთნატივით გაგვიარა ჩვენ ტანში და აქედან ვიგრძენით, რომ კარგად, გრძნობიერად, ენერგიულად იყო ეს მონოლოგი წარმოთქმული. ამ ერთმა მონოლოგის წარმოთქმამ დაგვარწმუნა, ჩვენ, რომ უფ. კ. მესხს, თუ რიგიანი ხელმძღვანელი ეყოლება, შეუძლიან ეადოვის ძნელი როლის შესრულება („დროება“, 1879 წ., № 193).

III

დასავრეთ მკროვის რამაჯუკრთა პინსაბში

ივანე მაჩაბელი—კოტე მესხს

12 თებერვალი 1888 წ.
თბილისი

ძმაო კოტე.

დღეს მომივიდა შენი წერილი და აი ვჩქარობ პასუხის შემოთვლას. გიგზავნი კორექტურის ფურცლებს, რაც კი დღემდის მზად არის, იმედი მაქვს მეორე მოქმედების ნახევარს, მესამეს და მეოთხეს 20 ამ თვემდის გამოგიგზავნი. მეხუთეს კი 1 ან 2 მარტს ადრე არ იქნება. თუ ამ წერილის მიღების უმაღლე მომწერ,

შეგიძლიან მე-5 მოქმედება გადაგაწერიანო, თუ საჭირო იქნება მეოთხეც, რომ უფრო მალე მოუსწრო და კარგად მოამზადოთ. მძინაროვის ბრალი არ არის რასაც შენ იწერები; იმან გამომართო პირველი მოქმედება. გადააწერინე კიდევცო, მაგრამ ზერე შე ბეჭედაც დაევიწყე და აღარ ვურჩიე ტყუილად შრომა. „მე კი გისრულე შენს თხოვნას, მაგრამ შენთანაც გვაქვს ერთი სათხოვარი, მე კი არა საერთოდ სუყველასი. აქაც აპირებენ ოტელოს. ხვალ ამ საგანზე გვექნება მოლაპარაკება, თუ გადასწყვეტ თამაშობას ამ წერილს პოსტკრიპტით მოვაწერ. პოსტკრიპტის მოწერა ბანკში დაგვირდება საჩქაროდ და რომ ეს წერილი არ დაგვიანდეს ეხლავე გაცნობებ რაც ამბავია. კ. ყიფიანი თამაშობს იავოს და სხვებიც საკმაოდ შესაფერნი არიან თავთავიანთი როლებისა, დეკორაციები და ტანისამოსი კარგად იცი, როგორ ადვილად მოახერხებ აქ. ეს ყველა, ყველა მაგრამ... ცოტა რამ აკლიათ. ოტელო არ ყავთ, თამაშობენ პიესას 2 მარტს. ბევრი ლაპარაკი რაღა საჭიროა, შენ უნდა იკისრო აქაც ეს როლი. თებერვლის გარე რიცხვებში, რომ მოხვიდე, ე. ი. 26, 27-ში, შეიძლება საერთო რეპეტიციები გამართონ, მანდ უშენოდ მიანდობ ვისმე წარმოდგენების გახსნას, თუ კი წარმოდგენა გაქვს ამ წუთში და მასშუკან აქ ნათამაშები მოხვალ და ქუთაისში ითამაშებ. ჩინებული აზრია, კარგი აზრია. მოახერხებ კიდევ ყველაფერს, ოღონდ შენ ნუ დაიზარებ მოსვლას სხვა არა იყოს რა, ამ სცენაზე არ გინდა მაინც გამოსვლა? შენი ი. მაჩაბელი.

აი ეს არის მომიტანეს მეორე მოქმედების ბოლო და გიგზავნი ამასაც. გთხოვთ ამ წერილის მიღების უმალვე ტელეგრამა მოიწერო, თანხმობისა კი იყოს უეჭველად, რომ შეუდგენენ მომზადებას. ჯილდო თამაშობის იქნება 25—50-მდე. უეჭველად ტელეგრამა გამოგზავნე მიღებისთანავე. (თეატრალური მუზეუმის ხელნაწ. ფონდიდან).

„ოტელოს როლი საკვირველის შეგნებითა და უ. შექსპირის გამომეტყველებით აღასრულა კ. მესხმა. ნამეტურ „ოტელო“ კარგი იყო არტისტი მესამესა და მეოთხე მოქმედებაში, რომელმაც სრულიად გაიტაცა საზოგადოება და გამოაცდევინა მაყურებელთ ის ჯოჯოხეთური ეჭვი, რომლითაც საზარლად იტანჯებოდა შავრი სარდალი. არტისტი

საოცრად გვისურათებდა შურისძიებით სავსესა და გაშმაგებულს
ოტელოს...

ბატონი მესხი, დიახ მადლობის ღირსია, რომ ასეთი ესთეტიკუ-
რი სიამოვნება მიანიჭა მაყურებელთ. (გაზ. „ივერია“, 1895 წ.,
№ 234).

„ჰამლეტი“

„ქარვად თამაშობდა აგრეთვე ბ. კ. მესხი პა-
ტრაა როლს მესაფლავისას“ (გაზ. „ივერია“,
1896 წ., № 23).

„მეფე-ლირი“

„შევეხოთ ეხლა სხვა მსახიობთა, დავიწყოთ
ბ-ნ კოტე მესხისაგან, რომელიც ხუმარას როლს
ასრულებდა. ბ-ნ მესხის ხელოვნება როლის გა-
თვალისწინებაში, შეგნებაში და მისი სასცენო გამოცდილება ცნო-
ბილია ქართულ თეატრში მოსიარულესათვის და ამიტომაც ექვს
გარეშე იყო, რომ ხუმარას როლს იგი ჯეროვნად შეასრულებდა.
ასეც მოხდა. უნდა ვთქვათ, რომ ბ-ნ მესხის თამაშობა სრულიად
უნაკლულა იყო. ხუმარას ორგვარობა, ე. ი. მასხარული გარეგ-
ნობა და ბრძნული შინაარსი, ცრემლში ნარევი სიცილი ზედმი-
წევნით გადმოგვცა. სხვა ვინმე, რომელსაც არ ძალუძს სერიოზუ-
ლად შეგნება როლისა, ეცდებოდა ოხუნჯობა წინ წამოგყენებინა
და საზოგადოებაში სიცილი გაემრავალკეცებინა. კოტე მესხს კი,
როცა ბრძნულ ოხუნჯობას იტყოდა ხოლმე, სახის გამომეტყველება,
მიმოხრა იმგვარი ჰქონდა, რომ გვაჩვენებდა: მე თითონვე ვგრძნობ
მწარე სიმართლეს ჩემის მახვილობისა და ცხოვრების სიცხა-
დე გულს მითუთქავსო. რა არის ხუმარა, თუ არა ცხოვრებაში
გამობრძმედილი; მგრძნობიარე აღამიანი? და ეს მხარე მისის
არსებისა ბ-ნმა კ. მესხმა ხელოვნურად დაგვოხატა. განსაკუთრებით
მშვენიერი იყო მესამე მოქმედების მესამე სურათში, როდესაც
ქეჟა-ქუხილისაგან შემკრთალი, სიცივისაგან აძაგძაგებული ხუმარა
იტანჯება ღირის უბედურობით და სტიქიონის მძვინვარებით.“
(გაზ. „ივერია“, 1899 წ., № 6).

—

„ქირვეულის
შორჯულეობა“

„ქარგი იყო კ. მესხი მეფის მასხარას როლში“
(გ. წერეთელი-მაზაკელი, „ქვალი“, 1899 წ., № 2).

„ჩვენ მადლობელი უნდა ვიყოთ და-ძმა მესხე-
ბისა. იმათ მართლაც რომ შემოიტანეს ჩვენ მსა-
ხიობთა დასში უფრო მეტი სიცხოველე და გა-
აღვიძეს მათ შორის კეთილშობილური გაჯიბრება.
ეს არის მიზეზი, რომ წელს „ანსამბლი“, ერთობრივი მწყობრი

მოქმედება ქართველ მსახიობთა ქების ღირსია. ამ ბოლო დროს ყველანი იჩენენ უფრო მეტ მეცადინეობას, მეტ მხნეობას. ამ გარემოების წყალობით თვით საზოგადოებასაც კი დაეტყო მეტი თანაგრძნობა თავისი თეატრისადმი. პარტერი და ლოქები ისე ცარიელები აღარ არიან, როგორც უწინ იყო ხოლმე და რაიცა შეეხება თეატრის ჩარდაყს, იქ ხომ ტყეა აღარ არის ხოლმე.

სიამოვნებით ვეგებებით კ. მესხისა და მისი ნიჭიერი დის ეფემია მესხის ქართული თეატრის ერთგულ სამსახურს. ისინი მართლაც მიუტოლებელი საკვირონი შეიქმნენ თბილისის ქართული სახიობისათვის. იმედი გვაქვს, ჩვენი თეატრის გამგე კომიტეტიც არაფერს დაშურავს, რომ ეს ორი სასარგებლო პირი მტკიცედ დაუკავშიროს თბილისის ქართულ თეატრს. მისი ღვაწლი სწორეთ ვალსაჩინო იქნება, თუ ამ ორს წარჩინებულს მსახიობს თბილისის ქართულ თეატრს არ მოაკლებს...

კვირას, 17 დეკემბერს ჩვენ დავესწარიტ შექსპირის ხუმოქმედებიანი კომედიის წარმოდგენაზე: „ანჩხლი დედაკაცის დამორჩილება“. ბ-ნ კ. მესხს ამ პიესისათვის დაურქმევია „ქირვეული ცოლის მორჯულება“. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ეს უკანასკნელი სახელი სრულებით არ შეეფერება შექსპირის ანჩხლს ეკატერინას. ერთი რომ „ქირვეული“ უფრო უზნეო, გულცივს და უხასიათო არსებას შეეფერება, მაშინ როდესაც ანჩხლი შეიძლება გულკეთილიც იყოს იმავე დროს და თავგანწირული არსებაც, როგორც ეკატერინე ჰყავს გამოყვანილი თვით შექსპირს. ბ-ნ კ. მესხს, ჯერ როგორც მთარგმნელს და შემდეგ, როგორც მსახიობს, ვერ შეუგნია შექსპირის მიერ დახატული ორბუნებოვანი ქალის არსება, რომელიც თუმცა ანჩხლია, მაგრამ იმავე დროს ღრმად მოყვარული გულიც უცემს. ის მტარვალთა თავის ოჯახში, როდესაც მას კეთილი გულის მამასთან აქვს საქმე და სუსტი გულჩვილი ხასიათის დასთან, ბიანკასთან...

არ შეგვიძლია ამასთანავე ისიც არ ვუსაყვედუროთ ბ-ნ კ. მესხს, რომ სხვათა შორის მისი თარგმანი ძალიან კოჭლობს ქართულ ლექსთა ბუნებრივ მიმოხრაში. ნეტავ ვიცოდნე, რა ქართულია „დავტოლიანდნე?“ ნუ თუ დარბაისელი ქართულის მოლაპარაკე

იტყვის როდესმე ამ ფრაზას: „უნდა დავტოლიანდე“. ამ მცირე გაკვეთილს, იმედი მაქვს, კ. მესხი გულდამშვიდებით მოგვისმენს. ჩვენ ვაფასებთ მის შრომას, მის ხელოვნურ გრძნობას, მის სცენის ცოდნას. მით უმეტესად ფრთხილად უნდა მოიქცეს ის კლასიკური პიესების თამაშში. იგი ნუ დაივიწყებს, რომ მის დას ეფ. მესხს დიდი ბუნებითი მსახიობის ნიჭი აქვს. მაშასადამე, მან უნდა ურჩიოს მას, სანამ დიდმნიშვნელოვან როლს აიღებდეს, თვით პიესა წაიკითხოს, კარგად შეისწავლოს როგორც პიესის შინაარსი, ისე მისი სათამაშო როლის მნიშვნელობა და თუ თვითონ ეფ. მესხისამ ვერ დარია ხელი პიესის და როლის შეგნებას, ძმამ უნდა გააგებინოს და აუხსნას იგი. ამგვარი შრომით კ. მესხი დიდ სარგებლობას მოუტანს ქართულ სცენას და მის ნიჭიერ დასაც“ (გ. წერეთელი – მაზაკვალი. თურ. „კვალი“, 1895 წ., № 53).

„ქირვეულის მორჯულება“ უკერძო, 17 დეკემბერს, ქართულმა დრამატიკულმა დასმა კიდევ ერთი პიესა წარმოადგინა პირველად ქართულ სცენაზე შექსპირის კომედია „ქირვეული ცოლის მორჯულება“, გადმოთარგმნილი კ. მესხის მიერ.

თვით ქირვეულის როლში კ. ეფემია მესხის ასული და პეტრუჩიოს როლში ბ. კ. მესხი, მეტადრე უკანასკნელი, კარგები იყვნენ და ყველაზე კარგად გაატარეს სცენა მეორე მოქმედებაში, როცა ერთმანეთს პირველად შეხვდებიან, და უკანასკნელს სცენაში, ნადიმობის დროს; საუცხოოდ წაიკითხა ბ-ნი კ. მესხმა მონოლოგი მეოთხე მოქმედების ბოლოს“ (გაზ. „ივერია“, 1895 წ., № 274).

— „საუცხოვო, შეუღარებელი იყო კ. მესხი, მომკვიანებელი ქირვეულის ცოლისა, რომელსაც ყველა ყმაწვილი კაცი გაურბოდა და ვერ ბედავდა შერთვას ქალის სიკაპასისა გამო“ (გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 211).

— „შეუღარებელი იყო ბ-ნი კ. მესხი პეტრუჩიოს როლში; სწორედ სიამოვნების ნათელსა ჰფენდა მაყურებლებს მისი გაზომილი ყოველი ფეხის გადადგმა, მისი დაკვირვებით წარმოთქმული სიტყვები და მიხრამოხრა“ (გაზ. „ივერია“, 1903 წ., № 228).

„ქირვეულის მორჯულება“ „პეტრუჩიოს როლი შესანიშნავად ჰქონდა და- მუშავებული. კოტე ვიდრე ცოცხალი იყო, ამ რო- ლის თამაშს ვერაფერ ბედავდა და მე მგონია, რომ ვისმე ეთამაშნა ბევრს წააგებდა“ (ნ. გვარამი, „კოტე მესხი“, გაზ. „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1944 წ., № 19).

მოლიერი „სკაპენის ცუდლუტობა“, „მარტო კოტე მესხი იყო კარგი, თითქმის უნაკლულო, სხვა არავინ. მართალია მოლი- ერის კომედია თითქმის მთლად მარტო სკა- პენის როლზე არის დამყარებული, მაგრამ მაინც სხვა მოქმედნი პირნიც იმდენად რთულ- ნი და ხასიათობრივნი არიან, რომ მათ გამოსახატავადაც საჭიროა თამაშობა და არა მარტო გავლა-გამოვლა სცენაზე და ლაპარაკი.

კოტე მესხი თითქმის უნაკლულად თამაშობდა მეტი სკაპენის როლს. ამას, რასაკვირველია, ვამბობ იმ ღონისძიების და კვალად, რომელიც აქვთ ჩვენს აქტიორებს და, საზოგადოდ, ჩვენს ახლად დაბადებულს თეატრს. ბენეფიციანტს ეტყობოდა, რომ წინაღვე შეესწავლა თავისი როლი, ესე იგი წინაღვე დაჰკვირებოდა იმ არ- სებით თვისებებს, რომელნიც მიუნიქებია ავტორს სკაპენისათვის. მაგრამ უნდა გავახსენო ერთი შესამჩნევი ნაკლულევალება სკაპენის გამოხატულებაში, — ნაკლულევალება, რომელიც ჩემის აზრით, არ სცილდება საზოგადოდ მესხის თამაშობას. მე ვამბობ პირისახის თამაშობას (მიმიკის) ნაკლებობაზე. მესხის პირისახის მოძრაობა არსებობს თითქმის განსაკუთრებით წარბის შეკვრაში და თვალე- ბის ბეჭუტვაში. მარტო ეს ორგვარი მოძრაობა, რასაკვირველია, საკმარისი არ არის იმ მრავალგვაროვანის გრძნობის გამოსახატა- ვად, რომელიც მთელმა წარმოდგენამ ისე გაიარა, რომ თითქმის ღიმილი არ მოსვლია კ. მესხს. საზოგადოდ კ. მესხი ძალიან იშვი- ათად იცინის; მის მიმიკაში ღიმილი თითქმის სრულიად არ არსე- ბობს. თუ მეტყვიით: საქმეც ის არისო, რომ თითონ არ იცინის, მაგრამ ხალხი კი კვდება სიცილითაო, ამაზე ქვევით გიპასუხებთ. თუ ავტორს გამოჰყავს იმგვარი მოქმედი პირი, რომლის ზოგი- ერთთა მოქმედებას უსათუოდ უნდა მისდევდეს ღიმილი, მაშინ თავიდან ბოლომდე პირ-შეკმუხნილი თამაშობა დიდი ნაკლულევა- ნებაა აქტიორისათვის. იცინის მაყურებელი თუ არა, ეს კომიკურ

მდგომარეობაზე არის დამოკიდებული. აქტიორისა და მაცურებლის სიცილს შორის არაერთგვაროვანი კავშირი არ სუფევს. აი, როცა კ. მესხი სცენებს კითხულობს, მაშინ მართალია საქმეც იმაშია, რომ თითონ არ იცინოდეს და თეატრი კი იხოცებოდეს სიცილით. მაგრამ თამაშობაში კი ღიმილი არის ერთი მიმიკური მოძრაობათაგანი, რომელსაც აქტიორი ამოქმედებს საჭიროებისამებრ. სკაპენი ცუდლუტი და ეშმაკი ბიკია. შეუძლებელია, რომ მან მთელი მოქმედების განმავლობაში თითქმის არც ერთხელ არ გაიღიმოს. ბარაქალა კ. მესხის თამაშობას, რომ სკაპენის როლი მასხარად არ გახადა; მაგრამ გადაჭარბება, საითქენაც უნდა იყოს, არ ივარგებს. მიხრა-მოხრას (ეესტიკულაციას) და ლაპარაკს (დეკლამაციას) პირისახის მიმიკაც რომ სრულიად აეყოლებინა, მაშინ მესხის თამაშობა მართლა რომ უნაკლულოდ იქნებოდა. მიმიკის ნაკლებობა სხვაფერივდაც დაეტყო მესხის თამაშობას სკაპენის როლში. მართალია სკაპენი გამოქნილი კაცია ყოველგვარ ეშმაკობაში და ცუდლუტობაში, მაგრამ მაინც შეუძლებელია, რომ წინადაცე ჰქონდეს გაზეპირებული, თუ ამ და ამ გაჭირებაში ესა და ეს ხერხი უნდა ვიხმარო. მართალია, ეს ხერხი სწრაფად უნდა მოუვიდე' თავეში, მაგრამ ცოტაოდენად მაინც უნდა გამოიჩინოს მიმიკით თვისის კეჟის მუშაობა („დროება“, 1880 წ., № 20).

„ტარტიუფს წელს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი „ტარტიუფი“ (შარშან გედევანოვი თამაშობდა). კ. მესხის გამოცდილება და არტისტული უნარი ხელს უწყობს ამ მსახიობს საზოგადოდ როლის სათანადო შეგნებას, მაგრამ, რაც შეეხება ტარტიუფის გაპიროვნებას, — იგი, ჩემის აზრით, როდი იყო შესაფერი ტარტიუფი. პირველივე გამოსვლა ტარტიუფისა იმით იწყება, რომ დიდის ზავითა და ზეიმით გვატყობინებს (ან ატყობინებს დანარჩენ მოქმედთ), აი, შემომხედეთ, ღვთის მოსაობით გაბერილი ვარო. მოჩვენებული მორჩილება, ფარისევლური სიყვარული მოყვასისადმი და მუდმივი პირბადე ღვთის შიშისა, რომლის იქით იფარება გარყვნილი ბუნება, უხეშისა და მხეცურ ინსტიქტებით შეზავებული, გვერდზე მიდგა და ჩვენ წინ იყო „ჯენტლემენი“ დიდის სალონისა, საზოგადოების კაცი. მაგალითად, როცა ორგონის ცოლს დაინახავს, ტარტიუფი — კ. მესხი თავდა-

ვიწყებით გასტყორცნის შორს ჯოხსა და ქუდს და აღტაცებით, ცეცხლ-შეკიდებით მიჰმართავს ქალს, ვით ფრანგულ მელოდრამული Geune premier-ი. მართალია, იყო ისეთი წამებიც, როცა მსახიობი ცდილობდა ცბიერობა და თვალთმაქცობა გამოეხატა, მაგრამ მე უნის-მეტად მკრთალი იყო ეს გამომეტყველება. ტარტიუფი, ჩემის აზრით, პირბადეს არას დროს არ იხსნის, რადგანაც პირბადის ტარება მას სისხლში და ხორცში გასჯდომია, ის მხეტური გრძნობები კი არა, გრძნობები-წადილები, რომლითაც აღტყინებულია ტარტიუფის არსება ორგონის ცოლის მიმართ, მე მგონია, ოდნავ უნდა გამოსჰვივოდეს ამავე პირბადის თხელ ქსოვილში. კ. მესხმა კი ეს არ გვაჩვენა. სამაგიეროდ შესანიშნავი გრიმი ჰქონდა — ნამდვილის იეზუიტისა“ (გაზ. „ივერია“, 1902 წ., № 269).

**ბომარშეს
„ხევილიელნი
დალაქი“**

„ვასო აბაშიძის აქ არ ყოფნის გამო მისი როლი ფიგარო უცებ მათამაშეს და ამანაც მშვენიერად ჩაიარა“ (კ. მესხის წერილიდან ფეფიკო მესხისადმი).

**შილერის
„უჩაღლები“**

„გუშინწინ საღამოს, 3 მაისს, ქართულ თეატრში დიდის ამბით იქმნა გადახდილი ბ-ნის ვ. აბაშიძის იუბილე ათი წლის სასცენო მოღვაწეობისა. წარმოსადგენად იყო არჩეული შემდეგი პიესები:

„რევიზორი“ გოგოლის (2 და 3 მოქმედება), „ხათაბალა“ გ. სუნდუკიანცისა (2 და 3 მოქმედება). იუბილარი ასრულებდა ხლესტაკოვის როლს და ისაიასას. მონაწილეობას იღებდა წარმოდგენაში, სხვათა შორის კ. მესხი, რომელმაც საუცხოვოდ შეასრულა კარლოსის როლი“ (გაზ. „ივერია“, 1887 წ., № 89).

**კ. გუცაკოვის
„ურჩიელ აკოსტა“**

„მშვენიერად და თითქმის სრულის ანსამბლით ჩაიარა პიესამ... განსაკუთრებით კარგი იყო კ. მესხი ბენ აკიბას როლში. ეს უკანასკნელი ამ საღამოს გაცილებით უკეთესი იყო, ვიდრე პირველში, მიუხედავად იმისა, რომ ხმა არც ამ საღამოს მოსვლოდა“ (გაზ. „დროება“, 1910 წ., № 59).

**მ. იბსენის „ხალხის
მტერი, ანუ ექიმი
შტოკმანი“**

„ექიმ შტოკმანს თამაშობდა კ. მესხი, რომელსაც, არ ვიცი-კი რად, იბსენის გრიმი გაეკეთებინა. მსახიობმა სავსებით ვერ დაგვიხატა სიმართლისათვის გატაცებული ქაბუკი—მოხუცი, თუმცა რამდენიმე მომენტი, მაგალითად კრებაზე,

ცოცხლად გადმოგვცა; მიზეზი ასეთი თამაშობისა ამ შემთხვევაში უფრო როლის უცოდინარობა იყო, რომელიც მსახიობს ეტყობა“ (ქ. ყი-ნი, „ივერია“, 1903 წ., № 255).

ოთხშაბათს, 20 ოქტომბერს, ქართულმა დრამა-ტიულმა დასმა გამართა მეორე წარმოდგენა სახანო თეატრში. წარმოდგინეს „ექიმი შტოკმანი“ ჰენ. იბსენისა. მთავარს როლს—ექიმი შტოკმანისას—თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი და ძალიან უფერულადაც თამაშობდა. ბ-ნს კ. მესხს, ჩვენის ფიქრით, არ შესწევს ძალღონე ამ როლის შესრულებისათვის. არც დანარჩენ როლების ამსრულებელნი იყვნენ შესაფერნი“ („ივერია“, 1904 წ., № 242).

„ნერონის ამსრულებელს, კ. მესხს, რობარტის დრამა მელსაც მოუფიქრებია და გაუთვალისწინებია „ახალი მოძღვრება“ თითქმის ყოველი წვრილმანი ამ როლისა, საყვედურად ის ეთქმის, რომ ბუნებრივობა აკლია მისს თამაშს და თავისუფალი, ჩვეულებრივი გამოთქმა მის ლაპარაკს“ („ივერია“, 1904 წ., № 247).

„ნერონის როლში მშვენიერი იყო კ. მესხი, რომელმაც ნამდვილი სურათი გადმოგვცა დესპოტიზმპერატორისა, ავტორსაც კარგად აქვს დახასიათებული ეს პირი“ („ივერია“, 1905 წ., № 20).

„კოტე მესხი ვილლი იანიკოვის როლში (უმთავრესი გმირი) მოგაგონებდათ შემდეგ „სოდომის წარღვნა“ თქმულებას: „ფორმა უშინაარსო“. დიად, კოტე მესხი თამაშობდა ამ როლს ისე, როგორც იგი დასახული აქვს ავტორს და ეს იმას გვიმტკიცებს, რომ მსახიობს კარგად შეუგნია, ვინ ან რა არის მხატვარი ვილჰელმ იანიკოვი, მაგრამ ეს თამაშობა იყო გარეგნული. სრულიად ვეთანხმები მსახიობს, რომ ამა თუ იმ მომენტის დროს ხელი სწორედ ისე უნდა გაშალოს ვილლიმ, როგორც გაშალა ბ. მესხმა, თავიც მისებრივე უნდა გააქნიოს, თვალებიც მილულოს თუ დააბრიალოს. ხმაში ალტაცების ან სასომიხილობის კილო ჩააწვეთოს,—ეს ყველაფერი თავ-თავის დროზე იყო კოტე მესხის თამაშობაში,—მაგრამ... მაყურებელი მაინც გულცივად უყურებდა ვილლის ტანჯვასიხარულს; არც ერთი და არც მეორე მის გულის სიღრმემდე

როდი სწვდებოდა. და ეს კი იმით აიხსნება, რომ მის წინ მბრ. ლოდ მსახიობი იყო, მსახიობი რომელიც ცდილობს დაგვიხატოს ვილლის ესა თუ ის სულიერი მოძრაობა, მხოლოდ თითონ კი არა გრძნობს თვისის არსებით ამ მოძრაობასა და როდია გამსჭვალული მოქმედი პირის მწუხარება, ბედნიერებით. ამის გამო თვით ძლიერი მომენტები ვილლის სელისკვეთებისა საზოგადოებამ არაფრად მიიჩნია და მოწყენილის სახით უყურებდა მსახიობთ, თითქოს ეხვეწებოდა ჩქარა გაათავეთ — ძილი მომერიაო“ („ივერია“, 1902 წ., № 228).

ბრანდესის
„სტუმარი“

— „კ. მესხმა მიაგნო თავის ნამდვილს როლს-
თქვენ ჰხედავდით სცენაზე ცოცხალს რეპროდუცტს
და არა მსახიობს“ („ივერია“, 1903 წ., № 207).

„კარგი იყო ბ-ნი კ. მესხი გულწრფელისა და
ონეს „მუშაკი პატიოსან მუშაკის ფელიპ დერბლეს როლში“
და ნებეირი“ („ივერია“, 1902 წ., № 246).

— „კ. მესხი თამაშის შესახებ იმდენი რამ თქმულა-
და დაწერილა, რომ ახალს ვერას ვიტყვით. მხო-
ლოდ, ჩვენის აზრით, ეს მსახიობი, ზედმიწევნით
მცოდნე სცენისა, გარეგნობით, ყოველთვის აკმაყოფილებს მაყუ-
რებელს, იშვიათად შეამჩნევთ შეუფერებელს მეტყველებას, მაგრამ,
ხანდახან გგონიათ, თვით მსახიობი არ თანაუგრძნობს მოქმედ
პირსა, არა ჰგრძნობს იმ სულიერს მწუხარებას, რომელშიაც გა-
რემოებამ ჩააყენაო. ამეამად კი, მსახიობის სასახელოდ უნდა ვთქვათ,
რომ მან კეთილშობილ, გულწრფელ მუშაკ დერბლეს მხნე გული-
სავსებით გადმოგვიშალა სცენიდან და გვაგრძნობინა სული დიდ-
ბუნებოვანის შრომის შვილისა. დერბლეს ასე ხელოვნურად გაპი-
როვნებით ბ-ნმა კ. მესხმა სრულიად შეიპყრო ყურადღება მაყუ-
რებელთა და გამსჭვალა იგინი იმ თანაგრძნობით, რომელიც უნებ-
ლიედ იბადება ადამიანის გულში უსამართლობით დასჯილისა და
და წამებულისადმი“ („ივერია“, 1902 წ., № 247).

დე-კურსელის
„ორი ჯიბგირი“

„ბ. ვ. აბაშიძე ღიმასის როლში და ბ. მეს-
ხი გრაფის როლში, მათი ერთმანეთთან შე-
ხედრა და მუსაიფი მართლაც მოშიშარ და
გამოქნილ ჯიბგირს, დაჯაგრიანებულ და სევდით აღსავსე მილიო-
ნერს მოგვაგონებენ“ (ქურ. „ქვალი“, 1900 წ., № 47).

პაუბტმანის „ავადმყოფი ხალხი“ ვერც ბატონმა კოტე მესხმა (რობერტი) და ვერც გუნდამ (შულცი—მამა) ვერ დაგვაკმაყოფილეს. ორივეს თამაშობას რალაც ნაძალადევი იერი სდევდა“ („ივერია“, 1902 წ., № 263).

აღ. დიუმას „მარგარიტა გოტიე“ — „სხვა არტისტების თამაშობაზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბ-ნი კ. მესხი თამაშობდა არა ურიგოდ“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ., №27).

-- „არმანის როლს თამაშობდა ბ-ნი კ. მესხი. ამ არტისტს ყველა კარგად იცნობს და იმის თამაშობის გამო ბევრს აღარას ვიტყვი. შემდეგი გვიქნება შემთხვევა ვსთქვათ რაიმე. აქ მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ ამ ნიჭიერ არტისტს ჩვილისა და ნაზის გრძნობის გამოხატვა ისე არ ეხერხება, როგორც ძლიერის, სასტიკის და მრისხანე ხასიათის დასურათება. ეხლა არც გრიმი ჰქონდა შესაფერი. ის უფრო ოცდაათი წლის, ბევრის გამონაცად კაცს ჰგავდა, ვიდრე ოცი წლის კაბუკს. მეოთხე მოქმედებაში მაინც, როცა არმანი აღელვებ ულია, შეგუბებულის მძულვარებით ეძებს შემთხვევას, შფოთი რამ აუტეხოს მარგარიტას საყვარელს, და სასტიკ შეურაცყოფას მიაყენებს საბრალო მარგარიტას, მაშინ ბ-ნი კ. მესხი სრულის სავსებით იჩენს თავის ნიქს“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 42).

აღ. დიუმას „ცოდვის შვილი“ — „ბ-ნი კ. მესხი ოქტავის როლს ძლიერ აზრიანად თამაშობდა; ბოლოს მაინც საუცხოვო იყო, როცა თავლაფდასხმული გამოაძევეს სახლიდან. ისე აიწურა და ისე „წახდა“, რომ შესაცოდებელი შეიქნა. მხოლოდ უნდა შევნიშნოთ, რომ ტანისამოსი ერთობ უვარგისი ეცვა, თითქო ნათხოვარი ყოფილიყოს და, ხომ მოგეხსენებათ, პარიზელ ფრანგისათვის ტანისამოსის სიკოპწიავე პირველი საქმეა“ („ივერია“, 1894 წ., № 28).

— „ბ-ნმა კ. მესხმა სრულიად ვერ დაგვიხატა ტიპი გაქსუებულის, სალახანა და ვერაგის „აღფონისისა“. მართალია, როლს არ ახდენდა, მაგრამ ეგ ძალიან ცოტაა იმისათვის, რომ ასეთი საოცარი ტიპი ნათლად იქნას დახატული“ („ივერია“, 1897 წ., № 216).

ვ. ხარდუხ
და მოროს
„მადამ ხან-ჟენ“

...„კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგინეს ფრანგულიდან ნათარგმნი პიესა „მადამ ხან-ჟენი“. ეს პიესა აქ, ამასწინეთ, რუსებმა წარმოდგინეს; ნახული გვექონდა და საფიქრებელი იყო, რომ ისე აღარ მოგვეწონებოდა, როგორც ახალი რამ. საჭირო იყო, რომ ჩვენს არტისტებს უკეთ ეთამაშნათ და მართლაც ასე მოხდა. საუცხოვოთ გამოვიდა კ. მესხი, გარეგნობით სრულიად ნაპოლეონის მსგავსი, როდესაც მრავალ-კეც ფიქრებით დატვირთულმა მიჰმართა სამწერლო სტოლს. მაგრამ „მისღა საუბედუროთ“, მოყვრებმა უმტრეს: ასტენეს ტაშის კვრა და გამოიხმეს—ნაპოლეონის ნაცვლად ჩვენ წინ იღვა ვიღაც ულვაშ-მოპარსული მატყუარა და ქანდარას თაყვანს სცემდა... ამას შემდეგ რაც უნდა კარგათ ეთამაშნა, მაინც ველარ გამოგვიბრუნებდა სავსებით დაკარგულ ოცნებას... ვინც კი გვინახავს ამ როლში, ყველაზე უკეთ წარმოდგინა. თუმცა ერთი რამ კი უნდა შევნიშნოთ. საზოგადოთ ყველა მოთამაშეები და კერძოთ მესხიც, ნაპოლეონს ისე გვისურათებენ, თითქოს მტარვალი იყოს: სასტიკი, უგულო, გრძნობა გალაცხებული და საშიში. ეს დიდი შეცდომაა. ნაპოლეონს, როგორც დიდბუნებოვან კაცს, გრძნობაც დიდი აქვს და გონებაც, მაგრამ დიდების მოყვარეობამ იმ ზომამდე მიიყვანა, რომ იძულებულია გრძნობას არ აჰყვეს და მუდამ ხელში ეჭიროს თავისი გული. ხანდახან წასცდება ხოლმე, მისი გრძნობაც შეითამაშებს ხოლმე, მაგრამ გონება შეეკიდება, უცბათ იმორჩილებს და თითქმის აქევეებს. ეს პიესიდანაც ნათლად ჩანს. როდესაც მადამ ხან-ჟენი გარისხებული ნაპოლეონს უამბობს თავის თავგადასახვალს და მასაც მოაგონებს მის წარსულს, ელაპარაკება სხვადასხვა პოლკებზე, ომებზე, საკუთარ მონაწილეობაზე და ზოლოს კრილობასაც უჩვენებს, ნაპოლეონს გრძნობა უდიდდება, ავიწყდება ახალი მიზანი, ტვირთი გულიდან უვარდება და თავდავიწყებას ეძლევა; სულ სხვა გუნებაზე დამდგარი, ჰკოცნის მადამ ხან-ჟენს ზედ კრილობაზე, მერე სხვაგანაც უნდა რომ აქედან გადაცოცდეს, მაგრამ ერთი უბრალო სიტყვა „მანდ მე კრილობა არ მიმიღიო“ აფხიზლებს და შეეკრათ გრძნობა დახშული ნაპოლეონი იქევეებს სახეს. აი სად არის საჭირო სახის გამომეტყველება და ორგვარობა...— მიუხდავად ამისა, მაინც კარგი იყო ბ. კ. მესხი. ეს არტისტი

ჩვენი სცენისათვის შესაძრწევი მოვლინებაა. ქვეიანია, წინდახედუ-
ლი, შრომის მოყვარე და შრომის მოყვარეობაც ხომ ნიქის მონა-
ხევერობაა? ხშირად მოხდება ხოლმე, რომ ვინმე მეგვიდრე მილი-
ონებს მიიღებს სამკვიდროთ, მაგრამ ისე გაჰფანტავს, რომ ბოლოს
ღარიბად რჩება. ზოგი მილიონებს ვერ მიიღებს, მაგრამ სამყოფს
კი ისე შეუწყობს ხელს, ისე რიგიანად წაუძღვება წინ თავის
სამკვიდროს, რომ ბოლოს ერთი ასად აქცევს ხოლმე. ამ მეორეთა-
ჯანს ეკუთვნის კ. მესხიცი. რა არის ნიქი, თუ კაცი ბევრს ვერას
გაარიგებს, მაგრამ პატარა ნიქის პატრონს კი შეუძლია გაადიდოს
მისი ნიქი, გაზარდოს და ანაყოფიეროს. ეს ღირსებაა, რომ კ. მესხს
ფასს უმატებს და შესანიშნავად ხდის“ (აკაკი წერეთლის რეცენ-
ზია, „კვალი“, 1895 წ., № 51).

„ნაპოლეონის როლს ასრულებდა თვით
„მადამ სან-ჟენ“ მობენეფისე ბ. კ. მესხი. ბ-ნს მესხს ნაპო-
ლეონის ხასიათი და ჩვეულებანი გულმოდ-
გინედ შეუსწაველია და საუცხოვოდ დაგვიხატა ამ გამოჩენილი
პირის სურათი, ისე, როგორაც არის ნაპოლეონი ლიტერატუ-
რაში აღწერილი. მხოლოდ მესამე მოქმედებაში, როდესაც კატარინ-
ი მოაგონებს ნაპოლეონს ძველს ვალს, და შემდეგ სცენაში არ-
ტისტს მეტი სიცოცხლე უნდა გამოეჩინა და თითქმის ისევე დაღვ-
რემილი არ დარჩენილიყო, როგორც ამ სცენამდე იყო“ (ს-ი, გაზ.
„ივერია“, 1895 წ., № 260).

— „ბ-ნი კ. მესხი გუშინ უფრო მოგვეწონა,
მეტადრე მესამე მოქმედებაში იგი საუცხოვო
ნაპოლეონი იყო“ (ს-ი, გაზ. „ივერია“,
1895 წ., № 271).

— „კვირას, 4 ამ თვეს, ქართულ თეატრში
კ. მესხის საბენეფისოდ წარმოდგენილი იქმ-
ნა „მადამ სან-ჟენი“. არც ერთი არტისტი
არ იყო თავის ალაგას, გარდა ქალ. ეფემია მესხისა სან-ჟენის
როლში და ბ. კ. მესხის—ნაპოლეონისაში. ამ ორმა მართლაც რომ
დიდათ ასიამოვნეს დამსწრე საზოგადოება თავისი გონიერი და
საუცხოვო თამაშით. მობენეფისე საჩუქრით და ხშირი ვაშათი და-
აჯილდოვეს. საზოგადოება ბლამათ დაესწრო“ (ეურ. „კვალი“,
1901 წ., № 7).

„მაღამ სან-ჟენ“ კ. მესხის საბენეფისოდ გამართულმა წარმოდგენამ თეატრში საზოგადოება ბლო- მათ მიიზიდა. წარმოდგენას მართლა რომ სადღესასწაულო ელფერი ედო, რადგანაც მობენეფისის ფრთა შესხმულმა თამაშობამ სული სხვა მსახიობთაც შთაბერა და გა- აცოცხლა იგინი.

ბ-ნ მესხის რეპერტუარში ნაპოლეონის როლი ერთი უკეთესთა- განია; ჯერ-ერთი, რომ მსახიობს ნაპოლეონის შესაფერისი შეხე- დულება აქვს და მეორეც, რომ იგი ძალიან დაჰკვირვებია და შე- უგნია არსება ამ გვირგვინოსანისა, რასაკვირველია, იმ ზომამდე. რამდენადაც თვით როლი ხელს უწყობს მსახიობის განზრახვას.

სწრაფი ცვალებადობა სულიერის ვითარებისა, შევარდენისებუ- რი მარდი მიხრა-მოხრა და ნაპოლეონის გარეგანი ზნე ჩვეულება, მაგალითად, წამდაუწუმ ბურნუთის წვეა და სიამოვნების დროს ქვეშევრდომების ყურზე ხელის მოვლება, მსახიობმა სხარტად და სურათხატულად გადმოგვცა. არ გვახსოვს არც ერთი წამი, რო- დესაც მსახიობს ემტყუნოს თავისი გონიერულ განზრახვისათვის“ („ივერია“, 1901, წ., № 29).

გაკერის
„უან-ბოდრი“, ივ. შა-
ჩაბლის თარგმანი

„ქარგად შეასრულეს თავიანთი როლები ბ. ყიფიანმა ბოდრის როლი, ბ. მესხმა— ოლივიეს როლი“ (ქურნალი „თეატრი“, 1836 წ., № 50).

„გუშინდელმა ქართულმა წარმოდგენამ მე- ტად ქარგად ჩაიარა. უმთავრეს როლებს თა- მაშობდნენ სამი ჩვენი არტისტი—ქ. საფა- როვი-აბაშიძისა, ბ-ნი კ. ყიფიანი და კ. მესხი. დიდად ისიამოვნა საზოგადოებამ ამისთანა დახელოვნებულის თამაშობითა და დასტკ- ბა სულითა და გულითა. ყველას უკვირდა ჩვენი არტისტების ასეთი დახელოვნება და ნიჭი. და აი სწორედ მაშინ, როცა პიესაც კარ- გი წარმოადგინეს (უან ბოდრი), თამაშობაც კარგი იყო, დიდი ხნის უნახავი არტისტი ბ-ნი კ. მესხიც წელს იმ საღამოს პირვე- ლად გვეჩვენა, სწორედ მაშინ ჩვენი საზოგადოება ისე მცირე და- ესწრო წარმოდგენას, რომ თითქმის ნახევარი დარბაზი თეატრისა ცარიელი იყო“ (გაზ. „ივერია“, 1866 წ., № 276).

**მანსფელდის
„შეშლილია“**

„აქტიორები ამ პიესის აღსასრულებლად ნამდვილი არტისტები არიან. ნახეთ კ. მესხი „შეშლილში“ (და სხვები) და დაინახავთ, რომ ჩვენს თეატრს ეს უმთავრესი, ეს უპირველესი პირობაც, რომელსაც აქტიორებს ეძახიან, ისეთი აქვს, როგორც არცერთს სხვა თბილისის სცენას არა აქვს“ („შრომა“, 1881 წ., № 11).

—

„ჩვენს აქტიორებს თამაშის გაუმჯობესება დიდად არ ეტყობა. ეს ისეთი კეშმარტივებაა, რომელიც დამტკიცებას არ მოითხოვს, ყველაზე აშკარად პიესის გამეორებაზე სჩანს. მეორედ და მესამედ ნათამაშეე პიესას თითქო უფრო სუსტად თამაშობენ, ვიდრე ახალსა. მხოლოდ ერთ მოთამაშეს შევატყუეთ სასიამოვნო ცვლილება. ბ. კ. მესხი, რომელიც ამ ორის წლის წინად თამაშობდა იმერლის და ზოგიერთ ვოლდეილურ როლებს, ახლა ეჩვენება პუბლიკას დრამატიულ როლში. პიესაში „შეშლილია“ კ. მესხმა თავის ახალი როლი ზოგ ადგილას კეთილსინდისიერად და ხელოვნურად აასრულა, მაგრამ, თუმცა ამ აქტიორის საზღვარგარედ გასაგზავნად გაიმართა კონცერტი და ორი წარმოდგენა, მიინც ის ერთის სწავლის ან დასვენების შემდეგ, ორი თვის განმავლობაში მხოლოდ ერთს როლში გვეჩვენება (ორს პაწაწა ვოლდეილში როლს არ ვანგარიშობთ) და ნება გვაქვს ვთქვათ, რომ არა გვეკონდა შემთხვევა დიდი რამ წარმატება შეგვემჩნია ამ აქტიორისათვის“ („ივერია“, 1881 წ., № 11).

—

„კვირას, 28 თებერვალს, ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა „შეშლილია“ დრამა 2 მოქმედებად. დრამის წარმოდგენაში მონაწილეობა მიიღო არტისტმა კოტე მესხმა, რომელმაც შეშლილის როლი ითამაშა. წარმოდგენას ხალხი ნაკლებად დაესწრო, იქნება იმიტომ, რომ დრამა „შეშლილია“ ახალი არ არის და კოტე მესხი რამდენჯერმე გვინახავს შეშლილის როლშიო. მაგრამ ვინც ამ წარმოდგენას დაესწრო, ძლიერ ნასიამოვნები დარჩა კოტე მესხის თამაშობით, რომელმაც საუცხოოდ შეასრულა თავისი როლი. სწორედ სასიამოვნოა, როცა სცენაზე არტისტი დაკვირვებით და დაფიქრებით თამაშობს, წინაღვე შესწავლილი

აქვს მიხრა-მოხრა, მოძრაობა და სახის მეტყველება იმისი, ვისაც გვიხატავს. სწორედ ეს არის საუკეთესო თვისება არტისტისა და კოტე მესხს აშკარად ეტყობა, რომ თავის საქმეს სინდისიერად ეკიდება და შრომას არ ზოგავს. პირველ მოქმედებაში, როცა შეშლილი მკურნალს ეუბნება, ჩემი ცოლი კეუაზე შეიშალა, გთხოვთ მომჩინეო, ეს ადგილი მესხმა მშვენიერად ჩაატარა. თქვენ თვალწინ თითქოს მართლა შეშლილი კაცი იდგა, რომელიც სრულიად არა ჰგრძნობს თავის ავადმყოფობას.

დრამაში „შეშლილია“ ორი ადგილია ძნელად შესასრულებელი. ერთი, როდესაც შეშლილი ცოლს თავის ჰკვიანობაზე ელაპარაკება და ნათესავი ქალი ნელლი—კი ჰგონია; მერე იცნობს ცოლს და საშინლად შეეშინდება. ეს შიში შეშლილის კაცისა მესხმა ისე ნათლად გამოხატა, რომ უკეთესად გამოხატვა, გვგონია, არც ერთს არტისტს არ მოეთხოვება. მეორე ადგილი დრამის დასასრულშია. შეშლილი გონზე მოდის და რჩება. როგორ უნდა გამოხატოს არტისტმა ეს წამი? ვინ იტყვის რა ხდება ჯამ დროს შეშლილის გულში ან გონებაში? მესხი ამ შემთხვევაში ჩინებულად მოიქცა, მაყურებლებს სახე არ უჩვენა.

დასასრულს უნდა ვთქვათ, რომ მესხს ერთად-ერთი ნაკლი აქვს. ხმა არ აქვს კარგი და თითქოს გამოთქმა უჭირს, ლაპარაკი უძნელდებაო, მაგრამ წარმოიდგინეთ, რა არ შესძლებია კარგ თამაშობას. ამ ნაკლს მხოლოდ პირველში ატყობთ მესხსა; გაივლის ცოტახანი, მშვენიერის მოხდენილის თამაშობით, შესაფერისი მიხრა-მოხრით და მიმიკით ბ-ნი მესხი ისე იზიდავს მაყურებელთა თვალს და გულს, რომ არამც თუ ნაკლი გავიწყდებათ, რომ თვალწინ არტისტი მესხი გიდგათ და არა ნამდვილად შეშლილი“ (გაზ. „ივერია“, 1893 წ., № 44).

„შეშლილია“ ეს პიესები წარმოდგენილი იყო მოსკოვის ლარიბ სტუდენტების სასარგებლოდ. ორივე პიესამ შედარებით კარგად ჩაიარა, განსაკუთრებით ბ-ნ კ. მესხსა და ბ-ნ ვ. აბაშიძის მეცადინეობით, რომელთაგან პირველი „შეშლილია“-ში სერ ბერნარდ ჰარლეგის როლს თამაშობდა, ხოლო მეორე—ძუნწი კარაპეტ დაბალოვის როლს. („ივერია“, 1899 წ., № 262).

ფ. დიუმანუას
და ა. დენერის
„კოტრი აზნაური“

„26 ნოემბერს ქართულმა დრამატიულმა დასმა ბ-ნი კ. ს. მესხის საბენეფისოდ წარმოადგინა „კოტრი აზნაური“, უკვე ნათამაშევი ჩვენს სცენაზე. ძველი, მაგრამ ფრიად სასიამოვნო მოსასმენი და ნიჭიერად დაწერილი პიესა. მშვენიერია განსაკუთრებით

ტიპი ამ პიესის გმირისა დონ-სეზარ დე ბაზანისა, რომელიც მთელის საზოგადოების თანაგრძნობას იზიდავს თავის დარდიმანდი ხასიათითა, უზრუნველის ცხოვრებითა და დაჩაგრულთა სიბრაულთა. პირველად თამაშობდნენ ამ სეზონში ქ-ნი ეფ. მესხის და ბ-ნი გედევანაძე. დონ-სეზარის როლს ასრულებდა ბ-ნი კ. ს. მესხი. მთელმა პიესამ, გამოცდილ არტისტთა შორის როლების განაწილების წყალობით, დიდად მწყობრად თამაშობდნენ და ლაზათიანად ჩაიარა. ყველამ პირნათლად შეასრულა თავისი როლი კაპიტანის ენრიკეზის როლის აღმსრულებელის გარდა. ბ-ნს კავთელს ამ როლში სულ ორიოდ სიტყვა ჰქონდა სათქმელი და ისიც ისეთის ხელების ფართხალით სთქვა, რომ ადამიანს ეგონებოდა, წყალში იხრჩვება და ხელებს იქნევს, შეელასა სთხოვს ხალხსაო, ან კიდევ გაფრენას აპირებს სადმეო.

ბ-ნი კ. მესხი მშვენიერი იყო დონ-სეზარის როლში, შეუდარებლად შეასრულა იგი მეტადრე მეოთხე მოქმედებაში. აი, ასეთის ხასიათის როლებისათვის არის იგი შექმნილი და კარგი ჰქმნა, რომ თავის საბენეფისოდ ამ ხასიათის როლი იკისრა. საზოგადოდ რომ არ გაშორდებოდეს ამ ამპლუას, იგი დიდად დაატკბობს ყოველთვის საზოგადოებას თავისი ნიჭით“ (არტემ აზნაზაროვი (მანოელიძე), გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 254).

„განსაკუთრებით ყურადღება მიიპყრო თვითონ მობენეფისეს თამაშმა. მან ნათლად დაგვიხატა ისპანიის გაკოტრებული და თანაც რაინდული მიდრეკილებების აზნაური“ („ქვალი“, 1898 წ., № 49).

„კარგი იყო ბ-ნი კოტე მესხი რეჟისორის მიზონეს როლში. ჩვენის აზრით, რეჟისორი მიზონე სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო, როგორიც ბ-ნმა კ. მესხმა დაგვიყენა თვალწინ“ (გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 17).

„ადრინა ლეკუ-
გრერ“

„დავასახელებთ ბ-ნს კ. მესხს, რომელმაც
ლაშაზად ჩაატარა გულკეთილი რევისორის
მიწონეს როლი“ (მ. ახნაზაროვი, „ივერია“,
1899 წ., № 34).

ბანკოს „ხაშინელი
შურისძიება“

„ამ წარმოდგენამ „ხაშინელი შურისძიება“
სწორედ სასიამოვნო შთაბეჭდილება მოახ-
დინა ჩვენზე: მსახიობები ჩინებულად იყვნენ
მომზადებულნი. როლები ყველას კარგად ჰქონდათ გაზეპირებუ-
ლი, რაც მაინცდამაინც ხშირ მოვლენას არ შეადგენს ჩვენს სცე-
ნაზე. ვ. აბაშიძე, კ. მესხი, გედევანოვი და ქ. ჩერქეზიშვილი ჩვეუ-
ლებრივად შეუდარებელი იყვნენ“ (გაზ. „კვალი“, 1897 წ., № 46).

დე-ლაგინის
„კოვერლეის
მკვლელობა“

„მობენეფისე საზოგადოდ ძალიან კარგი
იყო ორსავე როლში (იგი თამაშობდა რო-
ვერ კოვერლეისა და არტურ გორდინის
როლს); მხოლოდ პირველსა და მეორე მოქმედებაში მის მიმოხ-
რას ცოტა გადაქარბება ეტყობა. სამაგიეროდ მე-4 მოქმედებაში,
როდესაც დედასა ხედება პირისპირ და მე-5, როცა დედა და ცო-
ლი პირში წარუდგებიან და ჰკიცხავენ.—მეტად ხელოვნურად და
დიდის გრძობით დაგვისურათა სასოწარკვეთილებაში ჩაეარდნი-
ლი კაცის სულისკვეთება. უნდა ვთქვათ, რომ, საყოველთაოდ,
ბ-ნს კ. მესხს უფრო ეხერხება ამგვარი როლების შესრულება“
(„ივერია“, 1902 წ., № 257).

მელვილის
„სიყვარული და
ცრუმორწმუნეობა“

„კ. მესხმა პირველ გაოსვლაში (მონო-
ლოგში) „ბღღვირი გაადინა ნაცარში—“ო
რომ იტყვიან, ისე დაემართა: როლი, ნამე-
ტურ ეს ალაგი, ზეპირად არ იცოდა და
ამის გამო თავჩალუნული გაუჩერდა წინ მო-
ჩურჩულეს და სიტყვა სიტყვაზე იმეორებდა მისგან თქმულს...
წახდენა მეტი აღარ შეიძლებოდა... სწორედ ცოდვა იყო ამ მონო-
ლოგის დამახინჯება... მეორე და მესამე მოქმედებაში კი ის იყო
ღირსი აქტიორის სახელისა, ნამეტურ მესამე მოქმედებაში, მეორე
მონოლოგში, რომლის აღსრულებით მან გამოიწვია ხანგრძლივი
ტაშის კერა და ღირსეული, ერთობლივი გრიალი „ბრავო“, რომ-

ლის რამოდენჯერმე განმეორებამ დააძიგძიგა ზენობა“... („ივერია“, 1878 წ., № 39).

„სიყვარული და ცრუმორწმუნოება“ იყო, ალაგ-ალაგ რომ არ დაემახინჯებინა. მაგალითებრ, უძრავად ჯდომა და სახის უმეტყველება პირველ მოქმედებაში, როდესაც იგი ნიკოლას ჯენკინს (კანდელაკი) ელაპარაკება და როდესაც ისეთი უცნაური წინადადება ესმით, რომ „ერთი ორად მოგცემთ და ფულსაც არტისტობით აიღებთ, ოღონდ ლონდონს, სცენას გაშორდითო“; მისივე მეტის-მეტი შეკრთომა, როდესაც პირველად დაინახავს ჯენკინსის ქალს ლელის, ისეთი მეტის-მეტი, რომ იგი გასაოცარია უბრალო მომაკვდავისათვისაც კი, არამც თუ ისეთის გამოცდილისა, გონიერისა და დახელოვნების კაცისათვის, როგორც ავტორს მსახიობი სიულივანი ჰყავს აღწერილი და დასახული, გადაქარბება მეორე მოქმედებაში სიმთვრალისა. ყოველივე ეს წვრილმანია, რასაკვირველია, მაგრამ ასეთს „წვრილმანსაც“ სცენის საქმეში მნიშვნელობა აქვს“ (ა. ახნაზაროვი (მანოელიძე). გაზ. „ივერია“, 1898 წ., № 245).

„ტრილობი ანუ ხალათას ძილი“ ლები ჭ-ნმა ე. მესხმა, ე. ჩერქეზიშვილმა, ბ-ნმა კ. მესხმა“ (ი. „ივერია“, 1899 წ., № 16).

წერილები კოჭე მესხისადმი

1. ნ. ნიკოლაძე—ქოვა მესხს

9 თებერვალი, 1895 წ.
ფოთი

ძმაო კოტე,

თუ ძმა ხარ, გამომიგზავნე საჩქაროდ ფოთში ის ორი (წერილი) წიგნი „Хозяйственный строитель“-ისა, რომელიც ამას წინათ გათხოვე, მეტად საკიროა ის ეხლა აქ ჩემთვის და მომაწოდე მალე. კოტე ბაქრაძეს² უთხარი, ამას წინათ წერილი მივწერე (პასუხი) და საუბედუროთ დიმიტრი დადიანის³ კონვერტში ჩაედევე, რომელიც ქუთაისს მიმაჩნდა. უფრო კვიანურად მოვიქცეოდი დიმიტრისთან, ბარათი კოტეს კონვერტში რომ ჩამედო, მაგრამ უკვე ვიანგარიშე. დიმიტრი კი თურმე სულ სოფელში ყოფილა და ეხლა აქ არის. ფულებს ამ დღეებში მოგაწოდებ უსათუოდ თქო.

შენი ერთგული ნ. ნიკოლაძე.

2. პასო აბაშიძე—ქოვა მესხს

5 აგვისტოს 1883 წ.
ქ. თბილისი

ძმაო კოტე,

ჯერ პირველად ბოდიშს ვიხდი, რომ ვერ შევიძელი აქაზდინ გამოშვებადებანა შენტვის ჩემი გულითადი მწუხარება ძვირფასის კაცის სერგეის¹ გარდაცვალებაზე. სულითა და გულით ვწუხვარ, ჩემო კოტე, უდროოდ სიკვდილზე პატიოსანი მშრომელისა. ახლა ორიოდ სიტყვა თეატრზე, რადგანაც კაცი არვინ გამოჩნდა, რომ ქართულ თეატრს ხელი მოჰკიდოს. ილიაცა² ვნახე, მაგრამ ესეც უარს ამბობს, ასე რომ წელს უთეატროდ ვრჩებით. ამის გამო 9 სექტემბრიდან კიდევ მე ვკიდებ ხელს თეატრს³ და ამიტომ შენც

დახმარება შექირვება. თუ გსურს, საჩქაროთ მომწერე შენი პირობები, რადგანაც დრო კოტალა რჩება და მინდა გაზეთებში გამოვაცხადო. ჩემი პირობები კი ეს არის. 100 მან. თვეში ჯამაგირი და სეზონში ნახევარი ბენეფისი. შენც კარგად იცი ჩვენი თეატრის საქმე და ამაზე მეტის მოცემა აღარ შემეძლება. ამ ფულით თბილისში ცხოვრება გაუჭირვებლად შეიძლება. ეს ხუთი წელიწადია ერთად გვიშრომია და ახლაც იმედი მაქვს, რომ ამ შრომას ერთადვე გავაგრძელებთ. რალაც სუბსიდიისზე ლაპარაკობენ, მაგრამ ლმერთმა იცის გამართლდება ეს ხმა თუ არა. კოტე, თუ დათანხმდი, გეთაყვა, საჩქაროდ შემატყობინე. ნატოს მრავალ მოკითხვას მოვახსენებ.

შენი ძმა ვ. აბაშიძე.

3. ვასო აბაშიძე—კოჯე მესხს

სულით და გულით მოგილოცავ ძვირფასო მეგობარო კოტე, შენის 30 წლის მხნე სამსახურს სამშობლო თეატრისადმი, შენ იყავი იმის პიონერი და იმის დამამშვენებელი.

სცენა ამ ოცდაათი წლის მანძილზე იყო მხოლოდ ეკლიანი გზა. რით გიხდიდა ის იმ დიად ღვაწლს, რომელსაც შენ სდებდი მას? მხოლოდ იმით, რომ ჯერ ნიადაგგაუმაგრებელი, მრავალ ცუდ პირობებში მყოფი ჩვენი სცენა, უფრო გიტაცებდა შენ შრომისათვის, ბრძოლისათვის, მისივე საბედნიეროდ, მისსავე ასაყვავებლად.

მაშ კვლავ გისურვებ კიდევ მრავალ წელიწადს დასცინოდე ადამიანთა ბიწიერებას და ხელოვნური თამაშით ასწავლიდე და ატკბობდე ქართულ საზოგადოებას.

გულით გეამბორები ძველო მეგობარო და ამხანაგო.

ვ. აბაშიძე.

4. 3. გუნია—კოჯე მესხს

ოქტომბერი 15
(1894) შაბათი

ძვირფასო კოტე,

გავიგეთ რა შენი უბედურება¹, ყველამ ერთ ხმად გამოგიცხადეს თავის მწუხარება და თან დამავეალეს შენთვის მომეწერა, ხომ უარს არ იტყვი გასტროლებზე, რომელზედაც ამხანაგობამ მოგიწვია მოხვედრილი სეზონისათვის.

ეხლა ნება მიბოძე ჩემი აზრიც გაგიმეტლავნო. მე ამ თავითვე დარწმუნებული ვარ, რომ შენი ჩვეულებრივი მხნეობა ქუთაისში ისევე ახალს თეატრს გააჩენს. ეს ერთი. მეორე, შენ ახლა, უეპველია, ასე თუ ისე ეცდები საღმრე მკვიდრი ნიადაგი მოიპოვო სასცენო მოღვაწეობისათვის. ამისთანა ადგილი შე მიმაჩნია ბათუმში და თბილისი. აი მე რა აზრი მაქვს: შენ და შენი და ეფემია² რომ აქ ჩამოხვდით ამ სეზონში, ძრიელ კარგი იქნება. უფრო მუყაითად წავიდოდა ჩენი თეატრის საქმე. ამასთანავე ამასაც გეტყვი, რომ ბაბო ავალოვი³ ჯერ-ჯერობით მოწვეული არ გყავს; რადგან ჩენი პირობა არ მიიღო და მით უფრო ჩენთვის მოხერხებული იქნება ეფემიას მოწვევა. კოტე, შენ ეხლა გაიგე რაც მსურს მე და ამიტომ ნება მომეცი მე ჩემის მხრით ამხანაგობაში აღეძრა ეს კითხვა, ესე იგი შენი და ეფემიას სამუდამოდ მოწვევა აქა, რა თქმა უნდა, თუ ჩემი აზრი შენს რაიმე განზრახვას არ ეწინააღმდეგება. მომწერე დროით. ამასთანავე გწერ, რომ მე თვით მსურს ეს საქმე გამოვიდეს, რადგან ამით ჩემი მეცადინეობა და გამჭირახობა დამტკიცდება ამხანაგობის თვალში, რაც ჩემ თავმოყვარეობას ცოტათი აამბებს. ველი პასუხს: 1. შეგიძლიათ თუ არა ორივეს ჩამოსვლა მთელის სეზონით. 2. რა სასყიდელს მოითხოვთ ორივე. 3. რა პირობებს მოგვთხოვთ. 4. მანდობ თუ არა მე თვით დავიწყო შენ ამხანაგობასთან ლაპარაკი.

შენი ძმა ვალიკო გუნია.

მომიკითხე შენი მეუღლე და ფეფიკო. მორიგი კრება ამხანაგობის იქნება პარასკევს.

5. R. მისხი-3. მისხს

26 ივნისს
1895 წ.

კოტე,

წუხელ 9 ს-ზე ჩაცმული პირდაპირ თეატრს მივაშურე. ნებიერიძე² ვნახე და ვერაფერი გამაგებინა, რაღაც დაგიბარებია, ისე მიგხვდი საეპოდო, ვ. პიუგოს „ერნანი“³ გინდა და გიგზავნი აგრეთვე „სიკოლიას“⁴. კარგი იქნება თუ მოახერხებ და „ივერიაში“⁵ დააბეჭდინებ, სამს-ოთხს ნომერში მოთავსდება. სიროკომლის სცენა „მოამბეში“⁶ გადაეცი. ჩემი საქმეები ქადრაკულად არის. ძალიან

გვილაღატა ვენახმა. მშვენნივრად გამოიტანა, მაგრამ მაისის სიცი-
ვეებმა ყვავილობის დროს სულ გააპარა.

დათიკო მესხი.

6.

კოტე.

დიდი ბოდში ჩვენგან თქვენს წინაშე. ნატო თურმე ძალიან
გულით მოგველოდა, მარა რა გაეწყობა, ასე მოეწყო ჩენი საქმე,
რომ ვერ მოვახერხეთ. ამ დღესასწაულზე ბევრი ხარჯი მოგვეცა,
აქეთური-იქითური და საქმეც ისე ვერ მოგვემართა სახლში, რადგან
მოყვრებს ველოდით. მოვიდენ კიდევ და ამის შემდეგ თავისუფალი-
ვართ, სანამ მუშაობის იმედები და დრო არ დადგება. ასე, რომ,
თუ მაცნობებ და ხეირი იქნება რამე, ყველიერობას მაინც, თუ
უფრო აღრე არა, ჩამოვირბენ ჩემის დედაკაცითურთ. ძალიან კარგს
იქ თუ პიესების ჰონორარს არ დამიკარგავთ. რატომ არ მო-
იკითხავთ ჩემს პიესებს „ბორემანი“.² რა კარგი იქნებოდა შენ-
თვის „ეკლიანი გზა“³, შენთვის და ფეფიკოსათვის⁴ და სხვებისა-
თვის „მოლანდებანი“.⁵

დათიკო მესხი.

7.

11 თებერვალი
1906 წ.

კოტე.

დიდ განსაცდელში ვართ, როგორც გეცოდინება. დაეწვებით,
არ ვიცი, რა ღამე მოგველის, და დილიდან საღამომდის თუ
სულს მივატანთ არც ის ვიცი. ვინ იცის სანამდის ვიქნებით ამ
განსაცდელში? რაღაც იღბალია რომ ჩვენიანების ყოველის მხრი-
დან კაი ამბებია; ცოცხლები ვართ ჯერ ყველანი... ბოლოს კი
ვინ იცის რა იქნება. აქ ჯერ-ჯერობით დომხალივით, არეულად
ატუსალებენ გაურჩევლად, არც ერთი იმათგანი, ვინც დღემდე
დაატუსალებს, აქტიურ მონაწილეობას არ იღებდნენ მაინც მოძრა-
ობაში. თავი და თავები მიიმაღლენ ვინ საით და ვინ საით. იმა-
ლებიან ყრუ სოფელში... ჩემი საქმე არ ვიცი როგორაა, აქ ბეჯი-
თად ამბობენ, რომ ეანდარმის განკარგულებით იქერენ ყველასო.
ამან ცოტა არ იყოს შემადფახათა ცოტად, რადგან აქ ჩაწერილი ვარ.
მე და ლადო მესხიშვილმა რაღაცეები წავიკითხეთ სცენიდან, მე-
ორე დღეს თეატრები დახურეს და ორივე ეანდარმმა დაგვიბარა.

ლადო კი მისულიყო და მე აქეთ-იქით უხვიე. მერე 17 ოქტომბერმაც რაკი მოაღწია, სულ მივენდე და აღარ წავეკარებე, თუმცა პირველ ხანებში ორჯერ, სამჯერ ანიჩკასთანაც მისულიყო უანდარში ჩემს საკითხავად. მას მერე აღარ ვიცი რა მომელის. უოველ შემთხვევაში, მიჯობს ქუთაისში ვიყო უფრო ხშირად, რომ თუ ნიშანში ვყავარ ამოღებული აქ ამისგან ხელი, თორემ სოფლიდან გზაზე ვინ იცის რას შემყრიან. ჯერ კიდევ არხეინად ვარბარე ორი კვირაა ანიჩკა² ოჯახით რიონს იყენენ დაბინული, მარა მერე რა მოუვიდა, ამბობენ სოფლებს ესევიანო. ისევ ქუთაისში არჩიეს შიში. რიონსაც გვეწვია პრისტავი და კაზაკები, ასევეს, აქამეს ყველაფერში „კი ბატონო“ და „შენი კირიმე“ უთხრეს და გადავრჩით.

დ. მესხი.

ი3. მესხი—ქოჯე მესხს

31 დეკემბერი. 1895 წ.
ბათუმი

8.

კოტე,

14/I „ქართული საღამოს“ გამართვაში აქ ბათუმში ყველა ჩენი მოღვაწეები ვალდებულნი ხართ, რითაც კი შეიძლება დახმარება აღმოგვიჩინოთ, რომ საღამოს ნამდვილი ქართული ფერი და ხასიათი ქონდეს. ვალდებულნი ხართ, რასაც ვირველია, მაგრამ ამ ვალდებულებას თან ორივე მხრით-თქვენი და ჩენი მხრით ხარჯი მოსდევს, რომლითაც ალბათ ორივეს გვაშინებს. შარშანწინაც მომდურებული გამოგისტუმრეთ და წრეულს ხომ დაშინებული ვართ კიდევ ასე არ მოგვივიდეს. მანდედან მესხივეს¹ მოუწერია, რომ დიდი სიამოვნებით მივიღებ ნონაწილეობას, მაგრამ გვეძინება მაგის მოწვევა, რადგან, როგორც გვესმის, ისევ ისე ავად-მყოფი და უხმო არის. კ. ყიფიანის,² როგორც მეძვირესი, ძალიან გვეშინიან შეწუხება. აბაშიძის კვალი დაგვეკარგა³ და რაც მაგას აქ მოუვიდა ეხლა ხანად, არა მგონია ჩამოვიდეს. ფეფიკოც⁴ არ ვიცი სად არის და შენ მოიციდი თუ არა, რომ გვეწვიო? ამასთან ვწერ გაბუნიას⁵ ქალს, რომელიც მგონია მანდ არის და აკაკის,⁶ რომელიც იმედია უარს არ გვეტყვის, თუ კი კარგა იქნა. შენი

მ. კ. მესხი

113

პირიმი, კოტე, 7-1-ს შემატყობინე უთუოდ რა მონაწილეობა შეგიძლიათ. შენი პირობების შესრულება ტელეგრაფით შემატყობინე და მაშინ შენს მონაწილეობას „სალამოს“ პროგრამაშიც გამოაცხადებთ. როგორ ხართ? ნატო? როგორ არის, ნესტორი? სად დაიკარგა, მანდ არის თუ ადგილზე სადმე? მოიწერეთ, შე კარგო კაცო, ორი სიტყვა. წინდაწინვე მომილოცნია ახალი წელი. მოკითხვა კატოსგან⁵.

ივანე მესხი.

9 მაისი [18] 95 წ.

ბათუმი

9.

კოტე,

25 ამ თვეს აქაურს კლუბში გვინდა ჩვენი ქართული შკოლის სასარგებლოდ „სალამო“ გავმართოთ. სალამოს პროგრამაში, სხვათა შორის ქართული ხმების სიმღერებიც არის. აბა ლოტბარი აქ ვინ მოგვცა, რომ პროგრამის ეს ნომერი ხეირიანად შევასრულო. ხმები კარგები გვყავს—ქალები და კაცები, ცოტა სიმღერაში ნავარჯიშებიც არიან, მხოლოდ გეჭირია ლოტბარი. გთხოვთ, კოტე, ამ წიგნის მიღებისთანავე, ინახულო რატილი¹ და მოელაპარაკო, ხომ არ იკისრებს ამ ხოროს გაუძღვეს შემდეგი პირობებით: 1) თუ თანახმა გახდება, ეხლა ჩამოვიდეს ერთი კვირით წინ მაინც ე. ი. 16 ან 17 ამ თვეს. 2) შრომის ფასს მიეცემთ ხუთ თუმანს—იმ პირობით, რომ აქ იმ ერთი კვირის განმავლობაში კაპეიკი გროში არ დაეხარჯება. ასე რომ ეს ხუთი თუმანი მარტო შრომის ფასად მოუვა. 3) თუ თანახმა გახდება, დაუყოვნებლივ შეგვატყობინებ, რომ ქუთაისიდან გიმნაზიის ლოტბარი წერეთელი² გამოვიწეროთ (დაგვპირდა შემწეობას). ხოროში იმდენად შეგნებული პირები ურევია, რომ რატილს შეუძლია სრულიად ამათ უცნობი ხმებიც მოამზადებინოს ერთი კვირის განმავლობაში. აბა შენ იცი, კოტე, რა დროით გაგვიგებ ყველაფერს და აგრეთვე დროით გვაცნობებ. ხომ იცი, ცოტა დრო გვრჩება. სხვათა შორის, ცოცხალი სურათებიც გვექნება დადგმული. შენთან ძალიან დანაშაული ვარ, განსაკუთრებით ნატოსთან³. გახსოვს იმ ლამეს აქეთ რომ მოვდიოდი, ტელეგრაფა მომეცი ნატოსთან გასაგზავნად. ბათუმში რომ ჩამოვედი, ძმობას გეფიცები, მეორე დღეს სალამოს ჯიბე, რომ

გადავებრუნე ვერ ვნახე ტელეგრაფი. ბევრი ვიწუხე, მაგრამ რაღას გავხდებოდი, მაშინ შენ თბილისში იყავი. თუ გიყვარდე, მომიტევე, მერწმუნე, რომ ფული მქონდა იმდენი, რომ იმ ტელეგრაფის ეყოფოდა. სხვა რას შერებით, როგორ მოეწყეთ თბილისში. შენი საქმეები როგორ მოაწყე? მითხრეს, რომ სამეურნეო ურთიერთ ნდობის ბანკში აღვილს შეგპირებიან—მართლა? ნატო როგორ გყავს.

15 ამ თვეს სიმონიკა⁴ მიმყავს ქუთაისში ეგზამენის დასაქერად. თუ ღმერთმა ხელი მომიმართა და ეხლა მიიღეს, ძალიან შელავათი იქნება მისთვის, რადგან ამ ზაფხულზე კარგად მოვისვენებ. ძალიან სუსტი რამ გამოვიდა, უბრალო რამ სიკვდილზე მიაყენებს.

მოგიკითხავ დიდი პატივისცემით.

შენი ძმა ივანე მესხი.

10.

12 დეკემბერი. 1895 წ.

ქ. ბათუმი

ძმაო კოტე,

მომავალ 14/I ქართული სალამოსთვის სხვათა შორის კარგარეთელის¹ (მომღერალი) მოწვევა გვინდა და შუაკაცად, შენი ჭირიმე, შენ უნდა გაგვიხდე და იმედია ძვირადაც არ დაგვიჯენ. 1. როგორ რა პირობით ჩამოვა, 2. რას იმღერებს, რა პიესებს. 3. ერთი ქალი და ერთიც კაცი მომღერლები რომ ვიშოვოთ, იკისრებს თუ არა რომელიმე ოპერის, რაიმე ერთი სცენის შესრულებას, რისთვისაც, რასაკვირველია, ერთი ორი დღით მაინც ადრე ჩამოვიდეს. 4. რა ხმა აქვს (მგონი ბარიტონი). შენი ჭირიმე კოტე, ნუ იცი ჩემი თხოვნის მიყრუება საზოგადოდ და ამ თხოვნაზე მაინც მალე პასუხი, რადგან 20/12 გვინდა „სალამოს“ პროგრამა გამოვცეთ. საზოგადო საქმეა და თუ კაცები ხართ ყველა ეხლა დაგვეხმარეთ. რომ ამ სალამოს ილიაც² დაგვესწროს, რომელსაც ამ დღეებში გრ. კოლენსკიმ³ მოსწერა ამის თაობაზე. ვპატივებთ სხვათა შორის ველიჩკოს⁴ და აკაის.⁵ შენ და ფეფიკოს, როგორც „არტისტებს“ არ ვპატივებთ, რომ ცოტა განსხვავდებოდეთ. „სალამოში“ მონაწილეთან პირების მაგიერად დათიკო⁷ გვინდა მოვიპატიოთ სცენების სათქმელად.

სულ დამავიწყდა ამაზე კიდევ უფრო საკირო საქმე. „სალამო-ზე“ მოპატიება გვინდა აგრეთვე რატილისაც⁸ თავისი ხოროთი. როგორც გაზეთებში ამოვიკითხე, 28/XII შენი რატილი მოგზაურობას აპირებს ქუთაისისაკენ და ბათუმისაკენ. თუ ეს მართალია, არ შეიძლება, რომ თავის მარშრუტი ისე მოაწყოს, რომ 14/I ბათუმში იქნეს? თუ არა, ეგების ერთი სამიოდე კარგი მომღერალი თავისი ხოროთი წამოგვიყვანოს და გვესტუმროს მაშინისთვის, ამ შემთხვევაში ან I შემთხვევაში რა დაგვიჯდება მათი ხორო ან რამდენი კაცი იმიანად. სამი კაცით თუ ჩამოვა, დანარჩენები ეგების აქ მოამზადოს. ამისათვის, რასაკვირველია, ერთი ორი დღით მაინც ადრე უნდა ჩამოვიდეს. შენი ჰირიმე, კოტე, ნუ დაივიწყებთ, რომ „სალამო“ საქველმოქმედო მიზნით არის და მაშასადამე ხარჯი რაც შეიძლება მცირე უნდა გვექნეს. ეგების, როგორც გამოცდილი კაცი, რასმეს გვიჩვენებდეს განსაკუთრებულს, რაც წინეთ არ ყოფილა ამ მომავალი სალამოსათვის.

ივანე მესხი.

11.

15 დეკემბერი [1896 წ. ქ. ბათუმი]

კოტე,

იმ რამდენიმე მინდობილობასთან, რომელზედაც ამას წინეთ გწერდი წიგნს, აი კიდევ ფრიად საჩქარო მინდობილობა საკირო 14/I სხვათა შორის ფორკატის¹ ესთხოვით ერთ-ერთი მომღერალი. ქალი (ენკვისტი ან მარ'ზადი²) დაგვითმოს, რომ რამდენიმე ერთიანი ნომერი სიმღერისა შეასრულოს. შენი ჰირიმე კოტე, რაც შეიძლება მალე ინახულე ფორკატი და მოელაპარაკე რა პირობით და რა დაგვიჯდება ამ მომღერალთა მიპატიება და რაც შეიძლება დაუყოვნებლივ შემატყობინე, იქონიე სახეში, რომ მოპატიებულნი ქალი უნდა გააცდინო მარტო ორ. ლამეს 13—14/I წამოვა მანდე-დან 13-ს ნასადილეგს, აქ იქნება 14 დილას, იმ სალამოს იმღერებს და სიმღერის შემდეგ დაბრუნდება და მანდ იქნება 15/I 12 ს. შუადღისას. ეს ერთი. მეორე, რომ საქველმოქმედო მიზნით არის „სალამო“ და ეგებ იაფად დაგვიჯდეს. კარგი იქნება იცოდე, აბა შენ იცი კოტე.

შენი ძმა ივ. მესხი.

კოტე,

როგორც სხვიმის, ეხლაც 14/I გამგეთა სათავეში დამაყენეს და თან... დამავალეს, რომ ეს „სალამო“ ყოველდღე მხრით განსხვავებული და წარჩინებული უნდა იქნეს წინანდელ სალამოებზეო. ჩვენი საზოგადოების აზრი ასეთია, რომ ამ სალამოს განსაკუთრებით ქართული ფერი და ხასიათი უნდა ექნეს. პროგრამაც ამგვარია, რომელიც დაახლოებით შედგენილია კიდევ. იქნება სხვათა შორის ქართულ მომღერალთა ხორო, ქართულ ნაციონალურ მოთამაშეთა პირნი საზანდარი, ქართული ვოლდეილი, ლექსების და სცენების მოქმედნი ლექურით, კინტაურით, ხანჯლებზე მოთამაშე, ხორუმი, ფერხული და სხვა... გადაწყვეტილი გვაქვს თბილისიდან მოვიწვიოთ საუკეთესო მომღერლები ოპერიდან, ან კერძო პირებისაგან. სანამ ფორმალური თხოვნა მოგივიდოდეს ჩეკგან, შევინდა გაგაფრთხილო და გთხოვო, რომ შეამზადო ჩვენი დახმარება, რომ ეს სალამო მართლა საქებარი გამოვიდეს. შენგან განსაკუთრებით დახმარებას და კიდევ უფრო გულისა და შეგნებულ რჩევას ველი პროგრამის რიგიან შესასრულებლად. ვოცნებობთ ილიას¹ მოპატიებებას და თუ წელსაც უარი გვითხრა, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ჩვენ აღარაფრად აღარ მივაჩნივართ. ეხლა დავასიოთ „ახლობელნი“, რომ ნებას დაგვრთავს გვეწვიოს მარიეტა? ის ხმა, რომ ილია გვესტუმრებო, სტუმრებს შეგვპატებს...

მანდ 19 ამ თვის კონცერტში შესხის ქალი იღებს მონაწილეობას. ეს ქალი ჩვენი ცრუპენტელა კოტე შესხის ცოლია ეხლა, იყოს ალბათ რაღაც არის და მაშასადამე. ისიც უნდა გააფრთხილო თუ იცნობ, რომ 14/I უთუოდ ეხლა დაგვეწვიოს და გვიმღეროს. შემიტყობ საუკეთესო დასი „საზანდარისა“ რა ელირება ან ვის მივმართო ამის თაობაზე. დომინიკა² ივარგებს ლექსის დეკლამატორად მოვიპატიოთ?

ქართული ხოროსათვის კავსადე უნდა შეგვიზადო, რომელსაც ოფიციალური მოპატიებება გაუგზავნეთ ამ დღეებში. რას გვთხოვს, რამდენი მომღერალი ეყოლება ან როგორ იმღერიან. შენ, ვ. აბაშიძეს, კ. ყიფიანს, გაბუნისას და საფაროვას ქალებს რა გვარი დახმარება შეგიძლიათ. ისეთი, რომ არც ძვირი დაგვიჯდეს, მალე იქნეს და ტკბილი, რასაკვირველია. ვოლდეილი გვინდა დავ-

დგათ ახალი „სიდედრი მია“, რომლისთვისაც ქუთაისის დასიდან-
ეხლა გამოვიწერე რამდენიმე მოთამაშე, მაგრამ თუ თქვენ სახე-
ლოვანნი გვეწვევით და არც ძვირად დაგვიჯენთ თქვენ სტუმრო-
ბას, ხომ კარგი. მაშინ სათამაშოსაც თქვენ თავად აირჩევთ, მაგ-
რამ დროით. კოტე, ეხლა დარბაზში ვდგევიარ და ნატო უთუოდ
უნდა გვაწვიო 14/I-ს.

შენი ივ. მესხი.

13.

15 დეკემბერი
ქ. ბათუმი

კოტე,

ჩვეულებრივი თხოვნა 14/I გამო. შენი ქირიმე, უნდა გვინახო
კამიონსკი¹ და მოელაპარაკო, შეუძლია თუ არა გვეწვიოს და რა
პირობით, თუ მას არ შეუძლია, ვის გვირჩევ სხვასა, მაქსაკოვი²,
მგონი რომც შეიძლოს, ძალიან მეძვირეაო. კამიონსკის გაახსენე,
რომ ის შეპირებას არის ჩვენზე, შარშანწინ, თუ ახსოვს, რაც შე-
იძლება მალე გაგვიგე ყველაფერი და შეგვატყობინე. მომიკითხე
ნატო.

შენი ივ. მესხი.

14.

4 იანვარი

კოტე,

მოგვილოცავს ახალი წელიწადი. ეს არის თქვენი პროგრამა მოგ-
ვივიდა. ყველაფერი რიგიანია, გარდა ვოდევილისა „დათვი“,¹ ეს
„დათვი“ არც ისე მაინც და მაინც ხალისიანია, არც ახალი და
გარდა ამისა აქ რამდენჯერმე უთამაშნიათ. მერე კიდევ თარგმანია.
რაც უნდა დაგემართოთ უნდა გამოცვალო რამე ორიგინალურით,
ვოდევილი არ იყოს, მონოლოგი რამე აირჩიეთ, ან კიდევ სხვა ერთ-
ორ მოქმედებიანი კომედია. ვრცელი პროგრამის გამოცემას შეეაჩე-
რებ, სანამ ამის პასუხი არ მომივა, ეხლა მხოლოდ ვაცხადებთ, რომ
„სალამოს“ არტისტულ განყოფილებაში მიიღებენ მონაწილეობას
ესა ეს პირებიტყო. ნეტავი თუ ვინმე ემზადება ჩამოსვლას? ბევრს
ეპატიეებთ, ბილეთებს ვაგზავნით ქუთაისში ხვალ ან ზეგ, მართა-
ლია, რომ ზავედენიაში ბალი არ იქნება იმ ღამესო? აგრაფინას²
უთქვამს სეფესტვის³ და აქეთ დაგვიპირებია მოსვლას. ძალიან, რაც

გაგვეწყობა, ვფატურობთ, რომ „სალამო“ მართლა რიგიანი გამოვიდეს, კოტე, პიესის ამორჩევის დროს იქონიე სახეში, რომ განსაკუთრებით დეკორაციები არ გვექნება. იმ სალამოსთვის „სცენა“ კლუბი მორთული იქნება აზიურად და ამ მორთულობაში უნდა იქნეს თამაშობა, სცენების თქმაც, კუპლეტებიც, სიმღერა და ყველაფერი. რატომ ძნელადის ცოლს¹ არ შეეკითხეთ რას იმღერებს? ეკეც დაგვიპირდა მოსვლას. საზანდარი ქალაქიდან გვეყავს გამოწერილი (100 მან.). ნატომ² საზანდართან უნდა შეაწყოს ხმა, თორემ მეთარეს მგონი ვერ ვუშვიენით. კოტე, მოგვიხებრებ, რომ მელეკურე ლამაზი და ქართული ჩაცმული ქალები ბევრნი გვეწვიონ, აგრეთვე ვაეებიც. ვილაც პიპინია მიქელაძე არის შედაირე. უთუოდ უნდა ჩამოვიყვანოთ. ერთი სიტყვით, თქვენ იცით, როგორ ხმას დაპყრით და ბევრ ხალხს და კარგს ჩამოგვირეკთ.

შენი ივანე მესხი.

15. ნინო ჩხეიძე—კოჭე მესხს

8 იანვარი

ძვირფასო ბატონო კოტე,

თქვენი წერილი მხოლოდ ეხლა მივიღე და რადგანაც წერილითვე პასუხი ხვალ არ მოგივიდოდათ, ტელეგრამით მოგწერეთ. აქამდინაც უნდა მომეწერა ჩემი გადაწყვეტილება თბილისში წამოსვლის შესახებ, მაგრამ ჯერ ბენეფისის მოლოდინმა და მერე მიშას¹ ავადმყოფობამ გამარეტიანა. სამწუხაროდ, უარი მოგწერეთ და წერილშიაც ამასვე ვიმეორებ. რალაცნაირად აირია საქმე, სამჯერ მიმიწვიეთ, ორჯერ თანხმობა მოგწერე და სინდისს გეფიცებით ხარჯიც გაეწიე მანდ წამოსასვლელად და პირმშრალა კი დამტოვეს. ბატონო კოტე, მე თქვენ გერწმუნებით, ვიცი, რომ არა მარტო თქვენი სურვილით კომიტეტის თანხმობითაც მიწვევთ მანდ, მაგრამ საქმე ის არის, რომ ორი ძსეთი მაგალითი მაქვს, რომ ვეჭვობ სასურველი იყოს სხვებისათვის ჩემი მანდ ჩამოსვლა. პირველი ის, რომ გოთუას² უთხარი აქ კ. მესხმა მომწერა თქვენის მინდობილობით და მომიწვია მეთქი და ძალიან უარი მითხრა, კ. მესხისათვის ჩვენ არ მიგვინდვია არაფერი და თუ პირადი მიწერ-მოწერა გაქვთ, ეგ ჩვენ არ შეგვხებიაო. მეორეც ის, რომ ნიკო ერისთავი³ იყო აქა და ერთი სიტყვაც არ უთქვამს მიწვევის შესახებ. სწორედ გითხრათ,

მე რომ მანდ ჩამოვიდე და ვინჲესაგან გავიგო თუნდ ერთი სიტყვა უსიამოვნო ჩემი მიწვევის შესახებ, იმდენად საგრძნობელი იქნება ეს ჩემთვის, რომ იმ ორ გროზად არ ღირს, რასაც მივიღებ. ძალიან დიდ ბოდიშს ვიხდი პირადად თქვენთან, ბ. კოტე, რომ იძულებული ვარ ასეთი წერილი მოგწეროთ, გარწმუნებთ და თქვენც მიხვდებით, რომ ჩემთვის, როგორც მსახიობისათვის, ბევრს ნიშნავს სხვა ქალაქებშიც ვითამაშო, მაგრამ თავმოყვარეობა დიდია ჩემში. მიიღეთ მე და მიშას გულითადი სალამი და სურვილი ყოველი კარგისა.

თქვენი პატივისმცემელი ნუცა ჩხეიძე.

16. უშეშა მესხი—კოჭა მესხი

27 სექტემბერი

კოტე,

ეს არის გუნია¹ წერილი მივიღე, მეპატაყება 12 იმ თვიდან ხუთი წარმოდგენისათვის. საჩქაროდ ნთხოვს პასუხს, მაგრამ სანამ შენს წერილს არ მივიღებ, იმას პასუხს ვერ გავცემ. მინდა გავიგო შენ ხარ თუ არა რეჟისორად წელს, თუ მართა გუნია არის, ან როგორ მირჩევ, ჩამოვიდე თუ არა, მე სხვის რეჟისორობით ხომ იცი ჩემს დღეში არ მითამაშნია და ძალიან გამიჭირდება. ამას გარდა ჩამოუთვლია ისეთი პიესები, რომ მე არ მომწონს. მე გონი გასტროლიორშას თუ იწვევენ, პიესებიც მას უნდა ამოარჩევიონ და არა ისეთები, როგორსაც ეგენი მიბრძანებენ. ახალი პიესების დადგმა კარგია რომ მოუფიქრებიათ, მაგრამ ყველა ახალი არ შეიძლება კარგი იყოს, როგორც მაგალ. „ბრკალები“² და სხვა. ყოველ შემთხვევაში მე ველი შენს წერილს და რჩევას, მერე მივცემ პასუხს. თბილისი მონწყინდა და მეც მოვწყინდი მაგათ. ძალიან მინდოდა ქუთაისში წასვლა და უხეირო ხარ შენ. შემატყობინე რა მიზეზით არ წახვედი. როგორც მიალო ეს წერილი ნუ დაიხარებ პასუხს, რადგან მეტი დროც არ არის. უკაცრავად ნუ იქნები და წელს ჰონორარი უნდა შეგცვალოს ცოტა. მე ყოველთვის წაგებაში ვარ და ეს არ მინდა. ნატოს ეაკოცებ. მოგიკითხეს ჩვენებმა.

ფ ე ფ ი კ ო .

კოტე,

გადაეცი ჩემი პირობები კომიტეტს, რაც სთქვან შემატყობიხენ იანვარზე ადრე არ შემოდლია ჩამოსვლა, რადგან სეზონის გახსნისათვის არ მომიწვიეს. უქმეები აქ მინდა დავრჩე. ქუთაისში რა პირობებით წავალთ ისიც შემატყობინე, იქაც ბენეფისი უნდა მომცეთ с гарант. (200 рублеѣ). თუ დასთანხმდეს კომიტეტი, საჩქაროდ მომაწოდე როლები შექდეგი პიესების: „Сумасш(сствие) от люн-ви“¹ и „Два подростка“ (ორი ჯიბგირი)². „Дениза“³. ნატოს⁴ რა დაემართა ერთი წერილი რომ არ მომწერა. ვანიებზა⁵ დაგკოცნეს,

შენი ფეფიკო.

10 სექტემბერი

18.

კოტე,

ვანისა¹ შენი ტელეგრამა მოუვიდა და ძალიან სწუხს, რომ ვერ ახერხებს ჯერ ფულს გამოგზავნას. ამ შეჩვენებულმა არ მისცა ერთი გროში ჯამაგირიდან. ჯერ სწავლა არ დაწყებულა აქ, თორემ ბავშვების მოტანილ ფულს აიღებდა თითონ და გამოგიგზავნიდა. თითო ორ-ორ მანეთობით ვსესხულობთ ღმერთმანი და ისე გამოვდივართ, რაც ჩამოვედით. ეცდება რაც შეიძლება მალე გამოგიგზავნოს. თითონ ეგონა, როგორც ჩამოვიდოდით, მზად დახვდებოდა აქ ზაფხულის ჯამაგირი და იმ იმედით შეგპირდა და ასე შერცხვენილი დარჩა. ახლა საქმე აი რაშია: მესხიევისაგან² მომივიდა წერილი დიდი თხოვნით და მუდარით. კარგა ხანია მას აქეთ და ჯერაც პასუხი არ მიმცია. მე როგორც ვატყობ მანდ არ მიპირებენ წელს მოწვევას, რადგან „ცნობის ფურცელში“³ ჩამოთვლილი იყო ვისიც მოწვევას ფიქრობენ. უნდა გამოვტყდე, არ მაქვს სურვილი მანდ თამაშობისა და ქუთაისში კი მინდა წასვლა, თუ მაშინ არ დადიოდა ვინმე, ეს ჩვენი ბრალია, ცუდი დრო ავირჩიეთ. სეზონში კი მეტი საზოგადოება ივლის ჩემის ფიქრით. იქ უფრო იციან პატივისცემა. ეხლა შემატყობინე შენი აზრი ამის შესახებ. ვანია მეუბნევა, თუ კოტე არ წავა არც შენ გავიშვებო. რასაკვირველია, უკეთესი იქნება შენ რომ იქნებოდე, მაგრამ მესხიევის თუ შენტვის არ შეუტყობინებია, ისე ჰგავს უქირს ორივეს ერთად მიწვევა, ძვირად დაუჯდება. მართლა და ბავშვი ხომ არა ვარ, როგორც

ვუთხარი ვანიას, რა მიშავს მარტოც რომ წაეიდღე. მე მგონია არც მესხიევი მოინდომებს თავის შერცხვენას და კარგად მოამზადებს თავის დასს. ახალს არც მე ვითამაშებ და ძველში მაინცდა და მაინც არ მექირეება ეხლა შენი რეეისორობა. გიგზავნი მესხიევის წერილს და მომწერე რაც შეიძლებოდეს მალე შენი აზრი. მანდ არ მოვალ წელსაც, რაკი ჩემი პირობები არ ეკაშნიკებათ. გუნია იმედია წელსაც იოლად წაეა უჩემოდ. რა ჰქენი, სახლები იქირავე ან მიდის ნანიკო თუ არა. იმ დალოცვილებზეა ერთი არაფერი მოიწერეს ამის შესახებ. თქვენც ძალიან მარდები ხართ წერაში. შეგვატყობინე როგორ მოაწყვე საქმე. ნატო⁴ დამიკოცნე.

შენი ფეფოკო მესხი.

19. ნუცა მესხი¹—კოჭე მესხს

11 აგვისტო
აბასთუმანი

კოტე,

პატარა თხოვნა მაქვს შენთან და თუ შეგიძლია ამისრულე. ამ სამ დღეში მთხოვენ ვთარგმნო პიესები და ამოურჩევიათ ჩემთვის ორი: „Доктор Штокман“ და „Гедда Габлер“². აქ და ქუთაისში ეს პიესები ვერ ვიშოვნე, ეგებ შენა გაქვს ან სადმე იყოს მანდ და გთხოვ ნალოყენი პლატეით გამომიგზავნო ერთი ამათგანი, რომელიც შენის შეხედულებით სჯობდეს. თუ ოცამდის არ მომივდა, მერე აღარ მოველი. 25 მივდივართ აქედან ყველა ქუთაისში. ვანია³ და მე ვუნათლავთ ნანიკოს⁴ ბავშვს. რა ამბავია, ნატო⁵ რომ არაფერს იწერება? ტელეგრამა მისწერეს სურამში, ეპატიებოდნენ აქეთ, ეხლაც ყოველ დღე მოველით. ჩვენები კარგად არიან, მოგიკითხეს.

შენი და ნუცა.

20. კონია მესხი¹—კოჭე მესხს

29 ოქტომბერს

ძმაო კოტე,

არ ვიცი მიიღე თუ არა ჩემი ორი წერილი იმ კვირეების „ივეროის“² რედაქციაში შენს სახელზე? სხვათა შორის, იმ წერილში

გთხოვდი თუ შენი პიესები დაიბეჭდა ერთი ეგზემპლარი გამოშიგ-
ზავნეთქო. როგორა ხართ, ანუ ვინ არის ჩვენები კიდე შენთან
თბილისში, ნატო როგორ არის? მომიკითხე დიდის პარტიისცემით.
ამას წინათ ნუცამ? მომწერა ქუთაისიდან, ნესტორმა ალაგი იშოვა
და ერევანში წავიდა კიდეცო. მას აქეთია ათასჯერ მოვიწერე რა-
ადგილი იშოვა მეთქი და კაცი პასუხს არ იძლევა, როგორ არ-
რცხვენიათ? შენც დრო არ გექნება და დროც რომ გქონდეს, გე-
ზარება კიდეც, ამისათვის სთხოვე ნატოს, რომ ყოველისფერი დაწ-
ვრილებით მომწეროს და თანაც ნესტორის ადრესი... კოტე, თითქმის
გავათავე „Викосен“-ის (დრამა რიპარდ ფოსისისა) თარგმნა, მაგ-
რამ მეშინიან გამოგიგზავნო, რადგან შევიტყე ვილაცას კიდეც გა-
დაუთარგმნია და ვაი თუ ჩემზე უკეთესი იქნა, ყოველ შემთხვევაში,
ერთხელ კიდეც გადავათვალე იერებ და გამოგიგზავნი. ცოტას შენც
გაპკრავ შალაშინს და უკეთესი გამოვა... მართალი გითხრა, მე კი
მომწონს და სხვისი რა მოგახსენო?... (это не авторское самолю-
бие). კიდეც გამოგიგზავნე რუსული პიესები სათარგმნად, მაგრამ
უფრო „დრამა“ ეს უფრო მემხრობა? круговым рейсом შემატყო-
ბინე როგორ არიან ჩვენები ქუთაისში, რა ვქნა, მე ვსწერ და პა-
სუხს არავინ არ იძლევა.

შენი ძმა კოწია მესხი.

ჩემი მისამართი Зугдиди, Заалу Ношрewanовичу Чавчавадзе,
передать К. С. Месхи

21. 3. ბაქანიშვილი—კოტე მესხს

ძმაო კოტე,

პირველად მოგიკითხავ და ვისურვებ თქვენს კარგად ყოფნას...
გარდა ამისა, თქვენი პიესების თაობაზე მელაპარაკა კოტე ბაქრაძეც¹
და გეპნერიც², მაგრამ ჯერ დიდი ქესატობა მაქვს და იმიტომ ვე-
რას ვწერ. მე ჩამოვალ თბილისში 25 აგვისტოს და მაშინ მოგე-
ლაპარაკებით მაგის თაობაზე... გარდა ამისა, ახალს თუ იკითხავთ
ქუთაისში, ერთი ისაა, რომ თეატრის დაწყება, რომელიც „ივე-
რიამ“ უკვე დაიწყო, ქუთაისს და ლოლუას არც უფიქრიათ. ისე-
ისეა როგორც დატოვებთ. იმედი მაქვს ახალ ამბავში შემოკლებით
მოიხსენიებთ ზემოხსენებულის ამბავს. „ივერიასაც“ მოახსენებთ,
სად აკეთებენ თეატრს—თბილისში თუ ქუთაისში. ქუთაისში ერ-

თი თეატრია ხარაზოვისეული² და ის იმავე მდგომარეობაშია როგორშიაც იყო. ჩხირიც არ შეუცვლიათ.

თქვენი მარად პატივისმცემელი ვ. ბეჟანიშვილი.

22. ავღაბკის ქართული სახალხო ნაგომღამანების მმართველი ნკა-ქოჯა მისხს

9/4 1914 წ. ქ. თბილისი.

დიდად პატივცემულო

კონსტანტინე სიმონის-ძე.

უმორჩილესად გთხოვთ ავღაბკის წრის გამგეობა, რომ თქვენ მიერ დაწერილი პიესა „თამარ-ბატონიშვილი“ გვათხოვოთ ერთი წიგნი. 27 აპრილს ავღაბკის სახალხო თეატრში უხდა დავდგათ ხსენებული პიესა, მაგრამ პიესის შოვნა გაგვიძნელდა, იმედია ხელს შეგვიწყობთ და უარს არ გვეტყვიოთ პიესის თხოვნაზე, რასაც წარმოდგენის შემდეგ დაუყოვნებლივ დაგიბრუნებთ.

თავმჯდომარის მაგიერ: (ხელის მოწერა)

23. ნ. დონდაროვი (აზიანი)¹—ქოჯა მისხს

(1908 წ.)

პატ. ბ-ნო კოტე,

გავიგე, რომ მოსკოვში ჩამობრძანებულხარ, თქვენი ტრიუმფიც იუჟინის² გაზეთებიდან შევიტყვე. მე თქვენთან რისთვის გიახელით. თბილისიდან მომცეს კორესპონდენტის ბილეთი. ამ ბილეთით აქ ყველა თეატრებში მიშვებენ, გარდა „იმპერატორსკებისა“³. საშინლად მინდა „ბალშოი თეატრის“⁴ და „მალის“⁵ ნახვა, მეტადრე იუჟინის თამაშობა. ვიცი, რომ თქვენ სუშმათოვთან კარგად ხართ. გთხოვთ, ჩემ შესახებ მოელაპარაკოთ და როგორმე გამირიგოთ, რომ ამ ჩემი კორესპონდენტის ბილეთით ერთხელ მაინც შემიშვან იუჟინის თამაშობის დროს. დიდი მადლობელი ვიქნები.

თქვენი პატივისმცემელი ნ. დონდაროვისა (აზიანი)

შე განსაკუთრებით თეატრებისათვის ჩამოველი რუსეთში.

ქოგე მენსონ მენახეგ:

ხაღვწევათა სასახლეში

(1924 წელი)

ოთხშაბათს, 28 ივნისს, ხელოვანთა სასახლეში შესდგა კოტე შესხის მოსაგონარი საღამო, მისი გარდაცვალებიდან 10 წლისთავის აღსანიშნავად. საღამო გამართა მსახიობთა კავშირის საბჭომ. რომლის თავმჯდომარე აკაკი ფალავამ გახსნა სხდომა და თავის შესავალ სიტყვაში დაახასიათა განსვენებული როგორც ერთი თვალსაჩინო ძალა ქართული სცენისა.

თავმჯდომარის შემდეგ სიტყვა ეძლევა რეჟისორ კ. ანდრონიკაშვილს, შემდეგ დამს. მსახიობნი ვასო ბალანჩივაძე და ნინო ჩხეიძე, როგორც კოტეს თანამოღვაწენი, უზიარებენ საზოგადოებას მრავალსაგულისხმეორო ფაქტებს მისი წარსულიდან. ვ. ბალანჩივაძემ აღნიშნა რა დიდი ღვაწლი კ. მესხისა ქუთაისის წინაშე, წინადადება შემოიტანა, რათა კოტეს სურათი მოთავსებული იქნეს ქუთაისის თეატრში, რისთვისაც ეთხოვოს მსახიობთა კავშირს აღძრას ეს საკითხი სადაც ჯერ არს და სისრულეში მოიყვანოს. დამსწრე საზოგადოებამ ერთხმად დაადასტურა ეს წინადადება. დარბაზი სავსე იყო მსმენელებით. დაესწრნენ: მსახიობნი, მწერლები, საზოგადო მოღვაწენი, განსვენებულის პატივისმცემელნი და ახალგაზრდობა.

კოვა მესხის ხსოვნის საღამო

(1944 წელი)

6 ივნისს საქართველოს სახელმწიფო თეატრალურ მუზეუმში გაიმართა კოტე მესხის ხსოვნის საღამო. მუზეუმის დარბაზში მოწყობილი იყო კოტე მესხის მრავალმხრივი მოღვაწეობისა და მისი სასცენო მოღვაწეობის ამსახველი გამოფენა.

საღამო გაიხსნა პროფ. აკ. ფალავას შესავალი სიტყვით. ვრცელი და შინაარსიანი მოხსენება კ. მესხის ცხოვრებისა და მოღვაწეობის შესახებ წაიკითხა უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ს. გერსამიამ. მომხსენებელმა დაახასიათა კოტე მესხი, როგორც კულტურული და მაღალნიჭიერი მსახიობი, ნაყოფიერი დრამატურგი ქუთაისისა და ბაქოს ქართული თეატრის ფუძემდებელი და ბრწყინვალე მქვერმეტყველი.

მომხსენებელმა გაიხსენა ის სიტყვა, რომლითაც კ. მესხმა 1908 წელს მიმართა მოსკოვში რუს სახელოვან მსახიობს—ზინაბის როლის შემსრულებელს, მ. ერმოლოვას: სამშობლოდან წამოსვლისას მე მიბრძანეს, რომ როდესაც დაგიხაზავდით, თქვენ, დიდებულ მარია ერმოლოვას, მთელი საქართველოს სახელით, მოკრძალებით თქვენს წინაშე თავი დამეხარა. შეუდარებელი მარიამ ნიკოლოზის ასულო, გუშინ, როდესაც მე ვიხილე ცრემლებით სავსე თქვენი საკვირველი თვალები, ჩემი გულის სიმები ათრთოლდნენ. მაშინვე მივხვდი, თუ რაოდენ უნდა იტანჯებოდეთ თქვენ ანდენი სიყვარულის გრძნობით აღსავსე და მომაგონდა რომ თქვენ ის სახელოვანი რუსი ქალი ხართ, რომელიც იტანჯებოდა, როგორც ქართველი დედა. აი ამ ტანჯვისათვის მოწინებით სალამს გიძღვნი. იცოცხლეთ დიდხანს და უფრო ძლიერი ცეცხლი აგენტოთ გულნი, რომელიც არა ერთხელ აღგიგზნიათ თქვენი ბრწყინვალე ნიქით.

მომხსენების შემდეგ მოგონებით გამოვიდნენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ალ. წუწუნავა და რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი ვ. ბალანჩივაძე. ალ. წუწუნავამ აღნიშნა კოტე მესხის დიდი ღვაწლი ქართული სცენის წინაშე. გარდა იმისა, რომ ის იყო ოტელოს როლის საუკეთესო შემსრულებელი, რომელსაც იმ დროს ამ როლში ბადალი არა ჰყავდა, გარდა იმისა, რომ მან პირველად შექმნა ჩვენს სცენაზე პეტრუჩიოს, ნერონის, ნაპოლეონის, დონ-სეზარის, სირანოს მაღალმხატვრული და დაუვიწყარი სახეები, ის ამავე დროს იყო სათეატრო საქმიანობის საუკეთესო ორგანიზატორი და თავისი დროის გამოჩენილი რეჟისორიც.

ალ. წუწუნავამ დამსწრეთ მოუთხრო, თუ რა დიდი შთაბეჭდილება დასტოვა კ. მესხმა რუსეთის თეატრალურ საზოგადოებაზე, როდესაც ის 1908 წელს ჩავიდა მოსკოვში სუმბათაშვილ-იუჟინის იუბილეზე. კ. მესხის გამოსვლებს იქ ისეთი აღტაცებით ხვდებოდნენ, რომ იუჟინი ეხუპრებოდა: „კოტე, ეს ჩემი კი არა შენი იუბილეაო“. სამხატვრო თეატრის მსახიობებმა საგანგებო საღამო მოუწყეს ალ. სუმბათაშვილსა და კ. მესხს. სტანისლავსკი, ნემიროვიჩ-დანჩენკო, მოსკოვინი, კაჩალოვი და სხვანი თავიანთ სტუმრებს ქართულ ტანსაცმელში დაუხვდნენ. ამ საღამოზე სუმბათაშვილიც იყო. კ. მესხი თუ წინა საღამოებზე ქულაჯაში გამოწყობილი გამოდიოდა, ამ საღამოზე ევროპული ტანსაცმელით მოვიდა.

ეს იყო რუსი და ქართველი ხალხის ძმობისა და შეგობრობის გამოხატველი საღამო. დიდი რუსი ხალხის მსახიობები ამ დღეს გამოხატავდნენ ღრმა პატივისცემას ქართველი ხალხის სასცენო ნიჭისადმი. მრავალი ლამაზი სიტყვა ითქვა საქართველოს ბუნების შთამაგონებელ ძალაზე, ქართველი ხალხის ნიჭსა და მის ბედნიერ მომავალზე, ქართულ თეატრზე და მისი მსახიობების თავდადებაზე. კ. მესხმა სამადლობელ სიტყვაში სამხატვრო თეატრის ხელმძღვანელებსა და მსახიობებს მიმართა: „თქვენა ხართ ტორეადორები, რომელთაც მარჯვეთ მოავლეთ ხელი მსოფლიო სასცენო ხელოვნებას და თქვენი ხალხის სასახელოდ და საზეიმოდ დასძლიეთ ის“. კ. მესხის ყოველი სიტყვა არაჩვეულებრივ აღტაცებას იწვევდა. სტანისლავსკიმ და ნემიროვიჩ-დანჩენკომ კ. მესხი მიიწვიეს სამხატვრო თეატრის სპექტაკლზე, სადაც მას კვლავ გულთბილი შეხვედრა გაუმართეს.

ვ. ბალანჩივაძემ მოიგონა კ. მესხი, როგორც აღმზრდელი, მასწავლებელი და რეჟისორი. საღამოს დაესწრო კ. მესხის ღრმად მოხუცებული მეუღლე, ქართული სცენის მსახიობი ნატალია მესხი.

შალვა ღაღიანი

კოჭე მესხი

(გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შესრულების გამო)

დიდი შოამაგე ქართული სცენისა, საუცხოო არტისტი, კოტე მესხი ეკუთვნის იმ ღირსეულ ოჯახს, რომელმაც წარმოშვა განსვენებულ კოტეს სხვა შესანიშნავი დები და ძმები და მათ შორის ისეთი საზოგადო მოღვაწენი, როგორც იყვნენ ვაზ. „ღროების“ თავდადებული რედაქტორი და პუბლიცისტი სერგი მესხი, მწერალი-ჰუმორისტი დავითი, საზოგადოებრივი მუშაკი ივანე და მალახარისხოვანი არტისტი-ქალი ეფემია.

კოტე მესხი დიდად განვითარებული მსახიობი იყო, სანამ ლაღო მესხიშვილის უებრო ნიჭი გაიფურჩქნებოდა, კოტე იყო კლასიკური და დრამატიული რეპერტუარის წამყვანი და მებაირახტრე. მას თავის დროზე შესრულებული აქვს „ჰამლეტი“, „ოტელო“, „ჟრიელ აკოსტა“, „სირანო დე ბერეერაკ“ და სხვა ასეთი დრამა-

ტულად გამძაფრებული როლები და ჩინებულადაც ასრულებდა ყველა ამათ. დიდის დაკვირვებით, ღრმა მოსაზრებით და კარგის მიგნებით.

თქვენ ხედავდით, რომ თქვენ წინ ამ როლებში მეტად კარგად მომზადებული მსახიობი დგას. ყოველივე კარგად გაუთვალისწინებია და შეუმუშავებია. ამის გამო მას ჰქონდა ამ როლებში იშვიათი აღდგილები, სადაც დიდ არტისტულ სიმაღლეს აღწევდა. მაგალითად, ჩემთვის დაუვიწყარია მისი „ოტელო“ და უნდა ითქვას, რომ იმ დროს ეს სათევეარი მესხიშვილმაც შეასრულა და გუნიაამაც, მაგრამ ამ როლში პირველობა მაინც კოტეს დარჩა და შემდეგში „ოტელო“ დაიდგმებოდა, უფრო ხშირად კოტეს მონაწილეობით. ამას ახსნა აღარ სჭირდება.

მშვენიერი სახის პატრონი იყო, ლამაზი, დიდრონი და გამომეტყველი, ნამდვილი მესხური თვალებიცა ჰქონდა, მაგრამ ტანით იყო პატარა, „ტანმორჩილი“ რომ იტყვიან, ცოტა მოსკო, ჩამკვრივებული აღნაგობის და ეს ცოტათი არ უწყობდა ხელს დრამატული, განსაკუთრებით „ენ-პრემიერის“ როლებისათვის, მაგრამ, როგორც ვთქვით, ისე ღრმა ჩაწვდომით ჰქონდა ყველა სახე მას ჩამოძერწილი, რომ სცენაზე ეს მისი ნაკლი იჩრდილებოდა.

მაინცდამაინც მისი სტიქიონი კომიკური როლები იყო და ისიც მაღალი დონის, კლასიკური როლები მოლიერის პიესებიდან, შექსპირიდან და სხვა.

„პირვეული ცოლის მორჯულება“ პირველად კოტემ დადგა და გაიმარჯვა კიდევ. მისი და ეფემია კატარინას როლს ასრულებდა, თვითონ კი პეტრუჩიოს და მათ მიერ განხორციელებული ეს ორი უცნაური ადამიანი გამოჰყავდათ დიდის შნოთი და ლაზათით.

დაუვიწყარია კოტეს მიერ განსახიერებული ნაპოლეონი „მადამ სან-ენში“ და ნერონი, „ვიდრე ხვალ უფალოში“. ეს როლები მართლა შედევრი იყო მის მსახიობურ შემოქმედებაში.

მისი ნერონი იყო მსუნაგი, ვირ-ემშაქა, დაუნდობელი, თან მშიშარა და ყოყლოჩინა. ისე, როგორც ამას აგვიწერენ ისტორიკოსები და როგორც დაგვისახა თავად ავტორმა განთქმული რომანისა ჰენრიხ სენკევიჩმა, რომლისგანაც არის პიესა გადმოკეთებული.

ნაპოლეონში კი ეს იყო მოზიდული მშვილდი, რომელიც საცაო ისარს გასტყორცნის. სხარტი მოსახრება, მოკლე ფრაზები, სწრაფი მიხრა-მოხრა, დაუღვრომლობა, თითქო ამ კაცს ექპარება თავისი მისიის შესრულება და ამიტომ დროს მეტად მომპირნედ ხმარობსო. დაახლოებით აი რა სახეს იძლეოდა ეს საუცხოო არტისტი ნაპოლეონში.

ეხლა ქართულ პიესებში: თუ გიორგი ერისთავმა პირველად ჩამოაყალიბა იმერელი ლაქიის როლი თავის ნაწარმოებებში, კოტე მესხმა. პირველმა შექქმნა დაუვიწყარი ნიღაბი ამ ტიპაისა. მან იგი აიყვანა კომედია დელარტეს არლეკინის სიმალღებზე და შემდეგში კარგა ხანს, ვისაც ესეთი როლები შეუსრულებია, მუდამ კოტე მესხის გზით მიდიოდა, ისე ჩამოსხმული, მაგარი იყო მისგან ჩამოსხმული ყალიბი და აი აქაც, ქართულ პიესებში, მან საუცხოოდ განგვისახიერა ინტრიგან პაატა წულუკიძის სათეგარი ვასილ ყიფიანის „ლევან—სამეგრელოს მთავარში“ და იმერელი აზნაური ჩეხოვის „ალუბლის ბაღი“-დან გადმოკეთებულ „სალხინოში“.

მომსწრეთათვის დაუვიწყარი, მალახხარისხოვნად შესრულებული გალერიას სულ სხვადასხვაგვარ სახეების კოტე მესხის მიერ შექმნილი. ის უსათუოდ არის ერთი ბუმბერაზთგანი იმ დროის არტისტებს შორის.

მაგრამ ის არ კმაყოფილდება მარტო არტისტობით, მას კარგადიდი წვლილი აქვს შემოტანილი ჩვენს დრამატურგიაში. თუ კვლავ გიორგი ერისთავს არ ვიანგარიშებთ თავის „ყვარყვარე ათაბაგით“, მაშინ პირველმა კოტე მესხმა დაგვიწერა ქართული ისტორიული პიესა „თამარ ბატონიშვილი“ რჩეულოვის რომანიდან გადმოკეთებული და დავით ერისთავის „სამშობლომდე“ და გუნიას „და-ძმა-მდე“, ეს იყო აუდიტორიის საყვარელი პიესა. მის კალამსვე ეკუთვნის პიესა „რუსთაველი“, რომელმაც თავის დროზე დიდი გამოხმაურება პოვა მაშინდელს პრესაში და არამც თუ მარტო რეცენზიები დაიბეჭდა, არამედ ცალკე დიდი, ხელმოდებული წერილებიც ეძღვნა პიესას მაშინდელი პუბლიცისტებისაგან.

საერთოდ კალამიც ძალიან ერჩოდა. მშვენიერი ფელეტონისტი იყო. დღესაც პირდაპირ სანიმუშოა ერთი მისი ფელეტონი „სიც-რუის სეზონი“, ისე სხარტად არის დაწერილი, რომ არც გინდოდეთ, მაინც თავისთავს წაგაკითხებთ.

ცხოვრებაშიაც მეტად მახვილი ენის პატრონი იყო და როცა გარდაიცვალა, მისი მეგობრები ეწუხდით, რომ მის სიცოცხლეში არ ჩაგვიწერია არც ერთი მისი ნამახვილევი. კარგი კი იყო, რადგანაც მისი მოსწრებული თქმები ზედგამოჭრილი იყო აღებული საგნისათვის, დაქერილი იყო მთავარი ხასიათი და ნიშანდობლივი ეპოქისათვის. მათ დღესაც ექნებოდათ ისტორიული მნიშვნელობა. ეს უბრალო, ლაზღანდარული მახვილობა კი არ იყო, არამედ დიდად მომზადებული საზოგადო მოღვაწის ლაპიდარული მწვავე შენიშვნა რაიმე საზოგადოებრივი მნიშვნელობის მოვლენაზე.

ისე კი ცნობილია მისი გამოსვლები სხვადასხვა საზოგადო კრებებზე, ზეიმებზე და იუბილეებზე. მუდამ შინაარსობრივად ღრმად, სხარტი ჰუმორით შეზავებული, ასეთი იყო მისი სიტყვა სუმბათაშვილ-იუჟინზე მოსკოვში, სადაც სხვათა შორის, ასეთი სიტყვის თამაშით მიმართა თურმე: „შენის „ლალატი“ გამოისყიდე, შენი ლალატი სამშობლოს წინაშე“ და ერმოლოვის ქალს, რომელიც ზეინაბის როლს ასრულებდა, უთხრა, რომ „დღეს თქვენ რუსის ქალმა ქართული ცრემლები დაღვარეთო“.

ასეთივე მოხდენილი იყო მისი სიტყვა ლადო მესხიშვილის იუბილეზე. მთელი სიტყვა შედგებოდა იმ პიესების სახელებიდან, რომლებშიც კი ლადოს მონაწილეობა მიუღია, მაგრამ ისეთის ოსტატობით, რომ ლადოს არტისტული ბიოგრაფია გამოდიოდა.

დაუფიწყარ კოტეს, გარდა იმისა, რომ ის იყო საერთოდ ერთი მშენებათაგანი ქართული სცენისა, დიდი ამაგი მიუძღვის ქუთაისში ქართული მუდმივი დასის შექმნაში. იგი პირდაპირ ფუძემდებელია ამ საქმისა. მან მთელი რეგულარული სეზონები მოაწყო ქუთაისში და გააჩინა მუდმივი კადრი მსახიობებისა. ასე, რომ მისი თბილისში გადმოსვლის შემდეგაც, უკვე ქუთაისში მისგან დაწყებული საქმე არ შეწყვეტილა და როგორც ვხედავთ დღევანდელ მძლავრ კოლექტივამდე მოვიდა.

მეც პირადად სწორედ ამ დროს გავეცანი მას, როდესაც იგი ხელმძღვანელი იყო ქუთაისის დასისა. მაშინ 18—19 წლის ჭაბუკს გადმოკეთებული მქონდა ალფონს დოდეს ერთმოქმედებიანი პიესა: „ზამბახი“ და მივეუტანე მას დასადგმელად. მან გადაიკითხა და შემდეგ შემომთავაზა, რომ ამ პიესაში ახალგაზრდა ვაჟის როლი მე თვითონ შემესრულებინა. კარგათ წარმოიდგენთ, თუ რა სიხარულს

და თან რა შეკრთომას ვიგრძნობდი ამ წინადადების გამო. ნით უფრო, რომ მე უკვე მონატრული ვიყავ სცენაზე შესვლისა და აი, კოტე გახდა ჩემი სასცენო ნათლია. მან გამაბედვინა ეს დიდი ნაბიჯი გადამედგა, მან შემეწყობა ხელი, რომ ამ სარბიელზე ჩემი უნარის მაქსიმუმში გამოვევლინა, მაგრამ მთავარი ის არის, რომ კოტეს ჰყავს სხვებიც, ჩვენი სცენისათვის დიდად სასარგებლო მსახიობები გამოყვანილი და გაზრდილი და მათ შორის ჩვენი სცენის სიქადული და მშვენება, ამჟამად რესპუბლიკის სახალხო არტისტი და ორდენოსანი ნინო ჩხეიძე, რომელიც 50 წლის წინათ გამოვიდა ქუთაისის სცენაზე კოტე მესხის ხელმძღვანელობით.

დიდია, დიდი ღვაწლი კოტე მესხისა ქართული თეატრის წინაშე და მადლიერი მისი ხალხი დღესაც გულთბილად იგონებს მას, ვინაიდან ხალხს ახსოვს რუსთაველის ბრძნული სიტყვები:

„არ დავიწყება მოყვრისა, აროდეს გვიზამს ზიანსა!“

ნუცა ჩხეიძე

ქოვე მესხი

კოტე მესხის მოღვაწეობა ერთ-ერთი ეპოქაა ქართული თეატრის ცხოვრებაში: გამოჩენილი არტისტი, ნიჭიერი რეჟისორი, დიდი საზოგადო მოღვაწე.

კ. მესხი იმ ცნობილი ოჯახიდან გამოვიდა, რომელმაც საქართველოს მისცა სერგი მესხი—პუბლიცისტი და გაზეთ „დროების“ რედაქტორი, დათიკო მესხი—მსახიობი და მწერალი, ეფემია მესხი—ცნობილი არტისტი—დრამატული როლების ამსრულებელი, ანა მესხი-პეტრიაშვილისა.

კოტე მესხს ვიცნობდი ჩემი ბავშვობიდან; მახსოვს ძია კოტე მხიარული, მხნე, ალერსიანი, ბავშვების დიდი მოყვარული (თვითონ კი შვილები არ ჰყავდა). ქუთაისის თეატრს საძირკველი პირველად კოტემ ჩაუყარა. დაახლოებით 1888 წ. მეფე ალექსანდრე მესამე ეწვია საქართველოს, სხვათა შორის, ქუთაისშიც ჩავიდა. ამ დღისათვის ქუთაისის თავადაზნაურობამ და ქალაქის თვითმმართველობამ თავი მოიყარეს ქალაქის ბაღში, ე. წ. „ბულვარში“. აქ სასწრაფოდ აშენებული იყო კოხტა სახლი—ჰაველიონი, სადაც მეფეს და მის ამაღლას გაუმასპინძლდნენ ჩაით და სხვადასხვა გასარ-

თობით. მეფემ მხოლოდ ორიოდ საათს დაჰყო ამ შენობაში, შემდეგ კი შენობა დარჩა სრულიად გამოუსადეგარი რომელიმე დაწესებულებისათვის. მაშინ კოტე მესხმა ეს „პავილიონი“ იჯარით აიღო და გამოიყენა საუკეთესო შენობად, რადგანაც ქუთაისის ქალაქის თეატრი დამწვარი იყო. დასი შეადგინა და დაიწყო თეატრალური სეზონი. ამ ახალ დასში მუშაობდა კოტეს თითქმის მთელი ოჯახი, კოტეს მეუღლე ნატალია, და ეფემია, ძმა დავითი, აგრეთვე რამდენიმე ნათესავი, ჩემი უფროსი და მაშო, დედა ევგენია და თითო-ოროლა სცენისმოყვარე. ამ დასის ოჯახურ-ნათესაური ხასიათი იმით აიხსნებოდა, რომ იმ დროს პროფესიულ მსახიობად თავის შეწირვა იშვიათი ამბავი იყო; მსახიობის მატერიალური ხელმოკლეობა ბევრისათვის საშიში იყო. მიუხედავად ამისა, კოტე მაინც გაბედულად შეუდგა საქმეს და თეატრალურ სეზონს ღირსეულად გაუძღვა. როდესაც 1894 წ. პირველად გამოვიდნენ სცენაზე, მაშინ გავიცანი კოტე როგორც რეჟისორი, მაშინ დავინახე, თუ რა სერიოზული, ენერგიული და ზოგჯერ მრისხანე მასწავლებელ-რეჟისორი იყო. როდესაც დასადგმელ პიესას და როლების ახსნა-განმარტებას შეუდგებოდა, თვალები უბრწყინდებოდა და მისი დამაჯერებელი კილო მსახიობს რწმენას და გაბედულებას უნერგავდა. რეპეტიციების დროს ყოველთვის ფეხზე იდგა. მსახიობს თვალეში შესცქეროდა. მიმოხრას, აზრის სწორად გამოთქმას ასწავლიდა, მსახიობისაგან დიდ ყურადღებას მოითხოვდა და, ვაი იმისი ბრალი, ვისაც მისი ნასწავლი და გასწორებული დაავიწყდებოდა. ჩემს საუბედუროდ ერთხელ რეპეტიციის დროს ერთ ადგილას მისი ნასწავლი შემეშალა და კოტემ დამიყვირა, „დაგავიწყდა, ბოშო“. ძალიან შევწუხდი, ცრემლი მომადგა, მაგრამ თავი შევიკავე. რეპეტიცია, როგორც იყო დავასრულე, შერე მყუდრო კუთხე მოვნახე და ცრემლს თავისუფლება მივეცი. დამინახა კოტემ, მოვიდა, თავზე ხელი გადამისვა და დამამშვიდა. მაშინ 13 წლის ბავშვი ვიყავი, მეწყინა, მაგრამ შემდეგ, როდესაც გამოცდილება მივიღე და ამ ამბავს ვიგონებდი, ვხედავდი, რომ მისი სიმკაცრე სამართლიანი იყო. მუშაობის დროს ყურადღებისათვის იშვიათად მილაღატნია...

როგორც კარგი აღამიანი და შესანიშნავი უფროსი ამხანაგი კოტე არაჩვეულებრივი იყო; ახალგაზრდა მსახიობისათვის მოსი-

ვეარუღე უფროსი ძმა და მამა; გულწრფელი რჩევა და სალი და-
რიგება მუშაობის დროს მისი თანდაყოლილი თვისება იყო; ახალ-
გაზრდის სასცენო წარმატება ახარებდა ისე, როგორც მამას ახა-
რებს შვილის წინსვლა. არასოდეს არ დამაფიწყებდა ერთი ამბავი,
რომელიც შემხვდა ჩემი ახალგაზრდობის დროს, თბილისის თეატრ-
ში იდგებოდა პიესა „დამარცხებული რომი“ ვალ. შალიკაშვილის
რეჟისორობით. დამაკისრეს მოხუცებულის, თითქმის 80 წლის ქუ-
რუმი ქალის პოსტუმის როლი. როლი ტრაგიკულია, ძალიან ძლიე-
რია. მე, ჯერ ახალგაზრდა მსახიობს, შემეშინდა და ძალიან ვღელაფ-
დი, ვაი თუ ვერ შევძლო, ვაი თუ სცენური ღონე არ მეყოს-მეთქი.
ღრმად მოხუცებული ადამიანის ტრაგიკული სახის შექმნა ჩემთვის
პირველი იყო. აი მოვიდა წყევლის სცენა... ვღელაფ, რალაც ბურუსში
ვარ. თითქოს ნიადაგი მეცლება და უცებ ვიგრძენ კოტეს შემოხედ-
ვა, დავინახე მისი მეტყველი თვალები. ისიც ამ პიესაში თამაშობს,
ჩემს გვერდით ღვას... შემომყურებს, თითქოს მეუბნება: „აბა, ნუ-
ცა, ყოჩაღად! ნუ გეშინია, ძალა შეგწევს, ასე, ასე კარგია! მამხნე-
ვებს, მისი თვალები, იმედს მაძლევს რწმენას მინერგავს... მეც ძა-
ლა მომეცა. ეს მისი ნათელი ბუნების თვისება იყო. ამავე დროს
ულმობელი, მკაცრი იყო. როდესაც დაინახავდა თეატრში ან რო-
შეშიმე ადამიანში რაიმე ცუდს, მაენე ამბავს, მაშინვე სიმართლეს
მიახლიდა პირში, არ დაზოგავდა. არავისი არ ერიდებოდა, თით-
ქმის მხიარული იყო, რომ მოპასუხეს წინააღმდეგობის ნიადაგი
და საშუალება ეცლებოდა—ეს მისი სიმართლე. ეს მისი პირში
თქმა ბევრს არ მოსწონდა, განსაკუთრებით უფროს ამხანაგებს.
არა ერთი მტერი ჰყავდა, მაგრამ გულს არასოდეს არ იტებდა,
თავისი ხაზი ყოველთვის წინანდებურად მიჰყავდა, ენამოსწრებული,
სიტყვამახვილი იყო. როდესაც მოსკოვში ჩვენი თანამემამულე არ-
ტისტის და დრამატურგის ალექსანდრე სუმბათაშვილი-იუჟენის
იუბილე იყო, ქართულმა თეატრმა კოტე დელეგატად გაგზავნა.
ეს პატარა კაცი, ჩასუქებული, ქულაჯით გამოწყობილი გამოვიდა
იუბილესზე. თავისი გარეგნობით, თავისი ცხოველი გამომეტყველე-
ბით მაშინვე მიიქცია მოსკოვის რჩეული საზოგადოების ყურადღე-
ბა. იმ დროს სუმბათაშვილი-იუჟენს ქართველი საზოგადოება უსაყ-
ვედურებდა, რომ მან სამშობლოს უღალატა, რუსეთში მუშაობს
და არა. საქართველოში. როცა კოტეს სიტყვის დრო მოვიდა, ის

წინ წამოვიდა და შემდეგი სიტყვებით მიმართა იუბილარს: „პატარა საქართველოს პატარა თეატრის პატარა არტისტი გესალმები, შენ დიდი რუსეთის დიდ არტისტს,“ ამ სიტყვებს დარბაზმა მხურვალე ტაშით უპასუხა. კოტემ განაგრძო თავისი სიტყვა, დაახასიათა რა იუბილარის მოღვაწეობა, დასძინა: „ძვირფასო მეგობარო, მინდა მოგეხეიო, რადგანაც შენ შენი „ლალატი“ შენი ლალატი გამოისყიდეო“. ხანგრძლივად და მხურვალე ტაში იყო ამ სიტყვის პასუხად. მაშინ ახლად დაწერილი იყო პიესა „ლალატი“, რომელსაც იმ ხანებში დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართველი საზოგადოებისათვის. აქ მოყვანილი იყო მხოლოდ პატარა ნაწილი კოტეს მისალმებისა. შემდეგ იმ იუბილეს დამსწრენი გვიამბობდნენ, რომ კოტეს ხედა არანაკლები წარმატება ვიდრე თვით იუბილარსო. საერთოდ კოტე თავისი დიდი კულტურით დიდად განირჩეოდა ბევრი მაშინდელი მსახიობებისაგან. მას ყოველთვის აინტერესებდა საზოგადოებრივი საკითხები ძველი და ახალი ლიტერატურის, ხელოვნების ისტორიის კარგად ცოდნა. ამ ცოდნას სხვებსაც გადასცემდა ხოლმე. მის მაგიდაზე ყოველთვის ნახავდით ახალ წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს. დილის ათ საათზე შეხვდებოდით ახალი გაზეთით ხელში რუსთაველის პროსპექტზე რეპეტიციაზე მიმავალს. ამ პატარა მოგონებაში მე მინდა ოდნავ მაინც გავაშუქო და დავახასიათო კოტეს ცხოვრების და მოღვაწეობის ის მხარეები, რომელნიც ნაკლებად არის ნახსენები მის ხსოვნისადმი მიძღვნილ მოგონებებში, სახელდობრ: კოტეს წასვლა, თავის მინებება სათეატრო მოღვაწეობისათვის. კოტეს მთელი ხანგრძლივი მოღვაწეობა როგორც სათეატრო, ისე საერთო, ყოველთვის ბრძოლის ნიშნით მიმდინარეობდა. მოგეხსენებათ, რომ ყოველ დიდ საზოგადოებრივ საქმეში, განსაკუთრებით კი რთულ, მრავალფეროვან თეატრალურ საქმეში, მისი ზრდისა და განვითარების დროს ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობა იბადება ხოლმე. ამ დროს თეატრში ორი ბანაკია: ახალგაზრდობა, რომელსაც სიახლე, წინსვლა სწყურია, უკეთესი მომავლისაკენ გზას იკაფავს, და ძველი თაობა, კონსერვატორები, რომელნიც ძველი წესების, ძველი მიმართულების და საზოგადოებრივად ძველი აზრების შემნახველნი არიან. ერთი მხრივ რადიკალები თავისი სიახლით, მეორე მხრივ კონსერვატორები ამ სიახლის მოწინააღმდეგენი. რადიკალების მეთაური და ბელადი ყოველ-

თვის კოტე იყო. კონსერვატორებისა კი ძველი თაობა, ხან მსახიობი, ხან გამგეობის წევრი, ხან პიესის წარმომადგენელი. ბრძოლის საბაბს უმეტეს შემთხვევაში თვითონ კოტე აძლევდა; მოწინააღმდეგე ბანაკი ბრძოლას გამოუცხადებდა, შეტევას აწარმოებდა, კოტე ჯერ იგერიებდა, შემდეგ კი კონტრიერიშით თვითონ გამოდიოდა ხან კრებაზე, ხან პრესაში, ხან კულისებში, კერძო საუბარში. ბრძოლა უყვარდა, იბრძოდა სიხარულით, ხალისით, მედგრად, იარაღად ჰქონდა საღი გონება, ცოდნა, სიმართლის სიყვარული, პირდაპირობა, უღმობელი მახვილი ენა, დაუშრეტელი ენერჯია და ტემპერამენტი. როცა შეამჩნევდა, რომ მის წინააღმდეგ გამოსვლა წერილმანი, პირადი ინტრიგით იწყებოდა, მაშინვე უარყოფდა ბრძოლის ამ წესს და საერთოდ ზოგად საკითხებზე გადადიოდა. (ერთხელ გავიცინე, როცა კლუბში ვახშმის დროს ერთ უფროს ამხანაგს უთხრა: „ჩემი ლიტინის მეტი არაფერი არ შეგიძლია? მწვადს შეექეცი, არ გააცვიო, ხვალ კი კრებაზე გამოდი, შენი მსუბუქია ჩალის ისარი მტყორცნე, თუმცა ჩემამდე მიზანს ვერ მიაღწევ, მსუბუქია და თავს შეირცხვენ“). კოტეს ეზიზღებოდა უხამსი ხუმრობა და წერილმანი ინტრიგები. ასეთი ინტრიგების არასოდეს არ ეშინოდა, ადვილად მოიშორებდა ხოლმე, გაუმკლავდებოდა და დასძლევდა, საერთოდ კი ამნაირი ინტრიგები მის წინააღმდეგ ძალიან ცოტა მახსოვს, რადგანაც მოწინააღმდეგემ ყოველთვის იცოდა, ამ ხერხით ვერაფერს დააკლებდა...

ყოველთვის სუფთად და კოხტად ჩაცმული, ახალგაზრდული კოხტა ყელსახვევით, მომღიმარე, ენერჯიული და მხნე, სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენდა. როდესაც თეატრში შემოდიოდა, თითქოს კედლებიც იცინოდნენ. დიდთან დიდი იყო, პატარასთან პატარა, შინაც ისეთივე მხნე და მხიარული იყო, როგორც გარეთ. მიუხედავად მუდმივი მატერიალური გაჭირვებისა, სტუმრის ძალიან მოყვარული იყო. იშვიათი იყო, რომ სადილად სტუმარი არ ჰყოლოდათ. დილითვე იტყოდა: აბა, ნატო, დღეს სტუმარი მეყოლება, შენ იცი!“

ამ ადამიანის გავლენა ჩემზე, როგორც მასწავლებლის, დიდი იყო. მან და კიდევ ლადო მესხიშვილმა ბევრი რამ შემძინეს, როგორც მსახიობს. ახლა, როდესაც ხანდახან სულიერად ვიღლები,

მოვიგონებ ხოლმე კოტეს, მოვიგონებ მის ენერგიულ მომღიმარ სახეს და გული სიამით იესება. გულით მინდა კოტეს ხსონა სა-
შარადისოდ დარჩეს.

კონსტანტინე ანდრონიკაშვილი

კოვე მესხი

ამ ოცდაათის წლის წინათ, სხვათა შორის კ. მესხიც იყო მოწვეული მუდმივ ქართულ დრამატულ დასში და სწორედ აქედან იწყება მისი განუწყვეტელი შრომა სასცენო ასპარეზზე, მისი დაუ-
ლაღავი მოღვაწეობა და შეუჩერებელი მუშაობა. ბუნებამ უხვად დააჯილდოვა კ. მესხი მაღალი ნიჭით სასცენო ხელოვნებისა და ეს ნიჭი მან მოახპარა მთლად ქართულ თეატრს. დასში შესვლის-
თანავე კ. მესხი მედგრად შეუდგა თავის საყვარელ საქმეს. ალო-
რძინდა თუ არა მიძინებული ქართული დასი, კ. მესხმა, ვ. აბაში-
ძესთან და სხვებთან ერთად, საპატიო ადგილი დაიჭირა თეატრში.

კ. მესხის უფროსი ძმა სერგეი მაშინ „დროების“ რედაქტორი იყო. როგორც მოგეხსენებათ, რედაქციის წრეს შეადგენდნენ: ი. ქავჭავაძე, აკაკი წერეთელი, დ. ერისთავი, ნ. ნიკოლაძე, გიორგი წერეთელი, ალ. საჩაჯიშვილი და სხვა. ყმაწვილობიდანვე მოხვდა ამ წრეში კ. მესხი და, რა თქმა უნდა, რომ ახალგაზრდაზე დიდ გავლენას იქონიებდა ეს წრე. კ. მესხი განიმსკვალა წრის საერთო აზრითა და ცდილობდა, რითაც კი შეიძლებოდა, სამსახური გაეწია თავისი პატარა სამშობლოსათვის. დაურთეთ ამ გარემოებას მუდმივი მოძრავი ხასიათი კ. მესხისა და ჩვენ ნათელგყოფთ მის მისწრაფებას. ნიჭიერი მსახიობი არ ზოგავდა თავის ძალას და ყველაფერი, რაც კი მას შეეძლო ან ებადა, მიჰქონდა მელპომენის სამსხვერპლოზე.

პირველი გამოსვლით დაწყებული აქამომდე კ. მესხს უთამაშნია სამსასამდე სხვადასხვა როლი. ეს როცხვი საკმარისია იმ შრომის განაზომად, რომელსაც ჩვენი საყვარელი მსახიობი ეს ოცდაათი წელიწადია მედგრად ეწევა.

ქართული თეატრი არ არის მდიდარი დრამატული ლიტერატურითა და განსაკუთრებით ორიგინალურით. სულ თითებზე შეგიძლიათ ჩამოთვალოთ სახელები პიესებისა. თარგმნილი ლიტერატურა კბ სკარბობს ორიგინალურსა და მგონი არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ

კ. მესხს თითქმის ყველა ქართულ პიესაში უთამაშნია, როგორც ორი-გინალურში, აგრეთვე თარგმნილშიაც. განსაკუთრებული ამპლუა არ შეხვდა წილად კ. მესხს. იგი იმ არტისტთა დარგს ეკუთვნის, რომელნიც ყველა ხასიათის როლებს თამაშობენ, იმ აქტიორთა დარგს, რომელნიც ფართო ნიჭით არიან დაჯილდოვებული და ერთი და იგივე როლის თამაში მათთვის გალიაში ჯდომაა: „აქტიორმა ყველა როლი უნდა ითამაშოს“, ხშირად არიგებდა ხოლმე კ. მესხი ახალგაზრდა მსახიობებს; გუშინ სხვა იყავი და დღეს—კი სხვა უნდა იყო, აი მაშინ გამოჩნდება შენი ნიჭი და უნარიო და ამ სიტყვებს თან მოჰყვებოდა მოგონებანი: უამბობს ახალგაზრდებს მას, რაც უნახავს ან წაუკითხავს ამ საგნის შესახებ.

ვინ არ იცნობს კ. მესხს, როგორც აქტიორს?

ვის არ უნახავს მისი ასრულება ყველა დარგის როლებისა? ვინ არ ატირებულა მსახიობთან ერთად, ვინ არ აღგზნებულა სიყვარულის ცეცხლით, როდესაც კ. მესხს ახალგაზრდის როლი შეუსრულებია; ვის არ უცინია და არ გამხიარულებულა, როდესაც ნიქიერი მსახიობი კომიკურ როლებში გამოსულა. მართლაც და კ. მესხი ყველა ამპლუას როლს თამაშობს—მოხუცებულსაც, ყმაწვილსაც, დრამატულსაც და კომიკურსაც. პირველი გამოსვლიდანვე იგი შეიქნა ხალხისა და ინტელიგენციის საყვარელი არტისტი. განსაკუთრებით მოწონებული იყო იგი კომიკურსა და დამახასიათებელ როლებში. მაგალითად: პეტრუჩიო, დონ—სეზარი, ფიგარო, ნაპოლეონი და სხვა. ასევე უნდა აღვნიშნოთ, რომ კ. მესხს ძალიან ეხერხებოდა ნაპოლეონის თამაში. ჩვენ გვინახავს მსახიობი ორ პიესაში, სადაც ნაპოლეონია გამოყვანილი. „სიკვდილი ნაპოლეონისა“ და „მადამ სან-ჟენ“, და უნდა მოგახსენოთ, რომ კ. მესხის თამაში ძლიერ შთაბეჭდილებას ახდენს, მეტადრე პიესაში „სიკვდილი ნაპოლეონისა“.

ყოველ როლს სინდისიერად ეკიდებოდა კ. მესხი და მის დამუშავებაში შეჰქონდა თავისი თვალსაზრისი, ეს კი დიდი ღირსებაა მსახიობისა და მეტად იშვიათი მოვლენაც არის. კ. მესხმა ბევრი შესძინა ჩვენს სცენას თამაშით და პიესების თარგმნითა და გადმოკეთებით. ოცზე მეტი დრამატული ნაღვაწი აქვს კ. მესხს, თითქმის ყველა ბევრჯერ ნათამაშევი და მოწონებული საზოგადო-

ების მიერ. ზოგიერთი მათგანი ეხლაც ხშირად იდგმება ჩვენს სცენაზე საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში. ეს პიესები არის: „რუსთაველი“, „თამარ ბატონიშვილი“, „ბაგრატ მეოთხე“ და სხვა. რასაკვირველია, კ. მესხის დრამატულმა თხზულებებმა და ნათარგმნებმა უკვე თავისი დრო მოსკამეს, ეკუთვნიან ისტორიას, მაგრამ ისინი ჩვენთვის საინტერესონი არიან იმდენად, რამდენადაც მათი ღირსებანი დაფასებულია წარსულში. მოგახსენეთ, რომ ჩვენი დრამატული ლიტერატურა იმდენად ღარიბია, რომ ჩვენთვის ძვირფასი უნდა იყოს ყოველი ნაწარმოები ლიტერატურის ამ დარგისა, მით უფრო თუ ნაწარმოები იგი ღირსებით არის აღჭურვილი.

II

ყველაზე უფრო დიდი ღვაწლი კ. მესხისა არის მუდმივი ქართული დასის დაარსება ქალაქ ქუთაისში. 1884 წლამდე ქუთაისში კანტი-კუნტად იმართებოდა წარმოდგენები სცენისმოყვარეთა მიერ. რასაკვირველია, წარმოდგენების განსაზღვრულ დროს მართვა, მათი სისტემატიზაცია სცენისმოყვარეთ არ შეეძლოთ. თვით წარმოდგენებიც მოუწყობლად და უვიცად იდგმებოდა. სწორედ აი ასეთი მდგომარეობისათვის უნდა გაეცა კ. მესხს პასუხი და მან ზემოაღიზნულ წელს შეჭკრიბა დასი. დასის შედგენით კ. მესხმა მკვიდრ და სამუდამო ნიადაგზე დააყენა ქართული თეატრის საქმე ქალაქ ქუთაისში. იმ დროიდან დაწყებული ქუთაისის ქართული თეატრის მოქმედება აღარ შეჩერებულა. კ. მესხის შემდეგ ქუთაისის თეატრის საქმე განაგრძო ნიკიერმა რეჟისორმა ლადო მესხიშვილმა; ამჟამად თეატრის საქმეს განაგებს ქუთაისის დრამატული საზოგადოების გამგეობა.

პირველ ხანებში წარმოდგენები ქუთაისში იმართებოდა ყოვლად მოუწყობელ ხარაზოვის თეატრში, ხოლო 1887 წელს იმპერატორ ალექსანდრე III ჩამოსვლამ ბედნიერი შემთხვევა ჩაუგდო კ. მესხს ხელში. ალექსანდრე III ჩამოსვლისათვის შუაგულ ბაღში ააშენეს მშვენიერი და მხატვრულად შემკობილი პავილიონი. იმპერატორის წასვლის შემდეგ ეს პავილიონი ისევ ისე დარჩა და აქ დაებადა კ. მესხს აზრი ამ პავილიონის თეატრად გადაქცევისა. მართლაც, კ. მესხმა და ნ. გამრეკელმა აიღეს იგი იჯარით, ააშე-

ნეს სცენა, მოაწყვეს ლოგები და დასმაც აქ დაიწყო წარმოდგენების მართვა. ეს ახალი თეატრი მართლაც რომ საუცხოვო სანახავი იყო და ხალხიც დიდი ხალხით ესწრებოდა ყოველ წარმოდგენას, მაგრამ საუბედუროდ ის თეატრი დაიწვა ორი სეზონის შემდეგ. კ. მესხი ველარ შეურიგდა იმ აზრს, რომ წარმოდგენები უნდა ისევ ხარაზოვის თეატრში ემართა და კვლავ თბილისისაკენ გამოსწია, სადაც მთავარ რეჟისორად იყო მიწვეული.

დიდად აღსანიშნავია კ. მესხის სამსახური ქუთაისის თეატრის მიმართ, იგი მამაა ახლანდელი თეატრისა ქუთაისში და დავიწყებულ არ უნდა იქნას კ. მესხის დიდი ღვაწლი.

კ. მესხი და ვ. ალექსი-მესხიშვილი — აი ორი ძვირფასი სახელი ქუთაისელებისათვის. ხან ანტრეპრენიორი, ხან რეჟისორი და მსახიობი, კ. მესხი 30 წელიწადი, სხვებთან ერთად, ამ უმაღლო მაგრამ მაღლიანი საქმის კაპანსა სწევდა.

სასცენო მოღვაწეობის გარდა კ. მესხი ხშირად იღებდა მონაწილეობას პერიოდულ ლიტერატურაშიაც. ბევრს ახსოვს მისგან სხარტულად და მოსწრებულად დაწერილი ფელეტონები სხვადასხვა გამოცემებში.

ამრიგად, კ. მესხს მთელი თავისი ცხოვრება შეუწირავს თავისი მამულისათვის. მის სამსხვერპლოზე მიუტანია მას თავისი ძალა. ყოველი მოქმედება კ. მესხისა, ყოველი მისი ნაბიჯი საზოგადოებრივი იყო. პატარაობიდანვე შთაგონებული მოწინავე აზრი სერგეი მესხისა და „დროების“ რედაქციის წევრებისა კ. მესხს მთელ სიცოცხლეს გზას უნათებდა.

[1910 წ.]

ილია ჯუარაბიშვილი

კოტე მესხი

კოტე მესხზე პირადად მე განსაკუთრებული აზრისა ვარ. ვეკვობ, რომ სხვანი, მისი მნახველნი, ამ აზრს ბევრი იზიარებდეს. კოტე მესხი მოწოდებით პირველხარისხოვანი არტისტი იყო. ხოლო შე მოქმედებით იგი არ ამართლებდა ამ საზომს. რატომ? იმიტომ, რომ თავიდანვე ამპლუა თავისი ნიქის შეუფერებელი აირჩია. ჩემი

ღრმა რწმენით და დაკვირვებით კოტე წმინდა წყლის კომიკი იყო, ის კი უპირატესად დრამატულ და ტრაგიკულ როლებს ეტანებოდა. რამდენადაც სახე, გარეგნობა, ხმა ხელს უწყობდა მას კომიკური როლების განსახიერებაში, იმდენად ყოველივე ეს დაუძლეველ დაბრკოლებას უქმნიდა დრამატულ როლებში, თუმცა ყოველი ეს როლი მას შესაბამისად მოფიქრებული, მოზომილი და გათვალისწინებული ჰქონდა. იმ რამდენსამე კომედიასში, რომლებშიც მე იგი მინახავს („სვეტილი დალაქი“ ფიგარო, „ქირვეული ცოლის მორჯულება“—პეტრუჩიო, „მადამ სან-ჟენ“ ნაპოლეონი) კოტე შესხი შეუდარებელი იყო... ის ხელოვნური დეკლამატური კილო, რომელსაც კოტე, საერთოდ ჩვეული იყო დრამებში და კომედიებშიც ურევდა ხოლმე, ვერა ჩრდილადად მის ბუნებრივ კომიზმს. ძალიან კარგი იყო ის აგრეთვე ედმონდ როსტანის „სირანო დე ბერჟერაკში“.

რაც შეეხება ზოგიერთ, ეგრეთწოდებულ „სახასიათო“ როლებს, მაგალითად ზურაბ წერეთლისას (თუ სახელი არა მცდება) „ლევან ბატონიშვილი“, აქ იგი პირდაპირ მონუმენტალური იყო: ქართველი სამეფო კარის ინტრიგანის დიდებულ სახეს იძლეოდა. ტიპიურს, ქანდაკებასავით ჩამოსხმულს.

ნათო მისხი

მოგონებანი კოჯე მისხზე

როგორ ვავიციანი კოტო

ჩვენს მეზობლად გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა ოთარ ამილახერის ოჯახი, სადაც დედაჩემმა რალაცისათვის გამგზავნა. იქ გავიცანი მარიამ საფაროვ-აბაშიძისა. გავიდა ერთი კვირა და მაკო საფაროვმა შემოპითვალა, ცოტა ხნით მათთან მივსულიყავი. ისიც იქვე ახლოს იდგა. მაშინვე გავიქეცი. დამხვდა ცოლ-ქმარი, ვასო აბაშიძე და მისი მეუღლე მაკო. იქვე იყვნენ პატარა ტასო და ერთი სტუმარი, ყმაწვილი კაცი—კოტე მისხი. თუმცა გულმა რალაცა შეკრთობა იგრძნო, მაგრამ მე მაშინვე ტასოს მივუბრუნდი და თამაში დავეწყე. ტასო მაშინ საჟი წლისა იქნებოდა, მეტად ცოცხალი და ცქრილა ბავშვი იყო. მიმიზიდა მისმა ცქლქობამ. კოტე ემასხრებოდა და ისიც ცელქობდა.

როცა შინ დავბრუნდი, იმ ღამეს თვალწინ სულ ის შეხვედრა შედგა. ვცდილობდი დამევიწყა, არ მომეგონებინა, მაგრამ არ მშორდებოდა თვალთვან. უეცრად მომეჩვენებოდა და რალაც სითბოსა მგვრიდა ის მოჩვენება.

ერთი კვირის შემდეგ მაკომ სადილად დამპატიეა. დედაჩემსა სთხოვა, დღეს ჩემთან გამოუშეიო. დედამაც ნება დამართო. კოტე მესხი იქ დამხვდა. თურმე კოტეს თხოვნით ვიყავი მიწვეული, ეს მერე გავიგე. გაიმართა რამსის თამაში. რაც მე არ ვიცოდი. კოტემ მითხრა გასწავლიო. დავიწყეთ თამაში, ე. ი. მათ დაიწყეს. კოტე თავისა და ჩემს მაგივრად თამაშობდა, რადგან მე არ გამეგებოდა რა. მაშინ მე თოთხმეტი წლისა არც-კი ვიყავი, სრულე-ბით არაფერი ვიცოდი ცხოვრებისა. იმ დღეს მითხრეს ვასომ და მაკომ, ჩვენთან უნდა წამოხვიდე თეატრში, როლს მოგცემთ და ითამაშეო. მომცეს ყმაწვილი ქალის როლი. სადაც ჩემი სიტყვები არ იყო და მერე უახრო რეპლიკები, რაც მე არ მესმოდა, არ მენახა არც პიესა, არც წარმოდგენა. ან კი ვინ წამიყვანდა მანამდე თეატრში, როცა თეატრი გარყვნილებად მიაჩნდათ.

როლი კი მომცეს, მაგრამ არ მითამაშია, რადგან კოტემ გამო-მიცხადა, მომწონხარ და ცოლად გამომყევიო. შევკრაი, გავჩუმდი, თუმცა მომწონდა უზომოდ, მაგრამ არ ვიყავი გარკვეული გრძნობებში. ეს მოხდა 1882 წ. სექტემბერს. უთხარი არ ვიცი, დედა ჩემს ვეტყვი-მეთქი. მაშ კარგი, უთხარიო.

ჩემი მშობლები უარზე დადგნენ. მაგრამ კოტემ სიცილით გამოუცხადა, ნებით გთხოვთ, მაგრამ თუ უარს მეტყვით, მე მაინც წაგიყვანო. თუ გნებავთ „დროების“ რედაქციაში მიბრძანდით სერგეი მესხთან და იმას ჰკითხეთ ვინ არის კოტე მესხი, ის ყველაფერს გეტყვით. სერგეი მესხი ჩემი უფროსი ძმა არისო.

თუმცა მამაჩემი პეტრე ივანეს-ძე მესხი იყო, მაგრამ ამ მესხებს არ იცნობდა. არც ნასწავლი იყო. ლეკების ომში დიდად დაჯილდოებული იყო ოქროსა და ვერცხლის ჯვრებით და მედლებით. ჩინი კი პატარა ჰქონდა. არ მახსოვს, რა ჩინი ჰქონდა. დედაჩემი, მარიამ ივანეს ასული ლორთქიფანიძის ქალი, მოტაცებული ჰყავდა მამაჩემს. ის ჰკვიანი, დარბაისელი და მასთან ღამაში, მაღალი, თვალტანადი დედაკაცი იყო. ჩვენს უბანში ეხლაც იგონებენ როგორც გულკეთილ ადამიანს. გარდაიცვალა 1922 წ. მარტში.

ორი შვილი ვყავდით, მე და ვაჟი, რომელიც შვიდი წლისა გარდაიცვალა.

7 ოქტომბერს ქორწილი გადავიხადეთ, რომელსაც დაესწრნენ ილია ჭავჭავაძე, დავით ერისთავი „სამშობლოს“ ავტორი (გიორგი ერისთავის შვილი), მაკო საფაროვ-აბაშიძისა, ვასო აბაშიძე, ნატო გაბუნია, ალ. ყაზბეგი (მამად იყო), ავქსენტო ცაგარელი (მეგვარედ იყო), დავით სარაჯიშვილი, სერგეი მესხი, დავით მესხი, ეფემია მესხი, კეკე მესხი და სხვანი. მე ძალიან უხერხულად ვგრძნობდი თავს ასეთ საზოგადოებაში. ბავშვი ვიყავი და ჩემს საპატარძლო მოწყობილობაში ჩემი თავი სათამაშო დედოფალას მაგონებდა. ხან ერთი მაზლი მომიჯდებოდა, ხან მეორე, მელაპარაკებოდნენ. მე კი დაკერილი ჩიტივით გული მიფართხალებდა. ქორწილი დილის რვა საათზე გათავდა. ილია ჭავჭავაძემ მოითხოვა ეტლეებით ქალაქში და ბაღებში სეირნობა და ქეიფი. ეს მეორე დღეს გვიამბეს. ყველას უკვირდა, ასეთი მზიარული ილია არასოდეს არ გვინახავსო. ყველას მოეწონა ნატო გაბუნიას სიმღერა. საერთოდ დიდად ილხინეს იმ დღეს.

კოტეს მშობლები და ნათესავები

კოტეს მამას არ მოვსწრებოვარ. ისე-კი ყველასგან კარგი გამოგონია. მეტად კარგი და კეთილი ადამიანი იყო. ისე გადმომცემდნენ. კოტეს დედა, მაგდანო ანდრია მარჯანიშვილის ასული იყო, რეჟისორ კოტე მარჯანიშვილის მამიდა. მასთან რვა წელიწადი ვიცხოვრე და ერთი წყენა არ მახსოვს, ისეთი კეთილი და სათნოიანი ადამიანი იყო. გარდაიცვალა წყალმანკით. კოტეს მამა სიმონ მესხი, ოლქის სასამართლოს მდივანი ყოფილა. მას ყველანი პატივს სცემდნენ თურმე. მაგდანის ერთი და ზურაბ ერისთავს ჰყოლია ცოლად. პოეტი განდევნილი—(დომინიკა) ზურაბ ერისთავის ქალი იყო, ე. ი. ანდრია მარჯანიშვილის შვილიშვილი. ზურაბ ერისთავიც პოეტი ყოფილა. მას თავის სიმამრთან სახუმარო იამბიკური ლექსებით მიწერა-მოწერა ჰქონია. ეს ლექსები ზეპირად იცოდა კოტეს დედა და ხშირად გვიამბობდა ხოლმე და გვატყუებდა. კოტეს მამა ბავშვებს არასოდეს არ გაუჯავრებოდაო, მიაბზობდა დედამთილი, მან ყველა შვილს სწავლა განათლება მისცა, ზოგს საშუალო, ზოგს უმაღლესი, შვილი კი 13 ჰყავდა, 8 ვაჟი

და 5 ქალი. უფროსი ვაჟი, გიორგი მესხი, პედაგოგი ყოფილა უმაღლესი ცოდნით, იგი ვერაქო ანჯაფარიძის ბაბუა იყო, დედის მამა. მალე გარდაცვლილა. სერგეი მესხი, როგორც მოგეხსენებათ, ყოველდღიურ გაზეთ „დროების“ რედაქტორი იყო, პუბლიცისტი. მას მთელი საქართველო იცნობდა და იცნობს დღესაც. ივანე მესხი, რომელმაც ქენევაში მიიღო უმაღლესი განათლება, მსახურობდა ბათუმში ქალაქის სასამართლოში. მგონი 40 წელიწადს მდივნად იყო. მისი მოგონებები „მნათობში“ დაიბეჭდა, ნესტორი კარგი ვაჟაკი, კარგი მომღერალი, მომღებნი იყო. ისიც უდროოდ გარდაიცვალა. კოტე — არტისტი-დრამატურგი, ფელეტონისტი, მოსწრებული სიტყვა-პასუხის პატრონი, დათიკო — მწერალი-იუმორისტი.

კოტეს დებიდან ერთი პელაგია ავალიანისა იყო, მეორე ანა პეტრიაშვილისა. ეს უკანასკნელი საზოგადო მოღვაწე და მთარგმნელი იყო. ხშირად სცენაზედაც გამოდიოდა. მესამე და ეფემია მესხი დამსახურებული არტისტია, საზოგადო მოღვაწე. მარიამ გამრეკელი დედა იყო მსახიობ ქალებისა ნინო გამრეკელი-თორელის და ბაბუცა გამრეკელისა. ნინო მესხი მასწავლებელი იყო უფასო სკოლისა. ხანდისხან სცენაზედაც გამოდიოდა საქველმოქმედო საღამოებში. გიორგი მესხის ქალი მაშო ანჯაფარიძისა მეტად ნიჭიერი მსახიობი იყო, თუმცა იშვიათად თამაშობდა. როცა თამაშობდა, აღტაცებაში მოჰყავდა მსმენელი. ვერიკო ანჯაფარიძეს მესხებისა და მარჯანიშვილების ნიჭი გამოჰყავდა, ასევე ითქმის ნინო გამრეკელ-თორელზე და ბაბუცა გამრეკელზე. ნინო თორელი პირველი და ერთადერთი რეჟისორი ქალი იყო ქართულ სცენაზე, ნიჭიერი და ჰკვიანი.

სიმონ მესხის ოჯახს დიდებულ ოჯახს უწოდებდნენ. სამწუხაროდ მოშავალ თაობას, ამ ოჯახის გაგრძელებას ვეღარ ვხედავთ. შვილები დარჩა მხოლოდ ივანეს, ორი ვაჟი და ერთი ქალი, ერთს ერთი ქალი ჰყავდა, მეორეს ცოლი არ შეურთავს.

კოტეს ხასიათი

კოტე მესხი იყო ფიცხი, სწრაფი, ოხუნჯი, მზიარული. არ იცოდა მოწუხება და არ უყვარდა არავის მოწუხება. სწუხდა, როცა მოწყენილს მნახავდა, მეტყობდა — ავად ხომ არა ხარო. ხშირად მო-

მმართვედა, თუ გიყვარვარ, არასოდეს მოწყენილი არ დამიხვდე. ხომ იცი თეატრში რამდენ შრომას, ნერვიულობას განვიცდი და ვბრუნდები სახლში იმ იმედით, რომ მშვიდი და მანუგეშებელი სახე დავინახო, რომელიც დამავიწყებსო ყველა უსიამოვნებას. მეც ვიდილობდი, ავადაც რომ ვყოფილიყავი, გამეცინა. კოტეს ნასადილევს ძილი უყვარდა, მეტყოდა უეჭველად ამ საათზე გამალვიძეო, მეც ვალვიძებდი, მაგრამ იქ იწყებოდა გაუთავებელი ვაქრობა, რაც ხან ნახევარ, ხანაც ერთ საათს გასტანდა ხოლმე, მერე დაიწყებდა საყვედურს—რატომ უფრო ადრე არ გამალვიძეო. ასე იყო ყოველთვის.

კოტეს არ უყვარდა არავისი წყენა და თუ ვინმე მას აწყენებდა, მეტად სწუხდა.

ქონებრივად კოტე დიდ გაჭირვებას განიცდიდა. სამაგიეროდ მისი ხანა მდიდარი იყო მსახიობებით. ქართულ სცენას ამშვენებდნენ ისეთი ბუმბერაზები, როგორნიც იყვნენ ვასო აბაშიძე, ლადო მესხიშვილი, კოტე მესხი, კოტე ყიფიანი, ვ. გუნია, ნატო გაბუნია, მარიამ საფაროვ-აბაშიძე, ეფემია მესხი, ნინო ჩხეიძე, ლიზა ჩერქეზიშვილი. ეს ორი უკანასკნელი მოესწრო დიდებულ დროს.

კოტე მეტად თავმოყვარე იყო. აღვილად არვის არაფერს თხოვდა, რაც უნდა გაჭირვებული ყოფილიყო. მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში იყვნენ ჩვენი მსახიობები მაშინ. ხუთ თვეს იღებდნენ სულ უმნიშვნელო ჯამაგირს, დანარჩენ ზეიდ თვეს დიდი გაჭირვებით ირჩენდნენ თავს. მიდიოდნენ წარმოდგენების გასამართავად პროვინციაში და ზოგჯერ უფრო გაჭირვებულნი და დავალიანებულნი ბრუნდებოდნენ, რადგან მაშინ ხალხი ნაკლებად ეტანებოდა თეატრს. ბევრჯერ იტყოდა კოტე, ვიცი ზარალი იქნება, მაგრამ მაინც საჭიროა ხალხს მივაწოდოთ სულიერი საზრდო, განვაფითაროთ, რომ გაიგოს, შეიგნოს ავი და კარგი. კოტეს საჭიროდ მიიჩნდა მღაბიო ხალხის განათლება თეატრის საშუალებით.

ვაიზოდები კოტეს ცხოვრებიდან

კოტე მესხი ჯერ კიდევ მოწაფე იყო, როდესაც ქალაქ ქუთაისში წარმოდგენების დადგმა დაიწყო. პირველად გუბერნატორის სახლში გაუმართავს წარმოდგენა. წარმოდგენებს საკმაოდ ხშირად მართავდა თურმე, რაც კოტეს იუბილეს დროს მოლოცვაში აღნიშნა გან-

ზენებულმა ალექსი ქიქინაძემ. იგი წერდა: გილოცავ არა ოცდაათს არამედ ოცდათხუთმეტ წელს, რადგან შენ ჩემთან ერთად დაიწყო მუშაობაო. ალექსი ქიქინაძე იყო ქართული გიმნაზიის დირექტორი ჯერ ქუთაისში, მერე თბილისში. კოტე ჯერ ქუთაისში მართავდა წარმოდგენებს, შემდეგ თბილისში. 1880 წელს წასულა ოდესის უნივერსიტეტში, მაგრამ დიღხანს არ დარჩენილა და საფრანგეთში გაპარულა. იქ არტისტი და რედაქციის თანამშრომელი დიდის პატივით მიიღეს ეურნალისტებმა. დაჰყავდათ თეატრებში, აცნობდნენ დირექტორ—არტისტებს. ერთხელ თურმე სადილზე დაჰპატივეს ეურნალისტებმა. ყველანი ფრანგები იყვნენ, სთხოვეს, რამე ლექსი გვითხარიო. კოტეს უცბად არაფერი გახსენებია, მოაგონდა მხოლოდ ერთი უხეირო ლექსი, ხუმრობით ნათქვამი ბავშვებისათვის, ისე რიხიანად უთქვამს ეს ლექსი, წამოდგნენ და „ვივას“ იძახდნენ დიღხანს. იცინოდა კოტე, იმათ ეგონათ რაღაც კარგი ვთქვიო.

კოტე მესხი და ქუთაისის თეატრი

კოტემ დაარსა ქუთაისში მუდმივი ქართული თეატრი, ეგრეთ-წოდებული ხარაზოვის თეატრი. 1884 წელს ქუთაისში მან დადგა ლერმონტოვის „დემონი“. ეფემია თამარის როლს თამაშობდა, კოტე—დემონის, მე კი ანგელოზს. ეს იყო ჩემი პირველი გამოსვლა ქართულ სცენაზე. მახსოვს დიღხანს მეძახოდნენ ახალგაზრდები ქუჩაში ანგელოზს. შემდეგ სხვა როლებშიაც გამოვედი. წარმოდგენები ქუთაისში იმართებოდა ჯერ ხარაზოვის თეატრში, შემდეგ ნიკოლოზ გამრეკელმა და კოტემ გადააკეთეს ბულვარში ალექსანდრე მესამეს მისაღებად აგებული პავილიონი. იქ ვთამაშობდით, ვიდრე არ დაიწვა. მე 1894 წლამდე ვთამაშობდი ჩემი ქმრის კოტე მესხის ხელმძღვანელობით. ჩვენს მაშინდელ დასში შედიოდნენ ქალები: ეფემია მესხი, მარიამ ყაუხჩიშვილი, დესპინე ივანიძე, პატრიკო მიქელაძე, ნატო მესხი, მაშო ჩხეიძე, ნუცას და, და შემდეგ ნუცა ჩხეიძე. კაცები: კოტე მესხი, ნიკო ბაღრიძე, გიორგი თუთბერიძე, ვასო ბალანჩივაძე, შალვა დადიანი, დავით ჩარკვიანი, დათიკო მესხი, კოწია მესხი (კოტეს ძმები), გრიგოლ ჩარკვიანი, ბოლქვაძე. სხვების გვარები აღარ მახსოვს.

ერთხელ მახსოვს კოტეს საბენეფისოდ „კოვერლის მკვლელობას“ ვამზადებდით. კოტეს უსიამოვნება მოუვიდა ერთ ოფიცერთან, რომელმაც სიტყვით შეურაცხყო. კოტემ ვერ მოითმინა და ჯოხი დაარტყა. როგორც წესად იყო იმ დროს მიღებული, პოლკმა ოფიცერს მოსთხოვა მუნდირის დაცვა, რაც დუელში გაწვევით გამოიხატებოდა, და ოფიცერმა გამოიწვია დუელში კიდევ კოტე. მე, რასაკვირველია, ამიტანა შიშმა, მაგრამ კოტე მარწმუნებდა, სულელი ხომ არა ვარ, რომ დუელში გავყვე ჩემს გალახულს, თუ ვაეცადი იყო, მაშინვე უნდა გადაეხადა შეურაცხყოფაო. ასე მარწმუნებდა და მეც მჯეროდა. ამას ჩემს მოსატყუებლად ამბობდა თურმე. კვირას კოტეს ბენეფისი იყო, შაბათს, გენერალური რეპეტიციის შემდეგ კოტე მეუბნება, ამაღამ კლუბში წავალ და იქნება დამაგვიანდეს—მე ნუ მომიცდი და დაიძინეო. მეც დავუჯერე. ჩავუჯექი სცენაზე ჩასაცმელი კაბის კერვას და მთელ ღამეს გათენებამდის ვკერავდი, სანამ სულ არ გავათავე. იმ დროს არა გვქონდა იმდენი საშუალება, რომ მკერავისათვის მიგვეცა შესაკერად, ძლივს ვიყიდდით და საჩქაროდ უნდა შეგვეკერა. გავათავე თუ არა კერვა, დავწექი, მაგრამ არ დამეძინა, ფიქრებმა წამილო, ამ დროს გვერდით ოთახში ჩემს მაზლს დათიკოს ეძინა. აუტყდა ხველა, ფრუტუნი. მერე ადგა და ბუნარში ცეცხლი შეუკეთა და დაიწყო წინ და უკან სიარული. ეს მე არ მომეწონა და დავუძახე—დათიკო, რატომ არ გძინავს-მეთქი, ან კოტემ რატომ დაიგვიანა, კი არაფერი აუტეხოს იმ კაცმა მეთქი. არაო, მითხრა, საცაა მოვა, მე შემცივდა და ცეცხლი დავანთეო. თურმე დათიკომ იცოდა ყველაფერი და იმიტომ ვერ ისვენებდა. დუელი იმ დღისათვის იყო დანიშნული სალოონის ტყეში. იმ ღამეს სეკუნდანტებმა კოტე დათა მიქელაძესთან წაიყვანეს, იქ ასწავლიდნენ თურმე დამბაჩის სროლას, რადგან არ იყო სროლას შეჩვეული. მე შიშმა ამიტანა და ამ დროს მომესმა ისმაილ ნესხის ხმა, რომელიც კოტეს სეკუნდანტი იყო თურმე, ისა და დავით მიქელაძე (პუბლიცისტი) მოსულყვენენ. ახალი გათენებულ იყო. მეძახდა: აბა, რძალო, ჩაი დაგვალევინე, ქმარი მოგიყვანეთ-მთელი და უვნებელი. მართალია, ცოტა ხელში დაიჭრა, მაგრამ ეს არაფერიაო. მე ძარღვები ამეშალა, ტირილით მივაძახე: ჯალათებო, რომ მომკვდარიყო, რას ფიქრობდით მეთქი. კოტემ დამშვიდება დამიწყო, ხუმრობდა, რა დროს ტირილიაო, ეხლა გმართებს მხია-

რულებათ. მე ვერ ვითამაშებ-მეთქი, ვუთხარი, რადგან ავად ვარ და გამაცივა მეთქი, რას სულელობ, დღეს გვმართებს კარგად თამაში და ვითამაშებთ კიდევ, რადგან სიკვდილს გადავრჩი და ცოცხალი ვარო.

მოაწია საღამომ, მოვემზადენით. თუმც უძილო ვიყავი, დაღლილი მოწყვეტილი, მაინც მოვიკრიბე ძალ-ღონე და წავედი თეატრში. წარმოდგენამ კარგად ჩაიარა, რალაც უფრო აღტაცებულნი და აღფრთოვანებული იყვნენ მსახიობებიცა და მსაყურებლებიც. მე ვითამაშობდი კოვერლეის საცოლეს, ეფემია გორდონის დედას, კოტე კოვერლეის და გორდონს (კოვერლეის მკვლელს). თეატრს ზანზარი გაჰქონდა, იმდენი ხალხი მოაწვა. ამბობდნენ—ღღეს კოტეს ორი ბენეფისია, ორნაირი გამარჯვებისაო, საჩუქრებსა და ოვაციებს დასასრული არა ჰქონდა, ხალხი არ მიდიოდა, სანამ სინათლე არ ჩააქრეს (მაშინდელი ლამფები), ხალხი გარედ დაგვხვდა. კოტე ხელში აიყვანეს და ისე მიიყვანეს სახლამდე.

ასიკო ცაგარელის ამბავი

1885 წელს გვეწვივნენ ასიკო ცაგარელი და ნატო გაბუნია. დადგეს ცაგარელის მგონი „ხანუმა“. თითონ აქქსენტი ცაგარელმა დივერტისმენტში მიიღო მონაწილეობა. წარმოსთქვა სცენები, ლექსები, მაგრამ ხალხი მაინც არ მოეშვა და განმეორებას ითხოვდა. ვამოვიდა, წაიკითხა მეგრელებზე „მეგრელების ფაცხაშია, ტურაკივა ნაცარშია“. პირველ რიგში იჯდა თავადი კოწია დადიანი, დიდად გადაბრინჯული და ამაყი კაცი, შეიარაღებული ხმლით, ხანჯლით და ფიშტოთი. იუკადრისა მეგრელებზე თქმული სცენა და წამოვარდა სკამიდან. იშიშვლა ხმალი და გაექანა სცენისაკენ. ამ დროს ფარდა ჩამოუშვეს, ასიკო ცაგარელი გააპარეს, წაიყვანეს ჩვენს სახლში. დადიანს შემოესივნენ, დაუწყეს დამშვიდება, წაიყვანეს სასტუმროში, სადაც ის ცხოვრობდა. ჩვენ მივედით ჩვენს სახლში, მაგრამ ნატო გაბუნია ძალიან შეშინებული იყო. არ გაუვლია ათ წუთს, დადიანის გამოგზავნილი კაცები მოვიდნენ, გაიხმეს კოტე და ასიკო და უთხრეს: დადიანი გაგიყებულობა და თხოულობს წახვიდეთ ბოდიშისათვისო, ცაგარელმა უთხრა, ბოდიშს მოვუხდით, მაგრამ ვაი, რომ არ დამჯერდეს, ამკუწოს, ის შეიარაღებულია, მე ვი არაო. დაარწმუნეს, რომ ყველაფერი მშვიდობიანად დამთავრ-

დებამ. ეს რომ ნატომ გაიგო, კინალამ გაგიჟდა და დაიწყო ტირი-
ლი. ჩასკიდა ხელი ასიკოს და არ უშვებდა. როგორც იყო წაიყვანეს-
წაპყენენ კოტე და მისი სამი ძმა, ჩემი მძლები. კოტე წინ შევიდა-
თურმე, დაუწყო დადიანს ოხუნჯობა და გააცინა, ისიც იამა, რომ
მიიყვანეს ცაგარელი, შერიგებით დამთავრდა საქმე. ნატოს ვამში-
დებდით, სანამ მოვიდოდნენ, ცოტა შესარიგებელიც დაეღიათ. მეო-
რე დღეს თბილისისაკენ გაეშურა ცოლ-ქმარი. კოტემ უთხრა, მოი-
ცადეთ, ერთი წარმოდგენა კიდევ დავდგათო, კაცო, ვინდა გიემ-
კნიაზმა მომკლას, არა ძმაო, გამიშვი ჩემს ქალაქშიო. წავიდნენ.
ჩვენც გავაცილეთ სადგურზე, თურმე დადიანს გაუგია ამათი წასვლა-
და ისიც მოვიდა გასაცილებლად. ამათ კი შეეშინდათ, არაფერი-
ავიტეხონო, უფრო ნატოს, მაგრამ ნატოსთან ბოდიში მოიხადა-
და კარგი თაიგული მიართვა.

ქუთაისის თეატრის დაწვა

1894 წელს კოტემ მოინდომა სუნდუკიანის პიესის დადგმა,
რისთვისაც თბილისიდან მიიწვია არტისტი არაქსიანი. აი ამ პიე-
სის უკანასკნელი რეპეტიციის დროს გაუჩნდა მალლა სართულში
გარდერობს ცეცხლი და რამდენიმე საათის განმავლობაში მთლად
ჩანთქა თეატრი. ჩაიფერფლა პატარა, მაგრამ მეტად ლამაზი, კოხ-
ტა თეატრი. ეს თეატრი ქალაქის ბაღში იყო და ცეცხლისაგან
ბევრი ხეც დიიწვა. ამის შემდეგ გადმოვედით თბილისში, რადგან
დრამატული საზოგადოების გამგეობამ სთხოვა კოტეს იმ სეზონში
რეჟისორობა და კოტეც დეთანხმდა.

კოტე და გიორგი წერეთელი

გუნიამ კალენდარი გამოსცა და შიგ მოათავსა სხვადასხვა სუ-
რათი, მათ შორის კოტეს სურათიც. გიორგი წერეთელმა თავის
„კვალში“ დაწერა, კოტე მესხს თავი ქართულ გოგრას მიუგავსო.
ამაზე კოტემ „ცნობის ფურცელში“ უპასუხა გიორგი წერეთელს:
ძალიან საწყენია, რომ მისი სურათიც არ იყო კალენდარში მო-
თავსებული, მაგრამ რა ექნა გუნიას, მისი ბრალი არ იყო, რამდე-
ნი არ ეცადა მის დაბეჭვდას, არ ექნა და არა, ტანი გამოდიოდა,
თავი კი არა. ეს რომ წაიკითხა წერეთელმა, თურმე ავად გახდა.
ანასტასია მივიდა კოტესთან და შეეხვეწა, შენი ქირიმე ასე აღარ
ეხუმროო.

მეორე მოგზაურობა საფრანგეთში

1900 წ. კოტე მეორედ წავიდა საფრანგეთს. მაისის დამლევს გაეცა ცილე ბათუმამდე. მე ვერ წამიყვანა უფულობის გამო. მასთან ერთად მიდიოდა ბაგრატიონ-მუხრანსკი. ჯერ პეტერბურგში წავიდნენ, ხოლო იქიდან საფრანგეთში. თურმე კოტეს არსად უშვებდა, როცა დააგვიანდებოდა ლამით სადმე, ეტყოდა, კოტე, იცოდე, შენს ცოლს მივწერ დეპეშასო, კოტეს დეიდაშვილები იყვნენ მაშინ იქ და იმათთანაც უშლიდა წასვლას, შენმა ცოლმა მე ჩამაბარა შენი თავი და მე ვარ პასუხისმგებელიო. ამაზე დომინიკა განდგილი მწერს: ნატო, კოტეს შესახებ ნუ გეშინია, რადგან კარგი გამდელი ჰყავს და არსად არ უშვებსო. განდგილი იმ დროს პეტერბურგში იყო და კოტეს ხშირად ხედავდა. კოტე ოქტომბერს დაბრუნდა პარიზიდან და რაც გამოგზავნა, ოდესის დამოენაში გაეხსნათ. რაც კარგი რამ იყო ამოეღოთ, ამაზე ძალიან წყლებოდა გული.

კოტე მესხი ბაქოში

1906 წ. შემდეგ კოტეს ბაქოში მოუხდა წასვლა დასთან ეფემია მესხთან და იქაური თეატრის გამგეობამ სთხოვა ბაქოში თეატრის მოწყობა და მისი ხელმძღვანელობა. კოტე დასთანხმდა. ერთ დიდ შენობაში მოაწყეს სცენა, ლოქები და პარტერი. იქ ეთამაშობდით სამ წელიწადს.

ამ დასში ძალიან კარგი სცენისმოყვარენი იყვნენ. კოტე რეჟისორიც, მსახიობიც და მმართველიც იყო. მუდმივად მონაწილეობდნენ ეფემია მესხი, ნინო გამრეკელი—თორელი. ქეთო ანდრონიკაშვილი, ნატო მესხი, ვ. შველიძე, მამუკა ამაშუკელი, ნადირაძე.

თეატრის მოწყობაში დიდ მონაწილეობას იღებდა ივანე მიხეილის-ძე გეპნერი, ეფემია მესხის ქმარი. გეპნერი პედაგოგი იყო, დიდი სტუმართმოყვარე, მრავალი ქართველი მეგობარი და ნაცნობი ჰყავდა. გეპნერის გიმნაზიაში რუსული გვარის ორი პედაგოგი იყო—ემელიანოვი და რიჟოვი, ორივე ქართველი დედის შვილი. ხშირად ოხუნჯობდნენ, ჩვენ აქ სამი ქართველი ვართ—გეპნერი, რიჟოვი და ემელიანოვი. გეპნერი მოწაფეების ჟურნალს სცემდა და ეხმარებოდა კიდევ მოწაფეებს. ერთხელ მთავარმართებელმა ევრონცოვმა ბაქოში გაიარა. ჯაშუშებმა დააბეზლეს გეპნერი

და მოხსნეს სამსახურიდან და ის მოწაფეებიც დაითხოვეს, ვინც მასთან თანამშრომლობდა. სამ წელიწადს უადგილოდ იყო.

ჩვენ ყველანი ერთად ვცხოვრობდით ბაქოში ნიკოლოზის ქუჩაზე. იქ იყო თეატრი, საცხოვრებელი სახლი და უზარმაზარი დარბაზი. აი სწორედ ამ სახლიდან ესროლეს ყუმბარა პოლიცემისტერს. ატყდა ერთი უბედურება, პოლიცია, კაზაკები შემოცვივდნენ სახლში, გაჩხრიკეს ყველაფერი, გვემუქრებოდნენ. აქედან იყო გასროლილი, ცდილობდნენ ვინმე ჩვენიანი დაეჭირათ, მაგრამ აღმოჩნდა ვიღაც ბოქაული, რომელმაც გაიგო ჩვენი ვინაობა, რომ კოტე მესხი, ეფემია მესხი და დანარჩენნი მსახიობები და პედაგოგები იყვნენ. მან გადაგვარჩინა.

მოგზაურობა საქართველოში

1908 წელს ჩვენი დასი სამოგზაუროდ იყო გორში, სურამში, ზესტაფონში, ქუთაისში, სამტრედიიაში, ფოთში, ბათუმში, ოჩამჩირეში, ზუგდიდში, სოხუმში, გაგრაში, ოზურგეთში. დაბრუნებისას გორში გვირჩიეს, ცხინვალში წავსულიყავით. წავედით კიდეც. იქ კოტე ავად გახდა, დიდი სიცხე მისცა, რამაც ძალიან შეაშინა, მაგრამ წარმოდგენაზე მაინც უარი ვერ ვათქმევინე. სასტუმროს მაგივრად ღუქნის ოთახში შეგვიყვანეს, საიდანაც თოფ-ნაკრავით გამოვევარდით. ისეთი საშინელი სუნი იდგა თუთუნის, ღვინის თუ არყისა და სიმეივისა. ერთ მტკაველზე ნაგავი ეყარა. კოტემ მეცქენეს დაუძახა, მეღუქნემ გააღო ფანჯარა, დააგვევინა და გააღ. ცხვინა იატაკი. ბოდიში მოიხადა, აქ მთელ დღე-ღამეს ბანქოს ამამობდნენ აქაური ახალგაზრდები და ვერა და ვერ მოვასწარიტყვევებო. იმათ გაწმენდას არ დაეჯერდი, ხელმეორედ მოვითხოვე ტილო და წყალი და მე თვითონ გავეწმინდე და მერე მივაწყე საწოლები. მოვასვენე კოტე, წამალი დავაღვეინე. მეორე დღეს უნდა ეთამაშნა. მეორე დღეს წავედით თეატრში, კოტეს 38° სიცხე ჰქონდა, თეატრი ფარღალალა იყო, მარტო ზემოდან იყო დახურული, გვერდებიდან კი ქარი უბერავდა. გორაკი ჩამოუჭრიათ, სცენა გაუკეთებიათ, სადაც მსახიობები კოქლობით დადიოდნენ ოღრო-ჩოღრო მიწაზე. მიუხედავად კოტეს ავადმყოფობისა, მან კარგად ჩაატარა თავისი „სტატსკი-სოვეტნიკი“. შემოსავალი ძალიან ცოტა იყო, ისე. რომ გორამდე ძლივს გვეყო. გორშიაც

კოტა იყო შემოსავალი, ასე, რომ სამგზავრო ფული არავის ჰქონდა. მოვიდა კოტე და მეუბნება:—ნატო, შენი ბექდები მომეცი, გზის ფული არა გვაქვს, გორში ხომ ვერ დავრჩებით ამდენი ხალხით, მერე რას უპირებ-მეთქი. უნდა დავუვიროთ ოქრომკვდელს და ზეგ თბილისში ჩამოვა და გამოვისყიდო, არ დამიკარგავსო. ძალიან არ მიამა, მაგრამ რას ვიხამდი, მეტი გზა არ იყო და მივეცი. მე სადგურზე წავედი, სადაც დამხედნენ ჩვენი მსახიობები კოტეს მოლოდინში, რომ ბილეთები ეყიდნათ. ერთმა მსახიობმა ქალმა დალონებულმა მითხრა—ეს რა უბედურება მოგვივიდა, თურმე კოტეს თქვენი ბექდები წაუღია დასაგირავებლადო, მე ვუთხარი ეს უბედურება კი არა, ბედნიერებაა, უბედურება მაშინ იქნებოდა, რომ ბექდები არ მქონოდა-მეთქი. ასე დასრულდა ეს მოგზაურობა. მესამე დღეს მართლაც მივიღე ჩემი ბექდები.

ლადო მისხიფილთან ერთად

კოტემ შეადგინა სამოგზაურო დასი. ჩვენთან ერთად ლადო მისხიფილიც იღებდა მონაწილეობას მოგზაურობაში. მიგვიწვიეს სამტრედიაში, სადაც ახლად აშენებული ლამაზი და კარგად მოზრდილი თეატრი აღმოჩნდა. სამოგზაუროდ „ჰამლეტი“ გვქონდა წაღებული. ლადო თამაშობდა ჰამლეტს, კოტე პოლონიუსს, მე გერტრუდას, მატარაძე მეფეს, მდივანი ოფელიას და სხვ. წარმოიდგინეთ ჩვენი მდგომარეობა, როდესაც ოფელიას მიასვენებდნენ, იატაკი თურმე კარგად არ იყო ამოქრილი და კუბო შიგ არ ჩაეტია, შეუდგნენ ძირიდან ხელახლა ამოქრას. მოგვიხდა დიდხანს ცუდა სანამ ამოქრიდნენ, ამის შემდეგ ჰამლეტისა და ლაერტის შეხვედრა მიხედვებით როგორი იქნებოდა.

სამტრედიიდან ფოთში წავედით, ჩავედით თუ არა, დილით ჩვენს მეფეს, მატარაძეს წყალი დაუღვევია და ერთ საათში ტუჩები საშინლად გასივებია, მივუყვანეთ ექიმში, რომელსაც ეთქვა, შენი ბედი, რომ გამოგყარა, თორემ მოკვდებოდით. საღამოთი გამოვეწყვე, გამოვედი და მოვეუჯექი მეფეს გვერდით, რომელიც არ მენახა იმ დღეს. წარმოდგენის დროს როდესაც ჰამლეტი მეფე-დედოფალს მიმართავს, ლადოს სიცილი შევნიშნე, თან თვალით მანიშნა მეფეზე. შევხედე და სიცილი ველარ შევიკავეთ ვერც მე და ვერც ლადომ. კოტემ შეგვნიშნა და თვითონაც აუტყდა სიცილი: საში-

ნელი სანახავე იყო, ნამდვილ ორანგ-უტანგს ჰგავდა. თვალეზო პროექტორს მიუგავდა, გრიმში დიდად გასივებული ტუჩები საზარელიც და სასაცილოც იყო. ლადომ უურში ჩამჩურჩულა, არ გეშინიან მაგას რომ უზიხარ გვერდით. მე უფრო გამეცინა, ძლივს ვიმაგრებდი თავს, რომ ხალხს არ შეენიშნა სიცილი, თვითონ მატარაძესაც ეცინებოდა. მიხვდა, რომ ის იყო ჩვენი სიცილის საგანი. როგორც იყო მივიყვანეთ ბოლომდე სცენა, სამაგიეროდ კულისებში ბევრი იოხუნჯეს კოტემ და ლადომ და ბევრიც ვიცინეთ თავისუფლად.

ლიბიტრი ჯანელიძე

კოტე მესხი

(გარდაცვალებიდან 30 წლის შესრულების გამო)

სიმონ მესხის 13 შვილს შორის სერგეი ცნობილი პუბლიცისტი იყო, კოტე—განსწავლული მსახიობი, ეფემია— პირველი ქართველი მარგარიტა გოტიე და ზეინაბი, ივანე საუცხოოდ უკრავდა თარს, ნესტორი ჩინებული მომღერალი და მოცეკვავე ყოფილა; ამათი დის ანას ქალიშვილებიდან ბაბო გამრეკელი მსახიობია, ხოლო ნინო გამრეკელი-თორელი პირველი ქართველი ქალი—რეჟისორი იყო; სიმონ მესხის უფროსი შვილის გიორგის შვილიშვილია ვერიკო ანჯაფარიძე. კოტე მესხი და კოტე მარჯანიშვილი ბიძაშვილ-მამიდაშვილები იყვნენ. მარიამ საფაროვი-აბაშიძეც ამ ოჯახის ახლო ნათესავი იყო. კოტე მესხისთვის უმაღლეს სასწავლებლად „დროების“ რედაქცია იქცა, სადაც მისი ძმის—გაზეთის რედაქტორის სერგეი მესხის გარშემო იკრიბებოდნენ იმ დროის ქართველი მწერლები. აქ ამ მოწინავე წრეში, შეითვისა კ. მესხმა განმათავისუფლებელი მოძრაობის იდეები, აქ გაირკვა სცენის მომავალი მოღვაწის მიმართულება. როდესაც ი. ჯავჭავაძემ და ა. წერეთელმა 1879 წელს ქართული პროფესიული სცენა მწერლობის ტრიბუნალ ალაღდინეს, კ. მესხი იმ თავდადებულ ახალგაზრდათა შორის იყო, რომელთაც უარი თქვეს პირად ბედნიერებაზე და თავისი სიცოცხლე ჯერ მშობლიური თეატრის განახლებას, მერმე კი მის შენარჩუნებას მოანდომეს.

იმდროინდელი ქართველი მსახიობის მძიმე მდგომარეობის გამო კ. მესხს ახლობლებმა ურჩიეს: ბუჰხალტერია შეისწავლე, თორემ

აქტიურობა ვერ დაგარჩენსო. კოტე გაემგზავრა კიდევ ოდესაშ: ბუჰალტერიის კურსებზე შესასვლელად, მაგრამ ფოთში მარსელი-საკენ მიმავალი გემის ბაქანზე ასვლა არჩია და საფრანგეთში ამო-ჰყო თავი. იქიდან თავის ძმას ივანე მესხს წერდა: „მარსელში სა-რა ბერნარი ვნახე სცენაზე, კინალამ გადაშრია. თუმცა მისი ლაპა-რაკი არ მესმოდა, მაგრამ მის თამაშს ვხედავდი და ტანში მა-ციებდა...“

პარიზში კი მესხმა ისწავლა ფრანგული ენა. გაეცნო ფრანგულ დრამატულ მწერლობას, ფრანგ მსახიობებს გოს, დელონეს, კოკ-ლენ-ჟეფროსს, სარა ბერნარს და მუნე-სიულის.

